საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№44 (182)
21 - 27 ნოემბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ეროვნულობის ერთადერთი განმსა-ზღვრელი არის ენა! 18

## მოვითხოვთ სააკაშვილის, ბარამიძის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას 2





## სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, უგულავას უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ 16

## ოქროს მოწმე 5



ოქრუაშვილი მართლაც რომ ოქროს მოწმეა ივანიშვილის ყულაბაში. ასე რომ, მიეცით, მიეცით ექსმინისტრს საწერკალამი და ფურცელი! ირაკლი მაგარი ბიჭია — ყველას ჩაუშვებს!

## ტარიფები 20-30 პროცენტით მაინც შემცირდება, ზოგიერთი შეიძლება — 40-50 პროცენტითაც 14

## «არჩილ ჩოხელის მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებთ სააკაშვილს, ახალაიას და ვინმე აბაშიძეს» 6

## მერაბიშვილო, 8 წლის განმავლობაში ვინ უყურებდა ღამის 2 ან 3 საათს?! დაგავიწყდა, როგორ აპატიმრებდი ადამიანებს?! 11

## ნატოს სურს, დაძაბოს რუსეთის გარშემო სიტუაცია თავისი ვასალების მეშვეობით და დროდადრო ისინი ამ მიზნით გამოიყენოს 8

## «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა», როგორც პროფაშისტური პარტია, უნდა აიკრძალოს! 12

საქართველო და მსოფლიო

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა პროკურატურა სრულიად ცივილიზებულად, კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე იბარებს მოქალაქეს დაკითხვაზე და აკავებს, ამაში უკანონო არაფერია“.**



**ირმა ჭკადუა:**

# მოვითხოვთ სააკაშვილის, ბარამიძის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას

## «მეექვსე და მერვე საპყრობილეები საკონცენტრაციო ბანაკები იყო»

**დამტკიცდა თუ არა ახალი მთავრობა, ქალაქის მთავარ პროკურატურაში საჩივრების ბუმია. „ვარდოსნებს“ დაპირებული „წმინდა მარტინის“ დღე გაუთენდათ, „დემოკრატიული დასავლეთი“ კი დაჭერების გამო გამოთქვამს ძლიერ შეშფოთებას თუ იმის გამო, რომ დაჭერილები აქამდე თავისუფლად დადიოდნენ, ჩვენთვის ჯერჯერობით გაუგებარია. დღემდე ბურუსით მოცული საქმეების ხელახალმა გამოძიებამ, რომელთა გამომზეურების პირობასაც „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ არჩევნებამდე იძლეოდა, უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. რამდენად გამჭვირვალედ ხორციელდება ეს ყველაფერი და არსებობს თუ არა საფრთხე, რომ კოალიციის მთავარმა ოპონენტმა, ოპოზიციაში გადაბარგებულმა „ნაცმოძრაობამ“ მიმდინარე პროცესი პოლიტიკურ დევნად შერაცხოს, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება რამდენიმე გახმაურებული საქმის ადვოკატი ირმა ჭკადუა.**



**— ქალბატონო ირმა, ცნობილია, რომ პროკურატურაში საჩივართა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ძირითადად, რა სახის საჩივრებია? რას ითხოვენ მოქალაქეები?**

— საჩივრები მართლაც უამრავია და ეს ბუნებრივიცაა, ხალხს ცხრაწლიანი ტანჯვისა და უსამართლობის შემდეგ პირველად მიეცა ამოსუნთქვის საშუალება. ძირითადად, საქმის გადახედვასთან, ხელახალ გამოძიებასთან დაკავშირებით მიმართავენ პროკურატურას, არის სხვა მოთხოვნებიც, მაგრამ ძირითადად მაინც ესაა — უსამართლო განაჩენს აპროტესტებენ. სამწუხარო ისაა, რომ სამართლებრივი ბაზა ჯერ არ არის მომზადებული ამ პროცესისთვის, ამიტომ სამუშაო უამრავია. იმედი მაქვს, რომ ეს ბაზა მინიმალურ დროში მომზადდება, შესაბამისად შემდეგ, ალბათ, შექმნიან დეპარტამენტს და მოხდება ყველა საქმის ხელახალი გადასინჯვა...

**— ფართო მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, რა სამართლებრივი ბაზის შექმნაზეა ამ შემთხვევაში საუბარი?**

— ლაპარაკია იმაზე, რომ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმი საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობდა, თუ კი არ იყო ახლადგამოვლენილი ან ახლადაღმოჩენილი რამე გარემოება. ამიტომ ხალხი, ცოტა არ იყოს, დაიბნა და ყველამ, ვისაც ჰქონდა განცდა, რომ მის მიმართ არ იყო სამართლიანი გადაწყვეტილება გამოტანილი, პროკურატურას მიმართა. უამრავი საქმეა ქონების ხელყოფასთან დაკავშირებით და თქვენ იცით, რომ წინა ხელისუფლებამ ადამიანის ქონებრივი უფლებები, ხელშეუხებლობა, ფაქტობრივად, უარყო; ასევე არაერთი საქმეა კვალიფიკაციის გამო. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როცა იყო სხეულის დაზიანება და კვალიფიცირდებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობით. ერთი სიტყვით, ამ ერთთვიან მონაკვეთში, რაც ახალი მთავრობა დამტკიცდა, პროკურატურაში იმდენი საჩივარია შესული, რომ, ალბათ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ასეთ მცირე დროში, მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. დასაწყისშიც ვთქვი და ვიმეორებ: ეს ბუნებრივია, ვინაიდან **დღეს ქართველ ხალხს, ჩვენს საზოგადოებას გაუჩნდა თავისუფლების განცდა და ადამიანებმა გადააბიჯეს შიშს, მათ გადალახეს ტერორი და უსამართლობა...**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რამდენად აუდის პროკურატურა ამ მოჭარბებულ საჩივრებს?**

— ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს ძალიან დიდ ადამიანურ რესურსს, მაგრამ, სანამ რესურსი იქნება, ვიმეორებ, უნდა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა და შემდეგ უკვე გაცილებით რეალური იქნება ამ ყველაფრის დარეგულირება. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ წინ გვაქვს უმძიმესი სამუშაო, ამიტომ აქ, უწინარესად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამას ის ადამიანები, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში. ფაქტი ერთია: საზოგადოებაში არის მოლოდინი, არის სამართლიანობის განცდა და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს იმედები და მოლოდინები უიმედობით არ შეიცვალოს. ჩემი აზრით, ამის რესურსი „ქართულ ოცნებას“ აქვს და უნდა გამოიყენოს.

**— ბოლო წლებში თქვენი დაცვის ქვეშ რამდენიმე გახმაურებული საქმე იყო. მათ შორის ლევან კალაძის მკვლელობაც, ვაზაგაშვილის, აფრასიძეების და ა. შ. აპირებთ თუ არა ყველა ამ საქმის გადახედვის მოთხოვნით მიმართოთ პროკურატურას?**

— ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ თქვა, რომ ის შეეცდება, სტრასბურგში გაგზავნილი საქმეების დაბრუნებას და აქვე, სახელმწიფოს შიგნითვე გამოასწორებს. ეს უკვე ნიშნავს გარკვეული ვალდებულების აღებას. აქედან გამომდინარე, ისინი, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებენ, რომ სახელმწიფომ არ წააგოს პროცესი და აქ მოხდეს მორიგება მხარესთან და რამე სხვა ფორმით სამართლიანობის აღდგენა.

**— ოპოზიცია, ანუ „ნაცმოძრაობა“ მიმდინარე დაპატიმრებებს პოლიტიკურ დევნად აფასებს. იმავე ლევან კალაძის მკვლელობის საქმის ხელახალ გამოძიებას ხომ არ გამოიყენებენ ისინი ანალოგიურ არგუმენტად კოალიციის წინააღმდეგ?**

— ვერანაირ არგუმენტად ამას ვერ გამოიყენებენ და გეტყვით, რატომ. ეს საქმე ყოველთვის იწვევდა საზოგადოების დიდ ინტერესს და მუდმივად იყო საუბარი იმაზე, რომ გამოძიება არ ჩატარებულა სრულყოფილად. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც 2004 წელს აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაცია, რომელიც, მოგეხსენებათ, იმიტომ ჩატარდა, რომ, როგორც თვითონ ამბობდნენ, მათ თითქოს ჰქონდათ ინფორმაცია ლევან კალაძის გატაცებაში აფრასიძეების მონაწილეობასთან დაკავშირებით. მაშინდელი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ერთიმეორის მიყოლებით ატარებდნენ პრესკონფერენციებს და საზოგადოებას აუწყებდნენ, საქმე გავხსენითო... შემდგომ იყო შემთხვევა, როცა თითქოს დაიჭირეს რეალური გამტაცებლები. ასევე ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეულ პიროვნებებს ესენი წამების შედეგად აიძულებდნენ, თავიანთ თავზე აეღოთ მკვლელობა. მოკლედ, რომელი ერთი ვერსია დავიჯეროთ ან დაიჯეროს კალაძის ოჯახმა?! ამ ყველაფრიდან გამომდინარე, აბსოლუტურად სამართლიანი მოთხოვნაა გაჩენილი, რომ ერთხელ და სამუდამოდ რეალურად იქნეს ეს საქმე გამოძიებული და ვფიქრობ, ყველაზე დიდი მორალური ვალდებულება სახელმწიფოს აქვს, ამ შემთხვევაში, დაზარალებული ოჯახის წინაშე.

**— არსებობს ცნობილი კადრი, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ მან პირადად გასცა აფრასიძეების სახლის დაბომბვის ბრძანება. რამდენად შესაძლებელია ეს კადრი მის წინააღმდეგ მტკიცებულებად იქნას გამოყენებული?**

— ეს განცხადება მან 2009 წლის 2 სექტემბერს სასტუმრო „რადისონის“ გახსნაზე გააკეთა და ამით, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენება მისცა სრულიად საქართველოს. ვფიქრობ, მას შინაგანად აწუხებდა ის ცოდვები, რომლებმაც ეს ათქმევინა, იმიტომ, რომ იმ დღეს ასეთი განცხადება აბსოლუტურად უადგილო იყო. რაც შეეხება მტკიცებულებას, რა თქმა უნდა, ამ კადრების გამოყენება ძიების პროცესში შესაძლებელია და მეტიც, აქ სახეზეა დანაშაული, რომელიც არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ჩვენ, აფრასიძეების საქმის ადვოკატებმა, მაშინვე, 2009 წელს, მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურორს, მოვითხოვეთ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და შემდეგ უკვე პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება. ვინაიდან დღემდე პასუხი არ მიგვიღია, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ისევ მივმართეთ და ხელახლა მოვითხოვეთ არა მარტო სააკაშვილის, არამედ ბარამიძის, ადეიშვილისა და მერაბიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ამის სრული საფუძველი არსებობს, ამიტომ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც მოხდება და ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანობა იზეიმებს ამ ქვეყანაში.

**— ერთია, რომ ყველა დაკავებული პირის მიმართ არსებობს ბრალეულობის დამადასტურებელი უამრავი მტკიცებულება, მაგრამ მეორე მხრივ, საზოგადოებაში ერთგვარ დაბნეულობას იწვევს ის განცხადებები, რომლებსაც ჩვენი დასავლელი მოკავშირეები აკეთებენ ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ გამოსვლებში, შეფასებებში ხშირია სიტყვა „პოლიტიკური დევნა“. თქვენი აზრით, რას შეიძლება ისინი გულისხმობდნენ ამაში?**

— ყველამ ვიცით, რომ ხელისუფლება წლების მანძილზე გადასული იყო პიარზე და, ძირითადად, ისინი ამ პიარით კვებავდნენ დასავლეთს. რაც შეეხება მათ განცხადებებს ამ დაჭერებთან დაკავშირებით, ეს ნამდვილად გაუგებარია, მაგრამ **ვფიქრობ, რომ მათაც ჯერჯერობით გარკვევა სჭირდებათ ახალი ხელისუფლების საქმიანობაში, ვინაიდან შესაძლოა, ამომწურავი ინფორმაცია არ ჰქონდეთ. ცხადია, უამრავი სამუშაო აქვს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს და, თუ ისინი მაქსიმალურად ეცდებიან იმავე შეერთებული შტატების, ევროპელების, სხვადასხვა უფლებადამცველი ორგანიზაციების ინფორმირებას, თავის მხრივ, ის დიპლომატებიც, ალბათ, გაიაზრებენ, გაეცნობიან ამ ყველაფერს და ნახავენ, რომ პოლიტიკური ნიშნით კი არ ხდება ეს დაპატიმრებები, არამედ ხდება სრულიად სამართლიანად და საზოგადოების ნების შესაბამისად.** სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ქუთაისში ვიყავი ერთ-ერთ შეხვედრაზე და ვნახე უამრავი გაღიზიანებული ადამიანი, რომლებიც ითხოვენ დამნაშავეების სასწრაფოდ დასჯას. ესაა ხალხის მოთხოვნა და განწყობა.

**— დასავლეთის ინფორმირება ახსენეთ. ხშირად საუბრობენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღჭურვილია ჯაშუშური საქმიანობისთვის აუცილებელი ისეთი მაღალი დონის მოსასმენი (და არა მარტო მოსასმენი) აპარატურით, რომლის მსგავსიც ბევრ, ჩვენზე უფრო განვითარებულ სახელმწიფოს შეიძლება არ გააჩნდეს. ასეთი აპარატურის შეძენა, ბუნებრივია, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული და საეჭვოა, მისი შემოტანა ამერიკელების გვერდის ავლით მომხდარიყო.**

— გასაგებია, რასაც მეკითხებით, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაჭრით რამის თქმა ძნელია. შესაძლებელია, ამ აპარატურის შესახებ მათ იცოდნენ, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ იმავე ამერიკას ან ევროპას ეს ტექნიკა შემოეტანოთ სულ სხვა მიზნით და არა იმისთვის, რასაც ესენი შვრებოდნენ. მე პოლიტიკოსი არ ვარ და შეფასებას ვერ გავაკეთებ, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: ყველამ ვიცოდით, რა ტოტალურ მოსმენებსაც აწარმოებდა ხელისუფლება წლების მანძილზე და არც ერთი განცხადება დასავლეთის მხრიდან ამასთან დაკავშირებით არ მოგვისმენია. პირიქით, მათ დემოკრატიის შუქურა უწოდეს სააკაშვილს. სხვათა შორის, ამასწინათ ამერიკის ელჩთან მქონდა ამაზე საუბარი და მან მითხრა, ჩვენს პრეზიდენტს ეს სააკაშვილზე არ უთქვამს, ხალხს უწოდაო. ანუ, ესენი ყველაფერს საკუთარ თავზე იწერდნენ. დამთავრდა ის დრო, როცა ყველანაირ ინტერპრეტაციას აკეთებდნენ იმისთვის, რომ გმირებად წარმოჩენილიყვნენ...

**— სხვადასხვა შეფასებები კეთდება „ამნისტიის კანონის“ ამოქმედებასთან დაკავშირებით. შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლოა, ციხეები ბევრმა არასასურველმა ადამიანმა დატოვოს. როგორ ფიქრობთ, მოსალოდნელია თუ არა ამ ყველაფრის შედეგად კრიმინოგენული ვითარების დაძაბვა?**

— გარკვეული საფრთხეები ნამდვილად არის, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, არსებობს ასეთი გამონათქვამი: **ჯობია, ციხეში არ იჯდეს ასი დამნაშავე, ვიდრე საკანში იხდიდეს ერთი უდანაშაულო.** თუკი ამ ლოგიკას მივყვებით, რა თქმა უნდა, ამნისტიის კანონის ამოქმედება აუცილებელია და მარტო ეს არ კმარა, **პატიმართა აბსოლუტურ უმეტესობას სჭირდება ხანგრძლივი, სერიოზული მკურნალობა, იმიტომ, რომ ეს ადამიანები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, განადგურებულნი არიან მორალურად და ფსიქოლოგიურად.** მე ყოველდღე ვხვდები მსჯავრდებულებს და სულ უფრო ვრწმუნდები ამაში. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: განსაკუთრებით მეექვსე და მერვე საპყრობილეები, რომლებიც, პირდაპირ ვიტყვი, საკონცენტრაციო ბანაკები იყო, იმდენად გაუსაძლისი, საშინელი პირობები შექმნა წინა ხელისუფლებამ იქ, რომ ერთი დღე მინიმუმ ორ დღედ უნდა ჩათვლოდათ პატიმრებს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**2009 წლის აპრილში ალბერტო ფუხიმორის 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს „სიკვდილის ესკადრონების“ ჩამოყალიბებისთვის, რომლებმაც 25 ადამიანი მოკლეს. ვლადიმირო მონტესინოსს 25 წელი მკვლელობებისა და გატაცებების ორგანიზებისთვის 2010-ში მიუსაჯეს; მასთან ერთად, 15-25 წლით ციხეში კიდევ ოცი ძალოვანი ჩაჯდა. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ყოველივე ეს რეჟიმის დამხობიდან ათი წლის შემდეგ მოხდა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოგზაურობა პერუში, ანუ ბალადა შიშსა და თავისუფლებაზე

**გასული კვირის მთავარ თემად შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრება იქცა. ,,ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები თავიანთ კომენტარებში ცდილობდნენ, მომხდარი მასშტაბური რეპრესიების დაწყებად და პოლიტიკური დევნის ნაწილად წარმოეჩინათ, მიუხედავად იმისა, რომ ბრალს, რომელიც დაკავებულებს წაუყენეს თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან, არასანქცირებულ მოსმენებთან და ა.შ. დაკავშირებით, ერთი შეხედვით, პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ,,ნაციონალების“ ლოგიკა არც ისე ძნელი გასაშიფრი იყო. ისინი, ერთის მხრივ, ცდილობდნენ, დასავლელი პარტნიორების თვალში წამებული მსხვერპლის მანტია მოერგოთ და მეორე მხრივ, მაქსიმალურად გაეწელათ დრო, რომელიც მათ აშორებს იმ დღეს, როდესაც შემსრულებლების ჩვენებების საფუძველზე (ზოგიერთი მათგანი უკვე ალაპარაკდა და დანაშაული აღიარა) გამოძიება დამკვეთებს მიადგება, მათ, ვინც შსს-ს თანამშრომლებს დანაშაულებრივი ხასიათის მითითებებს აძლევდა.**





ალბერტო ფუხიმორი

რკალი ვიწროვდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ზოგიერთ დაკავებულს ხელიდან საწერკალამს ვერ აგდებინებენ, თუმცა, ალბათ, არც არავის ჰქონდა ილუზია, რომ ისინი ყველაფერს საკუთარ თავზე აიღებდნენ. მრავლისმეტყველად იღიმიან მთავარი პროკურორი და იუსტიციის მინისტრი. სულ მალე ყოფილი მმართველების მდგომარეობა შეიძლება კრიტიკული გახდეს.

**ცხადია, უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის (რა ვიცით, რა ხდება), ალბათ, ურიგო არ იქნება, ერთი უცხო სახელმწიფოს გამოცდილებაზე ვისაუბროთ, რომელიც მალე ჩვენთვის შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი გახდეს.**

როდესაც გასული წლის ივლისში მიხეილ სააკაშვილი პერუში პრეზიდენტ ოლანტა მოიზეს ჰუმალა ტასოს ინაუგურაციაზე ჩავიდა (რა ჯანდაბა უნდოდა იქ, ცალკე საუბრის თემაა) ,,საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებიდან ნახევრადხუმრობით ვურჩიე, ლეგენდარული მაჩუ-პიკჩუს მონახულების ნაცვლად, საპატიმროში შეევლო და პერუს ყოფილი პრეზიდენტი ალბერტო ფუხიმორი მოენახულებინა, რომელიც სტუმარს მართლმსაჯულებასთან ურთიერთობის გამოცდილებას გაუზიარებდა. ქართული დელეგაციის სხვა წევრებს კი ამ დროს შესაძლებლობა მიეცემოდათ, იმავე თემაზე, მეზობელ კამერაში, ფუხიმორის რეპრესიული მანქანის მთავარ ჭანჭიკს, ვლადიმირო მონტესინოსს, გასაუბრებოდნენ. საფუძვლიანი ეჭვი მქონდა, რომ ეს რჩევა ადრე თუ გვიან აქტუალური გახდებოდა, თუმცა არ მეგონა, რომ ასე მალე.

**ფუხიმორისა და სააკაშვილს არცთუ ცოტა აქვთ საერთო; ორივე „ნახევრად-დიქტატორების“ კოჰორტას მიეკუთვნება, რომლებიც „ცივი ომის“ დროინდელი კლასიკური მონსტრებისგან განსხვავებით, სტრესნერი იქნებოდა თუ სომოსა-უმცროსი, იძულებულები იყვნენ, მუდამ ეზრუნათ დემოკრატიული ფასადის შენარჩუნებაზე, რეპრესიების დროს ზომიერება გამოევლინათ და თამაშის გარკვეული წესები დაეცვათ.** ორივე ძალიან ხისტ მეთოდებს იყენებდა და ამას რეფორმების სწრაფი გატარების აუცილებლობით ხსნიდა. ორივემ გააფართოვა პრეზიდენტის უფლებები მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა და რაღაც მომენტში თითქმის შეუზღუდავ ძალაუფლებას მიაღწია. ორივეს რეიტინგი თავიდან სამ მეოთხედს უკაკუნებდა, ბოლოსკენ კი „პლინტუსზე დაბლა“ დაეცა.

**2009 წლის აპრილში ალბერტო ფუხიმორის 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს „სიკვდილის ესკადრონების“ ჩამოყალიბებისთვის, რომლებმაც 25 ადამიანი მოკლეს** (ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი გაცილებით დიდია, თუმცა უნაკლო მტკიცებულებებზე საუბარი მხოლოდ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით შეიძლება). **ვლადიმირო მონტესინოსს 25 წელი მკვლელობებისა და გატაცებების ორგანიზებისთვის 2010-ში მიუსაჯეს; მასთან ერთად 15-25 წლით ციხეში კიდევ ოცი ძალოვანი ჩაჯდა. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ყოველივე ეს რეჟიმის დამხობიდან ათი წლის შემდეგ მოხდა.**

პერუს ხელისუფლებამ ძნელად გასავლელი, მაგრამ, ალბათ, ერთადერთი სწორი გზა აირჩია. მან ყველა ნორმა და ყოფილი მაღალჩინოსნების ყველა უფლება დაიცვა. გამოძიება იუველირული სიზუსტით მოქმედებდა და თითოეულ ფაქტს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა. თემიდა არ ჩქარობდა. ბოლოს **ფუხიმორის არც მეტი, არც ნაკლები 15 თვის განმავლობაში ასამართლებდნენ. ეს ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სასამართლო პროცესი გახდა. მას 150 უცხოელი ჟურნალისტი ესწრებოდა, სხდომების ტრანსლაცია ტელევიზიით გადაიცემოდა. ფუხიმორის პროცესმა შექმნა ერთგვარი სტანდარტი არა მხოლოდ ლათინური ამერიკისთვის,** რომელშიც კოლუმბიელი მწერლის და დიპლომატის, ჰერმან არსიენგასის, თქმით, „ჯერაც გრძელდება კამათი შიშსა და თავისუფლებას შორის“, **არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც ნამდვილი დემოკრატიისკენ ისწრაფვის.**

რა თქმა უნდა, ფუხიმორისა და მისი გარემოცვის პრობლემის მოგვარება ხელის ერთი მოსმით შეიძლებოდა. პერუში, ალბათ, მოიძებნებოდა მოსამართლე, რომელიც რამდენიმე საათში ქვეყნის ყოფილ მმართველებს, პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, სამუდამო პატიმრობას „მიარჭობდა“, პრინციპით „ყველამ ისედაც ვიცით, რას სჩადიოდნენ ისინი“, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ახალ ხელისუფლებას არ გაუჭირდებოდა ორი სერჟანტისა და ერთი ტყვიამფრქვევის პოვნა პრობლემის სამუდამო მოგვარებისთვის, მაგრამ ეს იქნებოდა **არჩევანი შიშისა და იმ წარსულის სასარგებლოდ,** რომლისგან თავის დაღწევას ლათინური ამერიკა ცდილობს. პერუმ კი **არჩევანი სამართლიანობისა და თავისუფლების სასარგებლოდ** გააკეთა.

საინტერესოა, რომ **სახელმწიფომ მოახერხა მხოლოდ რამდენიმე ასეული მილიონის დაბრუნება იმ მილიარდებიდან, რომლებიც, ექსპერტების შეფასებით, ფუხიმორის გარემოცვის წევრებმა მიიტაცეს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ,,ყველამ ყველაფერი იცის“, მაგრამ სახელმწიფოს მტკიცებულებების სიმწირის გამო არ შეუძლია რაიმე მოიმოქმედოს.** ამ ფულმა უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ „ფუხიმორისტებმა“ ძალთა გადაჯგუფება მოახერხეს და სერიოზულ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდნენ. **ოლანტა ჰუმალამ, რომლის ინაუგურაციაზე სააკაშვილი 2011 წლის ივლისში ჩავიდა, ალბერტო ფუხიმორის ქალიშვილი, კეიკო, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, სამპროცენტიანი სხვაობით დაამარცხა. ქვეყნის ყოფილი მმართველების რევანშსა და ფუხიმორის საპატიმროდან გამოშვებას** (ეს კეიკოს ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო) **ძალიან ცოტა დააკლდა.** პერუს ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეეძლო ბანალურად „გაეპარსა“ ყოფილი მმართველები და „ფუხიმორისტების“ პოლიტიკური რეინკარნაციის მატერიალური ბაზა მოესპო, რასაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ოვაციით შეხვდებოდა, მაგრამ ეს ისევ და ისევ იქნებოდა **არჩევანი შიშის და არა თავისუფლების სასარგებლოდ.**

საინტერესო ნიუანსი: **მანამ, სანამ ფუხიმორისა და მონტესინოსს 25-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ იმისთვის, რისთვისაც მათ დასჯას მათი ოპონენტები განსაკუთრებით აქტიურად მოითხოვდნენ, ისინი „შედარებით მსუბუქი“ დანაშაულისთვის გაასამართლეს:** ფუხიმორი სამჯერ — ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის, კორუფციისთვის და უკანონო სატელეფონო მოსმენებისთვის; მას 6, 7, 5 და ბოლოს ისევ 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ყვიროდნენ: **„რა მოსმენები, რომელი ,,ბოროტად გამოყენება, ისინი ხომ ადამიანებს ხოცავდნენ!“,** თუმცა ფაქტია, **საუბარი ჯერ იმ ეპიზოდებზე მიდგა, რომელთა მტკიცებულებების მოპოვება შედარებით იოლი იყო და ინფორმაციის უზარმაზარი მასივის გაცხრილვას არ საჭიროებდა.** მაგალითად, 2007-ში ფუხიმორი დამნაშავედ სცნეს იმაში (ერთი შეხედვით, ეს ღიმილისმომგვრელი ეპიზოდია), რომ ხელქვეითს, სანქციის გარეშე, თავისი „მარჯვენა ხელის“, ვლადიმირო მონტესინოსის ცოლის, ბინა გააჩხრეკინა (პრეზიდენტი მაშინ მისთვის საშიშ კომპრომატს ეძებდა). **ვლადიმირო მონტესინოსი კი თავიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის და კორუფციისთვის გაასამართლეს** (ამასთან დაკავშირებით ცალსახა ვიდეომტკიცებულება არსებობდა), **შემდეგ საუბარი იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაზე მიდგა, ბოლოს კი მკვლელობების ორგანიზებაზე.** საინტერესოა, რომ საბუთების გაყალბებისთვის (ეს მონტესინოსის ხვედრის შემსუბუქებისთვის დასჭირდათ) ციხეში 4-4 წლით მისი ცოლი და საყვარელი ჩასვეს.

**1992 წლის 18 ივლისიდან, რვა წლის განმავლობაში ფუხიმორის მმართველობის დროს და კიდევ ცხრა წლის განმავლობაში რეჟიმის დამხობის შემდეგ, ზონდერების მიერ ქალაქ უაჩიპეში მოკლული ცხრა სტუდენტის მშობლები ელოდნენ, როდის დაისჯებოდნენ მათი შვილების მკვლელები და ისინი, ვინც მათ მითითებებს აძლევდა: მაიორი მარტინ რივასი, გენერალი ლუის დოკუმეტი, გენერალი ჰერმოსა რიოსი, გენერალი ხულიო სალაზარი, ვლადიმირო მონტესინოსი და ბოლოს პრეზიდენტი და მთავარსარდალი ალბერტო ფუხიმორი. საბოლოო განაჩენი სასამართლომ მხოლოდ 17 წლის შემდეგ გამოიტანა.** სანამ ეს დღე დადგებოდა, მათ, ალბათ, უამრავი სისულელის მოსმენა მოუხდათ მეზობელი ფუხიმორისტებისგან იმის თაობაზე, რომ ყველაზე მძიმე დანაშაული, რომელიც ყოფილმა პრეზიდენტმა ჩაიდინა, თურმე მონტესინოსის ცოლის ბინის არასანქცირებული ჩხრეკა გახლდათ. **გამორიცხული არაა, რომ ზოგიერთ მათგანს გაუჩნდა ცდუნება, აელო თოფი და ყოფილი ზონდერებისა და მათი ხელმძღვანელების ამოხოცვა დაეწყო, როგორც ეს არაერთგზის, არაერთ ლათინოამერიკულ ქვეყანაში მომხდარა, მაგრამ ისინი ითმენდნენ, მათ შორის იმიტომ, რომ ეს ქვეყნის მომავალს სჭირდებოდა.**

**არანაირი ანგარიშსწორება, არანაირი აჩქარება, პროცესების მაქსიმალური გამჭირვალობა, ნეიროქირურგიული სიზუსტე ნორმების დაცვასთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით, მეტიც, ნებისმიერი ბუნდოვანი საკითხის გადაწყვეტა ეჭვმიტანილის სასარგებლოდ** — რაოდენ რთულიც უნდა იყოს ამის გაკეთება, კარგი იქნება, თუ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევანს ამ პრინციპების სასარგებლოდ გააკეთებს (იგულისხმება ნამდვილი არჩევანი და არა ლამაზი დეკლარაციები). ეს მისაღები უნდა იყოს არა მხოლოდ იდეალისტებისთვის, არამედ პრაგმატიკოსებისთვის, რადგან **ეს არჩევანი, სხვა ყველაფერთან ერთად, არავის მისცემს შესაძლებლობას, თავი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად წარმოაჩინოს და ქვეყნაში თუ მის ფარგლებს გარეთ რამდენადმე სერიოზული რაოდენობის გულშემატკივარი დარაზმოს.**

შემსრულებლები აუცილებლად ალაპარაკდებიან (ზოგიერთი მათგანი უკვე აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან), ისევე, როგორც ეს თავის დროზე პერუში მოხდა. სხვა გამოსავალი მათ, უბრალოდ, არ აქვთ. ერთის მხრივ, ბრალი შეიძლება დაუმძიმდეთ, მეორე მხრივ, გარეთ ელოდება არაერთი მოქალაქე, რომლებიც მათ მოსისხლე მტრებად თვლის და არაერთი ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლებიც მათში საშიშ მოწმეებს ხედავს; ასეთ სიტუაციაში, გამორიცხული არაა, ჩათვალონ, რომ გამომძიებელი მათი საუკეთესო მეგობარია.

**რკალი ვიწროვდება. გადმოცემით, ერთი კარგი და, როგორც ჩანს, ფრიად მოხერხებული ადვოკატი სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს წინმსწრებად მომსახურებაზე ოცპროცენტიან ფასდაკლებას სთავაზობს. თუმცა მთავარი, ალბათ, არა ეს (და სხვა მსგავსი) საინტერესო ეპიზოდია, არამედ ის არჩევანი, რომელსაც გააკეთებს საქართველო, ისევე, როგორც პერუმ ათიოდე წლით ადრე, შიშსა და თავისუფლების შორის.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილი მაღალჩინოსნების ინტერვიუებიდან კარგად ჩანს, რომ ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობდნენ იმაზე, რა რეაქცია ექნება მათ მოქმედებაზე ამერიკელ პარტნიორებს, ხოლო მათ რჩევებს აღიქვამდნენ, როგორც დირექტივებს.**



## კვლევა: ობამას ჰომოსექსუალისტებმა მოაგებინეს

**გადამწყვეტი როლი აშშ-ში 6 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვებაში ჰომოსექსუალისტებმა შეიტანეს.** უილიამსის უნივერსიტეტისა და გელაპის ლაბორატორიის წარმომადგენლებმა ჩატარებული სოციოლოგიურ გამოკვლევების ანალიზის შედეგად გაარკვიეს, რომ ბარაკ ობამამ და მიტ რომნიმ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მოსახლეობის თითქმის ერთნაირი რაოდენობის ადამიანების მხარდაჭერა მოიპოვეს ყველა შტატში, გარდა ოჰაიოსა და ფლორიდისა, სადაც რომნიმ ამ ჯგუფში მცირედ გამარჯვებას მიაღია. რაც შეეხება ჰომოსექსუალისტ ამომრჩევლებს, რომელთა რაოდენობამ დაახლოებით 5% შეადგინა, ობამამ თითქმის 3:1 უპირატესობით გაიმარჯვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ნაციონალური მასშტაბით გამარჯვებისთვის.



## ოპრა უინფრი საკუთარ იმპერიას აფართოებს

**მსოფლიოს უმდიდრესი ტელევარსკვლავი ოპრა უინფრი ახალ ბიზნეს-პროექტს იწყებს. 58 წლის ოპრას ამჟამად მიჰყავს ტელე და რადიო გადაცემები, ფლობს ვებგვერდს, ჟურნალს, სასტუმროს ჰავაიზე და სკოლას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.** ახლა კი მას სურს, სურსათის მაღაზიების თაროები ორგანული პროდუქტებით გაავსოს, რომლებსაც სამარკო ნიშანი Oprahs organies გააერთიანებს. ეს იქნება ჯანმრთელობისთვის სასარგებლო საკვები პროდუქტები — გაყინული ბოსტნეული, სალათის ინგრედიენტები, სუფები და ა. შ. ასევე საპონი, კანის მოვლის საშუალებები, შამპუნი და სხვ. ამ დროისთვის უინფრის ქონება 2,7 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. საქმიანობის ახალი სფეროს წყალობით, ბიზნესლედი წელიწადში 150 მილიონი დოლარის ოდენობის მოგების მიღებას ვარაუდობს.

# მეცხრე წლისთავი ილუზიების სასაფლაოზე

**ცხრა წლის წინ საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. წლევანდელი 23 ნოემბერი ,,ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცებისთვის გამჭოლი სევდისა და სიცარიელის შეგრძნებას უკავშირდება. ფორმალურად ისინი, რასაკვირველია, აღნიშნავენ ამ უხალისო მეცხრე წლისთავს, თუმცა საზეიმო განწყობა, სავარაუდოდ, არ ექნებათ, რადგან, ძალიან დიდი ალბათობით, 23-ში იფიქრებენ არა იმაზე, რას მიაღწიეს, არამედ იმაზე, რაც დაკარგეს. მათი ოპონენტების უმრავლესობა ამ თარიღს განსაკუთრებულ ყურადღებას არ მიაქცევს, ხოლო დანარჩენები ისარგებლებენ საბაბით, რათა ყოფილი მმართველები კიდევ ერთხელ გააკრიტიკონ. ალბათ, ჯერ კიდევ ძალიან შორია ის დღე, როდესაც ქართველი ექსპერტები ობიექტურად, პოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებისა და ემოციების გარეშე იმსჯელებენ იმაზე, რა მოხდა საქართველოში 2003 წლის შემოდგომაზე და რა შედეგი მოუტანა ამან ქვეყანას, თუმცა პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით ნამდვილად ღირს, რადგან ეს ჩვენი ისტორიის ნაწილია და მას მატიანედან ვერ ამოვშლით, თუნდაც ბევრ ჩვენგანს ამის დაუოკებელი სურვილი ჰქონდეს.**





## რევოლუციის სახელით

ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ყელში ამოუვიდა სიტუაცია, რომელშიც ქვეყანა 2003 წლამდე ცხოვრობდა, საიდუმლო არავისთვისაა. არც ისაა გასაკვირი, რომ **გაჭირვების, კორუფციის, უსამართლობისა და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის ფონზე საზოგადოებაში ცვლილებების მოთხოვნა გაჩნდა,** თუმცა კონსენსუსი იმაზე, თუ რა მეთოდებით უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები, არ არსებობდა: ზოგი რადიკალურ მეთოდებს ემხრობოდა, ზოგი კი არჩევანს ნელი, ევოლუციური ხასიათის ცვლილებების სასარგებლოდ აკეთებდა.

**ამ უკმაყოფილებას ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი დაემატა:**

ბუშის ადმინისტრაციის მოწადინება, — პოსტსაბჭოთა სივრცეში „ფერადი რევოლუციების“ ტალღა ააგოროს და ედუარდ შევარდნაძის თანხმობა ხელისუფლება „ახალგაზრდა რეფორმატორების“ ჯგუფს გადააბაროს. **ამის გარეშე „ვარდების რევოლუცია“, საკმაოდ დიდი ალბათობით, არ მოხდებოდა.**

დღეს ბევრი კომენტატორი ირონიულად უდგება ტერმინ ,,რევოლუციის“ გამოყენებას იმ მოვლენებთან დაკავშირებით და **მართლაც ძნელია უწოდო „ნამდვილი რევოლუცია“ პროცესებს, რომელთა დროს „რევოლუციონერებს“ დახმარებას მოქმედი ხელისუფლება და უძლიერესი ზესახელმწიფო უწევს, ხოლო წინააღმდეგობა, რომელიც მათ უნდა დაძლიონ, მხოლოდ სიმბოლურ, ფორმალურ ხასიათს ატარებს.** თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება, ალბათ, არა ხელისუფლებაში მოსვლის ფორმებს და ცალკეული პოლიტიკოსების რიტორიკას უნდა მივაქციოთ (ამ თვალსაზრისით, ეს მართლაც რომ ოპერეტა იყო), არამედ იმას, რომ რევოლუცია, კლასიკური განსაზღვრების თანახმად, გულისხმობს რადიკალურ, არსებით ცვლილებებს და აშკარა დაშორებას იმ მდგომარეობისგან, რომელშიც საზოგადოება ადრე იმყოფებოდა.

ზოგიერთი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ამ ტერმინის გამოყენება „ფერად რევოლუციებთან“ მიმართებაში მის დევალვირებას ახდენს, რადგან ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის ცვლილებების ფორმა და არა მათი შინაარსი. კარგ მაგალითს, ამ მხრივ, ყირგიზეთის „ტიტების რევოლუცია“ გვაძლევს. ეს ტერმინი 2005 წლის მოვლენებთან მიმართებაში საყოველთაოდ დამკვიდრდა (2010 წლის „ნესვების რევოლუციისგან“ განსხვავებით), მაგრამ (მაგალითად) მაიკლ მაკფოლი, ექსპერტი დემოკრატიის გავრცელების საკითხებში და აშშ-ს ამჟამინდელი ელჩი რუსეთში, მიიჩნევს, რომ ამ მოვლენებს არ შეიძლება „რევოლუცია“ ეწოდოს.

**იყო თუ არა «ვარდების რევოლუცია» რევოლუცია საერთოდ? სად მთავრდება ფორმა და დემონსტრაციული, ლამის თეატრალური განშორება წარსულთან და იწყება რეალური, არსებითი ხასიათის ცვლილებები?**

აქ საქმე მხოლოდ ტერმინებში როდია. მსჯელობას ამ თემაზე საინტერესო კითხვებამდე მივყავართ: **იყო თუ არა „ვარდების რევოლუცია“ რევოლუცია საერთოდ? სად მთავრდება ფორმა და დემონსტრაციული, ლამის თეატრალური განშორება წარსულთან და იწყება რეალური, არსებითი ხასიათის ცვლილებები?**

ფილოსოფოსი **ჰანა არენდტი** წერდა: **„მხოლოდ იქ, სადაც წარმოდგენილია განახლების პათოსი და განახლება თავისუფლების იდეას ერწყმის... და გათავისუფლება დათრგუნვისგან სულ მცირე მიზნად თავისუფლების დამკვიდრებას ისახავს, ჩვენ გვაქვს უფლება, რევოლუციაზე ვისაუბროთ“.** ამ ციტატაზე დაყდნობით, თუ პროცესების გარეგნულ მხარეს გვერდზე გადავდებთ, საინტერესოა დაფიქრება იმაზე, თუ **როდის მოხდა საქართველოში ნამდვილი რევოლუცია — 2003 წლის 23 ნოემბერს თუ ახლახან — 2012 წლის 1 ოქტომბერს? იქნებ ორი რევოლუცია მოხდა? ან, სულაც, არც ერთი არ მომხდარა?**

ასე იყო თუ ისე, ფაქტი ერთია: განახლების და თავისუფლების იდეის შერწყმა, რომელზეც ჰანა არენდტი საუბრობს, საქართველოში მხოლოდ პროპაგანდისტული მანიპულაციების სივრცეში მოხდა, ხოლო **ის მიზნები, რომელთაც სააკაშვილის ჯგუფი ისახავდა მიზნად, „თავისუფლების დამკვიდრებისგან“, როგორც ჩანს, ძალიან შორს იდგა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოღვაწეობის შედეგი ასეთი კატასტროფული არ გამოდგებოდა.** თუმცა აქვე ჩვენ კიდევ ერთ, მეტად საინტერესო კითხვას ვუახლოვდებით: **რამდენად დამოუკიდებელნი იყვნენ სააკაშვილი და მისი გარემოცვის წევრები მიზნების არჩევასა და მოქმედებაში?**

პრობლემა ისაა, რომ **ლეგიტიმურობის მთავარ წყაროდ სააკაშვილის ჯგუფი ბუშის ადმინისტრაციას** (და ზოგადად თეთრ სახლს) **და არა ქართველ ამომრჩეველს განიხილავდა.** ცხადია, აშშ-ის ხელისუფლების პოზიციას ნებისმიერი სუსტი ქვეყნის ხელისუფლება ითვალისწინებს, თუმცა საქართველოს შემთხვევაში, ამ „გათვალისწინებამ“ ჰიპერტროფირებული, თითქმის კომიკური ფორმები მიიღო. **ყოფილი მაღალჩინოსნების ინტერვიუებიდან კარგად ჩანს, რომ ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობდნენ იმაზე, რა რეაქცია ექნება მათ მოქმედებაზე ამერიკელ პარტნიორებს, ხოლო მათ რჩევებს აღიქვამდნენ, როგორც დირექტივებს.** უდიდესი როლი ამ მდგომარეობის შექმნაში „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში აღმოჩენილმა დახმარებამ შეასრულა და იმან, რომ ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს ახალ მმართველებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მხარში ედგა როგორც პოლიტიკური და პროპაგანდისტული, ისე ფინანსური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ისინი იძულებულები იყვნენ, პარ- ▶

**მუსოლინიმ, სააკაშვილისგან განსხვავებით, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, სერიოზულ, რეალურ და არა წარმოსახვით წარმატებებს მიაღწია, რისთვისაც, უბრალო იტალიელების დიდ ნაწილთან ერთად, მაჰათმა განდი და ფრანკლინ დელანო რუზველტი აქებდნენ**

**უბედურება ისაა, რომ კონფრონტაცია რუსეთთან სწორედ იმ პერიოდში გაღრმავდა, როდესაც „ილუზიებში გადასახლებულთა“ რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. რომ არა ეს გარემოება, იმის ალბათობა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება საბედისწერო ზღვარს არ გადააბიჯებდა, უფრო დიდი იქნებოდა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტნიორების ნებისმიერი დაკვეთა შეესრულებინათ („იძულებულის“ ხმარება, ალბათ, არც ისე მართებულია, რადგან ყველაფერს სიხარულით და „გეგმის გადაჭარბებით“ აკეთებდნენ). **ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა რუსეთის მიმართ „ნეოკონებისთვის“ სასურველი პოლიტიკის გატარებას და საქართველოს გადაქცევას წარმატებული რეფორმების ერთგვარ „ვიტრინად“ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რასაც, „ფერადი პროექტის“ ტრიუმფალური გაგრძელებისთვის ხელი უნდა შეეწყო.** ამ ამოცანების შესრულების აუცილებლობამ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად სააკაშვილის ჯგუფს რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დააშვებინა.



**პრობლემა ისაა, რომ ლეგიტიმურობის მთავარ წყაროდ სააკაშვილის ჯგუფი ბუშის ადმინისტრაციას (და ზოგადად თეთრ სახლს) და არა ქართველ ამომრჩეველს განიხილავდა**

## სანახაობრივი და მოჩვენებითი

**ძალიან ძნელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რამდენი ფული და ენერგია დაიხარჯა იმ პროექტების განხორციელებაში, რომელთა მთავარი** (ხშირ შემთხვევაში) **და ერთადერთი დანიშნულება გარეგნული ეფექტის მოხდენა, „ვიტრინის გალამაზება“ იყო.** ამ ფულს და ენერგიას ქართული ეკონომიკისთვის სტრატეგის როლის შესრულება შეეძლო, თუმცა ქვეყანა სხვა გზით წავიდა და ეს მხოლოდ სააკაშვილის მეგალომანიისა და არშემდგარი რეჟისორის ამბიციის ბრალი როდია; ქართველებს გარეგნული ეფექტები ნამდვილად მოგვწონს, და თუ არჩევანის გაკეთება, პირობითად, რაიონულ ცენტრში მომღერალი შადრევნის გახსნასა და პატარა საკონსერვო ქარხნის აშენებას შორის მოგვიწევს, გამორიცხული არაა, უმრავლესობა პირველ ვარიანტს მიემხროს. Is, რომ შადრევანი სამუშაო ადგილებს არ ქმნის, როგორც წესი, მოგვიანებით გვახსენდება. ხშირ შემთხვევაში, გვირჩევნია, ვიოცნებოთ იმაზე, რომ შადრევანი რაინულ ცენტრში მილიონ ტურისტს მოიზიდავს, ვიდრე ვიმუშაოთ რეალურ საკონსერვო ქარხანაში, რომელიც თვალწარმტაცი ნამდვილად არ არის.

**შადრევნები** — ქარხნების ნაცვლად, **ფასადების შეღებვა** — სახლების გამაგრების ნაცვლად, **სწრაფვა რეიტინგებში დაწინაურებისკენ** — რეალური ზრდის ნაცვლად. მეტიც, **ტელედაპატიმრებები და სამართლიანობის აღდგენის ილუზია** — დამოუკიდებელი სასამართლოს ნაცვლად, **მილიტარისტული ფსიქოზი და სამხედრო ძლიერების ზრდის ილუზია** — შეიარაღებული ძალების აზრიანი რეფორმირების ნაცვლად; **დემოკრატიის ილუზია, თავისუფლების ილუზია...** თანდათან ამ ილუზიების ტყვეობაში არა მხოლოდ სააკაშვილი, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც მოექცა; შესაძლოა იმიტომ, რომ ქვეცნობიერად ეს სურდა, რადგან წინა წლების გაჭირვებისგან და უპერსპექტივობისგან დაიღალა.

**„ვიტრინის შელამაზების“ ფსიქოლოგიამ საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა, რომელიც სრულად გაცნობიერებული ჯერ არ არის.** ის თავისთავად სასიკვდილო საფრთხეს არ უკავშირდებოდა, ადრე თუ გვიან მათ, ვინც წარმოსახვით სამყაროში გადასახლდა, ცხოვრება უკან, რეალობაში დააბრუნებდა. თუმცა **უბედურება ისაა, რომ კონფრონტაცია რუსეთთან სწორედ იმ პერიოდში გაღრმავდა, როდესაც „ილუზიებში გადასახლებულთა“ რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, რომ არა ეს გარემოება, იმის ალბათობა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, საბედისწერო ზღვარს არ გადააბიჯებდა, უფრო დიდი იქნებოდა.**

საერთოდ, „ვარდების რევოლუციის“ და თანმდევი რეფორმების ისტორია საინტერესოა მხოლოდ 2003 წლის ნოემბრიდან 2007 წლის ნოემბრამდე მონაკვეთში (ან, მაქსიმუმ, აგვისტოს ომამდე), ყველაფერი დანარჩენი, დრამატული პერიპეტიების მიუხედავად, არსებითად სააკაშვილის ხელისუფლების გაწელილი აგონიის ისტორიას წარმოადგენს. ამ პერიოდში ის მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისთვის იბრძოდა და ამას რესურსების უდიდეს ნაწილს ახმარდა; მას თავისუფალი მანევრისთვის დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლები სივრცე რჩებოდა. **თითოეული შეცდომა, რომელიც ამ პერიოდში დაუშვა, ადრე დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარეობდა, თუმცა, შესაძლოა, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის პირველი რგოლი, რომელმაც რეჟიმი კრახამდე მიიყვანა, არა 2007 წლის ნოემბერში, არამედ 2005 წლის თებერვალში უნდა მოვძებნოთ. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ განადგურდა ბალანსი სამკუთხედში სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე და შესაბამისი შეკავების მექანიზმები, რამაც გზა გაუხსნა სააკაშვილის ჯგუფს ხელისუფლების ტოტალური უზურპაციისკენ და გაცილებით ხისტი მეთოდების გამოყენებისკენ,** რასაც, თავის მხრივ, შეეწინააღმდეგა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი და ოპოზიცია, რაც 2007 წლის კრიზისით და მისგან გამომდინარე მძიმე შედეგებით დაგვირგვინდა.

„ვარდების რევოლუციის“ ნამდვილი ისტორია მხოლოდ მას შემდეგ დაიწერება, როდესაც საზოგადოება გაიგებს, რა მოხდა თბილისში 2005 წლის 3 თებერვლის საღამოს; ეს საკვანძო მომენტია, გარდატეხის წერტილი, რომლის შემდეგ „ვარდოსანმა ხელისუფლებამ“ მოქმედების საბედისწერო სცენარი აირჩია და, საბოლოო ჯამში, თვითგანადგურების გზას დაადგა.

## არივედერჩი, დუჩე!

**იტალიელებს ძალიან მოეწონათ, როდესაც ბენიტო მუსოლინიმ მაფიის თარეში ალკვეთა, თუმცა დიდად დამწუხრდნენ, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ფაშისტი ჩინოვნიკები და ძალოვანები, ხშირ შემთხვევაში, მაფიოზებზე დაუნდობლები იყვნენ.** აგრეთვე, იტალიელებს მოსწონდათ, რომ დუჩე კორუფციას ებრძოდა (სააკაშვილისგან განსხვავებით, ელიტარულსაც), აშენებდა ავტოსტრადებს და ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა დაამარცხა (ამ მხრივ, სააკაშვილმა ვერ ივარგა, ამ მაჩვენებლით ევროპაში, სამწუხაროდ, ყველაზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს). მოკლედ რომ ვთქვათ, **იტალიელებს ბევრი რამ მოსწონდათ, მაგრამ ყოველივე ამას ჰქონდა ფასი, რომლის გადახდას XXI საუკუნეში არც ერთი საღად მოაზროვნე ერი არ ისურვებს**. შეგვიძლია ჩავატაროთ გამოკითხვა იტალიის ქალაქებსა და სოფლებში იმის თაობაზე, სურთ თუ არა მუსოლინის რეჟიმი დაბრუნდეს, რათა დავრწმუნდეთ, რომ აბსოლუტურ უმრავლესობას ეს ცოცხალი თავით არ სურს. **ვერცერთი სოციალურ-ეკონომიკური წარმატება ვერ გაამართლებს განსხვავებული აზრის ტოტალურ დათრგუნვას, ადამიანების წამებას და მკვლელობას** (ქვეყნის გამანადგურებელ ომში ჩათრევას თავი რომ დავანებოთ). **არადა, მუსოლინიმ, სააკაშვილისგან განსხვავებით, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, სერიოზულ, რეალურ და არა წარმოსახვით წარმატებებს მიაღწია, რისთვისაც, უბრალო იტალიელების დიდ ნაწილთან ერთად, მაჰათმა განდი და ფრანკლინ დელანო რუზველტი აქებდნენ.**

სააკაშვილის რეფორმებზე სხვა რა უნდა ვთქვათ? იცვლება დეკორაციები და მოქმედი პირები, პიესა კი ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, იტალიაში დადგამენ მას, საქართველოში, სალვადორსა თუ ჰონდურასში.

1 ოქტომბერს (სინამდვილეში, ალბათ, გაცილებით ადრე, უბრალოდ, საპარლამენტო არჩევნებზე ეს საბოლოოდ გაფორმდა) ქართველებმა გადაწყვიტეს, რომ არ გადაიხდიან იმ საფასურს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ითხოვდა და აღარაფერი ამ ქვეყანაში თავისუფლების ხარჯზე აღარ მოხდება. თუმცა **პოსტსაბჭოთა სივრცეში მოღვაწეობს არაერთი სამოქალაქო აქტივისტი, რომლებიც სააკაშვილის რეფორმებით, უფრო სწორად „ქართული ვიტრინით“ მოიხიბლნენ და სურთ იგივე თავის ქვეყანაში გაიმეორონ. მათ არაფერი იციან იმ ტკივილის შესახებ, რომელსაც საქართველო ამ პერიოდში გრძნობდა.** მათი გადარწმუნება ჩვენი საქმე ნამდვილად არაა; ერთადერთი რამ, რაც შეგვიძლია ვურჩიოთ, ალბათ, იმაზე დაფიქრებაა, რა ფასი აქვს თავისუფლებას და ადამიანის სიცოცხლეს და სად გადის ზღვარი, რომელსაც ისინი ვერ გადააბიჯებენ.

**დიმიტრი მონიავა**

# ოქროს მოწმე

**ავი დედინაცვალივით შეხვდა ოქრუაშვილს სამშობლო — თავისი „უძღები შვილი“ მკერდში არ ჩაიკრა, დააპატიმრა და მისივე ყოფილ თანაპარტიელ-თანამოძმეთა მიერ აგებულ გლდანის არქიტექტურის „შედევრში“ — მერვე საპყრობილეში მოათავსა... თუმცა ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრი ასეთმა დახვედრამ არ დააბნია, პირიქით, სტოიკოსი ფილოსოფოსის სიდინჯით განაცხადა: ყველას აქვს სურვილი, სახლში დაბრუნდესო.**

თუმცა მშობლიური მიწის „ყინული“ თბილისის საქალაქო სასამართლოს დიდ დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ „გაალღო“, როცა იქ შესულ ირაკლი ოქრუაშვილს ლამის ოვაციებით შეხვდა. რას ვიზამთ, ცნობილია, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, ხოლო უგმიროში — ოქრუაშვილიც გმირად მოგეჩვენება, სანამ პირჯვარს არ გადაიწერ.

აი, პირჯვრის გადაწერის შემდეგ კი ირაკლი ოქრუაშვილი პირვანდელი სახით წარმოგიდგებათ. **„ნაციონალთა“ რიგით მეორე შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ის ამაზრზენი „ქუჩაში დაკავებები“, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში მყარი საფუძველი ჩაუყარა საყოველთაო ტერორსა და შიშს.**



**თუნდაც 2004 წლის ზაფხული გავიხსენოთ, როდესაც სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ოქრუაშვილის მიერ ცხინვალის რეგიონში მოწყობილი პირველი ავანტიურის დროს ქართველი ძალოვანების მთელი დანაყოფი ოსმა სეპარატისტებმა ერთი გასროლის გარეშეც განაიარაღეს, ცხვრებივით გარეკეს ცხინვალში და იქ, ცენტრალურ მოედანზე, დააჩოქეს!..** მართალია, ამის სანაცვლოდ კუნთმაგარი შინაგან საქმეთა მინისტრის რამდენიმე მგზნებარე მუქარა გაისმა ოსებისა და რუსი სამშვიდობოების მისამართით, მაგრამ ამან მოწინააღმდეგეს ზიანი ვერ მიაყენა და ლიახვის ხეობაში ექოსავით გაქრა!..

ბატონმა ოქრუაშვილმა ვერც თავდაცვის მინისტრობისას ისახელა თავი — გააუქმა სამხედრო აკადემია, ჯარიდან პროფესიონალები გაყარა და მათი ადგილები ახლობლებითა და ნათესავებით შეავსო, ანუ დააკომპლექტა ე. წ. პირადი ერთგულების პრინციპით... **მისი მინისტრობის პერიოდიდან გახსენდება ჩეხეთთან დადებული მრავალმილიონიანი კონტრაქტიც, რის შედეგადაც ქართული ჯარი შეიარაღდა წუნიანი ჩეხური იარაღით!..**

ოქრუაშვილის სახელმწიფო მოღვაწეობის მწვერვალად სამართლიანად ითვლება არა რომელიმე უნარიანი ქმედება, არამედ მისი ერთადერთი ფრაზა: რუსეთში ფეკალიებიც გასაღდებაო... რამაც გაანაწყენა არა მხოლოდ რუსეთის შავრაზმელობა, წარმოიდგინეთ, საქართველოსადმი დიდი სიმპათიით განწყობილი მრავალი მოქალაქეც! აბა, თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობ, როცა უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი იტყვის: საქართველოში საკვებად ნეხვიც გასაღდებაო?.. მინისტრის ეს უპასუხისმგებლობა ბუმერანგივით დაგვიბრუნდა 2008 წლის აგვისტოში.

ასეა თუ ისე, **ბატონი ირაკლი ნაცხროვაში თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ ჯერჯერობით გაუგებარი მიზეზის გამო სააკაშვილსა და ოქრუაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა.** მიშამ აითვალწუნა ირაკლი, შედეგად, ამ უკანასკნელმა თითქმის ყველაფერი დაკარგა და 2007 წელს მოგვევლინა სააკაშვილის ნიღაბჩამომხსნელად, ერის გამომფხიზლებლად და ა.შ. ა.შ., რაც მისი ემიგრანტობით დამთავრდა!

მაგრამ ნებისმიერ ადამიანს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, დანაშაული გამოისყიდოს. **ბატონ ოქრუაშვილის მხრიდან ეს იქნება ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, მისი გულწრფელობა, რათა ნათელი მოეფინოს იმ გახმაურებულ თუ ჯერაც გაუხმაურებელ საქმეებს, ასეულობით ადამიანის სიცოცხლე რომ იმსხვერპლა.** ვინ ვინ და მან, ოქრუაშვილმა, ძალიან ბევრი რამ იცის სააკაშვილზე, მერაბიშვილზე, ადეიშვილსა და სხვა ურჯუკებზე, რომლებმაც თავისი დანაშაულებრივი მოღვაწეობით საქართველოს მოსახლეობას ჯოჯოხეთის ცხრავე წრე გამოატარეს.

**ოქრუაშვილი მართლაც რომ ოქროს მოწმეა ივანიშვილის ყულაბაში. ასე რომ, მიეცით, მიეცით ექსმინისტრს საწერკალამი და ფურცელი! ირაკლი მაგარი ბიჭია — ყველას ჩაუშვებს!**

**გიორგი კორძაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ საქმის შესახებ ყველაფერი იციან მიხეილ სააკაშვილმა, ბაჩო ახალაიამ, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ — გიორგი ლორთქიფანიძემ, ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელმა — სანდრო ამირიძემ და ვინმე აბაშიძემ, რომელიც აღნიშნულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა. ის ახალაიას კაცია...“**

# «არჩილ ჩოხელის მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებთ სააკაშვილს, ახალაიას და ვინმე აბაშიძეს»

**ხათუნა ჩოხელი:**

# სნაიპერის ტყვიით არის მოკლული ჩემი ძმა, ის სპეცოპერაციის დროს ბრძოლაში არ დაღუპულა



ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული არჩილ ჩოხელის ოჯახი სიმართლის გარკვევას ითხოვს. გარდაცვლილის დამ, ხათუნა ჩოხელმა, საქმის გამოძიების დაწყების მოთხოვნით, უკვე მიმართა პროკურატურას. როგორც ოჯახი აცხადებს, საქმეში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო დეტალი იკვეთება, რაც სერიოზული ეჭვის საფუძველს ქმნის, რომ არჩილ ჩოხელი მოკლულია.
არჩილ ჩოხელი — მსოფლიო ჩემპიონი (1993), ორგზის მეორე (1994, 1997) და ექვსგზის მესამე (1992, 1996, 1998, 1999, 2000, 2002) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1997) და მეორე პრიზიორი (1996), ევროპის ჩემპიონი (1998), მეორე (2001) და ექვსგზის მესამე (1993, 1994, 1997, 2000, 2002) პრიზიორი და ღირსების ორდენის კავალერი გახლდათ. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.
გარდაცვალების შემდეგ, არჩილ ჩოხელის დამსახურებულ ჯილდოებს, კიდევ ერთი, ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი შეემატა.
ლაფანყურის ბუნდოვანი სპეცოპერაციის ირგვლივ გაჩენილ კითხვებზე პასუხი დღემდე არ არსებობს. არჩილ ჩოხელის ოჯახს კი ახლა მხოლოდ ერთადერთი, — საქმის ობიექტური გამოძიების ჩატარების იმედი რჩება.
„საქართველო და მსოფლიო“ გარდაცვლილი არჩილ ჩოხელის დას — **ხათუნა ჩოხელს** და დედას — **იზო (ეთერ) ბუჯიაშვილს** ესაუბრა.



**იზო ბუჯიაშვილი:**

## პრეზიდენტი როცა შემოვიდა, სამძიმარი არ უთქვამს ჩვენთვის, შემოვიდა, შემოუარა მიცვალებულს და კარში გაძერდა. ისე უნდოდათ მეტირა შვილი, რომ ჩირქი არ მომეცხო არც პრეზიდენტისთვის, არც ახალაიასთვის...

**— რამდენიმე დღის წინ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეთ და დამნაშავეების დასჯა მოითხოვეთ. კონკრეტულად ვის ადანაშაულებთ არჩილ ჩოხელის სიკვდილში?**

**ხათუნა ჩოხელი, არჩილ ჩოხელის და:**

— ხელისუფლებას ვადანაშაულებთ. ეს სპეცოპერაცია იყო წინასაარჩევნოდ დადგმული პიარ-სცენარი. კანონით, ყველა გზა სააკაშვილამდე მიდის. **ამ საქმის შესახებ ყველაფერი იციან მიხეილ სააკაშვილმა, ბაჩო ახალაიამ, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ — გიორგი ლორთქიფანიძემ, ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელმა — სანდრო ამირიძემ და ვინმე აბაშიძემ, რომელიც აღნიშნულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა.** ის ახალაიას კაცია და მას ყველაზე კარგად მოეხსენება, რა მოხდა. ჩვენ არავის არაფერს ვაბრალებთ, მაგრამ გვინდა, სიმართლე გაირკვეს. რაც მოხდა, კარგად იციან ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა და გვინდა, ეს ადამიანები დაკითხონ.

**— თქვენ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე მიანიშნეთ. საზოგადოებისთვის უცნობი რა დეტალები გამოიკვეთა, რამაც ეჭვის საფუძველი შეგიქმნათ, რომ არჩილ ჩოხელი სპეცოპერაციის დროს შემთხვევით არ დაღუპულა?**

— უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო დეტალი იკვეთება. ჯერ ერთი, მიცვალებული საშინლად იყო დასახიჩრებული. არადა, ოფიციალური ვერსიის თანახმად, მას მხოლოდ ერთი ტყვია (ისიც მარცხენა მხარეს, ფილტვიდან გულში შემავალი) აქვს მოხვედრილი და შეუძლებელია, მას სახე ასე დაეზიანებინა. მთლიანად ჰქონდა სახე დამწვარი. შეენიშნებოდა შრამები, თვალებიც ჩაშავებული ჰქონდა. ხელებზე კი წითელი კვალი ეტყობოდა, ნაწამებს ჰგავდა.
ამას გარდა, **ჯერ მიცვალებული შინ მოსვენებული არ გვყავდა, რომ უკვე გაჩნდნენ სახლში სოდის, კუდისა და ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები. ფაქტობრივად, საკუთარ სახლში არაფრის უფლება არ გვქონდა. ჟურნალისტებს სახლიდან ყრიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თანახმა ვიყავით, ყველას გავსაუბრებოდით, რადგან დასამალი არაფერი გვქონდა.** დაე, ყველას გაეგო, რა ღირსეული ადამიანი დაიღუპა. როგორც შემდეგ გავიგეთ, სოფლის ცენტრიდანვე უკან აბრუნებდნენ ხალხს და ჩვენამდე არ უშვებდნენ. ინფორმაციაც კი გაავრცელეს, თითქოს ჩვენ, ოჯახს არ გვსურდა არავისთან საუბარი, რაც ტყუილია. ადგილობრივი მოსახლეობაც იმდენად დაატერორეს, რომ სოფელში შიშით ხმას ვერავინ იღებდა. ყველას აკონტროლებდნენ. ადგილობრივი პოლიცია „მაგრად“ მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი, საგურამოს პოლიციელი პაატა ბერიძე, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სახლში გვივარდებოდა და სამსახურეობრივ უფლებამოსილებას უხეშად აჭარბებდა. ალბათ, დავალებული ჰქონდა, ასე მოქცეულიყო.
აჩიკო 28 აგვისტოს, დღის ოთხ საათზე გამოიძახეს სამსახურში და მას შემდეგ ორი დღე არაფერი ვიცოდით მის შესახებ. მხოლოდ ორი დღის შემდეგ, 30 აგვისტოს საღამოს მოასვენეს. ამბებს მხოლოდ ტელევიზორიდან ვიგებდით. **ჩვენთან არავინ მოსულა და გარდაცვალების თაობაზე არ შეუტყობინებია, მეტიც, მას შემდეგ, რაც ჩვენ ვეცადეთ აჩიკოს ადგილსამყოფელის დადგენას, პასუხს არ გვცემდნენ, ტელევიზორს უყურეთ და გაიგებთო.** ყველგან ვიყავით, სადაც შეიძლებოდა რომ მიცვალებული ყოფილიყო, მაგრამ უარით გვისტუმრებდნენ, ჩვენთან არავინ შემოუყვანიათო. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშიც და „არამიანცის“ (პირველი კლინიკური საავადმყოფო) საავადმყოფოშიც იგივე პასუხი გაგვცეს, არადა, იქ მომუშავე თანამშრომლებს კარგად ახსოვთ ყველაფერი.
**მიუხედავად იმისა, რომ აჩიკო შსს-ს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში მუშაობდა, როგორც დამსახურებული სპორტსმენი, ის ბიძინა ივანიშვილის დანიშნულ ხელფასსაც იღებდა, რაც არ მოსწონდათ. რატომღაც ბოლო დროს მის ირგვლივ ყველა სწორედ ამ საკითხით იყო დაინტერესებული.** ვფიქრობ, ზოგიერთებს მისი შურდათ კიდეც. რადგან აჩიკო ივანიშვილის დანიშნულ ხელფასს იღებდა, ასევე მეგობრობდა მოჭიდავეებთან, რომლებიც ივანიშვილის გვერდით იყვნენ, ეჭვობდნენ, რომ შესაძლო იყო აჩიკოც ივანიშვილის გუნდში გადასულიყო, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ არც კი იცნობდა ბიძინა ივანიშვილს, მის მიმართ ყოველთვის მადლიერებას გამოხატავდა.

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ დაღუპული სპეცრაზმელები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ. მართლაც ასე იყო თუ არა და შეიძლებოდა თუ არა, ეს გამხდარიყო მათი დაღუპვის მიზეზი?**

— აჩიკო სიტყვაძუნწი იყო და საჯაროდ პოლიტიკაზე არ საუბრობდა, უბრალოდ, მადლობელი იყო ბიძინა ივანიშვილის და ამას არც მალავდა. ყოველთვის ამბობდა, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მისი ნიჭი და ამაგი დააფასა, ივანიშვილი იყო. სწორედ მისი ხელფასის მეშვეობით აიშენა ბინა თბილისში და ოჯახსაც ეხმარებოდა. **ბიძინა ივანიშვილმა თავადაც განაცხადა, დაღუპული სპეცრაზმელები ჩემი დაცვის ბიჭების მეგობრები იყვნენ და ჩვენი მხარდამჭერებიო. ალბათ, ხელფასმა და ამ ბიჭებთან მეგობრობამ გა-**

# ახალაიას მამა რომ აფარებს თავის სისხლისმსმელ შვილს ხელს, მე ცოდო არ ვარ? რას უშლიდათ ჩემი შვილი, მთავრობას წაართვა რამე, კრიმინალი იყო თუ რატომ გაწირეს? სახე სულ დამწვარი ჰქონდა, რა დააშავა ასეთი, რომ ასე დაასახიჩრეს?

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაპირობა ის, რომ ხელისუფლების თვალში ჩემი ძმა ივანიშვილის მხარდამჭერად მოიაზრებოდა და ამიტომ გაწირეს,** თორემ არც ერთ სამსახურში არავისთან დაპირისპირება არ ჰქონია. ყველა დადებითად ახასიათებს. ესენი ყველას იშორებენ, ვინც კარგია. ჩემი ძმა შეგნებულად გაწირეს სასიკვდილოდ.

**იზო ბუჯიაშვილი, არჩილ ჩოხელის დედა:**

— აჩიკო წინა ღამეს მორიგე იყო, მარიამობა დღეს მოვიდა სახლში. 4 საათზე დაურეკეს სამსახურიდან, სუფრასთან დაილოცა, სამი სადღეგრძელო თქვა: პირველი — საქართველოს სადღეგრძელო, მეორე — პატრიარქის და მესამე ბიძინა ივანიშვილის სადღეგრძელო დალია: ამ მადლიან კაცს გაუმარჯოს, მხოლოდ ეგ აფასებს სპორტსმენების შრომასო, და წავიდა.

**უამრავი ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, აჩიკოს ივანიშვილის მკვლელობაც დაავალეს. თავს მოიკლავდა და მას არ მოკლავდა, ისეთი ადამიანი იყო.**

**ხათუნა ჩოხელი:**

— არავინ გვეუბნება, რა მოხდა სინამდვილეში, როდის და რა ვითარებაში გარდაიცვალა ჩემი ძმა. უამრავი კითხვა ჩნდება, რაც ეჭვის საფუძველს ბადებს, **რატომ არ აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება?** ცალი ფილტვითაც შეიძლება იცოცხლოს ადამიანმა, თუ ფილტვში ჰქონდა ტყვია ნასროლი, გადმოეყვანათ საავადმყოფოში, ხომ გადარჩებოდა? ორი დღე რატომ არ გამოიყვანეს ხეობიდან? **ვფიქრობთ, რომ სურდათ, მიცვალებული საერთოდ დაკარგულად გამოეცხადებინათ, რადგან, სანამ დედა არ ჩავიდა შავნაბადას ბატალიონში და საჯაროდ არ განაცხადა, გამაგებინეთ, ჩემი შვილი ცოცხალია თუ მკვდარიო, იქამდე პასუხიც არ გვაღირსეს.**

უკვე გახრწნილ მდგომარეობაში, საშინლად დასახიჩრებული მოგვისვენეს სახლში და მიცვალებულის ნახვის საშუალებაც არ მოგვცეს, მაშინვე მიცვალებულის ჩასასვენებელ მაცივარში ჩაასვენეს. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ არც ამის უფლება მომცეს.

**— დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების საშუალება თუ გქონდათ?**

— მაშინ არც გვიცდია დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება, იმდენად გაოგნებულები ვიყავით, მაგრამ ამის უფლებას, ალბათ, არც მოგვცემდნენ. ტირილსაც კი გვიკრძალავდნენ, რათა რაიმე არ წამოგვცდენოდა, რაც მათ არ მოეწონებოდათ. შიშის ქვეშ ვიყავით. აჩიკოს შვილი არ ჰყავდა, ამ ოჯახს არავინ დარჩა, მე გათხოვილი ვარ და ერთი ბიჭი მყავს. **შემთხვევით მოვისმინეთ, როგორ კითხულობდნენ სრულიად უცხო ადამიანები, ამ ოჯახს რატი ვინ ჰყავსო. საინტერესოა, რატომ დაინტერესდნენ ჩემი შვილით.**

**იზა ბუჯიაშვილი:**

— ნათესავი ქალი ტიროდა სამძიმარზე და ტირილის უფლება არ მისცეს. მაშინვე გარეთ გაიყვანეს, ტირილიც არ აცადეს. **ისე უნდოდათ მეტირა შვილი, რომ ჩირქი არ მომეცხო არც პრეზიდენტისთვის, არც ახალაიასთვის, მაგრამ მაგის ნერვები მქონდა? ერთხელ რაღაც ვთქვი და ახალაიამ დაბღვერილი თვალებით შემომხედა. პირველ დღეებში ვიწყევლებოდი და, როგორც ჩანს, ეს არ მოსწონდათ.** არადა, კარგი რა უნდა მეთქვა?



ხათუნა ჩოხელი

## «ვფიქრობთ, რომ სურდათ, მიცვალებული საერთოდ დაკარგულად გამოეცხადებინათ, რადგან, სანამ დედა არ ჩავიდა შავნაბადას ბატალიონში და საჯაროდ არ განაცხადა, გამაგებინეთ, ჩემი შვილი ცოცხალია თუ მკვდარიო, იქამდე პასუხიც არ გვაღირსეს»

**— მის თანამებრძოლებს თუ ესაუბრეთ, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ სპეცოპერაციის დროს? რას გეუბნებიან თუნდაც პირად საუბრებში?**

**ხათუნა ჩოხელი:**

— ისინი არაფერს ამბობენ. აცხადებენ, რომ სპეცოპერაციის დროს დაიღუპაო. არადა, ეს არ იყო ჩვეულებრივი სპეცოპერაცია. **ადგილობრივი მცხოვრებლებისგან მოვიპოვეთ გარკვეული ინფორმაციები. მათ თქვეს, რომ არავითარი მძევლების აყვანა არ მომხდარა და არავითარი ტერორისტები იქ არ ყოფილან.** ეს ხალხი ხელისუფლებას ქვეყანაში 4 თვით ადრე ჰყავდა ჩამოყვანილი და იარაღის ტარების უფლებაც ჰქონდათ, მაგრამ რა დაკვეთის შესრულება მოსთხოვეს მათ, ეს, ალბათ, ბაჩო ახალაიამ იცის, თუნდაც ის ქისტები რატომ გაწირეს?

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ჩატარდა სპეცოპერაცია.**

— ამ ადამიანებს თავად ხელისუფლება ამზადებდა. ჭორის დონეზე გავრცელდა ვერსია, თითქოს მათ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია ჰქონდათ დავალებული, მაგრამ რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ინფორმაცია, არ ვიცი. **უკვე იმაშიც ეჭვი მეპარება, იმყოფებოდა კი საერთოდ ლოპოტას ხეობაში აჩიკო? როგორც გია კრიალაშვილი გაწირეს და სულ სხვა ადგილას მოკლეს, იქნებ აჩიკოსაც ასე მოექცნენ?** რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთმა ჩეჩენმა უფლებადამცველმა განაცხადა, რომ ქართველი სპეცრაზმელები ჩეჩნებთან ერთად დახოცეს, რათა მოწმეები არ დარჩენილიყვნენო. რა მოხდა, რა ინფორმაციას ფლობდნენ ისინი, ჩვენ არ ვიცით.

**— გავრცელებული ინფორმაციით, ლოპოტას ხეობის საქმის მასალების ნაწილს, შესაძლოა, გრიფით საიდუმლო დაედოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად დაგეხმარებათ ეს სიმართლის გარკვევაში?**

— არ უნდა დაედოს გრიფით საიდუმლო, ყველაფერი უნდა გახდეს ცნობილი, რა არის დასამალი? თქვან, რა დავალებაზე გაუშვეს, რისი შესრულება მოსთხოვეს და რა ვითარებაში დაუღუპნენ. **კიდევ ერთი დეტალი: იქ მყოფები ამბობენ, რომ ჯავშანჟილეტი მხოლოდ აჩიკოს ეცვა, ჩვენ არ გვეცვაო. რატომ არ ეცვათ, ტყვიები სეტყვასავით მოდიოდაო, ამბობენ და ნუთუ მათ არ ეშინოდათ?**

**— სპეცოპერაციის დროს დაღუპული სოლომონ წიკლაურისა და ექიმ ვლადიმერ ხვედელიძის ოჯახები თუ აპირებენ პროკურატურას მიმართონ?**

— ერთმანეთს პატრიარქთან შევხვდით და ამ საკითხებზე არ გვისაუბრია, თან მაშინ დაკრძალვიდან მხოლოდ სამი დღე იყო გასული. თუმცა, როგორც გავიგეთ, ისინიც აპირებენ სასამართლოში სარჩელის შეტანას. ვიცი, რომ აჩიკო და სოლომონი მეგობრობდნენ.

**— პატრიარქმა რა გითხრათ?**

— წინასაარჩევნო პერიოდი იყო და მაინც შიშის ქვეშ ვიყავით, ბევრი რამის თქმა მინდოდა პატრიარქისთვის, მაგრამ თავი შევიკავე. პატრიარქი თავად დაინტერესდა, რამდენი ხანი ჰყავდათ მიცვალებულები ხეობაში და რატომ არ მოხერხდა ცხედრების გამოტანა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ასე ბუნდოვნად იყო გაშუქებული ყველაფერი, ეჭვს ბადებსო, გვითხრა.



## «ერთხელ რაღაც ვთქვი და ახალაიამ დაბღვერილი თვალებით შემომხედა. პირველ დღეებში ვიწყევლებოდი და, როგორც ჩანს, ეს არ მოსწონდათ. არადა, კარგი რა უნდა მეთქვა?»







**— პრეზიდენტი იმყოფებოდა გასვენებაში, თუ მოგეცათ მასთან დალაპარაკების საშუალება?**

— მე დავინახე პრეზიდენტი როცა შემოვიდა, სამძიმარი არ უთქვამს ჩვენთვის, შემოვიდა, შემოუარა მიცვალებულს და კარში გაჩერდა. გვერდზე ბაჩო ახალაია მოჰყვებოდა, რომელიც იმ დღეს სამჯერ ამოვიდა. ხშირად მოდიოდა. **როგორც ყვებიან, ხვედელიძის დედამ უთხრა პრეზიდენტს, შენ მომიკალი შვილიო, და ვფიქრობ, ჩვენთან ახლოს მოსვლას ამის გამო მოერიდა.**

**იზა ბუჯიაშვილი:**

— მე ვერც დავინახე, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, **ვერავის ვხედავდი და ვამჩნევდი, თორემ აუცილებლად ვეტყოდი პრეზიდენტს, შენ ერთი თვის წინ ჩემი შვილი დააჯილდოვე და რა მოხდა ერთი თვის შემდეგ, სასიკვდილოდ რატომ გაიმეტე-მეთქი.**

**— უკვე ერთი კვირა გავიდა რაც პროკურატურაში საჩივარი შეიტანეთ, თუ დაგიკავშირდათ ვინმე პროკურატურიდან, რა ხდება საქმის ირგვლივ?**

— მე თავად დავრეკე პროკურატურაში და მითხრეს, რომ ჯერ საქმე გამომძიებლისთვის არ გადაუციათ. ვფიქრობ, ამ საქმეს სერიოზული გამოძიება სჭირდება და დიდი იმედი მაქვს, ყველაფერს ნათელი მოეფინება. **მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ახლაც გვეშინია, ჩემს შვილს არაფერი დაუშავონ, მაგრამ მეტი გზა არ გვაქვს — სიმართლე უნდა ვთქვათ, ყველაფერი უნდა გაირკვეს.** ჩვენი ცხოვრება ტანჯვაა მის გარეშე. მე არ ვიცი, ვინ მოკლა ჩემი ძმა, ჩვენ არავის ვადანაშაულებთ, მაგრამ **არჩილ ჩოხელის მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებთ სააკაშვილს, ახალაიას და ვინმე აბაშიძეს. ამბობენ, რომ სნაიპერის ტყვიით არის მოკლული ჩემი ძმა და ის სპეცოპერაციის დროს, ბრძოლაში არ დაღუპულა.**

**იზო ბუჯიაშვილი:**

— ჩემი თვითმიზანი მაინც და მაინც ბაჩო ახალიას დასჯა და დაჭერა არ არის, მინდა სიმართლე თქვას. აღიაროს, რა მოხდა სინამდვილეში. როდემდე ვიყოთ ასე გაურკვევლობაში, სიცოცხლე გაგვიმწარეს. ცოდო არ ვარ, ამისთანა შვილი მიწაში დავმარხე და სიმართლესაც არ მეუბნებიან? **ახალაიას მამა რომ აფარებს თავის სისხლისმსმელ შვილს ხელს, მე ცოდო არ ვარ? რას უშლიდათ ჩემი შვილი, მთავრობას წაართვა რამე, კრიმინალი იყო თუ რატომ გაწირეს? სახე სულ დამწვარი ჰქონდა, რა დააშავა ასეთი, რომ ასე დაასახიჩრეს?**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ჯეო თვალით
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველებმა, თავად უნდა გადაწყვიტოთ საკუთარი პრობლემები, სხვა თქვენ მაგივრად ვერაფერს გადაწყვეტს. ვისაც აირჩევთ, ჩვენთვისაც ის იქნება მისაღები, თან გასათვალისწნებელია ისიც, რომ ჩვენც ნატოსა და აშშ-ის ვასალები ვართ.**



# იულიუს ვესელკა: ნატოს სურს, დაძაბოს რუსეთის გარშემო სიტუაცია თავისი ვასალების მეშვეობით და დროდადრო ისინი ამ მიზნით გამოიყენოს

**18-22 ნოემბერს, საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად, საქართველოს ესტუმრნენ ბალტიისპირა რესპუბლიკების, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დეპუტატები, ჟურნალისტები და ექსპერტები. არის თუ არა ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია და როგორ აისახა ევროკავშირის წევრობა მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოუტანა მათ ქვეყნებს ნატოსა თუ ევროკავშირის წევრობამ? — ძირითადად, სწორედ ამ კითხვებზე მოუწიათ პასუხების გაცემა ლიტვის სეიმის დეპუტატს — იულიუს ვესელკას; ლიტვის სეიმის ყოფილ დეპუტატს, დიპლომატს — ალგირდას პალეცკის; ესტონელ ჟურნალისტსა და პროფესორს — ედუარდ ტინს; ესტონეთის პარლამენტის დეპუტატს — იანა ტოომს; ადამიანის უფლებათა ესტონური ცენტრის დირექტორს — ალექსეი სემიონოვს; ლატვიის პარლამენტის დეპუტატსა და ჟურნალისტს — ნიკოლაის კაბანოვსა და ლატვიელ დამოუკიდებელ მიმომხილველს — ეინარს გრაუნდიშს. ბალტიისპირელი სტუმრები საქართველოში გამოქვეყნებული მოხსენების „ვარდების რევოლუცია. შედეგები“ ავტორების მოწვევით იმყოფებოდნენ. ვიზიტის სამუშაო პროგრამა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ დაგეგმილი პრესკონფერენციით გაიხსნა. თბილისში დაგეგმილი ღონისძიებების შემდეგ კი სტუმრები ბათუმსა და ქუთაისს ესტუმრნენ. ვიზიტის მიზნებსა და მნიშვნელობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ლიტვის სეიმის დეპუტატი ИУЛИУС ВЕСЕЛКА ესაუბრა.**




## «თქვენმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, იყოს ნაპოლეონი და მთელი რუსეთი დაიპყროს, მაგრამ მას ეს არ გამოუვიდა»

— ჩამოვედით, რათა ჩვენი გამოცდილება ქართველებს გავუზიაროთ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს არამხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული გამოცდილება იმისა, თუ რა პრობლემები ელოდება ქვეყანას ნატოსა თუ ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და ნატოს წევრობას შორის არის განსხვავება. ნატოსგან განსხვავებით, ევროკავშირში მაინც ყველაფერი უფრო თანასწორობაზეა დაფუძნებული, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ქვეყნებს შორის კონკურენტუნარიანობა საკმაოდ მაღალია. ტყუილუბრალოდ ევროკავშირში არავინ არაფერს მოგცემს, ამიტომ, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ თქვენი ეკონომიკური სიტუაცია უკვე ისეთ დონეზეა განვითარებული, რომ კონკურენტუნარიანები ხართ, ევროკავშირში გაერთიანება არაფერს გავნებთ.

**— რაც შეეხება ნატოს, საქართველოში აქტუალურია ნატოში გაწევრიანების საკითხი. ლიტვის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა შეგიძლიათ თქვათ, რა პლუსები აქვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას?**

— ნატოში გაწევრიანებას არავითარი უპირატესობა არ გააჩნია. რეალურად შეხედეთ საკითხს — მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, არც ერთ ქვეყანას და არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას იმდენი არ უომია, რამდენიც ნატოს. ნატო საშიშრებას წარმოადგენს ნებისმიერი იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც ბირთვული იარაღი გააჩნია. მაგალითად, ერაყთან ომის დაწყების საბაბად, თავის დროზე სწორედ ატომური იარაღი იქცა. მოგეხსენებათ, დასაწყისში ქიმიური, ბოლოგიური და ბირთვული იარაღის კვალს დაეძებდნენ, თუმცა სინამდვილეში იქ მსგავსი არაფერი ყოფილა. ასევე, გასათვალისწინებელია ავღანეთში, ლიბიასა თუ სირიაში მიმდინარე მოვლენები. **ნატო — ეს არის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო ბლოკი, რომელიც ანგარიშს არავის უწევს.** ამიტომ, თუ ქვეყანას საკუთარ სურვილებისამებრ სურს ცხოვრება, ნატოში გაწევრიანების მიზეზს ვერ ვხედავ.

**— საქართველოში ნატო უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიად აღიქმება. რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენს მაგალითზე, მართლაც ასეა თუ არა?**

— უსაფრთხოების ყველაზე კარგი დამცველი თავად ხალხია. ჩვენს ქვეყანას ნატოში გაწევრიანებამ არაფერი მოუტანა, გარდა ფილოსოფიური გაგებისა, რომ ჩვენ გვიცავენ. კი, ბატონო, მაგრამ საკითხავია, როგორ გვიცავენ! მართალია, 2005 წლიდან ნატო პატრულირებს ჩვენთან, იყო ისეთი შემთხვევა, როცა რუსულმა ავიაგამანადგურებელმა შეცდომით ჩვენი საჰაერო სივრცე დაარღვია. ნატო ვალდებული იყო, ჩამოეგდო ის და დაეცვა ნატოს წევრი ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ასე არ მოქცეულა. ეს ავიაგამანადგურებელი დაახლოებით 5-7 წუთი თავისუფლად დაფრინავდა ლიტვის ტერიტორიაზე და ნატოს მფრინავები არც კი ჩამსხდარან თვითმფრინავში.

ამას გარდა, თქვენ, ქართველები, დარწმუნებულები ხართ, რომ ვინმეს სურს თქვენი დაპყრობა?

**— ჩვენ გვყავს საკმაოდ ძლიერი მეზობლები, რომლებიც ისტორიულად ყოველთვის ომს აწარმოებდნენ ჩვენთან, ამიტომ ქვეყანა გამუდმებით ეძებს უსაფრთხოების გარანტიებს.**

— მე მესმის, რომ **თქვენმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, იყოს ნაპოლეონი და მთელი რუსეთი დაიპყროს, მაგრამ ეს მას არ გამოუვიდა.** წარმოუდგენელია, დაიწყო ომი რუსეთთან, ბრძოლის მოგების იმედით. მთავარია, ისეთი პირობები შექმნას საქართველომ, რომ არც ერთ ნაციონალურ ჯგუფს არ მოუნდეს თქვენი ქვეყნიდან გამოყოფა. რუსეთის უმთავრესი მიზანი ახლა თავისი უზარმაზარი სახელმწიფოს მთლიანობაზე ზრუნვაა. რუსებს თავიანთი პრობლემები აქვთ, რად უნდათ სხვისი მიწა?

**— და მაინც, რამდენად აქვს საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსი?**

— **ვინაიდან თქვენ გაქვთ მოუგვარებელი კონფლიქტები, ნატოს კი დამატებით კონფლიქტები არ სჭირდება, ვფიქრობ, თქვენ ძალიან მცირე შანსი გაქვთ, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი აზრია, ვინაიდან აქ უკვე ყველაფერს მაინც ამერიკელები წყვეტენ.**

ნატოს სურს, თავის რიგებში იხილოს ისეთი ქვეყნები, რომლებსაც თავად ძალუძთ მეზობლებთან საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა. **ღიად რომ ვთქვათ, ნატოსთვის მნიშვნელოვანია რუსეთთან თანამშრომლობა. ნატოს არავითარი სურვილი არ აქვს, ვინმემ დამატებითი კონფლიქტის მიზეზი შექმნას ნატოსა და რუსეთს შორის.** თუმცა ნატოს სურს, **დაძაბოს რუსეთის გარშემო სიტუაცია თავისი ვასალების მეშვეობით და დროდადრო ისინი ამ მიზნით გამოიყენოს,** მაგრამ რაში გვჭირდება ჩვენ, ლიტველებს, ან თქვენ, ქართველებს, ეს ყველაფერი?!

**— თქვენ ახსენეთ მიხეილ სააკაშვილი. ბალტიისპირეთის ქვეყნების პრეზიდენტები მიხეილ სააკაშვილის რეფორმებს ყოველთვის აქებდნენ და ამით ერთგვარად ახალისებდნენ მას. დღესაც საკმაოდ სერიოზული ბრალდებებით დაპატიმრებულ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს რასმუსენი და აშშ-ისა თუ ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსი იცავენ...**

— ჩვენ ყოველთვის მათ ვუჭერთ მხარს, ვინც ხელისუფლებაშია — ასეთია მათი პოლიტიკა. როგორც ჩვენი პრეზიდენტები ამბობდნენ, რა ჩვენი საქმეა, როგორი პრეზიდენტი ჰყავს საქართველოს, როგორი ადამიანია და როგორი პოლიტიკური ორიენტაცია აქვს მას? სხვა ქვეყნის მეთაურები ყოველთვის მხარს უჭერდნენ მიხეილ სააკაშვილს იმიტომ, რომ ის იყო საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი. ქართველმა ხალხმა მოახდინა „ვარდების რევოლუცია“ და შემდეგ აირჩია სააკაშვილი პრეზიდენტად. **თქვენ, ქართველებმა, თავად უნდა გადაწყვიტოთ საკუთარი პრობლემები, სხვა თქვენ მაგივრად ვერაფერს გადაწყვეტს.** ვისაც აირჩევთ, ჩვენთვისაც ის იქნება მისაღები, თან გასათვალისწნებელია ისიც, რომ ჩვენც ნატოსა და აშშ-ის ვასალები ვართ.

**— პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თითქმის გადაუჭრელ პრობლემად იქცა დემოკრატიული რეფორმები, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რა ვითარებაა ამ მხრივ თქვენს ქვეყანაში?**

— ნებისმიერი მიმართულებით ცუდი სიტუაციაა. ქვეყანაში უმუშევრობისა და ძალიან დაბალი ხელფასების წყალობით, მოსახლეობის დიდი ნაწილი ძლივს ირჩენს თავს, ამიტომ ახალგაზრდები ქვეყნიდან მიდიან და სამუშაოს დასავლეთში ეძებენ. ჩვენთან ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს და უცხოეთში ოფიციანტებად და მუშებად მუშაობენ. ეს არის დაკარგული თაობა. ყველაზე აქტიური მოსახლეობის ნაწილი იკარგება. არადა, მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების გარეშე, სხვა ქვეყნებს კონკურენციას ვერასდროს გავუწევთ.

პერტრუბაციის პერიოდში, როცა საბჭოთა წყობილება შეიცვალა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მინიმუმ 5,2 მილიონს შეადგენდა, ახლა კი სამი მილიონით ნაკლებია, ე. ი. ამ 22 წლის მანძილზე, 2,2 მილიონი მოსახლეობა დავკარგეთ. როგორც ცნობილია, ნორმალური განვითარებისთვის ქვეყნის მოსახლეობა 5 მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს. გამოდის, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი უკვე დავკარგეთ და ახლაც, ყოველწლიურად, დაახლოებით 80 ათასი კაცი გადის ქვეყნიდან, რომელთაგან ძალიან ცოტა თუ ბრუნდება უკან. სამშობლოს ტოვებენ არა იმიტომ, რომ არ უყვართ, არამედ სიღარიბის გამო გარბიან ქვეყნიდან. პატრიოტიზმი კარგია, მაგრამ არსებობა ხომ პატრიოტსაც სჭირდება?

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# «არჩევნების გამყალბებლები პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა ისხდნენ»

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჯუმბერ პატიაშვილი: უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა გვინდა თითოეულ ქართველს და არა იმაზე, რა უნდა ამერიკას

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი.**

**— ბატონო ჯუმბერ, 1 ოქტომბრის არჩევნები დასავლეთმა ლამის დემოკრატიის მწვერვალად გამოაცხადა და დაასკვნა, რომ ის არ იყო ფალსიფიცირებული.**

— იმ ცუდი გამოცდილებით, იმ უსამართლობის გამო, რომელიც მე არჩევნების დროს განვიცადე, 1992, 1995, 2000, 2003 წლებში,... მაქვს უფლება, ასეთი განცხადება გავაკეთო: როდესაც საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე საუბრობენ, მე ეს არ მჯერა. საქართველოში არჩევნებიც და რეფერენდუმებიც რომ გაყალბებული იყო, თამამად შემიძლია განვაცხადო. გნებავთ, იმავე ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული რეფერენდუმი ავიღოთ, მეხსიერება ნამდვილად არ მატყუებს და პირველად 62% დაფიქსირდა, მერე გამოჩნდა 75%, ბოლოს კი 72%-ზე დაიყვანეს. ეს ყველაფერი დამანგრეველია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან გაყალბებული არჩევნები და რეფერენდუმები არ ითვალისწინებს მთელი საქართველოს მოსახლეობის აზრს, იმავე სამხრეთ საქართველოს, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის. თუ ჩვენ ტერიტორიულ მთლიანობაზე ვსაუბრობთ, იქ მცხოვრები ადამიანების დამოკიდებულებაც უნდა გავითვალისწინოთ.

ძალიან სამწუხაროა, რომ არჩევნების გაყალბების, ხალხის ნების მოპარვის ეს დანაშაულებრივი სისტემა დღემდე მოქმედებს. რაც შეეხება იმას, რომ 1 ოქტომბრის არჩევნები არ იყო გაყალბებული — „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ის პროცენტები, რომლებიც აიღო, გაყალბებით აიღო. უბრალოდ, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი და მათ ამაზე მეტად ვეღარ გააყალბეს. დასავლეთი კი, რადგან ამ არჩევნებზე ამბობს, არ იყო გაყალბებულიო, ესე იგი აღიარებს, რომ იყო გაყალბებული არჩევნებიც. არადა, არც ერთ არჩევნებზე, რომლებიც ტოტალურად გაყალბდა, მე მათგან არ მომისმენია ადეკვატური შეფასება, ისინი ყოველთვის მხარს უჭერდნენ იმ პროცენტებს, რომლებიც ერთ კაბინეტში იწერებოდა, ამიტომაც ვამბობ: თუკი ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანაში იყოს წინსვლა, მაშინ უნდა გამოიძიოს პროკურატურამ ყველა გაყალბებული არჩევნები და გამყალბებლებმა მკაცრად უნდა აგონ პასუხი; ვინც ხალხს პოლიტიკური ნება არაერთხელ მოპარა, ისინი დღეს პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა ისხდნენ. სხვანაირად არათუ დემოკრატიულ, საერთოდ ვერანაირ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. **ჩვენ ძალიან ბევრი რამ უნდა გადავაფასოთ და ეს მხოლოდ არჩევნების გამყალბებლებს არ ეხებათ. ჩემთვის ასევე მიუღებელია ის ფორმა, რომელსაც საქართველოს განვითარებისთვის გვთავაზობენ. რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე ვინც ამოიღებს ხმას, ის ქვეყნის მტერია თურმე.** არ შეიძლება ისტორიული მეხსიერების წაშლა, ამას სერიოზულ შეცდომებამდე მივყავართ. ეს შეცდომები იმიტომაც მოგვდის, რომ დღემდე არ მიეცა სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება იმ პროცესებს, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში მოხდა. მე, როგორც რიგით ქართველს, მაინტერესებს, რას მოგვიტანს და რეალურად რა მოგვიტანა ნატოში ინტეგრაციის ყბადაღებულმა თემამ, გარდა იმისა, რომ, რაც გვჭირს უკანასკნელი 20 წელი, ზუსტად ამის გამო გვჭირს.

**— ახალ პრემიერ-მინისტრზე, ბიძინა ივანიშვილზე, რას იტყვით?**

— ივანიშვილს დაახლოებით თვრამეტი წელია ვიცნობ, მაშინ გამაცნეს, როდესაც სოფლის მეურნეობის ტექნიკა შემოიტანა საქართველოში. სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყანა დაცარიელდა, არც მეტალი აღარ გვქონდა, არც — ხეტყე, ტრაქტორებიც აღარ მუშაობდა, მაშინ, როცა სამოქალაქო ომამდე 30 ათასი ტრაქტორი ემსახურებოდა სოფლის მეურნეობას. **შემოიყვანა ამ კაცმა 600 ტრაქტორი თავისი კომბაინებით. აღფრთოვანებული დავრჩი. ამ კაცისადმი პატივისცემა მაქვს და მექნება, ისაა ერთადერთი ქართველი მეცენატი, რომელმაც საქართველო ბევრ უბედურებას გადაარჩინა. ამის არდანახვა ღალატის ტოლფასია.**

**— მას ხშირად საყვედურობენ კადრების არასწორ შერჩევას...**

— მე ივანიშვილის არც ოპონენტი ვარ და არც ადვოკატი. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: შესარჩევიც რომ აღარ არის?! საზოგადოება ძალიანაა დანაწევრებული. დეფიციტია საქართველოში, კადრების დეფიციტი, მაგრამ, რაც მოსვლის დღიდან თქვა, ამ ერთ წელიწადში შეასრულა, ხომ ასეა? უფრო მეტიც: ზუგდიდში რომ არ მოხდა დაპირისპირება, ეს ამ ადამიანის დამსახურებაა. ამით ამერიკის შეერთებული შტატებიც იყო დაინტერესებული, რომ არ მომხდარიყო დაპირისპირება, თორემ როდის იყო, რომ ელჩი დადიოდა მიტინგებზე? მაგრამ მთავარი როლი მაინც ივანიშვილმა შეასრულა.

**— მას შემდეგ, რაც ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ჯიუტად და ერთგულად ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვართ მიმდევარი დასავლური ფასეულებების, სისტემის, მივისწრაფით დასავლეთისკენ... იმასაც კი ვამბობდით, ბალახს შევჭამთო – რა შედეგი მოგვიტანა ამ 20-წლიანმა „დასავლეთისკენ სვლამ“?**

— ვინც ამბობდა, ბალახს შევჭამო, იმას ბალახი არ უჭამია, ხიზილალას უფრო მიირთმევდა. ეს ისე, ლირიკულად რომ ვთქვათ. საქართველოს ქონება რეალურად და პრაქტიკულად იმ ვაუჩერიზაცია-პრივატიზაციის პროცესში 150 მლნ-ად იქნა შეფასებული და გაყიდული. დამისახელეთ რიგითი მოქალაქე, რომელსაც ამ ვაუჩერით რამე მიეღოს. მე ასეთს არ ვიცნობ. ფაქტობრივად, ამ ოცი წლის მანძილზე სახეზე ის გვაქვს, რომ ეკონომიკაში, ნგრევისა და უკუსვლის გარდა, არავითარი ძვრა არაა.

**— ახალმა ხელისუფლებამ დანაშაულში ეჭვმიტანილების დაპატიმრება დაიწყო. ზოგმა დათა ახალაია დაპატიმრების შემდეგ ცოტნე დადიანს შეადარა, ამერიკელებმაც კი საყვედური გვითხრეს, ნუ დევნით ოპონენტებსო. როდიდან იქცნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები პოლიტიკურ ოპონენტებად?**

— კაცი რომ იტყვის, ახალაია ცოტნე დადიანიაო, ეს გამასხრებაა ისტორიის. მე ახალაიას წინააღმდეგი კი არ ვარ, როლანდ ახალაიას ოჯახი მეცოდება. მათ ჩაადენინეს დანაშაულები, მაგრამ მთავარი საკითხი ისაა, ვინ ჩაადენინა. **დაუსჯელობის სინდრომი შექმნა სააკაშვილმა ქვეყანაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაუსჯელი არავინ რჩება. ვინმეს ჰგონია, რომ ამერიკელებს აქამდე ინფორმაცია არ ჰქონდათ უკანონო მოსმენებზე? ის სპეციალური აპარატურა, რომლითაც ეს მოსმენები ხორციელდებოდა, ჩვეულებრივ სუპერმარკეტებში ხომ არ იყიდება? ძალიან ბევრ სახელმწიფოს შეიძლება უნდოდეს ასეთი თანამედროვე აპარატურის ქონა, მაგრამ ვერ იყიდის სპეციალური ნებართვის გარეშე და, აბა, საქართველოს ხელისუფლებას საიდან ჰქონდა? ვინ მისცა? ამერიკელების ეს განცხადებები და მათი სურვილი — დაიცვან ის მუშაკები, რომლებიც უკანონო მოსმენებს ახორციელებდნენ, ბადებს სერიოზულ ეჭვს, რომ ამერიკელებიც სარგებლობდნენ უკანონოდ მოპოვებული ამ ინფორმაციებით.** ერთი რამ დღესავით ნათელია: ეს მოსმენები ამერიკელების გარეშე არ ხდებოდა, ხელისუფლება ამერიკელების თუნდაც წაყრუების და უტყვი დასტურის გარეშე ამას ვერ გაბედავდა. ამიტომაც ამერიკელების დღევანდელი განცხადებები, მართალია, ხალხს მათ მიმართ უარყოფითად განაწყობს, მაგრამ ისინი იძულებულნი არიან, ასე მოიქცნენ, რადგან, ასე რომ არ მოიქცნენ, თავიდან ბოლომდე გაიშიფრებიან. ამიტომაცაა ბიძინა ივანიშვილი უმძიმეს მდგომარეობაში. მას მხარი უნდა დავუჭიროთ, რომ, ამ ზეწოლის მიუხედავად, არ შეაჩეროს სამართლიანობის აღდგენა და გამოავლინოს ყველა დამნაშავე, თუნდაც ეს არ იყოს მაინცდამაინც სასარგებლო ამერიკელების იმიჯისთვის. ჩვენთვის ახლა ქართველი ხალხის ნება, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებია უმთავრესი და არა ამერიკის იმიჯი, ისინი საკუთარ თავს როგორმე უჩვენოდაც მიხედავენ.

**— რას იტყვით ახალი ხელისუფლების სურვილზე — დაათბოს რუსეთთან ურთიერთობა?**

— ივანიშვილის ინიციატივა რუსეთთან ურთიერთობის დათბობაზე მისასალმებელია. უნდა ვაღიარო, რომ ამის გამო ვუჭერდი მხარს ერთ დროს სააკაშვილსაც, რადგანაც თავიდან მან სწორედ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე დაიწყო საუბარი, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა, საქმით კი საწინააღმდეგო გააკეთა. **დღეს ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.** ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის რუსულ ბაზარზე დაბრუნება, რომელსაც მთელი მსოფლიო ესწრაფვის. ძალიან კარგი პიროვნებაა ბატონი ზურაბ აბაშიძე, გამოცდილი დიპლომატი, თავისი საქმის მცოდნე, კარგი ოჯახისშვილი, მაგრამ მარტო ზურაბმა რა უნდა გააკეთოს, თუ სახელმწიფოს პოლიტიკური ნებაც არ იქნება?! არადა, 70-იან წლებში, გაგანია ცივი ომის დროს, როდესაც ესპანეთში ჯერ კიდევ ფრანკოს რეჟიმი იყო და ამ ქვეყანასთან საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა, მოსკოვში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ჩვენი წარმომადგენლობის გევრდით ესპანეთის სავაჭრო წარმომადგენლობა ფუნქციონირებდა და იქ მოღვაწეობდა სამარანჩი, რომელიც მერე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც გახდა. ეს სავაჭრო წარმომადგენლობა ორ ქვეყანას შორის საელჩოზე არანაკლებ როლს ასრულებდა, ამიტომ, **ვფიქრობ, ჩვენც უნდა ვიფიქროთ მოსკოვში სავაჭრო წარმომადგენლობის გახსნაზე, რათა ეს კონტაქტები აღდგეს, გაჩნდეს ადგილი, რომელიც ამ გაყინულ ურთიერთობებში ორივე მხარეს მოგვცემს პირველი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის საშუალებას. თორემ, თუ ჩვენ ისევ იმის ძახილს დავიწყებთ, რომ ნატოში გაწევრიანება უმთავრესია და ასე შემდეგ, რუსეთთან კარგი ურთიერთობა ვერ გვექნება! თუ გვინდა გადავრჩეთ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა გვინდა თითოეულ ქართველს, და არა იმაზე, რა უნდა ამერიკას.** ნატოს წევრ ქვეყნებს ჯარი გამოყავთ ავღანეთიდან და ჩვენ ვაორმაგებთ. განა ეს ნორმალურია?! ეს ამერიკელების პრობლემაა. ისინი თვითონ უწოდებდნენ საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერიას და ავღანეთში ბენ ლადენი ისე მოამძლავრეს, რომ, კი ხედავთ, რა სურათია. დიახ, ბენ ლადენი ჩხოროწყუდან კი არ იყო, რომ ჩვენ თავსატეხად ვაქციოთ, ის ამერიკული პროდუქტია.

**— თქვენ გამოსაცემად ამზადებთ მემუარებს...**

— მემუარებს ვერ ვუწოდებ, ესაა თხრობა ჩემს განვლილ გზაზე. წიგნი, სავარაუდოდ, 2013 წლის დასაწყისში გამოვა. აღწერილი მაქვს ჩემი ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც ურთულესი იყო. მაქსიმალურად შევეცადე, ობიექტურად აღმეწერა ის პერიოდი, რომელშიც მოღვაწეობა მიწევდა. ის შეფასებებიც არის წიგნში, რომელთა არარსებობის გამო აღმოვჩნდით სწორედაც იმ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს ვართ.

**— თქვენი აზრით, რა არის ის პირველადი ამოცანები, რომელთაც ახალმა ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება?**

— შეიძლება გამეორება გამომდის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: მარტო აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე კი არ ვსაუბრობ, ზოგადად 90-იან წლებში განხორციელებულმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა განაპირობა საქართველოს ამ დღეში ჩაგდება. და თუ დღეს გვინდა, რომ ქვეყანა ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ, უნდა რეალისტურად შევხედოთ მოვლენებს. ავადმყოფი უნდა იყოს ადამიანი, ამ რეალობაში ტერიტორიების ომით დაბრუნებას თუ ფიქრობს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ აფხაზები აქეთ შეგვეხვეწებიან, მიგვიერთეთო, არც ის უნდა იყოს მთლად კარგ ჭკუაზე. იმათზეც მეცინება, ნატოში შევალთ და აფხაზეთი დაგვიბრუნდებაო, რომ ამბობენ. ნატოში ჯერ ისედაც არ გვიღებენ და რომც მიგვიღონ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე, ანუ ტერიტორიული კონფლიქტების კერაზე ნებაყოფლობით ვიტყვით უარს. მაგრამ არც მე და, **დარწმუნებული ვარ, არც ქართველ ერს არ უნდა ტერიტორიების დათმობის ფასად ნატოში შესვლა.**

**დღეს ჩვენ ვართ რუსეთ-ამერიკის დაპირისპირების პოლიგონი, ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა და, სანამ ქართველები არ გავარკვევთ რეალურად რა გვინდა, არაფერი გვეშველება.** დამიჯერეთ, რაც უნდა ყველა შეხვედრაზე გამოაცხადონ ამერიკელებმა და ევროპელებმა, რომ აღიარებენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და ტერმინი ოკუპანტი გამოიყენონ, ამით ჩვენ ეს ტერიტორიები არ დაგვიბრუნდება! **საჭიროა, ვიფიქროთ იმ რეინტეგრაციულ პროექტებზე, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია ამ კონფლიქტების მკვდარი წერტილიდან დაძვრა და რომელთა ალტერნატივასაც ამერიკა ვერაფერს გვთავაზობს.**

**ასე რომ, ვფიქრობ, უნდა გადავხედოთ საგარეო პოლიტიკურ კურსს, გავარკვიოთ, რა ჯობია ჩვენთვის და ამის მიხედვით მივიღოთ გადაწყვეტილება. ასევე, ვფიქრობ, რომ ახალი ხელისუფლების დაპირება უფასო ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რეალური უნდა გახდეს. ასევე, უნდა დაიკლოს გაზის ფასმაც, ელექტროენერგიის ფასმაც მნიშვნელოვნად უნდა დაიწიოს, საწვავი გაიაფდეს. ბაზრისა და სოფლის მეურნეობის საკითხიც გადასაჭრელია. სოფლის მეურნეობაში ივანიშვილის ინიციატივას, მილიარდიან ინვესტიციასთან დაკავშირებით, მივესალმები.** ილია ჭავჭავაძის სურათები უკიდიათ ხალხს კაბინეტებში და ილია წაკითხული არ აქვთ. მისი მოსაზრებების შესწავლა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და რეალიზაცია დღესაც აქტუალურია.

ესაუბრა **გიორგი მექმარიაშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც რეჟიმს დავუპირისპირდით და ვებრძოდით, უმთავრესი მოკავშირე ჩვენი იყო თავისუფალი მედია. განსაკუთრებით ამას აკეთებდა პრესა და მათ შორის თქვენი გაზეთი, ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და ყველას გიხდით მადლობას. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მისი დამოკიდებულება თქვენდამი, ზოგადად მედიას ვგულისხმობ, იქნება ბოლომდე გახსნილი და თავისუფალი.“



სოსო ჯაჭვლიანი:

# რეფერენდუმი რომ ჩაგვეტარებინა: პირველ სესიაზე «ნაციონალები» ამოვწყვიტოთ თუ არა, დარწმუნებული ვარ, ყველა იტყოდა, ამოწყვიტეთო!

«სააკაშვილის რეჟიმი დაინგრა, მეფე შიშველია და, რაც უნდა იძახონ ახლა, ვიღაცა გვდევნისო, ეს ვერ უშველით»

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი.**

**— ბატონო სოსო, არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ პირწმინდად დამარცხება ბევრს ამ პარტიის პოლიტიკური აღსასრული ეგონა. დღეს კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება მათი მხრიდან ძლიერ ოპონირებას, წინააღმდეგობას აწყდება. გვეჩვენება თუ რეალურად მართლა ასეა?**

— არა, ეს გეჩვენებათ. რატომ, იცით? ვირთხებს აქვთ თვითგადარჩენის ინსტიქტი; ესენი ვირთხები არიან, ჰოდა ვუსმენთ ჩვენც ჯერჯერობით. ამასწინათ ერთმა მკითხა, ახლა რატომ არ იგინებიო. მე ვიგინებოდი მაშინ, როცა ფასი ჰქონდა ამას, ახლა რა ფასი აქვს, ყველა იგინება.

**რეფერენდუმი რომ ჩაგვეტარებინა ასეთი კითხვით: პირველ სესიაზე „ნაციონალები“ ამოვწყვიტოთ თუ არა, დარწმუნებული ვარ, ყველა იტყოდა, ამოვწყვიტოთო, მაგრამ ეს ხომ არაა სწორი?! ამიტომაა საჭირო, კანონიერად გაკეთდეს ყველაფერი. კი არ უნდა დახოცო და ამოჟლიტო, უნდა დაუმტკიცო, დაუსაბუთო დანაშაული და მერე, ცხადია, დასასჯელი დაისჯება.**

ახლა რომ აპატიმრებენ ამ ხალხს და ერთი ამბავი ატეხეს, პოლიტიკური დევნააო, აქ რამე ისეთი ხდება, რაც არსად მომხდარა?! დააშავეს, ჩვეულებრივად, აკავებენ, მიჰყავთ. ვირთხულად ხომ არ კეთდება ეს? ვირთხულად ესენი შვებოდნენ, — სახლში უვარდებოდნენ, ტრუსების ამარა მიჰყავდათ ადამიანები... ცოლის წინ რომ ნამუსს ხდიდნენ კაცს, ხომ ყველას გვახსოვს?! ჯერ სად არიან ესენი, ახლა „ნაციონალებს“ თაფლობისთვე აქვთ...

**— და რა იქნება ამ „თაფლობისთვის“ დამთავრების შემდეგ?**

— რა იქნება და, **ვისაც დანაშაული აქვს, წარდგება მართლმსაჯულების წინაშე, ჩატარდება გამოძიება და ჩაჯდება ციხეში.**

რამე ახალს და გაუგონარს ვამბობ?

ალ კაპონემ რამდენიმე ასეული ადამიანი მოკლა და ბოლოს გადასახადების გამო დაიჭირეს. ახლა ამას რატომ ვამბობ: ყველამ იცოდა, რომ უამრავი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ ვერ უმტკიცებდნენ, ფაქტები არ არსებობდა. **ორასი და სამასი კაცი რომ ხელს დაგადებს, სად მიდიხარ? ამათ შემთხვევაში ხომ მტკიცებულებების ნაკლებობა არაა?** აქედან გამომდინარე, რევანშიზმსა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებას რომ არ დაემსგავსოს ეს ყველაფერი, ვიმეორებ, სანამ ვინმეს დასჯაზე დავიწყებთ საუბარს, ჯერ უნდა დაიდოს ფაქტი. მერე უკვე კანონი მისცემს ყველა საქმეს შესაბამის კვალიფიკაციას.

**— თქვენი აზრით, საზოგადოება როგორ აღიქვამს ამ პროცესს?**

— მეოთხე დღეა, შეხვედრებს ვატარებ ამომრჩევლებთან და უკვე ვხვდები, რომ ძალიან ჭრელია საზოგადოება. გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ მძღოლების აქცია რომ იყო, ერთი მოდის და რას მეუბნება: უფრო მაგარი საქმე მაქვს, ვიდრე ეს გაფიცვააო. რა ხდება-მეთქი და არჩევნებამდე ხომ პირობას იძლეოდით, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ახალი მანქანის ყიდვა მინდა, სამიათასი მაკლდებაო. აქ ხომ ლაპარაკი მორჩენილია უკვე? რომ უყურებ, სერიოზული კაცი გგონია.

**— ჩვენი დასავლელი მოკავშირეები, განსაკუთრებით ამერიკელები, ერთგვარ გამაფრთხილებელ განცხადებებს აკეთებენ მიმდინარე დაპატიმრებებთან დაკავშირებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი „ნაცმოძრაობას“ მფარველობენ.**

— სააკაშვილი არის ჩამოყალიბებული აფერისტი, შეერთებულ შტატებსაც და ევროპელებსაც, პრეზიდენტი რომ ელაპარაკება, ჰგონიათ, რომ სიმართლეს ეუბნებიან. ცხადია, თავის მხრივ, ისინი მარტო ამ ინფორმაციებს არ ეყრდნობიან, ამიტომ, როცა სიმართლეს არკვევენ, მერე უკვე სულ სხვა ლაპარაკი მიდის. ჩვენ არ ვიცით, რა საუბრებია დახურულ კარს მიღმა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, **სააკაშვილის რეჟიმი დაინგრა, მეფე შიშველია და რაც უნდა იძახონ ახლა, ვიღაცა გვდევნისო, ეს ვერ უშველით.**

**— ისტორიკოსმა სიმონ მასხარაშვილმა ბაჩანა ახალაია ცოტნე დადიანს შეადარა.**

— ის მასხარაა და მასხარამ უნდა იმასხროს. მაგ არაკაცს ბიბლიაზე უნდა დაადებინო ხელი და ისე ათქმევინო ეგ; მაგრამ ამათგან ხომ რწმენა შორსაა?! ცოტნე დადიანიო, მოკლედ, რამხელა იუმორია, ფანტაზიას საზღვარი არ აქვს; ან **ულიმიტოდ შესვლის უფლება მოგვეცით ციხეშიო, ახლა რომ იძახიან, ამათი შემოღებული არაა ეს ლიმიტი? პაემანზე მისულ ცოლებს რომ უბახებდნენ პატიმრებს, დაავიწყდათ?! ჯერ სად არიან ესენი, იმდენი მომჩივანია და იმდენი საქმეა შესული პროკურატურაში, ვაი ამათ!**

**— საზოგადოების გარკვეული ნაწილი „ნაცმოძრაობაში“ დღესაც საფრთხეს ხედავს. როგორ ფიქრობთ, გრძელვადიან პერსპექტივაში რამდენად არსებობს იმის შანსი, რომ ეს პარტია ისევ დაბრუნდეს ხელისუფლებაში?**

— ეს ისეთი უტოპიაა, რომ არა მგონია, ამაზე სერიოზულად საუბარი ღირდეს. საერთოდ, ჩვენ, სვანები უტოპისტებს ვერ ვიტანთ, სენსიმონზე, ოუენზე და ფურიეზე გართულება გვაქვს. **ვინ უნდა დაბრუნდნენ? ჯალათები? ხალხის სისხლისმსმელები? და რას მივიღებთ, „დუბინკებით“ და ცოცხით პატივის აყრას?** მაშინ ღირსიც ვყოფილვართ ამ ყველაფრის...

**— ფაქტი ერთია: ბოლო სამი კვირის განმავლობაში წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრებებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. გასაგებია, რომ ამ ყველაფერს სამართლებრივად საფუძველი აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს პროცესი ხომ არ მიგვიყვანს ისევ გადატვირთულობის პრობლემამდე საპყრობილეებში?**

— რატომ? ის, ვინც უკანონოდ იჯდა ციხეში და 15-20 წელი ჰქონდა უსამართლოდ მისჯილი, ხომ გათავისუფლდება? შესაბამისად, ეს დააბალანსებს გადატვირთულობასაც. **როგორ, ვისაც სერიოზული დანაშაული აქვს ჩადენილი, ის გარეთ უნდა დარჩეს?! ადამიანს რომ „დუბინკით“ გააუპატიურებს და მოკლავს გაუპატიურებაში, პირტიტველა ბიჭებს რომ ჩაცხრილავს, ის შეიძლება, დაუსჯელი დატოვო?!** მითუმეტეს ასეთი დამნაშავეები არ არის ბევრი, აქ ლაპარაკია რამდენიმე ათეულ, მაქსიმუმ, ას კაცზე. ამ დროს, ვიმეორებ, რამდენიმე ათასი ადამიანი გასათავისუფლებელია, იმიტომ, რომ უკანონოდ არიან დაჭერილები.

«როგორ, ვისაც სერიოზული დანაშაული აქვს ჩადენილი, ის გარეთ უნდა დარჩეს?! ადამიანს რომ «დუბინკით» გააუპატიურებს და მოკლავს გაუპატიურებაში, პირტიტველა ბიჭებს რომ ჩაცხრილავს, ის შეიძლება, დაუსჯელი დატოვო?!»

**— ალბათ, კარგია, რომ ახალმა ხელისუფლებამ წინამორბედის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებით დაიწყო მოქმედება, მაგრამ, თქვენი აზრით, ეს ყველაფერი რამდენად შეეხება „ნაცმოძრაობის“ უმაღლეს ეშელონებს? პირველი პირის გასამართლება, ცხადია, იოლი არ არის... რამდენად შესაძლებელია, დღეს თუნდაც სააკაშვილის ბრალეულობების დამტკიცებაზე, მის პასუხისმგებლობაზე გააკეთოს აქცენტი სახელმწიფომ?**

— საერთოდ, რაც ხდებოდა საქართველოში, ყველაფერი მოდიოდა პირველი პირისგან. მე ასეთი ეჭვი მაქვს, ამიტომ, რა თქმა უნდა, აქ ერთმნიშვნელოვნად იკვეთება მისი პასუხისმგებლობაც. ყველაფერს თავი დავანებოთ, გამოსვლები ხომ კარგად გვახსოვს: ნულოვანი ტოლერანტობა, დახვრიტეთ და ააოხრეთ, მოკალით, ჩაცხრილეთ და ა. შ. მეტი რა გინდა, ეს არ არის მტკიცებულება?! ხელი არ აგიკანკალდეთო, მოუწოდა პოლიციელებს და არ უკანკალდებოდათ არც ცოცხით, არც „დუბინკით“. ამათ ეგონათ, ყოვლისშემძლეები იყვნენ, მაგრამ უფალი დიდია, ვენაცვალე მის ძალას...

**— პირველი, რაც სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააკეთა, ის იყო, რომ მისთვის არასასურველ მედიასთან, განსაკუთრებით პრესასთან, გაწყვიტა ურთიერთობა და, ფაქტობრივად, ბოიკოტი გამოგვიცხადა, ქართულ გაზეთებს საერთოდ არ ვკითხულობო. საინტერესოა, ამ მხრივ ახალ ხელისუფლებას რა მიდგომა ექნება?**

— არათუ კითხულობდა, ზეპირად იცოდა ყველაფერი, სად, რომელი გაზეთი რას წერდა. **მთავრობას პრესასთან, ტელევიზიასთან ურთიერთობა, ცხადია, უნდა ჰქონდეს, უნდა თანამშრომლობდეს მასთან და ანგარიშს უწევდეს. ტყუილად კი არ გეძახიან მეოთხე ხელისუფლებას, მე თუ მკითხავთ, მეოთხე კი არა, პირველი ხელისუფლება ხართ, იმიტომ, რომ თქვენ ქმნით პოლიტიკასაც, პოლიტიკოსებსაც** და, ფაქტობრივად, საზოგადოების დამოკიდებულებასაც მათდამი. შეიძლება საღად მოაზროვნე ადამიანმა, სახელმწიფო რომ გაბარია, მას ბოიკოტი გამოუცხადო?! რომ გამოუცხადა, იმიტომაა ახლა კარგად...

მე არაერთხელ მითქვამს და მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო: **მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც რეჟიმს დავუპირისპირდით და ვებრძოდით, ჩვენი უმთავრესი მოკავშირე თავისუფალი მედია იყო. განსაკუთრებით ამას აკეთებდა პრესა და მათ შორის თქვენი გაზეთი, ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და ყველას გიხდით მადლობას. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მისი დამოკიდებულება თქვენდამი, ზოგადად მედიას ვგულისხმობ, იქნება ბოლომდე გახსნილი და თავისუფალი.** ეს სხვანაირად არც შეიძლება, იმიტომ, რომ, თუ ჩვენ ვისწრაფვით მართლა დემოკრატიისკენ და გვინდა ნამდვილი, ძლიერი სახელმწიფო, მაშინ ამ ღირებულებებს უნდა ვუერთგულოთ. თუ არა და, განსხვავება სააკაშვილის საქართველოსა და მომავალს შორის არ იქნება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო

## ირანი ისრაელის წინააღმდეგ

**ირანის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ახმად ვახიდი მთელ მუსლიმანურ სამყაროს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებს.** ვაჰიდი მოუწოდებს ყველა მუსლიმანს, „სიონისტ აგრესორს“ ჯეროვანი პასუხი გასცენ. **„მხოლოდ ერთობლივი მოქმედებებით შევძლებთ ჩვენ დამნაშავეობრივი სიონისტური რეჟიმის შეჩერებას“**, — განაცხადა მან. შეგახსნებთ, რომ ისრაელის არმიამ ღაზას სექტორის ტერიტორიაზე 186 ობიექტზე მიიტანა იერიში, მათ შორის შენობაზე, სადაც განთავსებული ისმაილ ჰანიის მთავრობა. ცეცხლის გახსნის შედეგად შენობა მთლიანად განადგურდა. თავად ისმაილ ჰანია იმ მომენტისთვის შენობაში არ იმყოფებოდა. ცნობილია ასევე, რომ იერიშის შედეგად „ჰამასის“ წინააღმდეგობის ფრთის ორი მეთაური დაიღუპა. **ასევე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისრაელის საჰარეო სამხედრო ძალებმა გაანადგურეს ოთხი საკვანძო ტრანსფორმატორი, რომელთა გათიშვის შედეგად ელექტროენერგიის გარეშე დარჩა 400 000 ადამიანი.** ავიაიერიშის შედეგად ასევე დაზიანებულია ღაზას პოლიციის შენობა და „ჰამასის“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი წარმომადგენლის საცხოვრებელი სახლი.



„მე, როგორც „ძალოვან ვეტერანთა ლიგის“ წევრი, ამ ორგანიზაციის სახელით, რომელშიც უკვე გაერთიანდა ათი ათასი ადამიანი, პირდაპირ მივმართავ თხოვნით ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ჩვენ ღიად ვუჭერთ მხარს, „ლიგასთან“ თანამშრომლობისთვის გამოძებნოს მისი ნდობით აღჭურვილი პიროვნება, რომელსაც მივაწვდით ინფორმაციას, თუ რა კადრებით ივსება გენპროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო.“

მხილება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლადო ჩერქეზიშვილი:

# მერაბიშვილო, რვა წლის განმავლობაში ვინ უყურებდა ღამის 2 ან 3 საათს?! დაგავიწყდა, როგორ აპატიმრებდი ადამიანებს?!



**ორი კვირის წინ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის, ლადო ჩერქეზიშვილის, მიმართვა საქართველოს გენერალური პროკურორისადმი, რომელშიც ის სთხოვდა ბატონ კბილაშვილს, გაეძევებინა პროკურატურიდან მაღალჩინოსნები: თხელიძე, ზაალიშვილი, მესტვირიშვილი, ხარებავა და სხვები, რომლებიც „ნაციონალების“ ხელისუფლებას ბოლო წუთებამდე ემსახურებოდნენ და უკანონობის სადარაჯოზე იდგნენ.**
**მიუხედავად ასეთი მწვავე სიგნალის მიწოდებისა, გავარკვიეთ, რომ ლადო ჩერქეზიშვილის მიერ მხილებული პროკურორები თავს არხეინად გრძნობენ და ცხოვრების ავბედობას არ უჩივიან!..**

«ბატონი რასმუსენი უფრო ადრე უნდა «აღშფოთებულიყო და შეშფოთებულიყო», ეგებ მაშინ დაფიქრებულიყვნენ «ნაციონალები», რამდენ ადამიანს იხსნიდა ნატოს თავკაცი დამცირებისგან, პატივის აყრისგან და სიკვდილისგან! როგორც ჩანს, სააკაშვილის მმართველობის დროს ასეთი საქციელი პირადად რასმუსენს ხელს არ აძლევდა»



«მერაბიშვილო, ტყუილად ნუ იმედოვნებ, რომ ყველა შენი ნაბიჯი, ყველა შენი დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაცია, რომლებიც, როგორც წესი, სისხლით და ადამიანების ლიკვიდაციით მთავრდებოდა, საქართველოს მოქალაქეებს დაავიწყდებათ!»

— გაოგნებული ვარ, — **აღშფოთებით მეუბნება ბატონო ლადო,** — რომ „ნაციონალების“ მორჩილი მსახური, ბესო თხელიძე, დაინიშნა ქალაქის პროკურორის პირველ მოადგილედ და საგამოძიებო დარგს კურირებს! ეს პირი ადეიშვილთან მჭიდროდ თანამშრომლობდა, უყოყმანოდ ასრულებდა ყველა მის უკანონო მითითებას თუ დავალებას! და არა მარტო თხელიძე!.. ყველა ამ გარეწრის გადაადგილება მოხდა გენპროკურატურიდან ქალაქის პროკურატურაში და პირიქით! მაგრამ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი ხომ არ იცვლება! **მე, როგორც „ძალოვან ვეტერანთა ლიგის“ წევრი, ამ ორგანიზაციის სახელით, რომელშიც უკვე გაერთიანდა ათი ათასი ადამიანი, პირდაპირ მივმართავ თხოვნით ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ჩვენ ღიად ვუჭერთ მხარს, „ლიგასთან“ თანამშრომლობისთვის გამოძებნოს მისი ნდობით აღჭურვილი პიროვნება, რომელსაც მივაწვდით ინფორმაციას, თუ რა კადრებით ივსება გენპროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო;** ეს არის მერაბიშვილის, ადეიშვილისა და ახალაიას გამოზრდილი კადრები, რომლებიც დაუფიქრებლად ასრულებდნენ მათ ახირებებსაც კი! ისეთ ადამიანებსაც კი აკავებდნენ, რომელთა „დანაშაული“ იყო „განსხვავებული აზრის ქონა“! მიდიოდა ამ ხალხის ჩაგვრა, წამება, მათი ოჯახების აწიოკება!..

**— ბატონო ლადო, ვინ ხელმძღვანელობს თქვენს ლიგას?**

— გია ბერძენაძე. ისიც „ნაცრეჟიმის“ მსხვერპლია. ძალოვანებმა მასაც იარაღი „ჩაუდეს“, ის იარაღი, რომელიც სამ სისხლის სამართლის დანაშაულში ფიგურირებდა! ვისაც საგამოძიებო საქმე გაეგება, ამ ფაქტის გაგების შემდეგ თმები უთუოდ ყალყზე დაუდგება! ეს ისეთი აბსურდი იყო, რომ იძულებული გახდნენ, ბატონ გიას მიმართ საქმე შეეწყვიტათ! გია ბერძენაძე ასეთ შეურაცხყოფას არავის აპატიებს და აპირებს, სასამართლოს მიმართოს!

ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ ადვოკატები, გამომძიებლები, პროკურორები, რიგითი პოლიციელები. **„ლიგა“ ინტენსიურად და ზედმიწევნით მუშაობს სიის დასადგენად — ვინ, სად მუშაობდა, ვინ, რომელ გახმაურებულ საქმეში მონაწილეობდა და დღეს თითოეული მათგანი სად და როგორ ინიშნება. ბატონ ბიძინა ივანიშვილს ამ სიას გავუგზავნით და დარწმუნებული ვართ, რომ მიღებულ იქნება ზომები ამ ხალხის ძალოვანი სტრუქტურებიდან სამარცხვინოდ გასაძევებლად.**

**— და რომ არ გააძევონ?**

— ამ შემთხვევაში, მივიღებთ სავალალო შედეგს — ბევრი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში სამართალს ვერ იპოვის. ამას მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია — უსამართლობის შეგრძნება, წყენა, აპათია, დეპრესია, ნიჰილიზმი, უარყოფითი ემოციების დაგროვება, გამოფხიზლება, შურისძიების სურვილის გაჩენა და, საბოლოო ჯამში, ქუჩის აქციები და არეულობა! აბა, რა გრძნობა შეიპყრობს საზოგადოებას, როცა თვალნათლივ დაინახავს, რომ ის სუბიექტები, რომლებიც ნაციონალების პირსისხლიან ხროვას ერთგული ძაღლებივით ემსახურებოდნენ და მათ უკანონო ქმედებათა გამო უამრავი უდანაშაულო ადამიანი საპყრობილეში ამ წუთშიც იტანჯება, ისევ მოერგნენ სკამებს, ჰგონიათ, მათი ჩადენილი საქმეები დავიწყებას მიეცა და მათთვის ყველაფერი კარგად იქნება!

**— ბატონო ლადო, როგორც პროფესიონალ პოლიციელს მოგმართავთ: რას წარმოადგენდა სამინისტროში ხიზანიშვილი?**

— წინა საუბარში მერაბიშვილი დავახასიათე, როგორც არაკომპეტენტური მინისტრი; ასეთივე უვიცი გახლდათ მისი „მარჯვენა ხელი“ ხიზანიშვილიც. ერთადერთი, რაშიც მინისტრსა და მის მოადგილეებს ბრალს ვერ დავდებ, არაპროფესიონალიზმია, თუმცა ასეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენას ნიჭიც არ სჭირდება, მხოლოდ განუსაზღვრელი ძალაუფლებაა საკმარისი!.. ხიზანიშვილის და „კუდის“ იმ დაპატიმრებულ მაღალჩინოსნების თემას იმით დავხურავ, რომ თქვენს მკითხველს სრული პასუხისმგებლობით მოვახსენებ: **ეს პირები, რა თქმა უნდა, დამნაშავეები არიან, მაგრამ ისინი უკანონობას სჩადიოდნენ არა თავისი ინიციატივით, არამედ მინისტრ მერაბიშვილის ბრძანებით!**

**— რამდენიმე დღის წინ, აწ უკვე მოქალაქე მერაბიშვილმა ახალი ხელისუფლება დაადანაშაულა „ჩეკისტობასა“ და „კაგებეშნიკობაში“. ღამის სამ საათზე აპატიმრებენ ხალხსო! თქვენი კომენტარი.**

— ერთი რამ მახალისებს: მერაბიშვილი თავად რომ ბრიყვია, რატომ ჰგონია, რომ ხალხიც ბრიყვია?! თუ მას ამნეზია დაემართა, რა, ჩვენც კოლექტიურად დავკარგეთ მეხსიერება?! **რვა წლის განმავლობაში გვქონდა „ბედნიერება“, გვეხილა პირადად მინისტრის და მისი ხელქვეითების ნახელავი, რას სჩადიოდნენ! მერაბიშვილო, რვა წლის განმავლობაში ვინ უყურებდა ღამის 2 ან 3 საათს?! დაგავიწყდა, როგორ აპატიმრებდი ადამიანებს?!** ახლავე შეგახსენებ! იმის მაგივრად, პიროვნება ცივილური ფორმით სახლიდან გამოეყვანათ, **შენი ზონდერები მსხვერპლის სახლის კარს ე. წ. ბალვანკას ურტყამდნენ, რაც საკეტს ღუნავდა, რომ ოჯახს შიგნიდან კარები ფიზიკურად ვერ გაეღო, რათა მერე შენს „ბიჭებს“ სახლის კედელი შეენგრიათ! რომელ მსხვერპლს უგზავნიდი უწყებას, რომ თავის ფეხით მოსულიყო სამინისტროში?! მერე ნაცემ-ნაბეგვს ხელს აწერინებდი უწყებაზე, ვითომ საკუთარი ნებით გამოცხადდა, არა?!** ახლა გინდა დაანახო ხალხს, თითქოს, თითოეული ადამიანის დაპატიმრებაზე გული შეგტკიოდა?! **ერთი კაცის სახელი გვითხარი, რომელმაც შენი მოღვაწეობისას სამართალი იპოვა!** მახსოვს რამდენიმე გვარი, რომლებმაც სასამართლოში გაიმართლეს თავი. აბსურდული ბრალდებების გამო, მათ ვერ მიუსაჯეს წლები; სამაგიეროდ, ციხეში ჩაუგდეს ე. წ. შტირი და შემდეგ ხელახლა გაასამართლეს! რატომ აკეთებდი ამას, მერაბიშვილო? ააა, ვიცი, დაკავებულის გამართლების პრეცენდენტი რომ არ შექმნილიყო! არა, **მერაბიშვილო, ტყუილად ნუ იმედოვნებ, რომ ყველა შენი ნაბიჯი, ყველა შენი დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაცია, რომლებიც, როგორც წესი, სისხლით და ადამიანების ლიკვიდაციით მთავრდებოდა, საქართველოს მოქალაქეებს დაავიწყდებათ! შენი „კარგი კაცობა“ კიდევ დიდხანს გვემახსოვრება!**

**— ბატონო ლადო, ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმაც გამოთქვა აღშფოთება ამჟამად მიმდინარე დაპატიმრებებზე. რას ფიქრობთ ჩვენი უცხოელი კეთილმოსურნის ამგვარ განცხადებაზე?**

— თუ ბატონ რასმუსენს ასე შესტკივა გული ახლანდელ მოვლენებზე, სად იყო ეს კაცი მანამდე, როცა უტყუარ ინფორმაციას ღებულობდა, თუნდაც ოპოზიციისგან იმ საძაგლობებზე, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა საქართველოში? **ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რამდენი სისხლის სამართლის საქმეა გადაგზავნილი სტრასბურგში საქართველოდან? მათი რაოდენობით, ალბათ, ვლიდეროებთ კიდეც... რატომ არ მოუწოდა მაშინ ბატონმა რასმუსენმა, თუნდაც კულუარულ საუბრებში სააკაშვილს, რეპრესიების შეწყვეტისკენ? ახლა რომ ატეხა ერთი ამბავი ახალაიაზე, რატომ არ ატეხა ასეთივე განგაში მაშინ, როცა ოქრუაშვილი დააპატიმრეს? ისიც ხომ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო! დავანებოთ თავი ოქრუაშვილს, მაინც მათიანია. იმავე მეშვიდე საპყრობილეში არ იჯდა უშიშროების მინისტრი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი — ირაკლი ბათიაშვილი?!** მასთან შედარებით ვინაა ახალაია! მარტო ახალაია ებრძოდა კრიმინალს, ხოლო ბათიაშვილი ან ოქრუაშვილი არა?! ახალაიას „ნაბრძოლს“ კრიმინალთან ჩვენ ვუყურეთ ორთაჭალის და გლდანის საპყრობილეებში...

ბატონი რასმუსენი უფრო ადრე უნდა „აღშფოთებულიყო და შეშფოთებულიყო“, ეგებ მაშინ დაფიქრებულიყვნენ „ნაციონალები“, რამდენ ადამიანს იხსნიდა ნატოს თავკაცი დამცირებისგან, პატივის აყრისგან და სიკვდილისგან! როგორც ჩანს, სააკაშვილის მმართველობის დროს ასეთი საქციელი პირადად რასმუსენს ხელს არ აძლევდა.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკმაო შეშფოთების საფუძველს იძლევა ყოფილი უმრავლესობის წევრების, საპარლამენტო უმცირესობის, ახალაიას დამცველების ამორალური და ყოვლად უსაფუძვლო გამოსვლები. ისინი არა მარტო ამართლებენ ამ ჯალათს, არამედ „გმირად“, მართალ კაცად და, რაც უდიდესი მკრეხელობაა, ცოტნე დადიანადაც კი მოიხსენიებენ.**

# «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა», როგორც პროფაშისტური პარტია, უნდა აიკრძალოს!

**ბატონო რედაქტორო!**

**უწინარეს ყოვლისა, მადლობა მინდა მოგახსენოთ, რომ საშუალება მომეცით, მე, სამშობლოდან იძულებით გადასახლებულ ერთ-ერთ ქართველ ემიგრანტს, ჩემი პოზიცია გამომეხატა თქვენი შესანიშნავი გაზეთის ფურცლებზე, რომლის ინტერნეტ ვერსიას ყურადღებით ვკითხულობ ყოველთვის.**

**ამჯერადაც, თუ ნებას დამრთავთ, მინდა გამოვეხმაურო თქვენი გაზეთის პუბლიკაციას „ფაშიზმის პოლიტიკური დევნა აუცილებელია“, რომლის ავტორი ჟურნალისტი დავით მხეიძე („საქართველო და მსოფლიო“ №43).**


ფაშიზმის პოლიტიკური დევნა აუცილებელია, ანუ ცოცხი — მაგ წუნკლებს, ცოცხი!!!

აბსოლუტურად ვიზიარებ ამ პუბლიცისტური წერილის პათოსს, რომ **„მიშნაცების ცხრაწლიანი მმართველობა ფაშისტური რეჟიმი იყო“,** რომ ამ რეჟიმის მსახურთა **„პოლიტიკური და სამართლებრივი დევნა არა თუ უპრიანი, არამედ აუცილებელია ისევე, როგორც ეს ფაშისტური გერმანიის გესტაპოს თანამშრომლების მიმართ ხდებოდა ომისშემდგომ პერიოდში“.**

ზუსტი და სამართლიანია ავტორის პოზიცია, როცა იგი აცხადებს: **„ქართველი ნაციონალები“ არაფრით ნაკლებნი არ არიან გერმანელ ნაციონალ-სოციალისტებზე და, დღეს რომ გასული საუკუნის 30-იანი წლები იყოს და არა XXI საუკუნის გარიჟრაჟი, დარწმუნებული იყავით, რომ კრემატორიუმებშიც დაგვწვავდნენ სადისტი ახალაიები“.**

მეც ამ საკითხზე მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება.

გასულ საუკუნეში ფაშიზმი შავი ჭირივით იყო მოდებული მსოფლიოს: ფაშიზმი — იტალიაში, ნაციონალ-სოციალიზმი — გერმანიაში, რკინის გვარდია — რუმინეთში, ახალი სახელმწიფო — პორტუგალიაში, ინტეგრალიზმი — ბრაზილიაში და ა. შ. 30-40-იან წლებში არსებობდა რუსული ფაშიზმიც თეთრი ემიგრანტების წრეებში (ჩინეთში — ხარბინში, აშშ-ში — კონექტიკუტის შტატში).

**სააკაშვილის რეჟიმი ინიციატორი გახდა იმისა, რომ XXI საუკუნეში ნეოფაშისტური მოძრაობა დამკვიდრებულიყო საქართველოში — ძალადობით, შიშით, მოსყიდვებით, სიცრუითა და სიყალბით.**

ჩილეს დიქტატორ პინოჩეტის დონისა არა, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმს მისი მსგავსი ხელწერა ჰქონდა — ტვინების გამორეცხვიდან დაწყებული, რეპრესიებით დამთავრებული. **ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის „ბართლომეს ღამეები“ რად ღირს: დღე არ გადიოდა, ჩვენთან, ქართულ დიასპორაში, რომ არ ჩამოეღწია ინფორმაციას ახალი და ახალი ტრაგიკული ფაქტების შესახებ... უბედურება ტრიალებდა საქართველოში.**

ეკონომიკა დაიშალა, ბიზნესი ჩაკვდა, ქართული სოფლის მეურნეობა იმპორტულმა პროდუქციამ ჩაკლა. იმპორტიორი მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფი ბობოლა უნდა ყოფილიყო, მაგალითად, კეზერაშვილი ან მისნაირი, ბანდის სხვა მეთაური.

**ქვეყნის ეკონომიკა ნაცელიტამ იგდო ხელთ, არნახულად გამდიდრდნენ „ერის მამები“ საკუთარი ხალხის ხარჯზე, მილიარდები იშოვეს მათ ოჯახებთან დაახლოებულმა ადამიანებმაც. ხალხს კი გროშებს ურიგებდნენ — თითო კანისტრა დიზელის საწვავსა და 20-20 კილოგრამ ფქვილს წინასაარჩევნოდ.**

ღვთის წყალობით და „ქართული ოცნების“ ძალისხმევით, ჩვენი ისტორიის ამ სამარცხვინო და ტრაგიკულ მონაკვეთს ბოლო ეღება. მართლმსაჯულების წინაშე წარდგა დამნაშავეთა ერთი ჯგუფი, მათ შორის, სადიზმით გამორჩეული, სააკაშვილის „იდეების“ თავგამოდებული ადეპტი ბაჩანა ახალაია, რომელიც ფაშისტური გესტაპოს ქართული ნაირსახეობის ჩამომყალიბებელი და დამამკვიდრებელია.

**შსს და სხვა ძალოვანი სტრუქტურები ორიენტირებული იყვნენ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკურ და სულიერ დათრგუნვაზე, ჰქონდათ უზარმაზარი დაფინანსება და განუზომელი უფლებები.**

საქართველოს მოსახლეობას საკუთარ თავზე აქვს გადატანილი მათ მიერ განხორციელებული ძალადობა. ჩვენც, ქართველი ემიგრანტები, მათი მსხვერპლნი ვართ. ამიტომ, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით ხდება, უწინარეს ყოვლისა, სამართლიანობის აღდგენის კუთხით, გულთან ახლოს მიგვაქვს და გვჯერა, რომ თანდათან დაიწმინდება ეს ნეოფაშისტური მღვრიე მორევი.

მაგრამ ისიც მინდა ვუთხრა ჩემს თანამემამულეებს, რომ **საკმაო შეშფოთების საფუძველს იძლევა ყოფილი უმრავლესობის წევრების, საპარლამენტო უმცირესობის — ახალაიას დამცველების ამორალური და ყოვლად უსაფუძვლო გამოსვლები. ისინი არა მარტო ამართლებენ ამ ჯალათს, არამედ „გმირად“, მართალ კაცად და, რაც უდიდესი მკრეხელობაა, ცოტნე დადიანადაც კი მოიხსენიებენ.**

სად იყვნენ ეს „წმინდა სულები“, როცა იგივე ახალაია თავდაცვის მინისტრობისას თავის ჯარისკაცებს არაადამიანურად ექცეოდა, როცა შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს გენერლები: კობა ოთანაძე და რომან დუმბაძე, როცა ავჭალის გზაზე მოკლეს გია კრიალაშვილი და მხოლოდ მაშინ ამოძრავდნენ, როცა სრულიად კანონიერად დაიწყო გენერალ კალანდაძის სისხლის სამართლის საქმის გამოძიება?!

ალმოჩნდა, რომ **ყოფილი ხელისუფლების მიერ „რეფორმირებულ“ შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცების წამება, მათი ღირსების შეურაცხყოფა, ფიზიკური ზემოქმედება „დისციპლინის დამყარების“ მიღებული ნორმები ყოფილა.** ხოლო ერთი ყოფილი „კმარელი“ ქალი, რომელიც თქვენს გაზეთში მოხსენიებული იყო, როგორც „სახეწაშლილი“, უსირცხვილოდ აცხადებდა, რომ **ახალაიამ დანაშაული კი არ ჩაიდინა, არამედ „ვაშლის სათლელი დანის ტარი თავში ჩაუკაკუნა ვიღაც ჯარისკაცს“.**

ასე „უკაკუნებდნენ“ ქართველ ხალხს „დანის ტარებსაც“ და ხელჯოხებსაც, ესროდნენ ტყვიებს და წამლავდნენ გაზით, ციხეებში ალპობდნენ, ხოცავდნენ მომიტინგეებს და მათ გვამებს შენობის სახურავზე აწყობდნენ და აცხადებდნენ დენის დარტყმით დაიღუპნენო.

მიხეილ სააკაშვილი ახლახან ევროპაში სიტყვით რომ გამოვიდა, უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ მან ხელისუფლება მშვიდობიანად გადააბარა, არ გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და არ დაიტოვა ძალოვანი სტრუქტურები. ამ განცხადების ქვეტექსტი საკუთარი დემოკრატიულობის წარმოჩენა იყო, მაგრამ სინამდვილე საპირისპიროს ამტკიცებს: **ნაციონალ-მენშევიკები (უმცირესობა) ისე ყოყლოჩინობენ, ისე თავხედურად იქცევიან, თითქოს მათ ნეოფაშისტურ ხელისუფლებას კვლავ ხელთ ეპყრას ქვეყნის მართვის სადავეები.**

როცა ეროვნულმა ძალებმა — „მრგვალმა მაგიდამ“ არჩევნებში გაიმარჯვა, კომუნისტებმა ნებაყოფლობით, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დათმეს თავიანთი პოსტები, ამით ააცილეს ქვეყანას ორხელისუფლებიანობის საშიშროება.

**სააკაშვილი გამოდის ევროპაში და აცხადებს, რომ იგი იმ ქვეყნის პრეზიდენტია, რომელშიც ორხელისუფლებიანობაა. მაშასადამე, იგი ამზადებს საფუძველს მომავალი დაპირისპირებისა და, აქედან გამომდინარე, რევანშისთვის.**

საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ ონის რაიკომის პირველმა მდივანმა რეზო ნოდარიშვილმა, პირველმა საქართველოში, ონის პარტრაიკომი დაშლილად გამოაცხადა, ასპარეზი დაუთმო ეროვნულ ძალას. მას სხვა რაიონებმაც მიბაძეს.

საპასუხოდ გამარჯვებულმა „მრგვალმა მაგიდამ“ ასეთივე ცივილიზებულობით უპასუხა: მთავრობაში მიიწვია ისეთი აღიარებული პროფესიონალები, როგორებიც იყვნენ ნოდარ ჭითანავა, ბაკურ გულუა, მინდია უგრეხელიძე, ოთარ ხატიაშვილი, ვახტანგ რაზმაძე და სხვები.

ეს იყო ეროვნული ერთიანობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი.

დღეს რა ხდება? ჩაფრენიან სააკაშვილის მიერ ხელდასმული ფუნქციონერები თავიანთ თანამდებობებს და ხალხის მოთხოვნას — გზა მისცენ ახალ ძალას — კოალიცია „ქართულ ოცნებას“, ისტერიკული კივილით უპასუხებენ, რომ ეს არის პოლიტიკური ზემოქმედება.

**როდემდე გაგრძელდება ასე?**

**დარწმუნებული ვარ მანამ, სანამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კანონგარეშედ არ გამოცხადდება, არ აიკრძალება ისევე, როგორც თავის დროზე — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აიკრძალა ფაშისტური პარტიები ევროპის ქვეყნებში.**

**თუ ჩვენ ევროპისკენ ვისწრაფით, ბებერი კონტინენტის ქვეყნების მსგავსად და მათი მაგალითით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ უნდა აიკრძალოს!**

ეს შეიძლება პარლამენტმა გადაწყვიტოს, შეიძლება სახალხო რეფერენდუმის საშუალებით გადაწყდეს, ფორმა ნებისმიერი შეიძლება იყოს, მაგრამ — კანონიერი.

ერთ საკითხზეც გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას. **მიმაჩნია, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრწყინვალე დიპლომატიური სვლა გააკეთა და, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მიზნით, პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხში დანიშნა ცნობილი დიპლომატი ზურაბ აბაშიძე,** განათლებული, ერუდირებული, ინტელიგენტი ადამიანი. ვეთანხმები ბატონ ზურაბს, რომ **რუსეთს სჭირდება ნორმალური, პროგნოზირებადი პარტნიორი სამხრეთ კავკასიაში, რომ რუსეთთან „რთული დიალოგი სჯობს კარგ ომს“.** მიმაჩნია, რომ ბატონ ბიძინას ეს ნაბიჯი მისი პერსპექტიული, სახელმწიფოებრივი აზროვნების დადასტურებაა.

ბატონმა ბიძინამ ბრიუსელში ვიზიტად ყოფნის დროს ერთი მნიშვნელოვანი ფრაზა წარმოთქვა, რომელშიც სრული სიმართლეა აკუმულირებული, მეც ამ წინადადებით დავამთავრებ ჩემს წერილს. მან თქვა, რომ **რასმუსენის განცხადებაში შემაშფოთებელი არაფერი იყო, შემაშფოთებელი და აღმაშფოთებელია ის, რაც საქართველოში ხდებოდა და არა ის, რაც ხდება დღეს.**

**მურმან ომანიძე**

მოკლედ

## საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინებების დაშვება გააპროტესტეს

**საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები გაიმართა.** მისმა მონაწილეებმა მთავრობის ის გეგმა დაგმეს, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების დაშვებას ითვალისწინებს. ორგანიზატორთა განცხადებით, საპროტესტო აქციები ქვეყნის 75 ქალაქში ჩატარდა. პარიზის პოლიციის ინფორმაციით, დედაქალაქის ქუჩებში 70 000-მდე ადამიანი გამოვიდა. მსვლელობებს კონსერვატიული პოლიტიკური პარტიები და კათოლიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

## ევროკავშირი ისრაელს იცავს

**ევროკავშირი მიიჩნევს, რომ ისრაელს საკუთარი მოსახლეობის დაცვის უფლება აქვს. ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ქეთრინ ეშტონმა განაცხადა.** „შეშფოთებული ვარ ძალადობის ესკალაციით ისრაელში და ღაზას სექტორში. ვწუხვარ იმ დანაკარგის გამო, რომელიც მოსახლეობაში ორივე მხრიდან მოხდა. ღაზაზე სარაკეტო თავდასხმები ჰამასისა და სხვა დაჯგუფებების მხრიდან, რომლებმაც საფუძველი დაუდეს აღნიშნულ კრიზისს, არის მიუღებელი და უნდა შეწყდეს. ისრაელს აქვს უფლება, აღნიშნული თავდასხმებისგან საკუთარი მოსახლეობა დაიცვას. მოვუწოდებ ისრაელს, უზრუნველყოს საკუთარი რეაქციის პროპორციულობა“, — აღნიშნავს ეშტონი.

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სად არის სამართალი?! „ცოტნე დადიანს“ გვერდს „დავით აღმაშენებელი“ არ უნდა უმშვენებდეს?!

# შიბაქიზაცია

**შიბაქი რომ აკვნის აუცილებელი ატრიბუტია, რომლის ფუნქციაც ძილის დროს ჩვილის მშრალად შენახვა იყო, ამის შეხსენება უფროსი და ჩემი, საშუალო თაობის, მკითხველისთვის, რომლებიც, წინაპართა მსგავსად, მამაპაპურ აკვნებში გავიზარდეთ, ვფიქრობ, ზედმეტია, განსხვავებით ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების — პამპერსების თაობებისგან...**



თუმცა ეს სიტყვა სხვა დანიშნულებითაც იხმარებოდა ქართულ ყოფიერებაში — მავანზეც იტყოდნენ ხოლმე, შიბაქიაო და ცხადი იყო, თუ რა იგულისხმებოდა ამ სიტყვის მიღმა: უტვინობა, ახვრობა, უზრდელობა, გაუნათლებულობა, გოიმობა თუ გამოქლიავებულობა და ა. შ.

რაც შეეხება წინამდებარე წერილის სათაურის ბოლოსართს, იპოლიტე ხვიჩიას ერთი კინოგმირისგან განსხვავებით, მკითხველს არ სჭირდება იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს „იზაცია“ — კოლექტივიზაციაზე თუ მხოლოდ გვსმენია, ხელისუფლების პადოშ-იზაცია აგერ სულ ახლახან მოხდა ჩვენ თვალწინ, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მიშნაცების ხელისუფლების კრახი; რით დასრულდება ოპოზიციადქცეული ნაცების შიბაქიზაცია, რაც ასევე ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს — რევანშით (მანამდე არ ოუდგეთ გვერდები!) თუ ნაცების პოლიტიკურ „ნაცში“, ლიბერტარიანული დასავლეთის პოლიტიკურ საშოში, საბოლოოდ და უკან მოუბრუნებლად შეძრომით, ანუ იქ, საიდანაც ამ 9 წლის წინ გამოძვრნენ, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს!

პირველი, ვინც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გაშიბაქდა, ყოფილი სახალხო დამცველი და არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ციხეების მინისტრად გადასული და ამით მიშასთვის ლელვის ფოთლობის მკისრებელი, გიორგი ტუღუში იყო. მას მერე ჩემს ვალად მიმაჩნია, „ავი მუსაიფი“ არ მოვაკლო მიშნაცების სხვა შიბაქებს, რომლებმაც, დღე ისე არ ჩაივლის, თავი არ შეგვახსენონ...

**ყველანი შიბაქები ბრძანდებიან, ვინც შინ თუ გარეთ რაიმე სახით ცდილობენ მეცოცხეების პარტიის გამართლებას, გაკეთილშობილებას ან გვერდით დგომის დემონსტრირებას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მეცოცხეები არიან!**

დიახ, მისტერ რასმუსენ და ჰერ შულც! პირველმა, ანუ რასმუსენმა შეშფოთება გამოხატა საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებების გამო, თუმცა მეორე დღეს ვითომ შეარბილა ნათქვამი — ბოლომდე ვენდობი „ქართულ ოცნებასო“ და ქართული ენის არცოდნაზეც დაიჩივლა: იქნებ ინგლისურად მომწეროთ მესიჯებიო, გვთხოვა ქართველებს...

მეორემ კი, ანუ ევროპარლამენტის პრეზიდენტმა შულცმა, — ჩემს ქვეყანაში ყოფილ მინისტრებს არ აპატიმრებენო. მაშ, მტყუანის, მისტერ შულც?! მართალია, იტალია მთლად ჰერ შულცის გერმანია არ არის, მაგრამ მათი ევროპული ოჯახის წევრი ხომ ბრძანდება და ყოფილი პრემიერი ბერლუსკონი არ გაასამართლეს?

ეგეც იქით იყოს და გერმანელებს ვისზე რა აქვთ სალაპარაკო, როცა საგარეო მინისტრი და ბერლინის მერიც ჰომოსექსუალები, ანუ ჩვენებურად პედერასტები ჰყავთ?!

სანამ ქართველები ამ თხოვნას შეუსრულებენ ნატოს გენმდივანს, მანამდე მე ვიტყვი ორიოდ სიტყვას ორივეს გასაგონად: **მისტერ გენ მდივანო და ჰერ შულც, ის, რაც თქვენ გაუბედეთ ქართველ ხალხს, თვით ამხანაგ ცეკას გენ-სეკებსაც არ უკადრებიათ!**

აქედან გამომდინარე, იმ სამსართულიან, ქართულ, მამაპაპურ „დალოცვებს“ ვერა (რომლითაც აჭრელდა ნატოს გენმდივნის „ფეისბუკი“), მაგრამ ერთ ანდაზას თუ გამოთქმას „მოგითარგმნით“: „ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს!“ და კიდევ: „კბილებს გაცდენილ სიტყვას ქამანდითაც ვერ დაიბრუნებ“...

ეს უკანასკნელი არა ანდაზა, არამედ ჩვენი კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას, ფრთიანი გამონათქვამია და, რაც, მისტერ თუ ჰერ, იმის წინაპირობაა, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოშიც ისე დახვდებიან ნატოს თუ ამერიკის მაღალჩინოსნებს, როგორც მთელ მსოფლიოში — საპროტესტო მანიფესტაციებით, ნატოს და აშშ-ის დროშების „აუტოდაფეთი“, გაძლიერებული პოლიციური კორდონით, ანუ ისე, როგორც იმსახურებთ!

და ეს იმის მიუხედავად მოხდება, ნატოს მასპინძელ „ქართულ ოცნებაში“ ვინმეს მოეწონება თუ არა, რადგანაც **„სორე სკანი აღშფოთებები მაგალითად“, როცა დემოკრატიის ფასადს მიღმა 9 წელიწადი გვარბევდნენ, გვაპატიმრებდნენ, ქუჩებში გვხვრეტდნენ და ციხეებში გვაუპატიურებდნენ, მისტერ და ჰერ შიბაქებო?..**

აქ არის და, 7 ნოემბრის (რა სიმბოლური დამთხვევა!) შემდეგ, რაც ცოცხების პარტიის სადისტი მანიაკი, ბაჩო ახალაია დააპატიმრეს, ნაცბანდის სხვადასხვა ზომა-წონის შიბაქები არ ისვენებენ — ბაჩო ახალაია გმირი, თავშეწირული ქართველი, ქურდულ სამყაროსთან მებრძოლი რაინდი და ა. შ. რას აღარ როშავენ მინაშვილ-წიკლაურები, გაბაშვილ-დარჩიაშვილები, ბარამიძე-ჩიორები და სხვანი. რამდენი ხართ! „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა“ ან ნაცებში შიბაქები?!

თუმცა აქ განსაკუთრებულად მაინც თეა (ბუდარიხა) თუთბერიძეა აღსანიშნავი — ჯერ აქამდე რას ჰგავდა („ჯოჯოხეთიდან ამორწყეული ჩლიქოსანი“, როგორც რეზო ამაშუკელმა უწოდა) ეს საწყალი და ახლა სულ დაილია და ჩამოდნა უილაჯო ნერვიულობისგან, წერა-კითხვის უცოდინარი „პროფესორი“, ეტყობა, სიმართლეს შეეფერება ბაჩობუდარიხას მიმართ მოარული ხმები და თეკუნას პირადი ტრაგედიაა ბაჩანას ასე უეცრად „დახეული ფლაგები“...

**თითქოს რა უნდა გაგვკვირვებოდა ამ ყველაფრის მერე, მაგრამ ე. წ. ისტორიკოსმა, სვიმონ მასხარაშვილმა, მართლაც გაგვაკვირვა და გაგვაოცა (ცოტნე დადიანიაო ბაჩანა!). ამის გამო მას, უბრალოდ, შიბაქი რომ ვუწოდოთ, ალბათ, არ იქნება სამართლიანი და ამიტომ, თუ კი მკითხველი დამეთანხმება, მე მას გრანდ-შიბაქის ტიტულს მივანიჭებ.**

დიახ, კი არ ჰგავს ან წააგავსო, არამედ თანამედროვე ცოტნე დადიანია და ის ისტორიაში შევა ამ სახელითო; ჩვენ მისთვის ისედაც მადლობა უნდა გვეთქვა, რომ მან ქურდული სამყარო დაამარცხა და ჩვენი შვილები სამუდამოდ იხსნა ქურდული მენტალიტეტის მავნე გავლენისგან და ახლა, როგორც ცოტნე დადიანი, ისე დაბრუნდა, საქართველოში თაფლის სუნით გაიჟღინთა ყოველიო — აი, ეს ისტორიული აღმოჩენა გააკეთა ამ მართლა მასხარამ...

მაამებლობა ვის უკვირდა ჩვენში ნაცების ზეობის ჟამს, მაგრამ ასეთი? მოდი და ნუ მიანიჭებ ასეთ შემთხვევაში გვარ-სახელს მნიშვნელობას — ისტორია და ხალხი ტყუილუბრალოდ არ არქმევს ამა თუ იმ მოვლენას თავის სახელს და მასხარაშვილი (მომიტევონ ამ გვარის სხვა, ღირსეულმა წარმომადგენლებმა), ეს გვარი ზუსტად გამოხატავს ამ, უკაცრავად და ისტორიკოსის ბუნებას — იგი მართლაც სააკაშვილის კარის მასხარა იყო ამ წლების მანძილზე!

მიშას საამებლად ჭრიდა და კერავდა ისტორიას, ძირითადად, რუსეთთან დაკავშირებით. ამიტომ აგვისტოს სამარცხვინო ომის შემდეგ, ლამის, თუმცა რაღა ლამის, სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა გეორგიევსკის ტრაქტატის დამდები მეფე ერეკლე.

თუმცა მე სხვა ხმაზე მოჭიკჭიკე სიმონაც მახსოვს, როცა „კავკასიის“ ეთერში იმავე პატარა კახის ქებით არ იღლებოდა, მაგრამ ეს იყო მაშინ, „ვარდების რევოლუციამდე“, სანამ მას „კარმუშკას“ გაუხსნიდნენ მაღალი ხელფასის სახით თავდაცვის სამინისტროში, საიდანაც მისი განთავისუფლება გაუჭირდება ირაკლი ალასანიას, რადგანაც, დიდი ალბათობით და არც თუ უსაფუძვლოდ, ასეთი რამ მართლაც პოლიტიკურ დევნად აღიქმება — სიმონა, ქუჩური ჟარგონით, უავტორიტეტო ხეპრეს — „სიმონას“ (სიფათზე დააკვირდით და მიხვდებით, რაზეა საუბარი) ნიშნავს და „სიმონას“ რაიმე „ისეთში“ არავინ ჩაახედებდა, რომ კრიმინალში გარეულიყო; ერთადერთი „კრიმინალი“, ვიმეორებ, ის შეიძლება იყოს, რომ „კარმუშკიდან“ დაუმსახურებლად დიდ ხელფასს იღებდა და დღესაც იღებს, თორემ სად მასხარაშვილის ნაგინები მეფე ერეკლე და სად თავდაცვის სამინისტრო?!

სამი დღე ვურეკავდი ამ მასხარას, მაგრამ მუდმივად გასულია მომსახურების ზონიდან და ამიტომ ვერ „მოვემსახურე“ სამსართულიანი „ლოცვა-კურთხევით“, ამიტომ ისტორიაში ჩემი მოკრძალებული ცოდნით, აქედან მინდა დავეხმარო „დიდ ისტორიკოსს“ — სანამ ცოტნე დადიანივით ჩამოვიდოდა, მანამდე, როგორც ნაპოლეონი ელბიდან, ისე წამოვიდა ბაჩო სარფის საბაჟოდან. ოღონდ ბონაპარტეს თუ პარიზამდე მთელი საფრანგეთი წამოჰყვა, სასამართლოში მიმავალ ბაჩანა (ცოტნე) ახალაიას თბილისში, მაიაკოვსკის ძეგლთან, ერთადერთი მომხრე დახვდა, გაიგე, სიმონ?

რაც შეეხებათ პატარა, საშუალო, დიდ და გრანდ-შიბაქებს, ანუ ყველას ერთად და ცალ-ცალკე, ამაოდ ცდილობენ ქართული საზოგადოების გაბრუებას ისეთი ტერმინებით თუ უცხო სიტყვების რახარუხით, როგორებიცაა: პოლიტიკური ნიშნით დევნა, უდანაშაულობის პრეზუმპცია, კონსენსუსი, სენსიტიური, ავტენტური და ა. შ. (რომლებსაც, როგორც წესი, საკუთარი განათლებულობის წარმოსაჩენად ხმარობენ ხოლმე, სინამდვილეში კი ასეთი რამ ღრმა პროვინციალიზმია და სხვა არაფერი), რადგანაც ქართველმა ხალხმა, ციხის საშინელი კადრების ხილვის შემდეგ, სწორედაც რომ მიშნაცების ფაშისტური ბანდის „დანაშაულთა პრეზუმპციაში“ დარწმუნებულმა, გამოუტანა განაჩენი 1 ოქტომბერს, განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება!

კვლავაც ბევრს დაიჭერენ „პოლიტიკური ნიშნით“ და ბოლოს, როდესაც ბაჩანას (ცოტნე) მსგავსი „რაინდები“ ისე აჭიკჭიკდებიან, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, მათ „რუჩკას ველარ გააგდებინებენ ხელიდან“, მაშინ რატომღაც ისევ პრეზიდენტად წოდებულ მიშმაკს ჯერ გადააყენებენ და მერე ბაჩოს გვერდით მიუსვამენ. ჰოდა, იქნებიან ბედნიერად, თორემ **სად არის სამართალი?! „ცოტნე დადიანს“ გვერდს „დავით აღმაშენებელი“ არ უნდა უმშვენებდეს?!**

**დავით მხეიძე**



## საკუთარ ნაპირებთან ამერიკული ხომალდების გამოჩენას რუსეთი მკაცრად უპასუხებს

**რუსეთის ნაპირებთან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებით აღჭურვილი ამერიკული სამხედრო ხომალდების გამოჩენას რუსეთი მკაცრად უპასუხებს. ამის შესახებ რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა.** მისი თქმით, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საზღვაო კომპონენტების რუსეთთან ახლოს განლაგება აშშ-რუსეთის ურთიერთობებში დესტაბილიზაციას შეიტანს. როგოზინი ყურადღებას იმ გარემოებაზეც ამახვილებს, რომ **რუსეთის საზღვრების სიახლოვეს აღნიშნული სისტემების განლაგება ირანის რაკეტებისგან ევროპის დაცვის საბაბით ხდება. რეალურად კი ეს ქმედება პირდაპირ რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული.** როგოზინის განცხადებაში საუბარი სისტემა Aegis-ით აღჭურვილ სამხედრო ხომალდებზეა. მისი შექმნა აშშ-მა 1969 წელს დაიწყო. ის ერთდროულად ხმელეთზე, წყალზე, წყლის ქვეშ და ჰაერში მყოფ სამიზნეებს აკონტროლებს. მთლიანობაში ამერიკელებმა შეიარაღებაში სისტემა Aegis-ით აღჭურვილი 82 ხომალდი მიიღეს (22 Ticonderoga-ს კლასის კრეისერი და 60 Arleigh Burke-ს კლასის საესკადრო ნაღმოსანი). სისტემა ხომალდის გარშემო არსებულ სივრცეს 190 კმ-ის რადიუსში სრულად აკონტროლებს. სხვათა შორის, Aegis-ის შექმნით, აშშ-მა დაარღვია 1974 წელს რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების შემცირების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულება. ის კრძალავდა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საზღვაო საჰაერო ან კოსმოსური კომპონენტების შექმნას. 2002 წლის 12 ივნისს აშშ ცალმხრივად გამოვიდა რაკეტსაწინააღმდეგო ხელშეკრულებიდან. 2011 წლის გაზაფხულზე, მცირე ინტერვალით Aegis-ის სისტემით აღჭურვილი ორი ამერიკული სარაკეტო კრეისერი USS Monterey და USS Anzio ბათუმსა და ფოთს სტუმრობდნენ, რამაც მოსკოვის პროტესტი გამოიწვია.



ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უამრავი კომპონენტია თავმოყრილი ტარიფების პრობლემაში და ყველა მათგანს ძირფესვიანად, პროფესიულად მაღალ დონეზე სჭირდება გადაწყვეტა, რათა ერთადერთი სწორი და სამართლიანი შედეგი მივიღოთ“.**



# ზურაბ ტყემალაძე: ტარიფები 20-30 პროცენტით მაინც შემცირდება, ზოგიერთი შეიძლება — 40-50 პროცენტითაც

**საქმე იქითკენ მიდის, რომ მოსახლეობის გადასახდელი კომუნალური გადასახადების ტარიფების შემცირების პრობლემა ახალი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების ტესტად, საჯილდაო ქვად ყალიბდება: მოერევიან, დაძლევენ თუ ისევე, როგორც წინა ხელისუფლებას სჩვეოდა, ქარს გაატანენ დანაპირებს?**
**ამ შეკითხვას ყველაზე უკეთ ვინ, თუ არა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე უპასუხებს.**

**— სრულად მაქვს შეგნებული, ბატონო ზურაბ, რომ ახალ მთავრობას წინამორბედთა მიერ იმდენი გადაუჭრელი პრობლემა დაეყარა თავს, რომ ყელზე ფეხის დაჭერა — რას შვრებით, რატომ აგვიანებთო, არ ეგების. ამ საქმეს ვერც საკეისრო გაკვეთა უშველის, მახვილის ერთი მოქნევით რომ გაათავისუფლო ქვეყნის საშო მოსაცილებელი ნაყოფისგან.**

**მაგრამ ხალხში გავრცელებული აზრით, ტარიფების შესამცირებელი მუშაობა საჭირო ტემპით არ მიმდინარეობს.**

— ტარიფების შემცირება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, რადგან დღეს არსებული არარეალურია — ყველა ვთანხმდებით, რომ ძალიან გაბერილია. **უწინარეს ყოვლისა, არარეალურია დენის ტარიფი. ჰიდროელექტროსადგურები საკმაო რაოდენობით გვაქვს. მათი გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთი კილოვატსაათი ერთი და ორი თეთრი ჯდება.** თბოელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვედრითი წილი მეტია და მისი ფასიც — უფრო ძვირი. სადისტრიბუციო კომპანია გენერირებულ ელექტროენერგიას ყიდის, ანუ თვითონ ყიდულობს სხვადასხვა ღირებულების იაფ თუ უფრო ძვირ კილოვატსაათებს, ადებს თავის ფასს და აწვდის მყიდველს, მომხმარებელს, რაც ზრდის ხარჯებს და საბოლოო ჯამში ტარიფებზეც აისახება.

**ტარიფებში, როგორც წესი, თავს იყრის ის საინვესტიციო პროექტები და პროგრამები, რომლებიც გათვალისწინებული აქვს ამა თუ იმ კომპანიას. მაგალითად, „თელასში“ კომპონენტად ჩადებულია მთელი რიგი საინვესტიციო პროგრამებისა, რომლებიც ჯერჯერობით დაწყებული არც არის. არადა, ამ კომპონენტის ამოქმედებით მოსახლეობამ რაღაც შვება უნდა მიიღოს.** კომპონენტები გულისხმობს ტექნიკურ გადაიარაღებას, ახალი ჰესების მშენებლობას, ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას და ა.შ., რაც გამიზნულია მიწოდების ხარისხის გასაუმჯობესებლად და რამაც საბოლოოდ უნდა გააიაფოს პროდუქცია.

**— მაგრამ, რადგან საინვესტიციო პროგრამები, როგორც თქვით, ჯერ დაწყებულიც არ არის, პროდუქციის გაიაფებაზე, მაშასადამე, ტარიფების გაიაფებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება?**

— ასე გამოდის... ამას გარდა, არსებობს კომერციული დანაკარგები, რაც ნიშნავს, რომ პროდუქციის რაღაც ნაწილს ვერ ყიდი, ან არ ყიდი. ეს კომერციული დანაკარგებიც ერიცხება ტარიფს.

**— რომელიც მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს?**

— მოსახლეობამ, მეწარმემ და ა.შ. ამ ყველაფერს გადახედვა სჭირდება — შესასწავლია, რამდენად კანონიერად არის ჩადებული ეს კომპონენტები. ეს ერთი. და მეორე: რამდენად სწორად სრულდება ან არ სრულდება ამ შემთხვევაში მთელი ეს საინვესტიციო პროექტები.

**— ტარიფებს, როგორც ცნობილია, ამტკიცებს მარეგულირებელი კომისია.**

— დიახ, ამტკიცებს სემეკი. ამ კომისიას არ ჰქონდა თავისი ინიციატივით ამ ტარიფების გადახედვის უფლება, მაგრამ 2010 წლის ზაფხულში შესაბამის კანონში შეტანილი ცვლილებით ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია აღიჭურვა უფლებით, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, გადახედოს ტარიფს მომხმარებლის სასარგებლოდ.

**— მაგრამ, არსებული ტარიფებით თუ ვიმსჯელებთ, მას ამ უფლებით არ უსარგებლია.**

— ბუნებრივია, რადგან სემეკის შემადგენლობა დამტკიცებულია წინა ხელისუფლების მიერ. არსებული კანონმდებლობით, მის საქმიანობაში ვერც პარლამენტი, ვერც მთავრობა ვერ ჩაერევა, თუმცა პარლამენტს აქვს საზედამხედველო კონტროლის განხორციელების ფუნქცია.



**«უწინარეს ყოვლისა, არარეალურია დენის ტარიფი. ჰიდროელექტროსადგურები საკმაო რაოდენობით გვაქვს. მათი გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთი კილოვატსაათი ერთი და ორი თეთრი ჯდება»**

**ახალი ტარიფების დადგენისთვის შესასწავლია მიწოდების საკითხი. ხშირ შემთხვევაში ისე ხდებოდა, რომ შუამავალი კომპანიები, რომლებიც თავთავიანთთვის ჩადებული ერთი თუ ნახევარი თეთრით აძვირებდნენ პროდუქციას, რაც, ბუნებრივად, ტარიფებზე უარყოფითად აისახებოდა.** რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან შემოტანილ ელექტროენერგიაზე ვლაპარაკობ. როცა მონოპოლისტი ხარ ბაზარზე, მაშინ ძალიან ადვილია ფასის დაჭერა, ფასის კარნახი მომხმარებლისთვის. ამ მიმართულებითაც საკმარისად დიდი მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი.

**— მონოპოლისტი რომ ახსენეთ, ეს ეხება გენერაციასაც და დისტრიბუციასაც?**

— ყველას, მაგრამ ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ დისტრიბუციის მონოპოლიაზე, „თელასი“ ერთი კომპანიაა, სხვა ვერ შემოდის და, აქედან გამომდინარე, ისაა ფასის დამდგენიც და მოკარნახეც.

ამასთან ერთად, დაწესებულია განსხვავებული ტარიფები მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობიდან გამომდინარე. ეს ართულებს, ხლართავს სიტუაციას. **მომხმარებელს აბნევს სხვადასხვა ვადები, ელექტროენერგიის გადასახადის შეტანისთვის რომ არის დაწესებული. თუ უწინ ვადა დადგენილი იყო, ვთქვათ, თვის პირველი რიცხვიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე, ამჟამად რამდენიმე ასეთი ვადაა დაწესებული, რაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მოქალაქეებს. ესეც მოსაწესრიგებელი საკითხია.**

ჩვენს საარჩევნო პროგრამაში ჩაწერილი გვქონდა, რომ მაქსიმალურად გავაიაფებდით ტარიფებს. მაგრამ არ გვითქვამს, რომ ეს მოხდებოდა დირექტიული მეთოდით, მუშტის ერთი დაკვრით, რადგან ასეთი რამ საერთოდ შეუძლებელია.

პირობის შესასრულებლად აუცილებელია პრობლემის შესწავლა, დამტკიცება, კონსულტაციები. დაწყებულია და სერიოზული მუშაობაც მიმდინარეობს ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროებში. ამ კვირაში ჩამოვა „ინტერრაოს“ დელეგაცია, გაიმართება საგნობრივი კონსულტაციები.

**— ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ხადურმა თქვა, რომ ჩვენი მოსახლეობა უკვე ამ ზამთარში შემცირებული ტარიფებით გადაიხდის გადასახადებს...**

— ბატონმა ხადურმა ორი დღის წინათ განაცხადა, რომ ზამთარი ჯერ არ დამდგარა **(ეღიმება).**

**მუშაობას ამ მიმართებით ართულებს ერთი გარემოება, რომელიც შესაძლო ფარულ მოლაპარაკებას გულისხმობს: ავალდებულებდნენ ტარიფის გაზრდის სანაცვლოდ გააკეთეთ ესა და ეს სამუშაო, გაწიეთ ქველმოქმედება ან ელექტროენერგია უფასოდ მიაწოდეთ ამა და ამ ორგანიზაციას, ქალაქს და სხვა.** ეს რბილადაა ნათქვამი... თორემ სხვაგვარი გარიგებაც შეიძლება ყოფილიყო.

**— რაზეც ხალხში ლაპარაკობენ.**

— არც ეგ არ არის გამორიცხული, მაგრამ დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმპცია... დღეს ბევრი რამ არის დამოკიდებული გაზის, ელექტროენერგიის თუ ენერგომშემცველების მიმწოდებლებზე, სემეკის მიმართ საზედამხედველო ფუნქციაც ეფექტიანად უნდა ამოქმედდეს: შევისწავლით, რამდენად კანონიერად იყო დაწესებული ტარიფები, რა საინვესტიციო პროგრამები იყო ჩადებული, რა გაკეთდა, რა — არა, შეიძლება თუ არა სამეწარმეო დანაკარგის შემცირებაზე საუბარი და ა. შ. დიდი მოცულობის რუტინული სამუშაოა შესასრულებელი, რომლის სრულყოფილად წარმართვას და დამთავრებას სჭირდება დრო.

**— „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“?**

— ასეა. **ენერგეტიკის, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროები მცდელობას არ აკლებენ, წინასაარჩევნო დაპირება დროულად რომ შესრულდეს. ჩვენი კომიტეტიც, ბუნებრივია, ყოველმხრივ უწყობს ხელს. შედეგი აუცილებლად იქნება, მაგრამ, რომ ვთქვა, ხვალიდანვე-მეთქი, მოგატყუებთ.**

როგორც ხედავთ, უამრავი კომპონენტია თავმოყრილი ტარიფების პრობლემაში და ყველა მათგანს ძირფესვიანად, პროფესიულად მაღალ დონეზე სჭირდება გადაწყვეტა, რათა ერთადერთი სწორი და სამართლიანი შედეგი მივიღოთ.

**— ესე იგი, ტარიფების გაიაფების გაჭიანურება, როგორც ხალხში ავრცელებენ ხმებს, ახალი ხელისუფლების უყურადღებობის ბრალი კი არ არის, წინასაარჩევნო ცრუ დაპირებით კი არ აიხსნება, არამედ პრობლემისადმი პასუხისმგებლური მიდგომით.**

— ასეა, და დარწმუნებული ვარ, თქვენი გაზეთის მკითხველებიც გაგებით მოეკიდებიან შექმნილ ვითარებას.

არის სხვა პრობლემებიც, რომლებიც ფასწარმოქმნას ეხება და სადაც ისეთი „ავგიას თავლებია“, რომ მათ გაწმენდას დიდი ძალისხმევა და დრო დასჭირდება. ჩვენმა ულტრალიბერალებმა იმ იმედით, რომ ყველაფერს ბაზარი მოაწესრიგებს, უარი თქვეს მაკონტროლებელ სტრუქტურებზე, რომლებიც მათ მხოლოდ კორუმპირებულობის ბუდეებად წარმოედგინათ. შედეგად კი მივიღეთ სრული განუკითხაობა, ელიტური კორუფციის დამკვიდრება, მონოპოლიები და კარტერული გარიგებები.

კონტროლის სისტემა საქართველოში, ფაქტობრივად, მოშლილია.

პარლამენტი ყველა ამ პრობლემის მოწესრიგებას აპირებს.

**— მაინც რამდენით შეიძლება შემცირდეს ტარიფები? თქვენ როგორ ვარაუდობთ?**

— ძალიან ძნელია ამის წინასწარ თქმა, მაგრამ, **ვფიქრობ, ტარიფები 20-30 პროცენტით მაინც შემცირდება. ეს — საშუალოდ, თორემ ზოგიერთი — 40-50 პროცენტითაც.**

მაგრამ, ალბათ, ისე არა, როგორც ზოგიერთი, არჩევნებში მონაწილე სუბიექტი გვპირდებოდა, როცა ლამის 20 პროცენტს ტოვებდა ტარიფის არსებული მოცულობიდან.

უნდა გითხრათ, რომ ახალ ბიუჯეტში, რომელსაც პარლამენტი განიხილავს, ძირფესვიანად გათვლის, შეაჯერებს და დაამტკიცებს, გაწერილი იქნება წინასაარჩევნო დაპირებების შესასრულებლად საჭირო თანხები. მათ შორის, პენსიების, საარსებო მინიმუმის გაზრდის უზრუნველსაყოფადაც. 800-900 მილიონი ლარი იქნება, სავარაუდოდ, ამ საკითხების მოსაგვარებლად გამოყოფილი.

ასე რომ, გულაცრუებულობის, უნდობლობის საბაბი არ უნდა გვქონდეს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც აქვს ლიმიტირებული რესურსები და ამ ლიმიტირებულ რესურსებში, ბუნებრივია, ვერ ვქმნით ძალიან მაღალხარისხიან განათლებას. ასეთ ვითარებაში ჩვენი სტრატეგიული მიზანი რა შეიძლება იყოს: როგორც კი ეკონომიკა დაიწყებს გაუმჯობესებას და როგორც კი შესაბამისად ბიუჯეტიც დაიწყებს უფრო ინტენსიურ შევსებას, კიდევ უფრო მეტი ფული მივმართოთ განათლების სექტორზე."



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გიორგი მარგველაშვილი:

# წლების მანძილზე მიმდინარეობდა სასაცილო ბრძოლა რუსული კულტურის წინააღმდეგ

**გასულ კვირას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, გიორგი მარგველაშვილის, მიერ სწავლის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებამ (რაც, მისივე განმარტებით, სტუდენტს ორჯერ მეტი ფულის წაღების საშუალებას აძლევს უმაღლესში) საზოგადოებაში გაუგებრობა და გარკვეულწილად უკმაყოფილებაც გამოიწვია. მოსახლეობისთვის, რომელიც ახალი ხელისუფლებისგან გადასახადების შემცირებას ელოდა, ცვლილება ძირითადად მიუღებელი აღმოჩნდა.**
**კონკრეტულად რას გულისხმობს ეს ინიციატივა და რა შედეგებზეა იგი გათვლილი, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" უფრო დეტალურად თავად გიორგი მარგველაშვილი ესაუბრება.**

**— ბატონო გიორგი, რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ სწავლის დაფინანსების გაორმაგებასთან ერთად განათლების ხარისხიც და ხელმისაწვდომობაც შესაბამისად გაიზრდება. ჯერ ერთი თვეც არ არის გასული, რაც მთავრობა დამტკიცდა და მინისტრად დაინიშნეთ, დროის ამ მცირე მონაკვეთში კონკრეტულად რა ღონისძიებები გაატარეთ?**

— მოგახსენებთ, რაც ვთქვი და ვიგულისხმე: სწავლის გადასახადის გაზრდასთან ერთად კი არა, ამ გადასახადში სახელმწიფოს მონაწილეობასთან ერთად-მეთქი, ანუ, სახელმწიფოს მიერ სწავლაში ჩადებული ფულის ზრდამ, წესით, უნდა გაზარდოს ხარისხი, ხოლო ხელმისაწვდომობას ნამდვილად გაზრდის...

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ასევე განაცხადეთ, რომ წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა განათლების სფეროს პოლიტიზებისა და მასზე კონტროლის დასამყარებლად. ამ ყველაფერში, ალბათ, თქვენი წინამორბედების წვლილსაც გულისხმობდით; თითქმის ყველა მინისტრი საკუთარ უწყებაში გამოძიების საჭიროებაზე საუბრობს, თქვენ თუ ხედავთ ამის აუცილებლობას განათლების სამინისტროში? რამე დარღვევები თუ აღმოაჩინეთ?**

— ჩვენთან ახლა მიმდინარეობს აუდიტი და ხდება ყველაფრის დეტალურად შესწავლა. აქამდე რაც გამიგია მედიით, თუნდაც სკოლის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული პრობლემები, ეს საყოველთაოდ ცნობილია; სხვა **დარღვევები ჯერჯერობით არ გამოკვეთილა, თუმცა ვერ გამოვრიცხავ, რომ ამ აუდიტის შედეგად გარკვეული დარღვევები გამოჩნდეს...**

**— რატომ ჩათვალეთ საჭიროდ სკოლის მანდატურის უნიფორმის შეცვლა? რას გულისხმობს ეს ცვლილება შინაარსობრივად?**

— შინაარსობრივად ეს არის ნორმალური პროცესი, რომელსაც ჰქვია რებრენდინგი, ანუ იმიჯის შეცვლა. საერთოდ, ფორმა ყოველთვის გარკვეული შინაარსის მატარებელია და რაღაცას ამბობს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან იცვლება შინაარსი და ხდება ამ სამსახურის დახვეწა, გაუმჯობესება, ფორმაც პროცესის ნაწილია და, ბუნებრივია, ჩნდება მისი შეცვლის საჭიროებაც.

**— და რას ამბობდა ის ფორმა, რომელიც აქამდე ეცვათ მანდატურებს?**

— ის ფორმა რას ამბობდა, ამის თქმა ძნელია, მაგრამ რასთან ასოცირდებოდა, ამაზე საუბარი ნამდვილად შეგვიძლია. **ის ფორმა ასოცირდებოდა რაღაც სადაზვერვო საქმიანობასთან სკოლებში, რომელთაც ახორციელებდა განათლების სამინისტრო ამ სამსახურის მეშვეობით. ახლა ამ სტრუქტურის შინაარსი არსობრივად შეიცვალა, იგი რეალურად ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და დაცულობის გარანტი.** შესაბამისად, არა მგონია, რომ საჭირო იყოს მანდატურებს იგივე ფორმა ეცვეთ და ბუნებრივია, პროცესში ჩვენ გვინდა იმ მთავარი სუბიექტების ჩართვა, რომლებიც არიან სწორედ ამ პროცესის სუბიექტები. მხედველობაში მყავს ბავშვები, მოსწავლეები. მათ განსაზღვრონ, როგორი უნდა იყოს მათი მეგობარი, მათი უსაფრთხოების დამცველი მანდატურის ჩაცმულობა.

**— წინა ხელისუფლების დროს არაერთი პედაგოგი თუ პროფესორ-მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვეს და მათი უმეტესობა ამ ყველაფერს საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებდა. ცნობილია, რომ განათლების სამინისტროში ყოველდღე უამრავი წერილი შედის სამსახურიდან სწორედ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანებისგან. როგორ რეაგირებს ამაზე თქვენი უწყება?**

— პირველი, რაც გავაკეთეთ, ის იყოს, რომ გამოვაცხადეთ პოლიტიკური შერიგებისა და ამ პროცესის საზოგადოების რესურსის მეშვეობით ამოვსების სამკვირიანი პერიოდი. ეს პერიოდი მთავრდება 23 ნოემბერს და იმედი მაქვს, რომ იმ დროისთვის ყველა პრობლემა ამოწურული იქნება. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება ამოწურული, ჩვენ შევქმნით კომისიას, რომელიც განიხილავს ამ შემთხვევებს.

**— ამ ზაფხულს პედაგოგებმა სასერთიფიკაციო ტესტირება გაიარეს, ვინც წარმატებით ჩააბარა გამოცდები, სახელფასო დანამატის სახით, 75 ლარი უნდა აელო ყოველთვიურად, მაგრამ მათ ეს დანამატი დღემდე არ მიუღიათ. რას იტყვით ამაზე?**

— მე ვიცი, რომ იყო პრობლემები და ჯერ კიდევ ვსწავლობთ ამ საკითხს. რამდენადაც ინფორმირებული ვარ, პრობლემები უკავშირდებოდა სიებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, ჩვენი შექმნილი არაა, ის წინა ხელისუფლებისგან გვერგო. ფულს, რასაკვირველია, გავცემთ, მაგრამ ჯერ სიების დადგენა მიმდინარეობს და ახლა მთავარი სწორედ ესაა.

**— სკოლებში რუსული ენის საათები მინიმუმამდეა დაყვანილი. დღეს, როცა ახალი ხელისუფლება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილავს, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ამ მიდგომის გადახედვა?**

— ეს არის სკოლის საწარმოო პოლიტიკა — რომელი იქნება მეორე ენა და საერთოდ, რა ენები იქნება სასწავლო პროგრამაში. მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ, **მიუხედავად რუსულის მიმართ უდიდესი პატივისცემისა, ერთადერთი ენა, რომლის დაფინანსებასაც ჩვენ ქართველი გადამხდელის ფულით ვახერხებთ, არის ინგლისური, იმდენად, რამდენადაც ესაა გლობალიზაციის ენა; მაგრამ, ბუნებრივია, რუსულიც უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის.**

**— გასაგებია, რომ სკოლა ავტონომიური უფლებებით სარგებლობს, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს, თავის მხრივ, განათლების სამინისტროც აქტიურად მონაწილეობდა რუსული ენის საწინააღმდეგო კამპანიაში.**

— განათლების სამინისტრო კი არა, ეს ყველაფერი იყო პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ აღებული კურსი. საერთოდ, ძალიან სასაცილო ბრძოლა მიმდინარეობდა რუსული კულტურის წინააღმდეგ, იმის მაგივრად, რომ კვალიფიციურად დაპირისპირებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს და არა რუსულ კულტურას. უბრალოდ, სასაცილოა ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი მიდგომა, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვანაირად მათ არ შეეძლოთ...

**— დავუბრუნდეთ სწავლის დაფინანსების თემას: ერთი საკითხია, რომ ეს ყველაფერი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით კეთდება, მეორე — სისტემურად რას აკეთებთ ამისთვის, რა ცვლილებები ხორციელდება?**

— მინდა გითხრათ, რომ ნორმალურ ქვეყანაში და არა ისეთ სახელმწიფოში, რომლიდანაც ჩვენ მოვდივართ, განათლების სამინისტროს ბევრად ნაკლები ფუნქციები და შესაძლებლობები აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ, თქვენ როცა აუდიტორიაში შეხვალთ, უკეთესი ლექცია წაგიკითხონ ან უფრო საინტერესო დისკუსია გაიმართოს ენათმეცნიერების საკითხებზე. ლიმიტირებული რესურსებია და ამ რესურსებთან დაკავშირებით გამოსაყოფია შემდეგი: **პირველი. ესაა დაფინანსება, რომლის მიმართულებითაც ნათლად გაჩვენებთ, რომ ჩვენ ორჯერ უფრო მეტ ფულს ვდებთ; მეორე. სისტემის შიგნით იმ ძირითადი ღირებულებების დაცვა, რომლებიც ევროპული ღირებულებებია და რომელთა ნაწილიც ჩვენ ვართ.** კონკრეტულად აქ საუბარია ბოლონიის პროცესის ძირითად ღირებულებებზე, რომლებიც, უწინარესად, გულისხმობს აკადემიურ თავისუფლებას როგორც უმაღლესების, ისე უმაღლესებში მომუშავე პერსონალის — პროფესურის, ლექტორებისა და სტუდენტების. ამ ორი ბერკეტის თვალსაზრისით, პირველი: ნათლად გამოვხატეთ ჩვენი ნება ბიუჯეტის ნაწილში და მეორე: უკვე გვაქვს რეფორმირების კომისიის ის დოკუმენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი გია დვალი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მასში საინტერესოდაა გააზრებული ის ძირითადი, ასე ვთქვათ, ამოსავალი პრინციპები, რომელზეც დგას ევროპული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემა. **ჩვენ დავიწყებთ ამ დოკუმენტის განხილვას ქართულ საზოგადოებასთან, არა მარტო იმ ხალხთან, რომლებიც არიან უნივერსიტეტში, არამედ ზოგადად ქართული სამეცნიერო სივრცესთან, ვინაიდან ეს სამეცნიერო ორგანიზმი, სამწუხაროდ, პოლიტიკური ნიშნით იხლიჩებოდა წლების განმავლობაში.** ასე რომ, ამ დისკუსიის შედეგად გვინდა მივაღწიოთ იმ გარკვეული პრობლემებისა თუ დაპირისპირების გამთლიანებას, რომელიც წინა ხელისუფლებამ და იმის წინა ხელისუფლებამ შექმნეს. მთავარია, რომ ამ დისკუსიებში ჩაერთვება ყველა და ამ დოკუმენტის შედეგად მოხდება სისტემური ცვლილებების, კანონების შემუშავება უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში.

**— იმ ოდენობის გადასახადის გადახდაც, რომელიც წინა ხელისუფლებამ დააწესა (2250 ლარი), სტუდენტებს ძალიან უჭირდათ და არაერთი საჩივარი, გნებავთ, აქციაც გვინახავს ამის გამო. რამდენად ადეკვატური იყო 2250 ლარი სწავლის ხარისხთან?**

— ამის თქმა ძნელია ჩემთვის, ამიტომ მოდით, უფრო გლობალურად გიპასუხებთ: **საქართველოში დღეს იმაზე მეტი სტუდენტია, ვიდრე საბჭოთა კავშირის თუნდაც ბოლო ეტაპზე იყო.** აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ბევრად მეტია საჭირო, ვიდრე ფული საგანმანათლებლო სივრცეში მიმართული იყოს. **იმისთვის, რომ სტუდენტს ხარისხიანი განათლება მისცეს უმაღლესმა, პროფესორს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს.** გარდა ამისა, მას უნდა მიეცეს ახალი კურსის შემუშავების შესაძლებლობა, უნდა დაფინანსდეს მისი კვლევა, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; უნდა დაფინანსდეს, ასევე, რიგ შემთხვევებში, ამ ადამიანის შვებულებაც ერთი წლის განმავლობაში და ა.შ. ამ მიმართულებით, ის ფული, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ხარჯავს უმაღლეს განათლებაზე, არის ერთმნიშვნელოვნად ცოტა, მაგრამ ისაა შესაბამისობაში ჩვენს ეკონომიკასთან. **ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც აქვს ლიმიტირებული რესურსები და ამ ლიმიტირებულ რესურსებში, ბუნებრივია, ვერ ვქმნით ძალიან მაღალხარისხიან განათლებას. ასეთ ვითარებაში ჩვენი სტრატეგიული მიზანი რა შეიძლება იყოს: როგორც კი ეკონომიკა დაიწყებს გაუმჯობესებას და როგორც კი შესაბამისად ბიუჯეტიც დაიწყებს უფრო ინტენსიურ შევსებას, კიდევ უფრო მეტი ფული მივმართოთ განათლების სექტორზე.**

ის, რომ არსებობს ბევრი უკმაყოფილო ადამიანი, რომელიც უფასოდ ვერ იღებს განათლებას, ბუნებრივია და ძალიან კარგია, რომ მსგავსი უკმაყოფილება არსებობს. ეს ჩვენ გვიჩვენებს იმას, რომ ბევრს უნდა სწავლა, ეს უკვე დადებითის ნიშანია, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, კარგია, როცა, მაგალითად, ასი ათას ადამიანს უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება, მაგრამ ცუდია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკა ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ამას. ჩვენი მიზანია, გავაგრძელოთ ის, რაც გავაკეთეთ, — სამი კვირის განმავლობაში გამოვძებნეთ 10 მილიონი. ვიმეორებ, ის, რომ უკმაყოფილო ადამიანები იარსებებენ, ეს არ არის პრობლემა, სწორედ ამ უკმაყოფილო ადამიანების უკმაყოფილების შედეგად ვითარდება განათლების სისტემაც და სახელმწიფოც.

**— წლების მანძილზე უამრავ კითხვას აჩენდა სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამული მხარეც, ხარისხიც და ფასიც. თუ შეხვდით ან თუ აპირებთ მათ გამომცემლებთან შეხვედრას?**

— ჯერ გამომცემლებს არ შევხვედები, იმიტომ, რომ ეს არის კონკრეტული კომერციული შინაარსის მატარებელი შეხვედრა და, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამთ, საკითხი უნდა მქონდეს დეტალურად შესწავლილი. ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს იყო სფერო, სადაც შეიძლება ხდებოდა გარკვეული გარიგებები, არსებობს და გახსოვთ, რამდენიმე სკანდალიც კი ვნახეთ ტელევიზიით, მაგრამ მე ამ ყველაფერს არ ვუყურებ პროკურატურის კუთხიდან... სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით არსებობს რესურსი, — მიღებულია კანონი, რომლის თანახმადაც, ხუთი წელიწადი სტაბილურად უნდა იყოს ეს სახელმძღვანელოები. რასაკვირველია, არის ამ კანონში ლოგიკა, ამიტომ ძალიან ფრთხილად ვიწყებთ გადასინჯვის პროცესს; მაგრამ **ერთი რამ, რაც განხილვის გარეთაა და აბსოლუტურად ნათელია ჩემთვის, ისაა, რომ სახელმძღვანელოებზე ფასი უნდა დავაგდოთ. ამას ალტერნატივა არ აქვს, იმიტომ, რომ ნებისმიერი ოჯახისთვის სექტემბერი არის ეკონომიკური კატასტროფის დრო, როცა სახელმძღვანელოები უნდა შეიძინონ;** შესაბამისად, როდესაც მესმის საუბარი კორუფციის ან შესაძლო კორუფციის შესახებ, ჩემთვის გარკვეულწილად საინტერესოა, უწინარესად, იმ თვალსაზრისით, რომ ეს მე მაძლევს პოტენციალს, ამ კორუფციის მოსპობის შედეგად ფასის დაგდებაზე ვიფიქრო. ესაა ის ძირითადი სქემები, რომლებზეც ამჟამად ვმუშაობთ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2007 წლის ნოემბრის შემდეგ მმართველი დაჯგუფება და სააკაშვილი მოქმედებდნენ მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებისთვის; სრულიად უკონტროლოდ ხარჯავდნენ ვეებერთელა დახმარებებს, მათ შორის იმას, რაც საქართველომ აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო“.**



# პეტრე მამრაძე: სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, უგულავას იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ

„ვარდების რევოლუციიდან“ 9 წელი სრულდება. დიდი იმედები გაცილებით დიდი გაცრუებით შეიცვალა. „მშვიდობიანად მოვედით და მშვიდობიანად წავედით“, – თავს იწონებს „ნაცმოძაობა“, მაგრამ ეს ასეც უნდა ხდებოდეს, დასაკვეხნი არაფერია. ისტორიამ პარალელების გავლება იცის... როგორ განვითარდა მოვლენები 23 ნოემბერს სააკაშვილის მიერ ჯერ ხელუხლებელ საქართველოში და რა შეიცვალა ქვეყანაში მისი მოსვლის და წასვლის შემდეგ — ამ თემებზე მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე პეტრე მამრაძე გვესაუბრება.









## «ამერიკელი სენატორები სააკაშვილთან შევიდნენ დიპლომატიური ცოცხებითა და ხელკეტებით შეიარაღებულნი და იმ კაბინეტიდან ისმოდა მისი კვნესა, — ნუ მცემთ, ბიძიებო!»

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც რომელსაც 80 პროცენტზე მეტმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი, რამდენად გაამართლა ამ ადამიანების ნდობა?**

— სრულიად ობიექტურად მინდა ვთქვა, რომ **2007 წლის 7 ნოემბრამდე ძალიან ბევრი საჭირო რეფორმა გატარდა საქართველოში. ისტორიული იყო ძირეული რეფორმები, რომლებიც ჩატარდა მთლიანად სახელმწიფო სამსახურში, უპირველესად, პოლიციაში, არმიაში და სხვაგან. ეს წარმატებები მთელმა მსოფლიომ ადექვატურად დააფასა.** ბალტიისპირელმა მეგობრებმა, რომლებიც ევროგაერთიანების წევრები არიან, რამდენიმე წლის წინ მითხრეს, რომ მათთან ისე კარგად არ მუშაობდა საპატრულო პოლიცია, როგორც ჩვენთან. არ მინდა ეს ისე იქნეს გაგებული, რომ 2007 წლამდე ყველაფერი კარგად იყო და მერე შეიცვალა სიტუაცია. მმართველმა დაჯგუფებამ სწორედ ამ წლებში დაუშვა მძიმე შეცდომები. თავი წამოსწია ელიტურმა კორუფციამ. **7 ნოემბრამდე მთელმა საქართველომ იხილა, როგორი ვილები წამოჭიმეს სააკაშვილმა და ბიძამისმა — თემურ ალასანიამ ჭოპორტში, იმ ადგილას, სადაც თბილისისთვის სასმელი წყალი იფილტრება და მშენებლობა საერთოდ არ შეიძლება.** სხვა საქმეა, კიდევ საიდან ჰქონდა ეს სახსრები სააკაშვილს, პრეზიდენტი ხელფასით იმის ფუნდამენტსაც ვერ ჩაყრიდა. ხალხმა იცოდა, რომ შესანიშნავი რეფორმების პარალელურად კიდევ სხვა რაღაც კეთდებოდა და თანაც ძალიან ცუდი. ძლიერდება ავტორიტარიზმის საწყისები, შერჩევითი სამართალი, მასმედიის შევიწროება და ა. შ. მაგრამ **2007 წლის ნოემბრის შემდეგ მმართველი დაჯგუფება და სააკაშვილი მოქმედებდნენ მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებისთვის, სრულიად უკონტროლოდ ხარჯავდნენ ვეებერთელა დახმარებებს, მათ შორის იმას, რაც საქართველომ აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო.**

**— ვისი ბრალი იყო 2008 წლის აგვისტოში მომხდარი სამხედრო ინტერვენცია?**

— **2008 წელს სააკაშვილმა საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა. არასდროს მითქვამს, რომ მან ომი დაიწყო. რა ომის დამწყებია ადამიანი, რომელმაც გორში რაღაც დალანდა და გაიქცა. ეს სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა აღიარებულია მთელი მსოფლიოს მიერ. რუსეთს ლანგრით მიართვა საქართველოში ბაზების განთავსების, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის საშუალებები.** ამის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმი გადადის საერთოდ შეურაცხად მდგომარეობაში: ძალაუფლებისა და ძალაუფლების ტკბობის გარდა არაფერი აინტერესებთ. მთლიანად ჩერდება აუცილებელი მოდერნიზაცია, რომელიც თავის დროზე კარგად იყო დაწყებული და რეჟიმში უკვე სადისტური კომპონენტი მძლავრობს. **ყველამ იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში, ამის გამო ასი ათასობით ადამიანმა ხელი მოაწერა საპროცესო გარიგებას. ქონება მხოლოდ იმისთვის დათმეს, რომ წამება აეცილებათ.** გაიმართა ამაზრზენი პროცესები: გალელებს აბრალებდნენ უაზრო აფეთქებებს და ვიცით სიმართლე, რომ ჯერ კიდევ შარშანწინ მთელ მსოფლიოს შეატყობინეს, როგორ აწამეს, გაუპატიურების ჩათვლით, და როგორ მოაწერინეს ხელი იმაზე, რომ ვითომ რაღაცას აფეთქებდნენ. **ყველას გვახსოვს მერაბიშვილის მაძღარი ხმა, ტელეფონით რომ ეუბნება უტიაშვილს: „რა ქენით, შოთა, იხმარეთ ყველა ბოლოდან ეს რეპორტიორები?“**

**— ბაჩო ახალაიას დაკავების ფაქტს მინდა შევეხო. მას, ძირითადად, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. ძალიან ბევრი გაკვირვებულია ამ ბრალდებით მისი დაკავების გამო. მას ხშირად ასახელებდნენ, როგორც ადამიანთა წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების უშუალო მონაწილეს. რამდენად კანონზომიერია მისი დაკავება ამ ბრალდებით?**

— ეს არავის უნდა უკვირდეს. უმაღლესი თანამდებობის პირები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან, ყოველთვის ზრუნავენ, რომ ნივთმტკიცება არ დატოვონ. პრაქტიკულად შეუძლებელია ხოლმე თუნდაც საბუთზე ხელმოწერის მოძებნა, რომელიც არის დანაშაულის მტკიცებულება. ასევე, კადრებიც და ჩანაწერებიც კი არ მოიძებნება, მათ ხელშია ხელისუფლება, ამიტომ იღებენ და ანადგურებენ. რჩება მხოლოდ და მხოლოდ მოწმეების ჩვენება. ივანიშვილმა პირველ დღესვე თქვა, რომ დევნას ვერ შეუდგებოდა და მხოლოდ კანონის შესაბამისად იმოქმედებდა, მაგრამ, როდესაც მოქალაქეები შეიტანენ საჩივარს, ეს იქნება განხილული, შესწავლილი და საქმეს კომპეტენტური ორგანოების მიერ შესაბამისად მიეცემა მსვლელობა. ძალიან ბევრი ადამიანი იტყვის სიმართლეს. საკმარისი მტკიცებულების მოპოვება სასამართლოსთვის ადვილი არ არის. **ისეთი ვითარება იქმნება, რომ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ვერ ამტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში — მოკლე დროში. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ სულ რაღაც თვენახევარია გასული არჩევნების შემდეგ და სრულიად კანონიერად ციხეში იმყოფებიან ახალაია და კიდევ ათამდე დამნაშავე.**

**— ბატონო პეტრე, ანდერს ფოგ რასმუსენი და ფილიპ გორდონი ოფიციალურ დონეზე აკრიტიკებენ მოქმედ ხელისუფლებას. რა შუაშია შერჩევითი სამართალი? ამის გამო საზოგადოებაშიც გაჩნდა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, უკანონო მოსმენებით თავადაც სარგებლობდნენ...**

— ის, რაც მოხდა, არის ძალიან დასანანი და ამჟღავნებს იმ ორმაგ სტანდარტებს, რომლებიც, სამწუხაროდ, დასავლეთში არსებობს და ხშირად ვლინდება. **ყველამ იცოდა დასავლეთსა და ევროკავშირში, რომ არაფერი ვთქვათ ამ სტრუქტურებში შემავალი ქვეყნების პრეზიდენტებზე, ის, თუ რა ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს. შეგახსენებთ, რომ არამარტო ადამიანთა უფლებების ქართველი დამცველები, არამედ ევროპის საბჭოს ადამია-** ►

მსოფლიო

## ანგელა მერკელი: კონფლიქტზე სრული პასუხისმგებლობა «ჰამასს» ეკისრება



**გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ისრაელსა და ღაზას სექტორს შორის შექმნილ სიტუაციაში სრულ პასუხისმგებლობას ტერორისტულ დაჯგუფება „ჰამასს“ აკისრებს.** მერკელმა ასევე აღნიშნა, რომ სარაკეტო დარტყმების გამართლება, რომლებიც ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით განხორციელდა არ შეიძლება, ვინაიდან მათ მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლი გამოიწვია.

## BP მექსიკის ყურეში ავარიისთვის 4 მილიარდს გადაიხდის

**ბრიტანული ნავთობკომპანია BP 2010 წელს პლატფორმა Deepwater Horizon-ზე მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით აშშ-ის სისხლის სამართლის ისტორიაში უმსხვილესი ჯარიმის გადახდას დასთანხმდა.** თანხა 4 მილიარდ დოლარს შეადგენს და მას ხუთი წლის განმავლობაში გადაიხდიან. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების კომისიის და აშშ-ის ბირჟის (SEC) სარჩელების მიხედვით, BP სამი წლის განმავლობაში 525 მილიონ დოლარს გადაიხდის. ნავთობის კომპანიის პლატფორმაზე აფეთქება 2010 წლის 20 აპრილს მოხდა. მას 11 ადამიანი ემსხვერპლა. გაჩენილი ხანძრის შედეგად პლატფორმა ჩაიძირა, ხოლო ოკეანეში ნავთობი 85 დღის განმავლობაში იღვრებოდა. ეს ავარია აშშ-ის ისტორიაში უმსხვილესია.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ციხეში ახალაიას განადგურება ხელს აძლევს სააკაშვილს და მის თანამზრახველებს. მოიცილებენ მოწმეს, რომელსაც შეუძლია ძალიან ბევრი რამ თქვას პირადად სააკაშვილზე, მერაბიშვილზე, ადეიშვილზე, ხოლო ვინმემ რომ მოკლას, წამებულად შერაცხავენ“.



**«უკანონოდ მოპოვებული მასალა ხიზანიშვილს შეაქვს პრეზიდენტის რეზიდენციაში. ყველამ დასვას კითხვა: მერე ვის გადასცემდა იმ მასალებს და ვისგან გამოიტანდა ბრძანებებს ინტერნეტში და ტელევიზიაში განსათავსებლად?»**

**ჩვენის უფლებათა დამცველი ჰამერბერგი ანგარიშებში დეტალურად წერდა, რომ საქართველოში ხალხს აპატიმრებენ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, აწამებენ და აიძულებენ, აღიარონ ნებისმიერი აბსურდული ბრალდება.** წლიდან წლამდე ეს ქვეყნდებოდა. ასეთივე მწვავე იყო გაეროს სპეციალური წარმომადგენლის, მაია კიანის, დასკვნებიც, რომ სასამართლო არ არსებობს და არც უდანაშაულობის პრეზუმპცია. მწვავე იყო საფრანგეთის პრეზიდენტის და თუნდაც შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქცია. მაგრამ დავსვათ კითხვა: **სად იყო მაშინ ბატონი რასმუსენი ან სხვები, რომლებსაც საჯაროდ ერთხელაც არ გაუკრიტიკებიათ სააკაშვილი?** მათ საჯაროდ ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ აუხსნეს ძალიან მკაფიოდ.

მე კიდეც ვთქვი: ამერიკელი სენატორები სააკაშვილთან შევიდნენ დიპლომატიური ცოცხებითა და ხელკეტებით შეიარაღებულნი და იმ კაბინეტიდან ისმოდა მისი კვნესა, — ნუ მცემთ, ბიძიებო.

ხმა არ ამოუღიათ, როდესაც ივანიშვილის ბანკს ანადგურებდნენ, დააყაჩაღეს მანქანა, დააყადაღეს ანტენები, ახლა კი დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ, როცა კანონიერად საჯაროდ კეთდება ყველაფერი. არავის აქვს უფლება, შეაჩეროს დაზარალებული ადამიანი, რომელიც მიდის პროკურატურაში და დეტალურად ყვება ყველაფერს. დიდი როლი შეასრულა იმან, რომ სააკაშვილს უყურებდნენ, როგორც შეურაცხადს, უპასუხისმგებლო ადამიანს, რომელსაც შეუძლია გამოაცხადოს, რომ ირანის მოკავშირე ხდება. ამიტომაც უფრთხილდებოდნენ და საჯაროდ ბევრ რამეს არ ამბობდნენ, მაგრამ **კარგია, რომ ივანიშვილისგან სწორი პასუხები მიიღეს. მან ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი, ბრძნული პოზიცია დაიკავა, როცა თქვა, რომ დასავლეთის განცხადებაში შემაშფოთებელი არაფერია. ყველაფერი კანონის ფარგლებში კეთდება, თვითონაც ჩამოვიდნენ და დარწმუნდნენ ამაში.**

**— ბატონო პეტრე, შესაძლოა, დაკავებულთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს?**

— უპირველესად, მინდა აღვნიშნო:, დიდი ამბავი მოხდა, როდესაც ქართველმა ხალხმა ირწმუნა, რომ **საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი სწორედ ის კაცია, რომელსაც უნდა ენდო. მან ორ მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა საქართველოსთვის. ჩემთვის ყველაზე დიდი ქველმოქმედება არის ის, რომ პოლიტიკაში შედგა ფეხი. ჩვენ, ყველამ დიდი, საეტაპო გამარჯვება მოვიპოვეთ.** მართალია, სააკაშვილის სადისტური რეჟიმი მიმართავდა ყოველნაირ ძალადობას, მაგრამ ამით საკუთარ თავს ანგრევდა. მთავრობა ინტენსიურად მუშაობს, რომ საქართველო გამოვიდეს მძიმე ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან.

მსოფლიოში არის ავტორიტარული რეჟიმები, რომლებშიც ეკონომიკური ვითარება საკმაოდ კარგია და ამით იმაგრებენ ძალაუფლებას. სააკაშვილი და მისი თანამზრახველები კი არსებობდნენ საგარეო ვალის ხარჯზე. მზარდი ტემპით იღებდნენ ვალს და ერს 12-ნახევარი მილიარდი დოლარის საგარეო ვალი დაუტოვეს. ეს არის ვეებერთელა ციფრი. დაუტოვეს დანგრეული ეკონომიკა და, უპირველესად, სოფლის მეურნეობა. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში 80 პროცენტი საკვები პროდუქტებისა, რომელთაც საქართველო მოიხმარდა, არის შემოტანილი. **ნაცვლად უდიდესი შემოსავლისა, რომელიც სოფლის მეურნეობიდან უნდა მიეღო, ქვეყანა იძულებულია, შემოიტანოს ის, რასაც უნდა აწარმოებდეს და გაჰქონდეს. ეს დიდი დანაშაულია და ჩაიდინეს იმიტომ, რომ ჯიბეში იდებდნენ იმპორტით შემოტანილ მოგებას.** არავის ვაშინებ, მაგრამ ამის გამოსწორება ორ-სამ თვეში ვერ მოხდება. მიმდინარეობს მუშაობა ტარიფებზე, მონოპოლიების დაშლაზე და ა. შ. ამას უნდა დრო, მაღალი პოლიტიკა, მუხლჩაუხრელი შრომა და მთელი საზოგადოების მონაწილეობა.

**ყველაზე მნიშვნელოვანი არის სურმავას ფაქტი. უკანონოდ მოპოვებული მასალა ხიზანიშვილს შეაქვს პრეზიდენტის რეზიდენციაში. ყველამ დასვას კითხვა: მერე ვის გადასცემდა იმ მასალებს და ვისგან გამოიტანდა ბრძანებებს ინტერნეტში და ტელევიზიაში განსათავსებლად?** ეს ნამდვილად არ იქნებოდა ადმინისტრაციის დაბალჩინოსანი. ამ სისტემას ხუთი თითივით ვიცნობ. **პირდაპირ გეტყვით: პრეზიდენტის პირადი გადაწყვეტილების გარეშე ეს არ იქნებოდა.**

ამ ჯაჭვის მიყოლა აუცილებელია. ვეთანხმები ჯონდი ბაღათურიას, **ციხეში ახალაიას განადგურება ხელს აძლევს სააკაშვილს და მის თანამზრახველებს. მოიცილებენ მოწმეს, რომელსაც შეუძლია ძალიან ბევრი რამე თქვას პირადად სააკაშვილზე, მერაბიშვილზე, ადეიშვილზე, ხოლო ვინმემ რომ მოკლას, წამებულად შერაცხავენ.** წიკლაურმა ხომ თქვა, ცოტნე დადიანის შემდეგ ეგ არის გმირიო. ძალიან კარგი, რომ ისეთ პირობებში ჰყავთ, რომ დაცულია. ინფორმაცია მაქვს, რომ გიგი უგულავა პირდაპირ იყო ჩარეული დიდი ოდენობის სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაში, გაფლანგვასა და მითვისებაში. ეს აგებულია იმ ფაქტებზე, რომელსაც მე ვაკვირდებოდი და რაც მითხრეს. ბიზნესმენებმა იციან, რომ **მერიაში ტენდერი კი არ ტარდებოდა, წინასწარ წყდებოდა და მერე უბრალოდ უნდა შეეტანათ ფული.**

პარლამენტიც თავიდან ბოლომდე დანაშაულებრივად არის აგებული: პრეზიდენტი თვალს დაადგამდა, ტერიტორიას, ბრძანებდა, დაენგრიათ და აეშენებინათ რაღაც. მშენებლობების დიდი ნაწილი, რომელსაც ძველი თბილისის დიდი ნაწილი შეეწირა, არის სრულიად უკანონო. ქვეყანაში, სადაც ერთი კილოგრამი ნიგვზისა და სამი საზურავის მოპარვისთვის (პირადად ვიცი ეს შემთვევა) ადამიანს 18 წელი აქვს მისჯილი, მე ვსვამ კითხვას: ასობით მილიონი დოლარის მითვისებასა და გაფლანგვისთვის რამდენი წელი უნდა მიესაჯათ? **სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, უგულავასა და სხვებს იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ.**

**— უმცირესობის ლიდერები მთავრობას ხშირად ადარებენ საბჭოთა რეჟიმს, „კაგებეს“ ხელწერას და ა. შ. უკანასკნელი წლების შემდეგ მათ რამდენად აქვთ ამის მორალური უფლება?**

— მათ ხალხში გამოჩენის ზნეობრივი უფლებაც კი არ აქვთ, არათუ რაიმეს თქმა. მე ვიყავი ბოლო მოწვევის პარლამენტის წევრი და შემიძლია ვთქვა: ვინც არიან წინა და ახალი პარლამენტის წევრები, ბაქრაძით დაწყებული, რომლებსაც კაენიუსმა სააკაშვილის კლოუნების თეატრის წევრები უწოდა, მათ ჩაიდინეს დანაშაული. დიდი დანაშაულია პარლამენტარის მიერ ფიცის გატეხვა. **პარლამენტარი ფიცს დებს, რომ ემსახურება ქართველი ხალხის ინტერესებს. ესენი კი ემსახურებოდნენ პირადად სააკაშვილს და მის რეჟიმს, ტყუილს, სიძულვილს და ძალადობას და თავად თესავდნენ ამას.** დღეს ეს ადამიანები გამოდიან დიდაქტიკური აპლომბით და ერს მოძღვრავენ. ამაში არის დადებითი – ხალხში მხოლოდ ზიზღს აღვივებენ. ერთი ექსპერტის ენით რომ ვთქვათ, „ბილწი ჯერ კიდევ ტოკავს“. მაგრამ ამასაც უნდა გავუძლოთ, კონსტიტუციით უნდა წარიმართოს ყველაფერი. უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი ხალხი არასოდეს არათუ ხმას არ მისცემს მსგავს ადამიანებს, არამედ მოითხოვს მათ სამართლიან დასჯას და მიაღწევს კიდეც ამას.

**— ახალმა მთავრობამ აირჩია ევროსტრუქტურებისკენ სწრაფვა. თქვენი აზრით, ამ ფონზე რამდენად არის შესაძლებელი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა (დასავლეთის წამყვან პოლიტოლოგებს ვციტირებ) თავის უგუნურ კონტრპროდუქტიულ მოქმედებას გადააყოლეს ქვეყნის ინტერესები. ერთმა დასავლელმა პოლიტოლოგმა შეადარა: **სააკაშვილმა მეტი განცხადება გააკეთა ნატოსთან დაკავშირებით, ვიდრე ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის ლიდერმა წლების განმავლობაშიო.** სააკაშვილი ბევრს ყვიროდა, ნატოში შევდივარო, ის ადამიანები კი სულ არ ამბობდნენ ამას და ისე შევიდნენ. ყველაფერს აკეთებდა, რომ გაეღიზიანებინა რუსეთი. მე მჭიდრო კავშირი მქონდა დასავლეთის დიპლომატებთან. ისინი ყოველთვის გვეუბნებოდნენ: თქვენ რა გინდათ — ნატოში გაწევრიანება თუ ყვირილი ამ გაწევრიანებაზე? ყვირილი თუ გინდათ, ნატოში ვერ შეხვალთ. ეტყობა, თქვენს პრეზიდენტს ურჩევნია ყვირილი და არა გაწევრიანება. **მკითხველს მინდა შევთავაზო ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, პროფესორ ლინკოლნ მიტჩელის ერთ-ერთი ბოლო წერილი „ვინ აკეთებს რუსულ საქმეს საქართველოში“, რომელშიც ასაბუთებს, რომ ამას აკეთებს სააკაშვილი და მისი გუნდი და რომ ამას პუტინის აგენტიც კი ვერ გააკეთებდა სააკაშვილზე უკეთესად.**

უოლტერ რასელ მიდი, რომელიც შეერთებულ შტატებში საგარეო ურთიერთობებში წამყვანი ექსპერტია, წერს, რომ **საქართველოს ყველაზე საშინელი მტერი ვერ გაუკეთებდა იმას, რაც გააკეთა სააკაშვილმა, და ნატოში საქართველოს არასოდეს მიიღებენ, სანამ მთავრობის მიმართ ნდობა არ აღდგება.**

უკვე დაწყებულია კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაზე მოლაპარაკებები და ნურავინ ელის, რომ ერთ-ორ კვირაში გაკეთდება ყველაფერი. ყველას ესმის, რომ ნგრევა ადვილია და სწრაფი, შენებაა ხანგრძლივი. **დროა საჭირო, ჩვენ მიმართ აფხაზებისა და ოსების ნდობის აღდგენა მოხდება რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების კვალდაკვალ.** ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას პირობად უყენებდნენ სააკაშვილს და ნებისმიერ მთავრობას. სასაცილოა, როდესაც ამბობენ: დასავლეთი თუ რუსეთი. შარშან ჩამოსულმა სარკოზიმ, გახსოვთ, რა თქვა? – ყველას უნდა გვესმოდეთ რუსეთი ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია. იმის პასუხად თქვა, როცა სააკაშვილი ყვიროდა, რომ რუსეთი ოკუპანტია.

**— ოკუპაციის მუზეუმზე რა აზრის ხართ?**

— უნდა არსებობდეს ტოტალიტარიზმის მუზეუმი. მას უნდა დაემატოს სააკაშვილის მმართველობის დროს ჩადენილი დანაშაულის ამსახველი მასალები. ეს კარგი იქნებოდა, ამგრამ როცა რაღაც კეთდება ერთადერთი მიზნით: ეგებ გავაღიზიანო, ეგებ შეურაცხვყო რუსეთი და ამით ვირაცას გული მოვფხანო — ეს არის მხოლოდ კონტრპროდუქტიული.

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

**«დროა საჭირო, ჩვენ მიმართ აფხაზებისა და ოსების ნდობის აღდგენა მოხდება რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების კვალდაკვალ»**

მსოფლიო



## ავიგდორ ლიბერმანი: თუ ღაზაში შევედით, ბოლომდე უნდა მივიდეთ

**ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი აცხადებს, რომ ოპერაცია „ღრუბლიანი ძელის“ მიზანი ისრაელის სამხრეთ ნაწილში მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარება, ისრაელის შემაკავებელი ძალის აღდგენა და ღაზაში არსებული შორეული რადიუსის სარაკეტო არსენალის განადგურებაა.** „ეს სრულმასშტაბიანი ომი არ არის, არამედ ეს არის ოპერაცია, რომელსაც გარკვეული მიზანი აქვს. ჩვენ ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაციისათვის მზად ვართ და, თუ მისი საჭიროება გაჩნდება, უნდა გვესმოდეს, რომ, თუ ჩვენ ღაზაში შევედით, ბოლომდე უნდა მივიდეთ და შუა გზაში არ უნდა გავჩერდეთ“, — განაცხადა ლიბერმანმა.



საქართველო და მსოფლიო
პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების პრობლემის მოსაგვარებლად გადამწყვეტი, ჩემი აზრით, არის პოლიტიკური ნება.**



**ავთანდილ არაბული:**

# ეროვნულობის ერთადერთი განმსაზღვრელი არის ენა!

**ამ დღეებმა კიდევ ერთ ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნა: თურმე შესაძლებელი ყოფილა დახვეწილი ქართულით საუბარი სისხლის სამართლებრივ უმწვავეს საქმეებზეც კი. არჩილ კბილაშვილმა, ქვეყნის მთავარმა პროკურორმა, გაახსენა ჩვენს საზოგადოებრიობას, რომ არა მარტო სამართალს აქვს წესები და კანონები, არამედ ქართულ ენასაც.**
**კბილაშვილის მიერ რომელიღაც მუხლის „ა“ პუნქტის დასახელებისას თქმულმა „ანმა“ ყბა ჩამოუგდო ობივატელს: — ააა...**
**ქართული ენის დაცვის, ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე გვექნება დღეს საუბარი საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ავთანდილ არაბულთან.**



— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერის გაჩენის შემდეგ დაიწყო ადამიანმა თვითშეცნობა, მანამდე ის მაინც ინსტინქტების დონეზე ცხოვრობდა, — **ასე იწყებს საუბარს ბატონი ავთანდილი და განაგრძობს,** — ერი არის ისტორიის სუბიექტი. პიროვნება არის ფიზიოლოგიური სუბიექტი. მისი არსებობა დროში დასაზღვრულია. კაცობრიობამ იპოვა სუბიექტი, რომელიც მარადიულია, უკვდავი არ არის, რადგან ისიც ცოცხალია, მაგრამ ბევრად აღემატება ერთი ფიზიოლოგიური სუბიექტის არსებობას, სიცოცხლე გაერთიანდა ერში, ამის გამოხატულება კი არის ენა.

როცა საქართველოს ძნელბედობის ჟამი დასდგომია, ენა გამოსულა წინა პლანზე, როგორც ერის გამაერთიანებელი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ამ „საერთო სიცოცხლეს“ განსაკუთრებით გაესმის ხაზი.

**— ეს ფუნქცია ენას დღესაც აქვს შესასრულებელი?**

— დიახ, რადგან დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში, რომელშიც ფაქტობრივ აღარაფერია ავტონომიური, არც ტერიტორია — საზღვრები პირობითი გახდა, ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკად ტრანსფორმირდა, გაჭირდა კულტურის შენარჩუნება, ეროვნულობის ერთადერთი განმსაზღვრელი და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობისაც არის ენა.

სახელმწიფო ენა უფრო ზეკატეგორიაა — მის საფუძველზე იწყება ხალხების გაერთიანება, რომლებიც უერთდებიან ლიდერი ერის ენობრივ-კულტურულ ერთობას.

დღეს ჩვენი მცირერიცხოვანი ერი, ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარებადია. ჩვენ და ჩვენს სახელმწიფოს განსაკუთრებით გვმართებს, ვიზრუნოთ იდენტობის ერთადერთი ნიშნის, სახელმწიფო ენის, შესანარჩუნებლად, რადგან სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტი არის სახელმწიფო ენა.

**— სახელმწიფო ენა ქართული და არა ინგლისური (როგორც ზოგიერთი „წინწასული“ ვაიმოღვაწე ორიოდ წლის წინათ გვიწინასწარმეტყველებდა). პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ქართულად გამოსვლა ბრიუსელში ვიზიტის დროს, სააკაშვილის ინგლისურით კეკლუცობისგან განსხვავებით, იმედის მომცემია უკვე.**

— კი, სასიკეთო ნიშანია: როცა პირველი პირი სახელმწიფო ენის მიმართ საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამოკიდებულებას ამგვარად გამოხატავს, ეს ენისადმი სახელმწიფო პოლიტიკის მაჩვენებელია.

მახსენდება ასეთი შემთხვევა: როცა საფრანგეთის ერთ-ერთი მინისტრი გაეროში ინგლისურ ენაზე გამოვიდა, ამ ქვეყნის დელეგაციის წევრებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომის დარბაზი. სკანდალი იყო.

ჩვენ შევეგუეთ საქართველოს პრეზიდენტისა და სხვა პოლიტიკოსების ინგლისურენოვან გამოსვლებს გაეროს ასამბლეის სხდომებზე და სხვაგან. როცა ასეთი მაღალი ტრიბუნიდან შეგიძლია შენი მშობლიური ენით იმეტყველო და ამითაც დაუმკვიდრო საქართველოს ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში, მაგრამ ამას არ იქმ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ საქართველო კი არ გიყვარს, არამედ შენი თავი გიყვარს საქართველოში, და, რა თქმა უნდა, კეკლუცობ...

ის, რისი მოწმენიც გავხდით ამ დღეებში ბრიუსელიდან გადმოცემული რეპორტაჟების მეშვეობით, მოწმობს, რომ სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება სრულიად ახალ კალაპოტში გადაინაცვლებს.

**— თქვენი ინსტიტუტი ამ ენის სადარაჯოზე დგას. თქვენს მეცნიერულ კოლექტივს ყოფილი ხელისუფლების მიერ „რეფორმირებულ“ გარემოში უთუოდ დაუგროვდა პრობლემები.**

— იმ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, რომელიც საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სფეროში განხორციელდა, ფაქტობრივად, დასრულდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არსებობა. 2006 წელს აკადემიის სისტემა დაიშალა, ინსტიტუტები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, დაექვემდებარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. 2010 წლიდან დაიწყო და შარშან ჩვენი ინსტიტუტით დასრულდა უნივერსიტეტებთან მათი მიერთების დამანგრეველი პროცესი.

**«ის, რისი მოწმენიც გავხდით ამ დღეებში ბრიუსელიდან გადმოცემული რეპორტაჟების მეშვეობით, მოწმობს, რომ სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება სრულიად ახალ კალაპოტში გადაინაცვლებს»**

ამ ინსტიტუტებს მთლიანად ჩამოერთვა დადგენილი სტატუსი და ლაბორატორიების დონემდე ჩამოქვეითდა. ეს კი მოასწავებდა მათ ფაქტობრივ გაუქმებას. ეს ერთი. მეორე მხრივ, **რახან აღარ არსებობს სამეცნიერო ხარისხი, სტიმული, ინტერესი, ახალგაზრდობა არ მოდის მეცნიერებაში და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების უმეტესობა, შეიძლება ითქვას, აღარ ფუნქციონირებს.** ზოგი, მოგეხსენებათ, ოფიციალურად გააუქმეს, მაგალითად, ისეთი დიდი სკოლები, როგორიცაა ფსიქოლოგიის სკოლა, ფილოსოფიის ინსტიტუტი, ხოლო ისეთი ინსტიტუტები, როგორიც ჩვენია, რეალურად გაუქმებულია. არადა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი არის ქვეყანაში დარჩენილი ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც სახელმწიფო ენის ბედი აბარია.

**— ესე იგი, პირველი პრობლემა, რომელიც გაწუხებთ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის სტატუსის აღდგენაა, კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტისთვის.**

— დიახ. მთავარი სტატუსია და არა შენობა, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს თვალი დაადგეს გასაყიდად. ინსტიტუტების ლიკვიდაცია შეიძლება სწორედ შენობებთან იყო დაკავშირებული. სტატუსის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია დაფინანსებასთან, იმ სამეცნიერო გეგმების განხორციელებასთან, რომლებიც დასახულია და გარკვეულ შედეგზეა გათვლილი.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ტერმინოლოგიაში.

უცხოური ტერმინოლოგიით გაიძეძგა ჩვენი სალიტერატურო ენა. სრულიად უკონტროლო მდგომარეობაა რეკლამებში, სახელწოდებებში, ფირნიშების წარწერებზე. საგანგაშო ვითარებაა. ენას ზოგადად არ ეშინია უცხოური სიტყვების. ქართული ენა ამის მაგალითია. უამრავი სიტყვაა შემოჭრილი ყველა იმ ენიდან, რომელთანაც კავშირი გვქონია: ბერძნულიდან, ლათინურიდან, სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, რუსულიდან... მაგრამ ამას ქართული ენის სახე არ შეუცვლია. ეს ბუნებრივი პროცესი იყო. მთავარია ძირეული ლექსიკისა და გრამატიკის სიმყარე, მაგრამ არსებობს კანონზომიერება: თუ გარკვეული პერიოდის მანძილზე დიდი რაოდენობით ხდება ლექსიკის ცვლა, ეს თვისობრივ ცვლილებაში გადადის. ენის თვისობრივი ცვლილება კი ძალიან საშიშია, რადგან მაშინ ენა კარგავს თავისთავადობას.

ცალკე სათქმელია, რომ დღემდე არარსებული ინტონაციით მეტყველებენ ჩვენი ჟურნალისტები, ექსპერტები, ანალიტიკოსები და ა.შ. — წამღერებით: თუ გსუურთ, მთელმა თბილისმაა და მისთ. ეს არ არის ქართული ინტონაცია და ასეთი მეტყველება იმდენად ძნელი აღსაქმელი ხდება, რომ ჩვენებურები ირანსა და თურქეთში ჩივიან, ტელევიზიითა და რადიოთი უწინ მოსმენილისგან განსხვავებით ასეთ ქართულს ვერ ვიგებთო. თუ შეიძლება, ცოტა ნელა ილაპარაკონო: ჩქარი ტემპიც არაქართულია.

**— არადა, ჩვენი ელექტრონული მედიის ჟურნალისტები ისე აჩქარებით მეტყველებენ, რომ გეშინია, ენა არ დაიზიანონ. ეტყობა, ეს „ბურატინო“ ლაპარაკი, როგორც ადრე იტყოდნენ, წახალისებულია.**

— სიჩქარეში ბგერები იყლაპება. ქართული სიტყვა რთულია, მრავალმარცვლიანი და გამოთქმაც შესაფერისი სჭირდება.

როცა უცხოური გავლენა ძლიერია, ენაში სიღრმისეული ცვლილებები ხდება და ამას აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოებრივი დაცვა შესაბამისი ინსტიტუციების მეშვეობით.

საგანგებო ინსტიტუცია 1941 წლიდან მუშაობდა ენის ნორმებზე, ერთის მხრივ, ტერმინოლოგიაზე და, მეორე მხრივ, წერისა და მეტყველების კულტურაზე იყო ორიენტირებული. აღნუსხავდა შეცდომებს, გამოსცემდა სამეცნიერო სტატიებს იმ ხარვეზების შესახებ, რითაც ბინძურდებოდა ენა. ამ კვლევების საფუძველზე მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო კომისიაში (1953 წლიდან არსებობდა) წარადგენდნენ შესაბამის მასალებს, წინადადებებს და კომისია ამტკიცებდა სახელმწიფო ენის ნორმებს.

**— მეორე პრობლემა, როგორც მივხვდი, სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის აღდგენაა.**

— ეს აუცილებელზე აუცილებელია. ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, რომელიც ნორმატიულია და, რასაც ვუყურებ, ამ ხნის მანძილზე, უამრავი ნორმა შეიცვალა; გამოვცემთ პატარა ლექსიკონებსაც — სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი და ა.შ. ამ გამოცემებში შეტანილია ყველა დღეს არსებული სიახლე, მაგრამ მათი დამკვიდრებისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო ინსტანცია, რომელსაც წარვუდგენთ ამ სიახლეებს, დამტკიცდება და ყველასთვის სავალდებულო გახდება.

მესამე საკითხი. პარლამენტში, სადაც, ფაქტობრივ, ყველა ძირითადი მიმართულების კომიტეტი არსებობს, ქართული ენის არც კომიტეტია, არც ქვეკომიტეტი და არც არაფერი. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უწინ არსებობდა ქვეკომიტეტი, რომელსაც ბოლოს მანანა გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა, ძალიან საინტერესო სხდომები ტარდებოდა.

პარლამენტში მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ენის საკითხების შესახებ მსჯელობა, მათ შორის, ენის კანონის შესახებაც. სამი ვარიანტი გაკეთდა სახელმწიფო ენის კანონის, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების გამო დამტკიცება ვერ მოხერხდა.

**სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების პრობლემის მოსაგვარებლად გადამწყვეტი, ჩემი აზრით, არის პოლიტიკური ნება.**

**— სამი პრობლემა ვთქვით. არის კიდევ რამე?**

— 90-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ახალი სამთავრობო სტრუქტურა — ენის სახელმწიფო პალატა. აუცილებლად უნდა არსებობდეს მიღებულ გადაწყვეტილებათა განმახორციელებელი სტრუქტურაც, განსაკუთრებით რეგიონებში ამ მიმართებით სამუშაოების განსახორციელებლად. ენის სახელმწიფო პალატას დიდხანს არ უარსებია, მაგრამ ძალიან სასარგებლო საქმეს დაადგა თავი. რაიონებში გაიხსნა ოფისები, დაინიშნენ კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც სახელმწიფო ენის პოლიტიკას ადგილებზე განახორციელებდნენ. ეს იყო ერთგვარი ცენტრები, რომლებშიც დაინტერესებული მოქალაქეები იღებდნენ საჭირო კონსულტაციას და ა. შ. ამასთან, ამ პალატამ ძალიან კარგი საქმე გააკეთა არაქართული რეგიონებისთვის ქართული ენის მასწავლებლების მომზადებისა და გადამზადების თვალსაზრისით. მისი ძალისხმევით ამ რაიონებში გაჩნდა ქართული ენის შესწავლის მოთხოვნა და ▶

„სამწუხაროდ, დღეისათვის არც ერთი ინსტიტუტი არამარტო არ ამზადებს მეფუტკრეობის სპეციალისტებს, არამედ საერთოდ ამ საგანში აღარც უკითხავენ ლექციებს! მეფუტკრეობის მიმართ სტუდენტთა უპატივცემულო დამოკიდებულებას საფუძველი ეყრება ინსტიტუტის კედლებშივე, არა მარტო კათედრის არარსებობის გამო, არამედ იმითაც, რომ ლექციებს არაპროფესიონალები უკითხავენ!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სწავლებაც მაღალ დონეზე წარიმართა.

**— არ იქნებოდა ცუდი, თუ აღადგენენ ენის სახელმწიფო პალატას?**

— დიახ. და კიდევ: თანამედროვე მსოფლიოში ენების ელექტრონულ ბანკებს ქმნიან, წყაროების ელექტრონულ ბაზებს, იმიტომ, რომ ახლა უკვე შეუძლებელია მოძველებული საბარათო სისტემით მუშაობა. ასეთი ბაზების შესაქმნელად ევროპულ და, ასევე, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში უზარმაზარი თანხები იხარჯება.

**— საქართველოში არის მსგავსი რამ?**

— ჩვენთან არ არის და სწორედ ამიტომ გავუსვი ხაზი ენისადმი სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას. ძალიან ოპერატიულად უნდა შეიქმნას ჩვენთან ასეთი ბაზები, რადგან თანამედროვე მცირერიცხოვანი ერების ენების ხსნა სწორედ ტექნიკური უზრუნველყოფით არის შესაძლებელი. ახლა უკვე შეიძლება ნებისმიერი ენიდან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით თარგმნა. ეს იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ადამიანმა არ თქვას უარი თავის მშობლიურ ენაზე და მაინც და მაინც უცხო ენების — ერთის, მეორის, მესამის შესწავლაში დაინახოს თვითდამკვიდრების ერთადერთი შანსი. უცხო ენების ცოდნა თავისთავად სიმდიდრეა, მაგრამ დღეს უცხო ენის ცოდნა უმთავრესად საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს. უნივერსიტეტის პროფესორი ჯულიეტა ღვამიჩავა მეუბნებოდა: ჩვენ ვასწავლიდით ენას კულტურასთან ზიარებისთვის. **ახლა საყველპურო, სალაპარაკო ენის სწავლებით კმაყოფილდებიან, საკომუნიკაციო ინგლისურით. ენების სწავლებამ პრაგმატული ხასიათი შეიძინა.**

ასე რომ, სახელმწიფო ენის სამსახურში უახლესი ტექნიკაც უნდა ჩავაყენოთ.

**— თქვენი ინსტიტუტი არის მზად ასეთი ელექტრონული ბაზების შესაქმნელად?**

— კი. მაგალითად, ახლა უკვე დავასრულეთ განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია. კეთდება ტერმინოლოგიური ბაზები, მუშავდება ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი-თესაურუსი, ბატონი თამაზ გამყრელიძის იდეა არის ეს. უკვე გვაქვს მილიონამდე ერთეული ამ ბაზაში და გარკვეული პროგრამული პროდუქტიც არის შექმნილი, მაგრამ საჭიროა რესურსები ამ ყველაფრის ბოლომდე მისაყვანად.

**— ესე იგი, დაფინანსება — კიდევ ერთი პრობლემა.**

— ეს პრობლემათა პრობლემაა, რადგან ყველა ლექსიკონი ახლიდანაა გასაკეთებელი. ჩვენი ლექსიკონები გამოცემულია მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში და შემდგომ პერიოდში, ენის მაშინდელი მდგომარეობა კი დღეს სრულიად შეცვლილია.

* * *

**ამ რუბრიკის ადრესატი და ჩვენი მკითხველებიც დაგვეთანხმებიან, რომ პრობლემები არის, თანაც საშური და მათი მოგვარება ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმეა.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



ვენერა სტეფანიშვილი:

# «ნაციონალებმა» ქართული მეფუტკრეობა დაასამარეს

**„ცოცხალი აფთიაქი“ — ასე შეარქვა ამ ღვთაებრივ მწერს, ფუტკარს, ხალხმა! მართლაც, ფუტკრის მიერ წარმოებული შვიდი სახის პროდუქტი: თაფლი, ცვილი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, ჭეო და შხამი თავისი ეკოლოგიური სისუფთავით შეუდარებელია ბუნებაში არსებულ ყველა საარსებო პროდუქციათა შორის, ასევე, გამოირჩევა უმაღლესი კვებითი ღირებულებითა და სამკურნალო თვისებებით. მეცხრამეტე საუკუნის დიდმა აღმოჩენებმა, რა თქმა უნდა, მხოლოდ გააძლიერა მთელ მსოფლიოში ფუტკრის მეცნიერული შესწავლა და, შედეგად, გამოავლინა ყველაზე პროდუქტიული, ყველაზე სასარგებლო ნიშანთვისებიანი ქართული ფუტკარი! მისი ღირსებებისთვის მეფუტკრეობის მსოფლიო კონგრესმა 1961, 1965 და 1971 წლებში ჩვენი ფუტკარი სამჯერ დააჯილდოვა ოქროს მედლით.**



**ავადხსენებული კომუნისტების მონობის დროს, როდესაც ადამიანის პირადი თავაშვებულობა, ბოდიში, პირადი თავისუფლება განიცდიდა არნახულ იდეოლოგიურ წნეხს, როდესაც ჩამოყალიბდა ფუნდამენტური სამეცნიერო სკოლები და მიმდინარეობდა მათი უხვად დაფინანსება, რაც, საბედნიეროდ, არ ასცდა მეფუტკრეობის დარგსაც, 1958 წელს ქართული ფუტკრის ჯიშის სიწმინდის შესანარჩუნებლად, საქართველოს ტერიტორია გამოცხადდა ნაკრძალად. რასისტი ქართველი კომუნისტები თითოეული მოქალაქისგან მკაცრად მოითხოვდნენ ჩვენს ტერიტორიაზე არ შემოეყვანათ უცხო ქვეყნების ფუტკრები, რითაც (და ამაში დაუფიქრებლადაც დამეთანხმებიან „ნაცმოძრაობა“ არასამთავრობოებითურთ) უხეშად არღვევდნენ ჩინური, აფრიკული, ფილიპინური, თურქული, ირანული და ღმერთმა უწყის, კიდევ რომელი წარმოშობის ფუტკრების დემოკრატიულ უფლებებს!..**

**რა დღეშია მეფუტკრეობა ამჟამად „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ საქართველოში?** საკითხის გასარკვევად მივმართე ამ **დარგში ყველაზე დიდ ავტორიტეტს, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიური ნაშრომის (სახელმძღვანელოს) „ფუტკრის ბიოლოგია და მოვლა-პატრონობა“ ავტორს — ვენერა სტეფანიშვილს.**

— მეფუტკრეობის განვითარებისთვის, — **მიყვება ქალბატონი ვენერა,** — 1959 წელს დაარსდა მეფუტკრეობის საცდელი სადგური. საქართველოს მინისტრთა საბჭომ ოქროყანაში, მის დაქვემდებარებაში არსებულ საავარაკო მიწის ნაკვეთიდან გამოგვიყო სოლიდური ფართობი, რომელზეც აშენდა მეფუტკრეობის საცდელი სადგურის შენობა, რომელიც შემდეგ ინსტიტუტად გადაკეთდა. მეფუტკრეობის საცდელი სადგური დააკომპლექტეს იმ დროისათვის საქართველოს ყველა რეგიონში მოძიებულ მეფუტკრეობაზე შეყვარებული ენთუზიასტებითა და პრაქტიკოსებით. შეიქმნა ექვსი სამეცნიერო განყოფილება: ფუტკრის მოვლა-მოშენების, დაავადებათა შესწავლისა და მათთან ბრძოლის, საკვები ბაზის, ბიოქიმიის, ეკონომიკისა და ინფორმაციისა. საცდელმა სადგურმა ექსპედიციური ხასიათის შემოწმებით შეისწავლა რეგიონების მიხედვით გავრცელებული ფუტკრები და გამოავლინა გურული, მეგრული, იმერული, ქართლური და კახური პოპულაციები, რომლებიც, ექსტერიერული, ინტერიერული და პროდუქტიული მონაცემებით, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდა. ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული პირობების ზემოქმედებით, ხორთუმის სიგრძით გამოირჩეოდა მეგრული და გურული ნაირსახეობები, ამიტომაც **ქართულმა ფუტკარმა თავისი სასარგებლო ნიშან-თვისებებით — ხორთუმის სიგრძე, მაღალპროდუქტიულობა, თვინიერება, შრომისმოყვარეობა და მცირე წვიმაში მუშაობის უნარი — მსოფლიოში აღიარება მოიპოვა!**

**1959 წლიდან 1989 წლამდე მეფუტკრეობა აღმავალი ტემპით ვითარდებოდა, რაშიც ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ. ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა! ქვეყანაში გავრცელებული დაავადებების საწინააღმდეგოდ შემუშავებულმა ღონისძიებებმა ფუტკარი გადაარჩინა მმუსრავი დაავადებებისგან.**

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, მონაწილეობდნენ როგორც მომხსენებლები მსოფლიო კონგრესებში. მათი სამეცნიერო ნაშრომები ქვეყნდებოდა მსოფლიო კონგრესის მასალებში, სოფლის მეურნეობის, ზოოვეტერინალური და მეფუტკრეობის ინსტიტუტების შრომათა კრებულებში, ჟურნალ „საქართველოს მეფუტკრეობის“ ფურცლებზე და სხვაგან.

ინსტიტუტის არსებობის პერიოდში ტარდებოდა საკავშირო კონფერენციები, აგრეთვე, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ტარდებოდა გასვლითი სემინარები მეფუტკრეობის აქტუალური საკითხების განსახილველად. ინსტიტუტთან მოქმედებდა მეფუტკრეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კურსები. ჩვენი მოწინავე მეცნიერები იყვნენ ზოოვეტინსტიტუტის დისერტაციების დაცვის საბჭოს წევრები; ზოგიერთი მათგანი კი გახლდათ საკავშირო ტოქსიკოლოგიური საბჭოს, აპითერაპიის წევრი. პერიოდულად, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებებით გადაიცემოდა დარგის განვითარებისთვის ყველა საჭირო მასალა.

**— კეთილი და პატიოსანი, ქალბატონო ვენერა! მაგრამ, რაზეც თქვენ ახლა მოყევით, როგორც ამჟამინდელი დემოკრატები იტყვიან, ჩვენი შავბნელი წარსულის კუთვნილებაა. „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს კი უთუოდ დააინტერესებს, რა მდგომარეობაშია მეფუტკრეობის დარგი დღევანდელ დამოუკიდებელ, ერთიან, აშენებულ-აყვავებულ, დემოკრატიულ, ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებულ (როგორც ამაზე ყველა დაქვემდებარებული მედია საშუალებით გვიმტკიცებდა „ნაცხელისუფლება“) საქართველოში?**

— დაუჯერებელია, მაგრამ ჩვენი, მეფუტკრეების, ფუფუნება და წარმატებული მუშაობა დასრულდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ! **(ქალბატონ ვენერას სახეზე მწარე ირონიულმა ღიმილმა გაიელვა),** ინსტიტუტში დაუსრულებლად ხდებოდა შტატების შემცირება, დირექტორების ცვლა და ამ ადგილზე სხვადასხვა მიზეზით თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირთა დანიშვნა, რომელთა არაპროფესიონალიზმმა გაანადგურა ბევრი რამ, რასაც ხელი შეუწყო ქვეყანაში იმ დროისთვის გამეფებულმა უკონტროლობამ და განუკითხაობამ. ამიტომაც, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მეფუტკრეობამაც დაღმასვლა დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ **ჩვენმა ინსტიტუტმა გაიარა რთული, ძნელი გზა და მოპოვებული წარმატებების გამო დაიმსახურა ინსტიტუტის სტატუსი, და ყოფილ უზარმაზარ საბჭოთა კავშირში, თავისი მნიშვნელობით იყო მესამე რუსეთში რიაზანისა და უკრაინაში კიევის ინსტიტუტების შემდეგ.** აქვე აღვნიშნავ, რომ **დარგისადმი აშკარა უპატივცემულობა დაიწყო 15 წლის წინათ, ხოლო აპოგეას მიაღწია სააკაშვილის მმართველობის დროს!**

**— რაში გამოიხატა ეს?**

— მეფუტკრეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლის იუბილის აღნიშვნის ნაცვლად, „ნაციონალებმა“ საერთოდ გააუქმეს იგი!.. დაიკარგა ინსტიტუტის ნამუშევარი ქართული ფუტკრის, კერძოდ, გურული და მეგრული ხაზების შექმნისა და მათი გავრცელების არეალების შენარჩუნების საქმე. აღარ არსებობს და ერთი ხელის მოსმით გააუქმეს ყველა საჯიშე მეურნეობა: მუხურის, სამტრედიის, ხარაგაულის, ყვარლის, რომლებშიც ხდებოდა სასელექციო დედა ფუტკრების გამოყვანა. აღარაფერს ვამბობ, გაცილებით ადრე ომით განადგურებულ სოხუმის საჯიშეზე... არადა, **სულ ახლო წარსულში ეს საჯიშეები დედა ფუტკრებით აკმაყოფილებდა არამარტო საქართველოს შიდა მოთხოვნილებას, არამედ საზღვარგარეთის 40 ქვეყნის მოთხოვნილებასაც! ფაქტია, ქართული ფუტკრის ნიშან-თვისებების გასაუმჯობესებლად აღარაფერი კეთდება, ხელიდან გვეცლება უნიკალური, განუმეორებელი ჯიშის ქართული ფუტკარი! ამიტომაც საგანგაშო მდგომარეობაა ჩვენი ფუტკრის ხალასად მოშენების საქმეში.**

უწინ საჯიშეებში დასაქმებული ცნობილი პრაქტიკოსები უმუშევრებად დარჩნენ, ზოგნი აღარც არიან ამქვეყნად... შემცვლელი თაობა კი არსად ჩანს!.. ასევე, გაუქმებულია ზაჰესში არსებული ფუტკრის სკების, ჩარჩოების, საბოლეების, სხვადასხვა წვრილი ხელსაწყოს, ხელოვნური ფიჭისა და სხვათა წარმოება! საჯიშეების გაუქმებით გამოუსწორებელი შეცდომაა დაშვებული და მის ადრინდელ მდგომარეობამდე მიყვანას ათეული წლებიც არ ეყოფა!..

**— კი მაგრამ, ქალბატონო ვენერა, მე პირადად ვიცნობ მეფუტკრეებს, რომლებიც ამ დიდ საქმეს ძალზე სერიოზულად უყურებენ.**

— ჩვენთან მიმდინარე ეკონომიკური ნგრევის წლებში, მეფუტკრეობა, როგორც დარგი, გადაარჩინეს ენთუზიასტებმა. კერძო სექტორში მოექცა ქვეყანაში არსებული (დაუზუსტებელი მონაცემებით) ფუტკრის ოჯახების 95 პროცენტი. ხუთასზე მეტმა მოყვარულმა მეფუტკრემ, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები არიან, კვალიფიკაცია აიმაღლეს მეფუტკრეთა კავშირთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტში. ამ ადამიანებმა ფუტკართან მუშაობა გაიხადეს ცხოვრების წესად და ოჯახის ბიუჯეტის შევსების წყაროდ, რითაც მეფუტკრეობა ინტელექტუალურ დარგად გადააქციეს. ამან კი დაამტკიცა, რომ **მეფუტკრეობას, როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების დარგს, მხოლოდ აღმავალი გზით შეუძლია სიარული, თუმცა მან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ უნდა დაკარგოს. თუ სახელმწიფო სერიოზულად მიუდგება მეფუტკრეობას, მერწმუნეთ, ქვეყნის ბიუჯეტი მრავალმილიონიანი ვალუტით შეივსება!**

**— ქალბატონო ვენერა, დღეს რამდენი ფუტკრის ოჯახია საქართველოში? ამის სტატისტიკა თუ არსებობს?**

— ფუტკრის ოჯახების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ციფრები სარწმუნო არაა, მეტიც, სინამდვილეს არ შეესაბამება და ფორმალურ ხასიათს ატარებს! ეს მდგომარეობა გამოიწვია რაიონებში მეფუტკრეობის ინსპექტორის შტატის გაუქმებამ. მათ ევალებოდათ ფუტკრის ოჯახების რაოდენობის აღრიცხვა და მონაცემთა წარდგინება შესაბამის სამსახურებში, რაც აისახებოდა რეგიონებში და, საერთოდ, ქვეყანაში მეფუტკრეობის განვითარების პერსპექტიულ დაგეგმარებაში; ასევე, არ ხდება ფუტკრის მიერ წარმოებული პროდუქციის აღრიცხვიანობაც. უფრო მეტსაც გეტყვით: **დღემდე არ არსებობს შემუშავებული ფუტკრის პროდუქციაზე და სანაშენო პროდუქციაზე საერთაშორისო სტანდარტები, რის გამოც ჩვენი უმაღლესი კვებითი ღირებულების და სამკურნალო თვისებების მქონე ფუტკრის პროდუქტების საზღვარგარეთ გატანა ვერ ხერხდება!** მხოლოდ კანონის გვერდის ავლით, ყოველგვარი კონტროლის გარეშე ზოგიერთი „მოხერხებული“ პირი ახერხებს მათ გატანას, რაც არ გამორიცხავს, რომ ამან უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის და ქართული პროდუქტების იერ-სახეზე.

საზღვარგარეთიდან კი, იცოცხლე, შემოდის იაფფასიანი, ხშირად ლამაზ ქილებში დაფასოებული ფალსიფიცირებული თაფლი, ჩვენი კი — ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, ვიტამინებით და მინერალებით მდიდარი თაფლი ვერ საღდება!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

საქართველო და მსოფლიო
თვალსაწიერისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს თანხები არის მხოლოდ თბილისელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებელი რესურსი და არ არის საქართველოს სხვა ქალაქებში მცხოვრებთა დახმარების ნაწილი. ამგვარად, სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ გახდება თბილისელთა სპეციფიკური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ინსტიტუტი.“**



## დავით იაკობიძე:

# ყოფილი რეჟიმის «ცოდვების» თანამონაწილე ძალიან ბევრი უცხოელი ჩინოვნიკია

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ცნობილი ეკონომისტი, პროფესორი დავით იაკობიძე.**

**— ბატონო დავით, დაიწყო საქართველოს პარლამენტში 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა. ეს კი ის პროცესია, როგორც მახსოვს 2003 წლამდე საპარლამენტო ცხოვრებიდან, როდესაც დებატებში მონაწილე მხარეები, თავიანთი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, მოქმედებენ და საზოგადოება მრავალი პოლემიკური დაპირისპირების მოწმე ხდებოდა.**

— მართლაც, ბიუჯეტი დროებით ავიწყებს დეპუტატებს პარტიულობას. მათი აქტივობის ძირითადი მოტივები იმ დაპირებებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ამომრჩევლებს აღუთქვეს, ამიტომ გასაგებია ის ვნებათაღელვა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ფულადი შემოსავლების გამოყენების საკითხებს. ჩვენი, ძირითადად ორპარტიული, პარლამენტის წინასაარჩევნო დაპირებებს თუ გავიხსენებთ, რომლებიც ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებოდა, რაიმე სერიოზული დისკუსია მოსალოდნელი არაა. გარდა ამისა, ტრადიციულად ახალი პარლამენტი, როგორც წესი, ბიუჯეტის განხილვას ცოტა „ზედაპირულად“ უდგება. ეს იმიტომ, რომ დეპუტატებს ჯერ არ შეუძენიათ ამ რთული და მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტის განხილვისათვის საჭირო „უნარჩვევები“. ამიტომ ისინი არ იაქტიურებენ, მათი სიფრთხილის მიზეზი, ფინანსთა მინისტრიეს, ნოდარ ხადურის, პოლემიკური უნარიც იქნება. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის სიმწვავეს ანელებს. ესაა, მასმედიის დაბალი ინტერესი სახელმწიფო ფინანსების ორგანიზაციისა და გამოყენების ეფექტიანობისადმი. შესამჩნევია, არა მარტო ინტერესის ნაკლებობა, არამედ საკითხების სიღრმისეული წვდომის უუნარობაც. ამიტომ დიდ და ცხარე დისკუსიებს არ უნდა ველოდოთ. სიტყვიერი შეხლაშემოხლა, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ არა არსობრივ საკითხებზე, არამედ საერთო პოლიტიკური ბრალდებების სფეროდან.

**— მიუხედავად ყველაფრისა, დისკუსია პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის შესვლისთანავე დაიწყეს უმცირესობის დეპუტატებმა. ისინი მთავრობას ადანაშაულებენ პრეზიდენტის ვერტიკალზე ხარჯების მიზანდასახულ შეკვეცაში, აქედან გამომდინარე, ოპოზიციის ფინანსების განაწილების პოლიტიზება და ა.შ.**

— არა მგონია, ოპოზიციამ ამ მიმართულებით წარმართოს დისკუსია, რადგან მაშინ მოუწევს, აუხსნას ხალხს, თუ **რატომ უნდა დახარჯოს ქვეყანამ პრეზიდენტის „შესანახად“ 9 მილიონი, ხოლო საჯარო ბიბლიოთეკის საჭიროებებისთვის — მხოლოდ 5 მილიონი ლარი.** ამ ალოგიზმს კი რაციონალური ახსნა არ აქვს. ასევე, მოუწევთ, დაასაბუთონ გუბერნატორების საქმიანობის შედეგობრივი მნიშვნელობა, რაც ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის არსებულ პირობებში, მასობრივ დემაგოგიაში მრავალნაცადი პოლემისტებისთვისაც კი ურთულესი რამ არის ის, რაც ამ საკითხებზე ითქვა „ნაცმოძრაობის“ ორატორების მიერ, ოდენ „საარტილერიო მომზადება“ იყო ევროპაში ჩვენი ხელისუფლების დე ფაქტო და დე იურე პირველი პირების ვოიაჟის წინ. ისინი შეეცადნენ, დაერწმუნებინათ ევროპელი პოლიტიკოსები „ქართული ოცნების“ ტენდენციურობაში, ამიტომ **ოპოზიციის „დარტყმებს“ სხვა მიმართულებით უფრო უნდა ველოდოთ. კერძოდ, ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის სფეროები იქნება მათი სამიზნე. ისინი არსებითად შეეცდებიან, რომ დაარწმუნონ, ჩვენს ქვეყანაზე მოყურადებული პოლიტიკოსები, რომელთა შორის უმეტესობა აქ მიმდინარე პროცესების მონაწილეა, რომ არაფერი არ შეცვლილა, რომ ივანიშვილი სააკაშვილის დაწყებულ საქმეებს აგრძელებს, რომ, მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ლოგიკის თვალსაზრისით, არსებითი განსხვავება არ არსებობს.** შეეცდებიან, დაარწმუნონ პირები მეგობარი ქვეყნებიდან, რომ მათი „დიადი“ საქმეები გრძელდება, მაგრამ — ცუდად; შეეცდებიან, პარლამენტს თავს მოახვიონ უნაყოფო და არაფრისმომცემი პოლემიკა. ჩაითრიონ დისკუსიაში საუბარს მოწყურებული „ოცნების“ დეპუტატები და მასმედიის საშუალებით გაასაჯაროონ ეს პროცესი. მათი ტაქტიკა არ შეიცვლება, გაგრძელდება ერთგვარი პრესინგი, რადგან სხვაგვარად ბრძოლის რესურსი მათ არ აქვთ.

**— რას დაუპირისპირებს „ქართული ოცნება“ „ნაცების“ ამ ვერაგობას?**

— რა თქმა უნდა, გამოწვევას მიიღებენ და აქტიურად შევლენ დისკუსიაში, პირველი, რაც, ჩემი აზრით, უნდა გააკეთონ, ძალების კონსოლიდაცია ფინანსთა მინისტრის გარშემო. მეორე, რომელიც შინაარსობრივად პირველია, ისაა, რომ **სახელმწიფო ბიუჯეტი მართლაც უნდა იყოს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის მთავარი დოკუმენტი, რომელიც შექმნის საფუძვლებს, კონკურენტული საბაზრო მექანიზმებისთვის, რაც მიმართული იქნება წესრიგისკენ და გამორიცხავს ელიტარული კორუფციის შესაძლებლობებს.** მესამე ისაა, რომ დაინახოს მოსახლეობამ, თუ რა სიბინძურეს იტევდა და მალავდა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა, რა რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ ამ სისტემის შემოქმედი ადამიანები. დისკუსიის ასეთი დიზაინი მინიმუმ ორ სერიოზულ, პრაგმატულ შედეგს მოიტანს: პირველი, თვით დეპუტატები გაერკვევიან ბიუჯეტირების პრობლემებში და, მეორე, გაიზრდება მოსახლობის ცოდნა, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების აშენებისთვის.



**«აზრი, რომ ხელისუფლების გადაცემა მოხდა «დემოკრატიულად», აკნინებს თითოეული ამომრჩევლის ვაჟკაცობას და შეურაცხმყოფელიც კია»**

**— თქვენ მიგაჩნიათ, რომ რადიკალური ცვლილებები ამ მოკლე პერიოდში შესაძლებელია?**

— სავსებით. საქმე ისაა, რომ **ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა იმართებოდა იმპულსურად, არარეალური და გაუთვლელი ღონისძიებების ურთიერთმონაცვლეობით. მეურნეობის ასეთი მართვა ნაწილი იყო ჩვენს ქვეყანაში „დისციპლინარული საზოგადოების“ ნეოლიბერალისტური დოქტრინის მიხედვით მიმდინარე პროცესისა.** ამ პროცესის ლატენტურ ფორმას უზრუნველყოფდა: ერთის მხრივ, პენიტენციალურ სისტემაზე დამყარებული შიდა პოლიტიკა და მეორე მხრივ, პრიმიტიულად გაგებულ ლიბერტარიანულ ღირებულებათა საფუძველზე დამყარებული დემაგოგია. ასეთ სიტუაციაში ბიუჯეტი კარგავდა თავის მნიშვნელობას და ფისკალური პოლიტიკაც ექვემდებარება ახალ ლოგიკას.

აბა, დავუკვირდეთ სულ ბოლოდროინდელ საბიუჯეტო დებატებს: უგულავა აცხადებს, რომ გადააქვს ქალაქის ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში რესურსი და სახელმწიფო ბიუჯეტს აკისრებს ვალდებულებას, გაწიოს ეს ხარჯები. იგი ერთდროულად რამდენიმე შეცდომას უშვებს. პირველი, **ეს თანხები არის მხოლოდ თბილისელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებელი რესურსი და არ არის საქართველოს სხვა ქალაქებში მცხოვრებთა დახმარების ნაწილი. ამგვარად, სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ გახდება თბილისელთა სპეციფიკური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ინსტიტუტი.** მეორე, **ეს ფული ქალაქმა მიიღო ცენტრალური ხელისუფლების თანხმობით, ტრანსფერის სახით და მისი ერთი მუხლიდან მეორეში გადატანა გამცემთან შეთანხმების გარეშე არ არის მორალური აქტი.** ბიუჯეტში ცვლილებების დაგეგმვის უფლება ქალაქის მერს არ აქვს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ახალი მთავრობა ცვლილებებს არ გეგმავს. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები მაინც მოხდება, აქ პარლამენტმა ქალაქის მოთხოვნები შეიძლება გაითვალისწინოს, შეიძლება — არა. როგორც წესი, არ უნდა გაითვალისწინოს, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით თბილისელებისთვის პრეფერენციების გაცემა იმავე დროს სხვა მოქალაქეთა დისკრიმინაციას გულისხმობს.

**— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს დანაშაულია?**

— თქვენც ხომ მიგაჩნიათ? შისტემა, რომელიც ემყარება იმპროვიზებულ, იმპულსურ მართვას, შინაგანად ვერ იტანს ბიუჯეტს იმ ტრადიციული გაგებით, როგორც ეს ესმით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის დემოკრატიული წესი არსებობს. ამიტომ საქართველოში მოხდა ბიუჯეტის, როგორც ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის ინსტიტუციური ტრანსფორმაცია. **შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტება, ის იქცა კანონის ფორმით არსებული პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვად და იგი რომ არ გამხდარიყო მისი შემსრულებლების იურიდიული სასჯელის მიზეზი, მასში სისტემატურად შედიოდა ცვლილებები. წელიწადში — საშუალოდ სამი ცვლილება. აქედან გამომდინარე, ეს ცვლილებები გახდა ბიუჯეტის აღსრულების ატრიბუტი და ამას გულისხმობდა სწორედ ბატონი უგულავა, როდესაც ითხოვდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაერღვია კანონი და გამხდარიყო დანაშაულის თანამონაწილე.**

**— ყოფილ ხელისუფლებას ბიუჯეტზეც თავისი „მონოპოლია“ ჰქონდა დაწესებული?**

— ჰქონდა და ახლა მინდა მონოპოლიაზე გესაუბროთ. **რატომ არ სჭირდებოდა სააკაშვილის ხელისუფლებას ანტიმონოპოლიური სამსახური? იმიტომ ხომ არა, რომ ცნობილი გახდებოდა მის მიერ შექმნილი მონოპოლიური კორპორაციის** (ცალკეულ საქონელზე სპეციალიზებული სავაჭრო ერთეულები) **საქმიანობა საზოგადოებისთვის. ასეთი მონოპოლიური წარმონაქმნებს კი საგადასახადო კოდექსი, ეს ელიტარული კორუფციის ბუდე, უწყობდა ხელს.** ამიტომ სასწრაფოდ და გადაუდებლად ჩასატარებელია საგადასახადო კოდექსის რევიზია. დაუშვებელია უცვლელად დარჩეს ან მომავლისთვის გადაიდოს ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის გადასახადის განსაზღვრისა და მობილიზაციის წესი.

გასაგები რომ იყოს მკითხველისთვის, მოვიყვან მაგალითს. მოქმედი საგადასახადო კოდექსით, თუ საქართველოში აწარმოე არაყი, ერთ ლიტრაზე იბეგრები 6 ლარით, ხოლო თუ საზღვარგარეთიდან შემოიტან, მაშინ აქციზის გადასახადი შეადგენს 1,5 ევროს, რომელიც დაერიცხება იმპორტიორს, ყოველ 100 ლიტრ პროდუქციაზე. შესაბამისად, ადგილზე წარმოებული პროდუქტი (100 ლიტრი) იბეგრება 600 ლარით, ხოლო იგივე ოდენობა იმპორტული არაყი დაიბეგრება 250 ლარით. ასეთი დისბალანსი შემთხვევით ხომ არ შეიძლება წარმოიშვას? იგი მონოპოლიური წარმონაქმნების სანქცირებული საფუძველია. ასეთივე მახინჯი და გაუგებარი ლოგიკით არის შედგენილი სხვა ცხრილებიც, რომლებიც სხვა საქონლისა და მომსახურეობის საგადასახადო განაკვეთებს განსაზღვრავს. სამაგალითო სიტუაციაში ვიმყოფებით: **დავუშვათ, დავით კირვალიძემ გაარღვია ონიშენკოს ბარიერი, გაიტანა რუსეთში ჩვენი ღვინო** (ახლა უკვე თავანკარა და ჯანსაღი), **რომელიც ცოტაა, მაშინ როგორც კახელი კაცი იტყოდა: „ჩვენ რაღა დავლიოთ, ყვაილო“... რა და ფალსიფიცირებული არაყი. აი რევანშიც ასეთი უნდა.**

დრამატულ სიტუაციას ქმნის აქციზის განაკვეთების დადგენის წესი, რაც დღეს მთლიანად სუბიექტურად ხდება. მოილაპარაკებენ და, ვისაც როგორ უნდა, ისე დაუდგენენ განაკვეთის ნორმატივს. ეს კი სხვანაირად არ კვალიფიცირდება, თუ არა ელიტური კორუფცია. ასეთი გარიგებების კვალს ყველა ეკონომიკურ კანონში ნახავს დაინტერესებული კაცი.

ჯერ მინდა ერთ რამეზე შევაჩერო მკითხველების ყურადღება, რომელიც წესრიგს ეხება, მაგრამ საზოგადოებრივი მორალის უშუალო შემადგენელია.

**— აქ ბიუჯეტი რა შუაშია?**

— ბიუჯეტი კი ის დოკუმენტია, რომელიც მოითხოვს კანონმდებელ და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კონსენსუსს.

**— ე. ი. ბიუჯეტი ამ კონსენსუსის გამომხატველი დოკუმენტია.**

# „ასეთი სისტემა რომ ეფექტიანი არ იქნებოდა, ამას რა განსჯა სჭირდება და ამიტომაც საქართველო აღმოჩნდა ის ერთადერთი ქვეყანა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც ვერ დაეწია თავის თავს, ვერ მიაღწია საქონლისა და მომსახურების გამოშვებას 1988 წლის დონეზე.“

თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— არ მომწონს ის ამბავი, რომ უნდათ დაგვარწმუნონ, თითქოს საქართველოში უდიდესი და სასიხარულო ფაქტი მოხდა: განხორციელდა ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული გზით, როგორც ამას ქვეყნის ოპოზიციონერი პრეზიდენტი ამბობს „უბარხატესად“. ჩვენ, ამომრჩევლებს კი საქმის შინაარსი ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგენია. მიგვაჩნია, რომ **„ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა ურთულეს ბრძოლაში, არჩევნების გაყალბების პირობებში. აზრი, რომ ხელისუფლების გადაცემა მოხდა „დემოკრატიულად“, აკნინებს თითოეული ამომრჩევლის ვაჟკაცობას და შეურაცხმყოფელიც კია. უფრო მეტიც, რეალური ისტორიული პროცესის გაყალბების მცდელობაა.**

**— აბა, რას უნდა მოელოდე პოლიტიკური ძალისგან, რომელმაც სიცრუესა და ძალადობაში გვაცხოვრა მთელი 8 წელიწადი?**

— დამარცხებული დღეს მორცხვად კი არ შეიყუჟა ოპოზიციურ ნიშაში, არამედ თავხედურად მოითხოვს გამარჯვებულისგან იმას, რაც თვითონ უნდა გაეკეთებინა. ასეთი ამორალიზმი დიდხანს ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი და გასცდა კიდეც საქართველოს საზღვრებს, საერთო ევროპულ სამსჯავროზე გავიდა. თუ დააკვირდით, ევროპელებს ამ თემაზე საუბრისას თანმიმდევრულობა აკლიათ. ცოტა შიშნარევია მათი მსჯელობის პათოსი. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მათი შემოქმედებაცაა ის, რაც საქართველოში ხდებოდა, არა მარტო მათი მხარდამჭერი დუმილით, არამედ მათი ექსპერტების მონაწილეობითაც. ეშინიათ, **საქართველოში, როდესაც გაშიშვლდება ის ჰიპერტროფიები, რომლებიც ძველმა რეჟიმმა შექმნა, გამოაშკარავდება მათი შეცდომებიც. და არა მარტო მათი. ირიბად, ამერიკელი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩინოვნიკებიც იქნებიან მხილებულნი, რომლებსაც სასჯელი არ ასცდებათ.**

**— ასე საკითხს არავინ აყენებს. მიმაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა საკუთარი თავის ტკივილის სხვებზე გადაკისრების მცდელობაა.**

— რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ **ყოფილი რეჟიმის „ცოდვების“ თანამონაწილე ძალიან ბევრი უცხოელი ჩინოვნიკია.** ხალხის კანონიერი უფლებების აღდგენისთვის, ბიუროკრატიულ-ტოტალტარული პოლიტიკური ფორმების მსხვრევის ქარი მათ ქვეყნებშიც დაბერავს.

**— გამოდის, რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენა პრობლემურია ცივილიზებული სამყაროსთვის?**

— არა ცივილიზებული სამყაროსთვის, არამედ გლობალიზებული, საერთაშორისო ბიუროკრატიისთვის, რომელიც კოსმოპოლიტურია თავისი არსით. ბედმა ჩვენ გლობალიზებულ გარემოში ახალი მისია დაგვაკისრა და, რაც უფრო არსებითად წარვმართავთ პროცესებს, მით უფრო გაიზრდება ჩვენი როლი და მნიშვნელობა. ამიტომ **ცალკეულ დამნაშავეთა დაჭერით შორს ვერ წავალთ, თუმცა ესეც აუცილებელია, საჭიროა სამართლიანობის ინსტიტუციური სისტემის აღდგენა და გაჯანსაღება. ამ მიმართულებით კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუქმდეს „სასჯელაღსრულების და ა. შ.“ სამინისტრო** (მიუხედავად სოზარ სუბარისადმი ჩემი პირადი უდიდესი პატივისცემისა), **იგი უნდა მიუერთდეს იუსტიციის სამინისტროს, როგორც დეპარტამენტი.** მასმედიამაც თავი უნდა შეიკავოს, რადგან ამჟამად მედიაში მიმდინარე დისკუსია, რომელიც მკვეთრი პრესინგის ფორმატში მიმდინარეობს, „ნაცმოძრაობას“ ძალის მოკრების საშუალებას აძლევს.

**— მერე მაგ პრობლემას როგორ გადაწყვეტს სამინისტროს დეპარტამენტად გარდაქმნა.**

— რადგანაც ქვეყანა აშენებდა „დისციპლინარულ საზოგადოებას“ (ეს დაუფარავად თქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელეარხ „პიკზე“, ხოლო პროფესორმა ჯგერენაიამ შენიშნა, რომ ქარხანა, ყაზარმა, სკოლა, საავადმყოფო დისციპლინარული დაწესებულებებიაო), რომლისთვისაც ამოსავალ ინსტიტუციას წარმოადგენს ციხე, წარმავალი ქართული პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო პენიტენციალური სისტემა. კერძოდ: „სასჯელაღსრულებისა და მოსახლეობის იურიდიული დახმარების სამინისტრო“. **საქართველო ერთადერთი ქვეყანა არის მსოფლიოში, სადაც სასჯელაღსრულება სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. იგი იყო კადრების სკოლა. აქ გამოიწრთო ახალაია, შაშკინი, ეს სკოლა უნდა გაევლო მომავალ ჯანდაცვისა და სამეურნეო ცხოვრების მესვეურებს.** ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის ახლებური, თავისუფალი სამყაროსთვის მანამდე უცნობი საზოგადოების მშენებლობა, საქართველოში იყო გასაიდუმლოებული, თორემ მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ცნობილი გახლდათ. ამიტომ მოიხსენიებდნენ ისინი სააკაშვილს „მეოცნებედ“, „დემოკრატიის შუქურად“ და ა. შ.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ საქართველოში ტარდებოდა ერთგვარი ექსპერიმენტი და მის მსვლელობას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს? ეს ხომ შეთქმულების თეორიიდან გამომდინარე მსჯელობის ელფერის მქონე მოსაზრებაა?**

— და თქვენ გგონიათ, რომ ასეთი რამ არ არსებობს? წაიკითხეთ ბენტამი, პოპერი, ფუკო, თანამედროვე იტალიელი სოციოლოგები და თქვენ იპოვით საქართველოში მიმდინარე პროცესების თეორიულ საფუძვლებს. დისციპლინარული საზოგადოება გულისხმობს ისეთ საზოგადოებრივ სისტემურობას, სადაც ხელისუფლებამ შეძლებს დაიჭიროს საზოგადოების ყველა ნიშა, სიცოცხლით შეავსოს იგი და მოქალაქეთა საქმიანობა აქციოს საზოგადოების დისციპლინარულის შემადგენელ ელემენტად. ამ თეორიას ნეომარქსიზმადაც მოიხსენიებენ პოლიტოლოგები, ხოლო ფსიქოლოგები (საქციელის ფსიქოლოგიის მიმდევრები) მას საზოგადოების „ვენტილაციას“ (დამნაშავეთა იზოლაციისა და კეთილისმყოფელ მოქალაქეთა ერთობის ფორმირება) უწოდებენ. ამისათვის, ასეთი საზოგადოების შექმნისთვის, უკვე არსებული ინსტიტუტებისთვის, ვთქვათ პოლიციისთვის, უნდა მიენიჭებინათ ახალი სოციალური ფუნქცია, გამოეყენებინათ მცირე არქიტექტორული ფორმებიდან დაწყებული სხვა ორგანიზაციული ელემენტები და ასე შემდეგ. ამგვარად: **საქართველოში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა, რომ თავისუფლებას ჩაენაცვლა ძალა, რომელიც მის უზრუნველსაყოფად იყო საჭირო, ხოლო სახელმწიფო აპარატი გარდაიქმნა ნამდვილ ლევიათანად. შედეგად მივიღეთ უკიდურესი მემარცხენეობა, სადაც სტალინის სოციალიზმისგან განსხვავებით ქვეყანა ყაზარმას კი არ წარმოადგენდა, არამედ ციხეს. ყოველივე ეს მოხდა მსოფლიო „მოწინავე“ საზოგადოებრივი აზრის გამოყენებით და ცივილიზებული სამყაროს ჩუმი დასტურით.**

რაც შეეხება „შეთქმულების თეორიას“, იგი, მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს, როგორც ჰიპერტროფიულ იდეათა პრაქტიკაში გატარების რეალური მცდელობა და ეყრდნობა ადგილობრივი ხელისუფლების უგუნურებას, ინფანტილიზმსა და საკუთარი ისტორიისადმი უპატივცემულობას. აბა, დააკვირდით, როგორ იქცევიან დამარცხებული „მიშისტები“? გამარჯვებულებივით, რადგან საკუთარი თავი მართალი ჰგონიათ იმაშიც კი, რაშიც ცდებოდნენ.

> **«საქართველო ერთადერთი ქვეყანა არის მსოფლიოში, სადაც სასჯელაღსრულება სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. იგი იყო კადრების სკოლა. აქ გამოიწრთო ახალაია, შაშკინი, ეს სკოლა უნდა გაევლო მომავალ ჯანდაცვისა და სამეურნეო ცხოვრების მესვეურებს»**

**— კი, ბატონო, გეთანხმებით, თავისუფლებას ჩაენაცვლა ძალა, დამარცხებულ მოძრაობას ჰგონია, რომ მისი დამარცხება, მის მიერვე საზოგადოებაში შექმნილი თანაცხოვრების დემოკრატიული სისტემიდან მომდინარეობს, ეს მართლაც მეტყველებს მის ინფანტილურობაზე, მაგრამ გარკვეული ეკონომიკური აღმავლობა ხომ გვქონდა? თანაც თქვენი რიტორიკა მიმართულია ძველის მხილებისა და დანგრევისკენ, ხოლო ახალი როგორ ავაშენოთ, ამაზე არაფერს ამბობთ.**

— ახალი როგორ ავაშენოთ, ამისთვის საჭიროა ძველის ანალიზი. კარგად უნდა გვესმოდეს, რასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსაუბრობთ სისტემის დანგრევაზე, ამიტომ **მივესალმები პოლიციის დეპოლიტიზაციის მცდელობას, მაგრამ მიმაჩნია, რომ მერაბიშვილის პოლიცია პოლიტიზირებული არ ყოფილა. იგი უფრო მნიშვნელოვანი როლის მატარებელი იყო. კერძოდ, საზოგადოებრივი ქსოვილის მაორგანიზებელ და მისი სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელ ინსტიტუტს წარმოადგენდა.** იგი მოქმედებდა ქვეყნის პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სასჯელაღსრულების სისტემას შორის. იგი ავსებდა მოქალაქეთა პიროვნულ აქტივობასა და ლევიათანად ქცეულ სახელმწიფოს პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის არსებულ სივრცეს, როგორც საყოველთაო დისციპლინარული ორგანო. ეს კი, არსებითად, სხვა რამეა, ვიდრე პოლიტიზირებული პოლიცია. მისი გარდაქმნა საზოგადოების მოთხოვნაა, აუცილებელია და, როცა გვეცოდინება, თუ რა უნდა გარდავქმნათ მისი ცვლილებები გაგვიადვილდება. ამიტომაც ვამახვილებ ყურადღებას გუშინდელ დღეზე, რომ ხვალინდელი დღის საზრუნავი გავაიოლო.

რაც შეეხება „გარკვეულ ეკონომიკურ წინსვლას“, ეს კიდეც უნდა ყოფილიყო. რადგან იმ უპრეცენდენტო დახმარების ბაზაზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ 2008 წლის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც კი არ გვიგრძვნია. სხვა უფრო მეტად განვითარდებოდა, ვინც უფრო ყაირათიანად გამოიყენებდა მის განკარგულებაში მოქცეულ ვებერთელა რესურსებს, მაგრამ **საქართველოში არსებულმა ნეომარქსისტულმა სისტემამ ვერ შეძლო ამ რესურსის სწორად გამოყენება, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონობდა ვოლუნტარიზმი და ეკონომიკა ერთი კაცის იმპულსებით იმართებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ქვეყნის საბაზრო სისტემა არსებითად იქნა დეფორმირებული დისციპლინარული საზოგადოების ინტერესებიდან და მისი ფუნქციონირების არსებული მექანიზმიდან გამომდინარე.**

**— მაინც რა დეფორმაციებზე საუბრობთ, როგორ ეკონომიკურ სისტემას გულისხმობთ, ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოში ბატონობდა ლიბერტარიანული შეხედულებები და აქედან მომდინარე ეკონომიკური ინსტიტუციონალიზმი?**

— არავითარ შემთხვევაში. საქარველოში მიმდინარე ეკონომიკურ პოლიტიკას არავითარი საერთო არ აქვს ლიბერტარიანელობასთან, რაც ნიშნავს მორალური ფასეულობების საფუძველზე ეკონომიკურ პროცესების გაძღოლას. **ჩვენთან კი ეკონომიკა იყო ტოტალურად ერთი ცენტრიდან, ერთი პიროვნებიდან წამოსული, იმპულსებით მართული მოცემულობა. საზოგადოებრივ მიზნებს ენაცვლებოდა პიროვნული ინტერესები, რომლებისთვისაც საჭირო იყო რესურსი. ქართულმა ლევიათანმა შექმნა სისტემა, რომელიც თითოეულისგან იღებდა იმდენს, რამდენიც მოესურვებოდა, და ასეთი მობილიზაცია განიხილებოდა, როგორც კონტრიბუცია.** მგვარად, საკითხი ასე იდგა: გამდიდრდი, ეს არ მომხდარა ხელისუფლების ხელშეწყობის გარეშე, ამიტომ გადაიხადე კონტრიბუცია. სად და როგორ გამოვიყენებთ შენ მიერ გადახდილ სახსრებს, ეს შენი საქმე არ არის, მისი განმკარგავი თვით უზენაესი ხელისუფალია. ეკონომიკური პროცესების მართვის ასეთ მიდგომებს საერთო არაფერი აქვს ლიბერტარიანელობასთან და არც ლიბერალიზმთან.

**— თუ ლიბერტარიანელობა არ იყო, მაშინ ჩვენი ხელისუფლება რა ეკონომიკურ კრედოს ეყრდნობოდა ისეთს, რომელსაც მსოფლიო ბანკი და მონეტარული ფონდი ეთანხმებოდა, ხშირად უწონებდა კიდეც საქციელს?**

— ეკონომიკური დოქტრინა, რომელსაც ახორციელებდა სააკაშვილი და მისი გარემოცვა (მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვა რამდენიმე კაცი) იყო თანამედროვე ამერიკული ნეოინსტიტუციონალიზმი. კერძოდ, ამ დოქტრინის შემქმნელი რონალდ ქოუზის თეორემა გვეუბნება, რომ, **„თუ არსებობს საკუთრების მკაფიო განსაზღვრულობა, მაშინ რესურსების განაწილების ეფექტიანობაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს მესაკუთრის ცვლილება“.** ეს უკიდურესად ლიბერალური საბაზრო კანონია, რომელიც გულისხმობს, რომ საკუთრების ბაზარი არ მოახდენს ზეგავლენას არსებული სამეურნეო ინსტიტუციის საქმიანობაზე, თუ „ტრანსაქციული დანახარჯები“ ნულის ტოლი იქნება, ე. ი. თუ საკუთრების ცვლილებები არ იქნება დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან. **ვის ხელშია საწარმო სიმძლავრეები, მნიშვნელობა არა აქვს, იგი ეფექტიანად იმუშავებს. ეს დოქტრინა, საქართველოს სინამდვილეში, მმართველი გუნდის ინტერპრეტაციით, გამოვლინდა უკიდურესად არასაბაზრო ფორმით. კერძოდ ასე: „შენი იყო, ახლა ჩემია, რადგან ასე უნდა ხელისუფლებას“.** საფუძვლად აიღეს თავდაპირველი დაგროვების (პრივატიზაციის) პროცესში დაშვებული უზუსტობები და, აქედან გამომდინარე, **ყველას „აახიეს“ საკუთრება და გადაუფორმეს სხვებს. ამ სხვებს, თუ ჭკუით არ მოიქცეოდნენ, შემდეგ „ახევდნენ“ და „სხვა სხვებს“ გადასცემდნენ. კოუზის თეორემა მოქმედებდა, მესაკუთრის ცვლილება არ იწვევდა არავითარ შეფერხებას სამეურნეო საქმიანობაში.**

ეს გარეგნული შეხედვით, თორემ ასეთ სიტუაციში შეუძლებელი იყო მეწარმეობა და კიდეც დაბალეფექტიანად მიმდინარეობდა მეწარმეთა აქტივობა. შესაბამისად, შეიქმნა სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი მეწარმეების დანიშვნისა და მათი როტაციის მექანიზმი. ეს სისტემა რომ არ გამოსულიყო კონტროლიდან, მას სჭირდებოდათ შესაბამისი კადრები — დამჯერი და ხელმძღვანელთა შესაძლებლობებში დარწმუნებული ადამიანები. ამიტომაც პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული, ფინანსთა, ეკონომიკის და ა. შ. სამეურნეო სისტემებზე პასუხისმგებელ მინისტრებს ეკონომიკა ისე ესმოდათ, როგორც ვირს გაეგება, ხურმა რა ხილია. **ასეთი სისტემა რომ ეფექტიანი არ იქნებოდა, ამას რა განსჯა სჭირდება და ამიტომაც საქართველო აღმოჩნდა ის ერთადერთი ქვეყანა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც ვერ დაეწია თავის თავს, ვერ მიაღწია საქონლისა და მომსახურების გამოშვებას 1988 წლის დონეზე.**

**— თქვენი წინა პუბლიკაციიდან კარგად გვახსოვს საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზები, განსაკუთრებით ადამიანის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მაგრამ არა მგონია, რომ სააკაშვილის ხელსუფლება რონალდ ქოუზის თეორემას იზიარებდა, ალბათ, რაღაც დამთხვევასთან გვაქვს საქმე.**

— ბატონო ჩემო, ის, რაც საქართველოში ხდებოდა, მსოფლიო პოლიტიკის, განსაკუთრებით გლობალიზაციაზე პასუხისმგებელი პოლიტიკოსების განსჯის საგანიც იყო. ამიტომ ნუ გამორიცხავთ, რომ **ამერიკელი სპეციალისტები, რომლებიც სააკაშვილს ჯამაგირში ჰყავდა, კარგად იცნობდნენ ნეოინსტიტუციონალიზმს, მით უფრო, რომ ამ თეორემისთვის რონალდ ქოუზს ნობელის პრემია მიენიჭა. მაგრამ მადა, რომელიც მხარჯველებს ჰქონდათ, და შემოსავლები, რომლებსაც უზრუნველყოფდა ეკონომიკა, ვერ ბალანსდებოდა.** მათ საკუთარი მიზნების მისაღწევად მეორე ამერიკელის, ასევე ნეოინსტიტუციონალისტის, გერი ბეიკერის, ბრწყინვალე მოსაზრება აქციეს გზამკვლევად. ბეიკერს მოჰყავს ერემია ბენტამის აზრი, რომ „ვნების გამოთვლა დიდი და მცირე მოცულობებით ხორციელდება ყველა ადამიანში“. შესაბამისად, შესაძლებელია მისი შეფასება. როგორც ვიცით, ქურდობაც ვნებაა, ყველა სხვა დანაშაულიც და ა. შ. ამიტომ შესაძლებელია გამოვთვალოთ მისი ფასი. ასე მიიჩნევდა ხელისუფლება და ქვეყანაში ბატონობდა ჯარიმებისა და სხვა ფულადი სანქციების კულტურა.

**— არა მგონია, ასე იყოს. ჯარიმების სისტემა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ამათაც მზამზარეული აიღეს და საქართველოში დანერგეს.**

— **შემთხვევით არ შეიქმნა რეესტრი. რეესტრი ჩვეულებრივი კოეფიციენტია, რომლის მიხედვითაც ხდება ადამიანების რანჟირება. რის მიხედვით? უპირველეს ყოვლისა, ქონებრივი ცენზის მიხედვით. ამიტომ, რეესტრის არეალი რომ გაფართოებულიყო, იოლი გახდა ბიზნესში შესვლა, უნდა გამოვლენილიყო, ვის რა აქვს, რომ დაედგინათ, ვის რა და რამდენი უნდა გაეცა რეჟიმის საჭიროებისთვის.** სამწუხაროდ, სანამ ძველს არ მოიშორებ, ახალს ვერ ააშენებ, ამიტომ ამ ინსტიტუციათა ჭკვიანური გარდაქმნა არის საჭირო. რეესტრი კი არ უნდა გააუქმო, არამედ მისი სოციალიზაცია უნდა მოახდინო. სხვა კრიტერიუმები, მაგალითად, ადამიანის განვითარების მაჩვენებელთა სისტემა დაუდო საფუძვლად და შესაბამისად მიიღებ უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუციას. ამ გარდაქმნას კი საჭიროა ისეთი ხალხი ჩაუდგეს სათავეში, რომლებიც თვით არიან საკუთარი რეფლექსიით სიახლის მატარებლები. ასეთია, ჩემს წარმოდგენაში, თეა წულუკიანი და მეიმედება ეს პიროვნება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასაკვირია, წალენჯიხელთა უმრავლესობამ რის ფასად მისცა ხმა სააკაშვილის უსასტიკეს რეჟიმს, რომელმაც ღვთისმშობლის წილხვდომილი ჩვენი ქვეყანა ალამის საკონცენტრაციო ბანაკს დაამსგავსა. აი ესაა საკითხავთა საკითხავი!**

# ბიძინა ივანიშვილი და თავლაფდასხმული «ნაცები»

## წინათქმა

**დაილოცოს მისი მადლი, მამაზეციერმა ერთხელ კიდევ მოწყალე თვალით გადმოხედა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს და მხსნელად მოუვლინა სწორუპოვარი ერისკაცი ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახით. ამ უდიდესი მამულიშვილის, შეუდარებელი ქველმოქმედისა და მეცენატის სამშობლოსთვის ყველაზე უმძიმეს პერიოდში პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა ცაზე ცისარტყელის გამოჩენას ჰგავდა. ეს რეალობა უთუოდ ავად ენიშნათ ანტიეროვნულ „ნაცმოძრაობას“ და თავად მიშა სააკაშვილს. მათ წინასწარ იგრძნეს მოსალოდნელი ხიფათი და მხეცივით გამძვინვარდნენ.**



სიმართლე უნდა ითქვას. ნაცხელისუფლება, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე, უძლეველობის მანიით იყო შეპყრობილი. ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიები კი მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდნენ. ამ პარტიებს ისე ატრიალებდა წაღმაუკუღმა, როგორც თავად მოეპრიანებოდა. ასე რომ, საშველი თითქმის არსაიდან ჩანდა.

ასეთ ჟამს **ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებამ სიმშვიდე დაუკარგა სააკაშვილის მოძალადე რეჟიმს. მრავალნაირ ვერაგულ მეთოდებს მიმართავდნენ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. უპირველეს ქართველ მამულიშვილს საქართველოს მოქალაქეობაც კი წაართვეს. ეს არ იკმარეს და თავხედურად დაუყადაღეს „ქართუ ბანკი“. დაუწესეს დიდძალი ჯარიმები; ამასთან, დააყადაღეს ემიგრანტი ბიზნესმენების მიერ გამოგზავნილი ტელეანტენები, იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციური ტელეარხებიდან ხელისუფლების მამხილებელი ინფორმაციები ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისთვის მიუწვდომელი ყოფილიყო.**

გაბოროტებულმა „ნაცებმა“ ესეც არ იკმარეს და ცილისწამების ზღვარდაუდებელი ნიაღვარი ააჩუხჩუხეს. ტელეეკრანებიდან ისტერიულად აღავლავდნენ და აწკავწკავდნენ „ნაცები“: მინაშვილები და გაბაშვილები, წიკლაურები და დარჩიაშვილები, ნოდიები და თაქთაქიშვილები. რას არ ალაპარაკებდნენ უძვლო, ძირში წასაწყვეტ ენას თავისას ეს ცილისმწამებელნი. ბატონ ბიძინას უწოდებდნენ პუტინის პროექტს, საბჭოთა წარსულში დამბრუნებელს, ოლიგარქს და კრიმინალსაც კი.

**ყველაფრის მიუხედავად, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი აუმღვრევლად, გაწონასწორებულად განაგრძობდა წინასაარჩევნო ორგანიზებულ ხალხმრავალ აქციებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში. ბიძინა ივანიშვილის ტრიუმფალური საარჩევნო სვლის გვირგვინი იყო თბილისის თავისუფლების მოედანზე არნახულად ხალხმრავალი დასკვნითი თავყრილობა, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობა.**

* * *

**მთელი წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე მიშა სააკაშვილის გაცოფებამ აპოგეას მიაღწია. იგი ერთი კუთხიდან და ქალაქიდან მეორეში წამდაუწუმ დაქროდა ყვითელი ავტობუსების კოლონებით, დაქირავებული ხალხით, ცეცხლის ალივით წითლად აბრიალებული პლაკატებითა და მაისურებით, ხუთჯვრიანი დროშებით, წკირებზე წამოსკუპებული ღაჟღაჟა ხუთიანების ასავსავებით.** ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მიერ „მიშა, მიშას“ შეძახილებით. ტრანსპარანტზე გამოსახული სლოგანით „მეტი სარგებელი ხალხს!“, თუმცა ხსენებული სლოგანი უმრავლესობის თვალში ისეთივე ფარსი იყო, როგორც მათივე ადრინდელი ლოზუნგები „საქმე — ლაპარაკის ნაცვლად“ და „საქართველო — სიღარიბის გარეშე“. ტაშით, ოვაციებით, გრიალგრიალით შემოიარეს „ნაციონალებმა“ და თავად პრეზიდენტმა სრულიად საქართველო.

**მიშა სააკაშვილის წინასაარჩევნო აქციების აკორდი იყო ქალაქ ფოთის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მცირერიცხოვანი მომხრეების თანხლებით დასწრება, სადაც მას საგალობელივით მოასმენინეს გოგა ხაჩიძის ტექსტზე შექმნილი სიმღერა „მიშა მაგარია“.**

ასე ლაღად დაასრულა სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანია და თავის „სიმაგრეში“ დარწმუნებული დაელოდა არჩევნების შედეგებს.

**არჩევნებში ვინც ხუთიანი შემოხაზა, ნებით თუ უნებურად არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ საკუთარი თავის მოღალატეობაც დაამტკიცა**

### სულის ხუთვა... ხუთიანებით

**2012 წლის 1 ოქტომბრის შესანიშნავი დღე გათენდა და მეც პირჯვარი გადავისახე ლოცვით: ღმერთო დიდებულო, იხსენი ბოროტისაგან შენივე წილხვედრი დედასაქართველო!**

იმ დღეს ნაკიფუს თემის №15 საუბნო-საარჩევნო კომისიაში ვიღებდი მონაწილეობას, როგორც დამკვირვებელი. უბანში დილიდანვე შეიმჩნეოდა ამომრჩეველთა აქტივობა. მკაფიოდ ჩანდა, რომ წინასაარჩევნო დრო ნაცაქტივისტებს ნაყოფიერად ჰქონდათ გამოყენებული. ისინი არაფერს ერიდებოდნენ, „ნაცები“, რა თქმა უნდა, ფინანსებსაც არ იშურებდნენ ხმების მოსასყიდად, ოღონდ მიზნისთვის მიეღწიათ. მიზანი კი დამნაშავე რეჟიმის შენარჩუნება იყო. თვით საარჩევნო კომისიის ნაცწევრებიც არ მალავდნენ, რომ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებში მნიშვნელოვანი უპირატესობით გაიმარჯვებდა.

თითქოს ლოგინიდან წამოყარესო ხეიბარი ადამიანები. საარჩევნო ყუთებთან რიგში დგებოდნენ ხელჯოხებზე ძლივძლივობით დაყრდნობილი, ყავარჯნიანი, ზოგიც ნამგალივით წელში მოხრილი, ვაივაგლახით მოლასლასე ხანდაზმული კაცი და ქალი.

**აი, ეს ადამიანები სოფლის თავკაცებმა, ნაცაქტივისტებმა დაარწმუნეს იმაში, რომ, თუ ვერ გაიმარჯვებდა ნაცხელისუფლება, ისინი პენსიებს დაკარგავდნენ, ამასთან, მოეხსნებოდათ ყოველგვარი დახმარება.**

საარჩევნო დარბაზის კართან ამომრჩევლებს წინასწარ აფრთხილებდნენ, ერთად ნუ მოდიხართ, ხუთ-ხუთი შემოდითო, ესეც მინიშნება იყო იმაზე, რომ ხუთიანი შემოეხაზათ.

**საღამო ჟამს ხმა დაირხა: ვანო მერაბიშვილი გაწუდგაო პრეზიდენტს. ამის გაგონებაზე საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ყოფილ ზვიადისტს, ამჟამად კი მამალ „ნაციონალს“, გია ჭანიას, წნევამ აუწია, ისე, რომ ექიმის გამოძახება გახდა აუცილებელი. ნირი წაუხდათ სააკაშვილის მომხრე აქტივისტებს.**

მალე გაირკვა, რომ ეს ცნობა ჭორი იყო და „ნაცებმაც“ გული დაიმშვიდეს და დაელოდნენ არჩევნების შედეგებს. შედეგმაც არ დააყოვნა. საარჩევნო ბიულეტინების დათვლისას გაირკვა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ცოტანი არ ყოფილან, მაგრამ ბოლოს მაინც ხუთიანების ისეთი კასკადი წამოვიდა, რომ ლამის სულის შეხუთვამდე შემძრა. იქვე ვთქვი ხმამაღლა: „მართლაც ყოფილხარ ფუ, საბრალო ნაკიფუ“.

აქვე გულწრფელად ვამბობ, ნამდვილად შემეცოდა ჩემი მშობლიური სოფლის ასე დაბეჩავებული, მწარედ მოტყუებული და გაბიაბრუებული მოსახლეობა, რომელსაც, უკვე 9 წელია, ბრმად სჯერა მიშა სააკაშვილის ანეგდოტური ტყუილებისა და არად აგდებს, თავისდა სამწუხაროდ, უდიდესი ერისკაცის, ბიძინა ივანიშვილის, მიერ წარმოთქმულ სიმართლეს.

**ეს ხომ უბედურებაა.**

### დაპირება და... შესრულება

**ყველას ახსოვს, წლევანდელ გაზაფხულზე რა საშინელი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და მათ შორის წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯს. მიშა სააკაშვილმა არ დააყოვნა და ელვის სისწრაფით ჩამოფრინდა სტიქიის ზონაში, მითუმეტეს წინასაარჩევნო მარათონი დაწყებული იყო და პრეზიდენტი ასეთ შემთხვევას პიარისთვის ხელიდან როგორ გაუშვებდა.**

წალენჯიხისა და ობუჯის თავკაცები დიდი მადლიერების გამოხატვით შეხვდნენ სასურველ სტუმარს, მათ შორის ყველაზე მეტად აქტიურობდა სოფლის დეპუტატი — მარინე კაკაჩია. ჩვენ ყველამ ვიხილეთ ტელეეკრანზე ადიდებულ მდინარის ტალღებს ხელიხელჩაკიდებული როგორი შემართებით მოაპობდნენ პრეზიდენტი და მარინე კაკაჩია. ამ უკანასკნელმა დროიხელთა და ასე მიმართა სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, მთელი სამეგრელო გვერდით დაგიდგებაო მომავალ არჩევნებში.

**ბევრმა წალენჯიხელმა გაიკვირვა, სამეგრელოს სახელით პირობის მიცემის რა უფლება ჰქონდაო კაკაჩიას. ეს თავხედობა არისო და დიახაც ასე იყო, მაგრამ დახეთ საოცრებას! მარინე კაკაჩიას მიერ პრეზიდენტისადმი მიცემული პირობა შესრულდა. ჩვენდა სავალალოდ, სამეგრელომ რატომღაც ჩაიმუხლა. ეს ხომ სამწუხაროა და საკვირველიც, მაგრამ უფრო გასაკვირი, ჩემი აზრით, ისაა, რომ დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის — ლეო ქიაჩელის, სახელგანთქმული კინორეჟისორის — ნიკოლოზ შენგელაიას, სწორუპოვარი ისტორიკოსის — შოთა მესხიას და სხვა სახელოვან მამულიშვილთა მშობელი, დიდი ეროვნული ტრადიციის მქონე სოფელი ობუჯი და მისი მოსახლეობა ნაციონალ მარინე კაკაჩიას დონემდე ჩამოქვეითდა.**

**ეს ხომ საშინელებაა.**

იგივე ითქმის წალენჯიხაზე. ახლა, როცა არჩევნების შედეგებზე ვწერ ამ წერილს, უნებურად მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან“ სულთმობრძავი გიორგი მეფის სიტყვები: **„ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, არა თუ სხვისი, საკუთარი თავის მოღალატენი...“** გულახდილად ვამბობ, **არჩევნებში ვინც ხუთიანი შემოხაზა, ნებით თუ უნებურად არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ საკუთარი თავის მოღალატეობაც დაამტკიცა. მით უმეტეს, როცა სამღვდელოებას კურთხევა ჰქონდა მიცემული მრევლისთვის, არ შემოეხაზათ ხუთიანი.**

მე არ მიკვირს როგორც წალენჯიხის, ასევე სოფლების თავკაცთა თავგამოდებული მხარდაჭერა ხელისუფლებისადმი. მათ ერთხელ კიდევ ორგანიზებულად გაიბრძოლეს როგორც სააკაშვილის, ასევე თავიანთი მოყანყალებული სკამების შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაოდ, ფუჭი გამოდგა ყველანაირი ბინძური და ვერაგული მეთოდები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მიმართული.

**იყო დრო, როცა სულმნათი ზვიად გამსახურდია ამბობდა: წალენჯიხა საქართველოს სიმბოლოდ მესახებაო. ამგვარ მაღალ შეფასებას იმდროინდელი წალენჯიხა მართლაც იმსახურებდა აქ შემოსული ბანდიტებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით.**

მე არც რიგითი წალენჯიხელების მიკვირს, ვინც საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებოდა და მარტოდენ ხელისუფლების ჯიბის ცრუ ტელეარხების ანაბარა იყო დარჩენილი.

მათთან შედარებით მაოცებს იმ პიროვნებათა ნამოქმედარი, ვინც სხვებზე მეტად ფილოსოფოსობენ, სხვებზე არანაკლებ ისტორიკოსობენ და ლიტერატორობენ და, რა თქმა უნდა, პატრიოტობენ კიდეც. **ნუთუ ინტელიგენციის ამ საუკეთესო წარმომადგენლებმა ისეთი ტრანსფორმირება განიცადეს, რომ დღეს სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმს გუნდრუკს უკმევენ?!**

**ფაქტის სიჯიუტე რომ** ▶

# „ხელისუფლების მიერ სვანები, ეს თავისუფლების მოყვარე, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, სპეციალურად იყვნენ მიზანში ამოღებულნი, რათა ჩაეკლათ მათში ეს სიამაყე“

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არა, ძნელი დასაჯერებელია ჩემთვის, რომ შეგნებული წალენჯიხა არჩევნებში მიშა სააკაშვილს მიემხრო; სააკაშვილს, რომელიც მთელი გააფთრებით ებრძოდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ეროვნულ იდეებს; იმ სააკაშვილს, რომელმაც ზვიად გამსახურდიას სრულიად უდანაშაულო ვაჟი ცოტნე გამსახურდია საპყრობილეში გამოკეტა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მან მამამისის ნეშტი არ დაანება მას პიარისთვის.

**გასაკვირია, წალენჯიხელთა უმრავლესობამ რის ფასად მისცა ხმა სააკაშვილის უსასტიკეს რეჟიმს, რომელმაც ღვთისმშობლის წილხვდომილი ჩვენი ქვეყანა ალამის საკონცენტრაციო ბანაკს დაამსგავსა. აი ესაა საკითხავთა საკითხავი!**

არ არის დასამალი, რომ წალენჯიხამ თავისი არჩევანით შეურაცხყოფა მიაყენა თვით ზვიად გამსახურდიას სახელს და, ამასთან, იმ რაინდ წალენჯიხელ ბიჭებს, რომლებიც ჩვენი კუთხის ასაკლებად და ასაოხრებლად ტანკების გრუხუნით შემოჯირითებულ მხედრიონელებთან და სხვა ბანდიტურ დაჯგუფებებთან ბრძოლას მსხვერპლად შეეწირნენ.

## სამაგალითო დიდსულოვნება

**წლევანდელი 1 ოქტომბერი განსაკუთრებული დღე იყო, როცა ქართველ ხალხს ეძლეოდა შანსი, თავისი მომავალი ცხოვრების ბედი თავად გადაეწყვიტა. მას თავისი სწორი არჩევანი უნდა გაეკეთებინა ბოროტებასა და სიკეთეს შორის. ამ მხრივ ოქტომბრის არჩევნებს დიდგორის ომის ტოლფასი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს გადარჩენისთვის.**

ამ არჩევნებში ქართველმა ხალხმა თავისი შემართებით, მუხლჩაუხრელი ბრძოლით უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, გაიმარჯვა სრულიად საქართველომ, გაიმარჯვა ქართველმა ერმა და მისმა ეროვნულმა სულმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური კოალიციის ლიდერი ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამ უდიდეს გამარჯვებას მშვიდად და გაწონასწორებულად შეხვდა. მან ხმამაღლა განაცხადა: **„ძალიან მშვიდად მივუდგეთ ყველაფერს, გასაგებია, რომ მთელ საქართველოს ზეიმის სურვილი აქვს დღეს. ვიზეიმოთ, ვიმღეროთ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არსად არ მოხდეს დაპირისპირება. იცოდეთ, ვინც ხუთი ნომერი შემოხაზა, ისინიც ჩვენი ძმები არიან. არავინ არ დააზიანოთ, არ დაუპირისპირდეთ. ყველანი ერთად დავდგეთ და გავამთლიანოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო“.**

ყოველივე ეს ისეთი ღვთიური მიმტევებლობაა ბიძინა ივანიშვილისგან, რაც ნამდვილად შემიძლია შევადარო სულმნათ ზვიად გამსახურდიას დიდსულოვნებას. როცა ტყვიას უშენდნენ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ის კი ბრძანებდა: ჩვენ ყვავილები ვესროლოთო.

**განა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, რომ ხუთიანის შემოხაზვა ტყვიაზე არანაკლებ მომაკვდინებელია ჩვენი სამშობლოსთვის? მაგრამ მან ასევე კარგად უწყის, ქართველი კაცის ოდინდელი სულიერი კრედო: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.**

რა დიდებულად უთქვამს ცნობილ ქართველ მწერალსა და ჟურნალისტს, ბატონ გიორგი გიგაურს:

**„2012 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ ისტორიულ ბრძოლაში გამარჯვებით ქართველმა ერმა მოიპოვა უფლება, გააგრძელოს 1992 წლის 6 იანვარს ჩახერგილი გზა! დიახ, 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვებით საქართველოს კვლავაც გაუჩნდა შანსი, ააშენოს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, მილიონობით ქართველი პატრიოტისთვის საოცნებო თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი და, რაც მთავარია, ქართული სახელმწიფო!**

**ანტიქართული პუტჩი, რომელიც საქართველოში 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო, 2012 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა!**

**ჩაძაღლდნენ!!!**
**გიხაროდენ!!!“**

## ბოლოთქმა

ამ წერილის დაწერა ნამდვილად არ მსიამოვნებდა, მაგრამ დაუწერლობაც არ შემეძლო, რამეთუ გული მატკინა მშობლიურმა წალენჯიხამ, რომელმაც ხმათა უმეტესობით გაამარჯვებინა ანტიეროვნულ ხელისუფლებას. **არ მეგონა, რომ წალენჯიხა ასე იოლად დათმობდა ეროვნულ სულისკვეთებას, რომელიც მას ოდითგანვე მოსდგამდა.**

ყველამ იცის, წალენჯიხაში ჩემზე უფრო ჯვარცმული ადამიანი არ დაიარება, თუმცა ამჯერად შედარებით გულმოცემული და ამასთან, სამშობლოს ბედ-იღბალზე კვლავ და კვლავ ძილმღვიძარეს და მჭმუნვარეს ხშირად იმაზე გაფიქრებაც კი მზარავს, ჩვენეული საძმოს ერთი ჯგუფის მიხედვით, დილის ნისლივით როგორ გაქარწყლდა ჭირსა და ლხინში ჩვენი ერთად ყოფნის, ერთად დგომისა და ბრძოლის ადრინდელი ჰეროიკა.

როგორ დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი მოჩვენება იყო და სხვა არაფერი.

და მაინც, ყველას ვულოცავ საქართველოს, ქართველი ხალხის უდიდეს გამარჯვებას, უპირველესად, იმათ, ვინც აქტიური წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო გამარჯვებაში და იმათაც, ვინც ბოროტებასა და სიკეთეს შორის სწორი არჩევანი ვერ გააკეთა. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნის, მართალსაც და მტყუანსაც. თუმცა მტყუანს მართებს თავისი სიმტყუვნე გააცნობიეროს და მხარი აუბას სიმართლეს, რომ ერთად მეგობრულად ვიცხოვროთ ამ დალოცვილ მიწაზე.

აქვე ვამბობ: **ამ ჩემს წერილს ლაიტმოტივად ვინმესადმი სიძულვილი კი არ უდევს, არამედ „მოძმეს პირში უძრახეს“ პრინციპი.**

**რინოს კვარაცხელია**

---

# მებრძოლი ჭკადუა: სამეგრელოში მხოლოდ იმათი შეწყალება ხდებოდა, ვის შეწყალებასაც საჭიროდ ჩათვლიდა როლანდ ახალაია

**სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად ადვოკატმა მებრძოლ ჭკადუამ საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს, გაუგზავნა იმ უდანაშაულო მსჯავრდებულების ვრცელი სია, რომელთა მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენი დაუყოვნებლივ საჭიროებს გადასინჯვას, გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.**



**„მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობები არავის არ უნდა შერჩეს, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. მაშინდელი ხელისუფლების ქმედებები — ეს იყო აგრესია ქართველი ერის მიმართ, მისი გადაგვარებისა და დაკნინების მიზნით ჩადენილი. ეს მოქმედება სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდებოდა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და ზნეობრივი ზემოქმედების გზით და მსგავსი რამ ხდებოდა არამარტო სამეგრელო-ზემო სვანეთში, არამედ მთელ საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებით მინდა შევეხო იმას, რაც კეთდებოდა სვანეთში მცხოვრებთა მიმართ იმ პერიოდში. ხელისუფლების მიერ სვანები, ეს თავისუფლების მოყვარე, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, სპეციალურად იყვნენ მიზანში ამოღებულნი, რათა ჩაეკლათ მათში ეს სიამაყე“,** — აცხადებს მებრძოლ ჭკადუა. მისი თქმით, ყველაფერი დაიწყო 2004 წლის მარტში აფრასიძეების ოჯახზე თავდასხმით და ამოწყვეტით. ეს იყო ერთ-ერთი რგოლი იმ უწყვეტი ჯაჭვისა, რომელიც მთლიანობაში მიზნად ისახავდა სვანი ხალხის დაშინებასა და სულიერად გატეხვას.

ადვოკატი ასევე იხსენებს სხვა ფართომასშტაბიან ოპერაციას სვანეთში, რომელიც 2005 წლის ოქტომბერში ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოსა და სპეცდანიშნულების რაზმ „ალფას“ რამდენიმე ასეულ სპეცრაზმელთან ერთად. **„მათ ღამით ალყაში მოაქციეს დაბა მესტია და მისი მიმდებარე ტერიტორია. მიზეზი თითქოსდა გამართლებული იყო — ბრძოლა ნარკოდანაშაულთა წინააღმდეგ და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება. ამ ე. წ. ოპერაციას შეეწირა ბევრი უდანაშაულო ადამიანი: ბ. უშხვანი, ზ. ნიგურიანი, ზ. შამფრიანი, კ. ფარჯიანი, ა. ჯაჯვანი. ეს იყო იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც დაიწყო აფრასიძეების ოჯახზე მოწყობილი თავდასხმით“,** — განაცხადა მებრძოლ ჭკადუამ. მისივე განმარტებით, ასეთივე მიდგომა იყო ნორა არღვლიანის მიმართაც: **„როგორც ნორა არღვლიანის დამცველი, მეც ვლებულობდი მონაწილეობას მის სასამართლო პროცესში და ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, თუ რისთვის დააპატიმრეს ეს ქალბატონი, რატომ მიესაჯა ექვსი წელი, მაგრამ თავიდანვე აშკარა იყო, რომ ნორა არღვლიანის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. იგი აუცილებლად უნდა მოთავსებულიყო საპყრობილეში და თანაც ხანგრძლივი ვადით“.**

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენები ზუგდიდელი ნაპო გაბისონიასა და მისი ადვოკატის, ჯონი ზარანდიას, მიმართ. ამ **სასამართლოებმა ზედმიწევნით შეასრულეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი საოლქო პროკურორის, როლანდ ახალაიას, დავალება.** ამ პირების ადვოკატ მებრძოლ ჭკადუას განცხადებით, ნაპო გაბისონიამ 1996 წელს შეისყიდა სს „ზუგდიდსოფტექნიკა“, რომელიც, როგორც წარმოება, უმძლავრესი იყო დასავლეთ საქართველოში. იგი აწარმოებდა სვანეთის სატყეო მეურნეობებიდან ხეტყის შესყიდვას, მის დამუშავებასა და რეალიზაციას, როგორც ადგილობრივ ისე საზღვარგარეთის ბაზრებზე. **„სააქციო საზოგადოების წარმატებული საქმიანობა თვალში არ მოსდიოდათ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და დაიწყო ნაპო მესხიას დევნა-შევიწროება. მიზანი მაშინვე გამოიკვეთა, როგორმე ხელში უნდა ჩაეგდოთ ეს წარმოება. ამ მიზნის სისრულეში მოყვანა განახორციელა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორმა როლანდ ახალაიამ ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით. შექმნეს სასაქონლო და საბუღალტრო ექსპერტიზის ყალბი დასკვნები და საოლქო პროკურატურამ ჩამოაყალიბა ყალბი ბრალდებები და ნაპო გაბისონიას ჯერ ზუგდიდის, შემდეგ კი ქუთაისის სასამართლომ სასჯელის ზომად განუსაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 10000 ლარი, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დააკისრა ჯარიმის გადახდა 5000 ლარის ოდენობით. იგი დაკავებულია და სასჯელს იხდის 2007 წლის აპრილიდან. სამეგრელოში მხოლოდ იმ პირების შეწყალება ხდებოდა, ვის შეწყალებასაც საჭიროდ ჩათვლიდა როლანდ ახალაია და ამიტომაც ნაპო გაბისონიას ოჯახის წევრთა თხოვნა შეწყალების შესახებ უპასუხოდ რჩებოდა. მას საცხოვრებელი სახლიც ჩამოართვეს და მისი ცოლ-შვილი, შვილიშვილები ქუჩაში აღმოჩნდნენ. ჩვენ მხოლოდ სიმართლის დადგენასა და ობიექტური დასკვნის გამოტანას ვითხოვთ და ეს უნდა მოხდეს ნაპო გაბისონიას სიცოცხლეში, რომელიც უკვე 77 წლისაა და ავადმყოფია“, — აღნიშნა მისმა ადვოკატმა მებრძოლ ჭკადუამ.**

### როლანდ ახალაიას მიერ ფალსიფიცირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე მისი ყოფილი მოადგილე ალაპარაკდა

გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს ნაპო გაბისონიას ინტერესებს იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, ადვოკატი ჯონი ზარანდია, რომელიც ასევე შეეწირა ამ საქმეს. **„ჯონი ზარანდია წარდგენილ შუამდგომლობაში და საჩივრებში მოიხსენიებდა, რომ იქმნებოდა ყალბი დოკუმენტები და დასკვნები, რომ ნაპო გაბისონია უკანონოდ იყო მსჯავრდებული. იგი საჯაროდ აცხადებდა, რომ საოლქო პროკურორის, როლანდ ახალაიას, ძალისხმევითა და ინიციატივით ხდებოდა ყოველივე ეს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა საოლქო პროკურატურისთვის და ნაპო გაბისონიას დაკავებიდან სამი წლის შემდეგ იგი დააპატიმრეს და შეუფარდეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა“,** — დასძინა მებრძოლ ჭკადუამ.

ყველა სისხლის სამართლის საქმე და არამარტო ზემოთ აღნიშნული პირების მიმართ შეთითხნილი ფალსიფიცირებული სისხლის სამართლის საქმეები უნდა გადაიხედოს და აღდგეს სამართლიანობა.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი



**ყველაფერი დაიწყო 2004 წლის მარტში აფრასიძეების ოჯახზე თავდასხმით და ამოწყვეტით. ეს იყო ერთ-ერთი რგოლი იმ უწყვეტი ჯაჭვისა, რომელიც მთლიანობაში მიზნად ისახავდა სვანი ხალხის დაშინებასა და სულიერად გატეხვას**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლუიზიანას დამოუკიდებლობის მოთხოვნას 26 ათასზე მეტი ხელმოწერა ახლდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ მალე ამ შტატის დამოუკიდებლობის საკითხიც დადგება თეთრი სახლის დღის წესრიგში.
ალაბამას 16 000 ხელმოწერა აქვს, დაახლოებით ამდენივე — ჯორჯიას.
მათ სულ რამდენიმე ხმით ჩამორჩება ტენესი.
ფლორიდა 17 ათასამდე ხელმოწერას ითვლის
(შეგახსენებთ, რომ მონაცემები ყოველ საათში იცვლება).**

# კონფედერატების მარში, ანუ ამერიკის დაცალკევებული შტატები

**ამერიკაში „არაბული გაზაფხული“ დადგა. ამერიკული შტატები და, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთის შტატები მზად არიან, დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. ეს ყველაზე ცხელი თემაა თანამედროვე მსოფლიოში. საიტზე „ელექტრონული მთავრობა“ აშშ-ის შემადგენლობიდან ტეხასის შტატის გამოყოფის შესახებ პეტიციას ხელი მოაწერა 60 ათასმა ადამიანმა, თეთრ სახლში მოთხოვნის ოფიციალური განხილვისთვის კი მხოლოდ 25 ათასი ხელმოწერაც კმაროდა, ლუიზიანის დამოუკიდებლობის პეტიციას კი ამ დრომდე უკვე 26 ათასი ხელმოწერა აქვს. ზოგიერთ სხვა მოთხოვნას 15, 16, 17 ათასი ხელმოწერა მოსდევს. ბარაკ ობამას მოუწევს, მოიფიქროს, რა უყოს ამერიკელ ხალხს: მისცეს უფლება, იცხოვროს კონსტიტუციისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად თუ ნაჩქარევად დაიწყოს ქვეყანაში საკონცენტრაციობანაკისეული დემოკრატიზაციის პროცესი.**



პოლიტიკური მღელვარება ტეხასში ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაიწყო. ცხელსისხლიანმა ტეხასელებმა, რომლებიც სროლის, სასიკვდილო განაჩენებისა და სხვა „გასართობების“ დიდი მოყვარულნი არიან, ჯერ ბარაკ ობამა შეიძულეს, შემოდგომაზე კი, როდესაც შავკანიანმა „კრემლის აგენტმა რეიტინგით მიტ რომნის გაუსწრო, საერთოდაც შტურმით გადაწყვიტეს თეთრი სახლის აღება. ალტერნატიული ვარიანტებიც იყო — რევოლუცია ან დანარჩენი 49 შტატიდან და ერთი ოლქიდან გამოყოფა.

ტეხასში ისეთი რადიკალებიც მოიძებნენ, რომლებმაც განაცხადეს: ჩვენი მშობლიური პრივილეგირებული შტატის გამოყოფისთვის სამოქალაქო ომი გარდაუვალია. საკმარისია, ობამამ კიდევ მომავალი ოთხი წლით დაისაკუთროს ოვალური კაბინეტი და მორჩა, საქმე ცუდადაა.

მაგალითად, **ტომ ჰედმა, მოსამართლემ და ოლქის მთავარმა ადმინისტრატორმა, სახალხოდ, პრესის საშუალებით გააფრთხილა ობამა მოსალოდნელი სამოქალაქო ომის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელახლა აირჩევდნენ აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე.** მოსამართლემ ადგილობრივი დეპუტატებიც დაარწმუნა, კომისარიც, საოლქო შერიფიც და ადგილობრივი მოსახლეობაც, რომ საჭირო იყო გადასახადების გაზრდა, რათა პოლიციაში დაექირავებინათ და შეეიარაღებინათ რაც შეიძლება მეტი ჯან-ღონით სავსე და კარგი მსროლელი ბიჭი, ტეხასში კი ასეთები მუდამ მოიძებნებიან. საუბარი იყო არა რაღაც გროშებზე, არამედ ოლქის ბიუჯეტის 832 433 დოლარით გაზრდაზე გადასახადების მომატების ხარჯზე.

მისტერ ჰედი აცხადებდა, რომ აუცილებელია მზადება „უარესისთვის“, ანუ „სამოქალაქო არეულობისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობისთვის“ და, სავარაუდოდ, ომისთვისაც. მოსამართლე ტომ ჰედი და კომისარი მარკ ჰენრიხი მიიჩნევდნენ, უკმაყოფილო ტეხასელების ბუნტის ჩასახშობად, ობამას ბრძანებით, დაირაზმებოდნენ გაეროს მშვიდობისმყოფლები, მაგრამ ჰედი მშობლიურ შტატში სამხედროებს არ შეუშვებდა: „მე დავდგები მათი ჯავშანტრანსპორტერის წინ და ვეტყვი: ბიჭო, შენ აქ არაფერი გესაქმება“.

ტეხასი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული შტატია. იქ ტრადიციულად ძლიერია რესპუბლიკელების ოპოზიცია, დემოკრატებს კი არ ინდობენ. სხვათა შორის, ორივე ჯორჯ ბუში — უფროსიცა და უმცროსიც — ტეხასელი გახლდათ. უმცროსი ბუში მუდამ გამოირჩეოდა მეომარი სულისკვეთებით, არჩევნებზე კი რომნის უჭერდა მხარს და ხმაც მას მისცა. მამა ბუშიც ზუსტად იმავეს აკეთებდა, მიუხედავად სიბერისა და მტანჯველი ავადმყოფობისა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა დროში ტეხასი განთქმული იყო თავისი მონათმფლობელებით, რომელთაც არაფრისდიდებით არ სურდათ ზანგ მონებზე უარის თქმა და 1836 წელს ეს კონსტიტუციაშიც კი ჩაწერეს. სწორედ მონობის შენარჩუნებისთვის მექსიკასთან მეომარი მონათმფლობელი გენერლის, ჰიუსტონის, სახელი ახლაც ჰქვია ტეხასის ყველაზე დიდ ქალაქს, რომელშიც გამოდის გავლენიანი გაზეთი „ჰიუსტონ ქრონიკლ“. სწორედ ამ გაზეთში გამოაქვეყნა მოსამართლე ჰედმა ობამასადმი თავისი გაფრთხილება.




გარდა ამ ყველაფრისა, ტეხასი ამერიკაში სიდიდით მეორე შტატია ალიასკის შემდეგ, თანაც ნავთობი აქვს. ამიტომაა, რომ იქაურ მოსამართლეებს, კომისრებსა და შერიფებს საშუალება აქვთ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ და არა მარტო ილაპარაკონ, აკეთონ კიდეც. მოსახლეობის რაოდენობით (დაახლოებით 23 მილიონი) ტეხასი მხოლოდ კალიფორნიას ჩამორჩება.

**და ბოლოს, ამერიკაში ეს ერთადერთი შტატია, რომელსაც კანონიერი უფლება აქვს, ვაშინგტონისთვის არასასიამოვნო საკითხზე — აშშ-დან გამოყოფის თემაზე რეფერენდუმი ჩაატაროს. ტეხასის დროშა ნაციონალური დროშის სიმაღლეზე იწევა და ასეთი პრივილეგია აშშ-ის სხვა არც ერთ შტატს არ გააჩნია.**

**ამიტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ ნოემბერში „კონფედერატების მარში“ სწორედ ტეხასიდან და ლუიზიანიდან დაიწყო.**

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ობამა ხელმეორედ იქნა პრეზიდენტად არჩეული, მთელი ამერიკის ტერიტორიაზე ქაოსი დაიწყო. 13 ნოემბრის მონაცემებით, ქვეყნის შემადგენლობიდან საკუთარი შტატის გასვლის მოთხოვნას ათიათასობით ამერიკელმა მოაწერა ხელი.

**თეთრ სახლს საკუთარი შტატის დამოუკიდებლობის ოფიციალურად განხილვის მოთხოვნით უკვე მიმართეს ოცი შტატის მცხოვრებლებმა. ეს შტატებია: ტეხასი, ნიუ იორკი, ნიუ ჯერსი, ჩრდილოეთ კაროლინა, სამხრეთ კაროლინა, ალაბამა, ჯორჯია, ფლორიდა, ინდიანა, მიჩიგანი, ტენესი, ლუიზიანა, კენტუკი, არკანზასი, კოლორადო, ჩრდილოეთ დაკოტა, ორეგონი, მისისიპი, მისური, მონტანა.**

მოქალაქეთა საინიციატივო შუამდგომლობა თეთრი სახლის საიტის სპეციალურ განყოფილებაში „We the People“ არის განთავსებული. აქვე გროვდება ხელმოწერები — მითითებულია ყველა ხმის მიცემის ინტერნეტმისამართი. ამ ხელმოწერების ზუსტი რაოდენობის დაფიქსირება თითქმის შეუძლებელია, რადგან საათში დაახლოებით ორი ათასი ხელმოწერა ემატება. მხოლოდ ტეხასის დამოუკიდებლობის საკითხის განსახილველად ხელმოწერებმა საამისოდ საჭირო 25 ათასს დიდი ხნის წინ გადააჭარბა. ასე რომ, ტეხასის შტატის დამოუკიდებლობის ოფიციალურ განხილვას ამხანაგი ობამა უკვე ველარსად გაექცევა.

პირველი, ვინც დამოუკიდებლობა ითხოვა, ლუიზიანის შტატი იყო. ამ შტატიდან თხოვნა ამერიკის „ელექტრონული მთავრობის“ საიტზე არჩევნების ჩატარებისთანავე განთავსდა. ტეხასი მეორე ადგილს დაჯერდა.

ტეხასურ პეტიციაში ნათქვამია, რომ შტატი ითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მშვიდობიან გასვლას და სურს თავისი ახალი მთავრობის შექმნა. ტეხასის პეტიციის ტექსტი ასე გამოიყურება:

**„როგორც ადრე, ამერიკის შეერთებული შტატები ახლაც განიცდის ეკონომიკურ სირთულეებს, რომლებსაც ადგილი აქვს შიდა და უცხოური ხარჯების რეფორმირების მიმართ ფედერალური მთავრობის უყურადღებობის გამო. ამერიკის მოქალაქეები იტანჯებიან მათი უფლებების საარაკო დარღვევების გამო სხვადასხვა აქტების გამოყენებისას. იმის გათვალისწინებით, რომ ტეხასს აქვს დაბალანსებული ბიუჯეტი და მსოფლიოში სიდიდით მე-15 ეკონომიკა, პრაქტიკულად ტეხასს თავისუფლად შეუძლია, გამოეყოს ფედერაციას და ამით დაიცვას მოქალაქეების სიცოცხლის უფლება, კვლავაც გაამყაროს საკუთარი უფლებები და თავისუფლებები ჩვენი მამა-დამაარსებლების იმ ნამდვილი იდეებისა და მრწამსის შესაბამისად, რომლებიც ბოლო დროს ვერ ჰპოვებენ გამოძახილს ფედერალური ხელისუფლების მხრიდან“.**

ასევე საკმაოდ მოკლეა კიდევ ორი შტატის მოქალაქეთა პეტიციაც. თეთრი სახლისთვის რაიმე განმარტებების მიცემით თავს არავინ იწუხებს — **გვსურს დამოუკიდებლობა, საკუთარი ხელისუფლების შექმნა და მორჩა.** ▶

---

ამერიკა

## ობამას აზიური ტურნე

**შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში სამდღიანი ტურნეთი გაემგზავრა და კამბოჯა, ტაილანდი და ბირმა მოინახულა. პრეზიდენტი ობამა პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც ბირმასა და კამბოჯაში ჩავიდა.**

ამ ვიზიტის ფარგლებში, ქვეყნის პირველი პირი აზიაში შეერთებული შტატების ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებზე ამახვილებდა ყურადღებას. ბანკოკში ტაილანდის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას შეერთებული შტატების პრეზიდენტი ორ ქვეყანას შორის არსებული სამხედრო კავშირების განმტკიცებაზე საუბრობდა. ორშაბათს ბარაკ ობამა ჩავიდა ბირმაში, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში სამხედროები მართავდნენ. ბირმის ოპოზიციის ლიდერი, ნობელის პრემიის ლაურეატი აუნგ სან სუ ჩი სექტემბერში პრეზიდენტმა ობამამ თეთრ სახლში მიიღო. ისინი რანგუნში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

შეერთებულმა შტატებმა შეარბილა სანქციები ბირმის წინააღმდეგ ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ დემოკრატიული გარდაქმნების დაწყების შემდეგ. პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ბირმაში დემოკრატიის განვითარება წარმატებით მიმდინარეობს. როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კურტ კემპბელი აცხადებს, **„რეფორმების საწყის ფაზაში გარკვეული შეფერხებები შეიმჩნევა, მოლოდინი ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე სინამდვილეში ხდება ხოლმე“.** ვიზიტის დასასრულს პრეზიდენტი ობამა კამბოჯაში ჩავიდა, სადაც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შეხვედრა გაიმართა.

მსოფლიო

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-მა ამ კრიზისში, შესაძლოა, ნახევარი მსოფლიო ჩაითრიოს, ის ნახევარი, რომელიც ნედლეულის ნავთობდოლარებით ყიდვა-გაყიდვით ცხოვრობს. გონივრული ქვეყნების გონივრული ხელისუფლებები კი უკვე ცდილობენ კატასტროფის თავიდან აცილებას და სხვა ვალუტაზე არჩევენ ვაჭრობას. მაგრამ მრავალ ქვეყანას ესეც ვერ უშველის. მაგალითად, ჩინეთს ამერიკის სახელმწიფო ობლიგაციებში 1,15 ტრილიონზე მეტი აქვს დაბანდებული და, აშშ-ის კრახის შემთხვევაში, ამ ფულის დაკარგვა გარდაუვალია.**

◀ ლუიზიანის პეტიციაში ციტირებულია 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია: „როდესაც მოვლენათა განვითარება იქამდე მიდის, რომ ხალხთაგან ერთ-ერთი იძულებულია, გაწყვიტოს პოლიტიკური კავშირი, რომელიც მას სხვა ხალხთან აკავშირებს, და დაიკავოს დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი ადგილი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან, რისი უფლებაც აქვს ბუნებისა და მისი შემოქმედის კანონების თანახმად, კაცობრიობის აზრისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულება მისგან მოითხოვს ამგვარი გამოყოფის განმაპირობებელი მიზეზების განმარტებას...

ამ უფლებების უზრუნველყოფისთვის ადამიანების მიერ მტკიცდება ხელისუფლება, რომელიც თავის კანონიერ უფლებამოსილებას იღებს მართვადების თანხმობით. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების რომელიმე ფორმა დამღუპველი ხდება თავად ამ მიზნებისთვის, ხალხს უფლება აქვს, შეცვალოს ან გაამარტივოს ის და დააფუძნოს ახალი ხელისუფლება...“

**ლუიზიანის დამოუკიდებლობის მოთხოვნას 26 ათასზე მეტი ხელმოწერა ახლდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ მალე ამ შტატის დამოუკიდებლობის საკითხიც დადგება თეთრი სახლის დღის წესრიგში.**

**ალაბამას 16 000 ხელმოწერა აქვს, დაახლოებით ამდენივე — ჯორჯიას. მათ სულ რამდენიმე ხმით ჩამორჩება ტენესი. ფლორიდა 17 ათასამდე ხელმოწერას ითვლის (შეგახსენებთ, რომ მონაცემები ყოველ საათში იცვლება).**

განცხადებების დიდი ნაწილი მიტ რომნის ელექტორატის მიერაა შეტანილი. მაგრამ ახლა სამხრეთის შტატებს ჩრდილოეთიდანაც შეუერთდნენ — ისეთი შტატებიც კი, როგორიც ნიუ იორკია, ახლა დამოუკიდებლობის მსურველთა სიაშია.

უკანასკნელად ამერიკული შტატების კავშირი ამგვარ რყევებს 1861 წელს განიცდიდა — ლინკოლნის არჩევის შემდეგ. მან კი, რამდენიმე სამხრეთული შტატის გამო, რომელმაც არჩევნებზე მხარი არ დაუჭირა (და არა მონობის გადაგდების მიზნით) ამერიკაში სამოქალაქო ომი გააჩაღა. ეს შტატები იყო: ლუიზიანა, ფლორიდა, მისისიპი, სამხრეთ კაროლინა, ალაბამა და ჯორჯია. ეს შტატები ახლაც ლიდერობენ დამოუკიდებლობის მოსურნეთა სიაში.

**ამერიკის „ელექტრონული მთავრობის“ წესების თანახმად, მას შემდეგ, რაც შეგროვდება მხარდამჭერების 25 ათასი ხელმოწერა (ამისათვის ვადა 30 დღეა), პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვალდებულია, განიხილოს პეტიცია, შემდეგ კი საპასუხოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში გაგზავნოს. ამის შემდეგ ხალხი გაიგებს ოფიციალურ პასუხს, რომელიც გამოქვეყნდება.**

ამერიკაში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ ობამას ადმინისტრაცია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სრული იგნორირებით სახელმწიფოს მოძრაობის მიმართულებას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენს. ამიტომ ობამას ხელახალ არჩევაზე აბსოლუტურად გასაგები რეაქციაა ხალხის შუამდგომლობა საკუთარი შტატის დამოუკიდებლობისთვის. საბოლოო ჯამში ახლა ჟურნალისტები „ამერიკის დაცალკევებულ შტატებზე“ საუბრობენ.

**გააგრძელებს ობამა ხელისუფლებასა და ხალხს შორის ნაპრალის გაღრმავებას? მომავალშიც დაგლეჯს ამერიკის საზოგადოების ტყავს? ბოლოს და ბოლოს, რა პასუხს გასცემს ამ პეტიციებს მისი ადმინისტრაცია?**

ეს ის კითხვებია, რომლებიც ახლა ყველაზე მეტად აწუხებთ პროგრესულად მოაზროვნე ამერიკელ ჟურნალისტებსა და ანალიტიკოსებს.

ამ ადამიანებს პასუხი შემდეგნაირად წარმოუდგენიათ: ადამიანები ან შეეგუებიან და განაგრძობენ ტოტალური სახელმწიფოსკენ სვლას ან გადაწყვეტენ, დაუბრუნდნენ 1776 წლის ნამდვილ არსს და ცხოვრების იმ საფუძვლებს, რომლებსაც ასე უფრთხილდებოდნენ მათი წინაპრები.

მაგრამ მათემატიკაც არ უნდა დაგვავიწყდეს. როგორც კრის ჯოზეფი წერს, „სინამდვილეში ეს გაბედული ადამიანები ობამასა და ფედერალურ ხელისუფლებას სთხოვენ, ჩამოართვას უმუშევრობის დახმარება, ათასობით ხანდაზმულ ადამიანს შეუწყვიტოს დაზღვევა, უარი უთხრას მათ სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლებაზე, შეიარაღებული ძალებით უზრუნველყოფაზე, შეუწყვიტოს ქარიშხლებისა და ტროპიკული შტორმებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების ფინანსური დახმარება, გადაახდევინოს ფული იმ გზების, ხიდებისა და სხვა ყველაფრისთვის, რასაც ეს დამოუკიდებელი კაცები და ქალები ყოველდღიურად იყენებენ. მათ არ შეუძლიათ ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრება, მაგრამ, მზად არიან, ყველაფერი მოიკლონ მხოლოდ იმის გამო, რომ მათი ამჟამინდელი პრეზიდენტი შავკანიანია“.

**სხვათა შორის, ამერიკელებმა ხელი მოაწერეს პირადი მოხმარებისთვის მარიხუანის დაკანონების პეტიციასაც და ძალზე პოპულარულია ის პეტიცია, რომელიც მოსახლეობის ხელახალ აღწერას ითხოვს — ამერიკელების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ 6 ნოემბრის არჩევნები გაყალბდა. ამ უკანასკნელ პეტიციას ჯერჯერობით ყველაზე ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.**




**ლუიზიანისა და ტეხასის პეტიციების შესახებ თეთრი სახლის გადაწყვეტილებას დაახლოებით ერთ თვეში გავიგებთ, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში კიდევ ათობით შტატი გადალახავს ხელმოწერების 25-ათასიან მინიმუმს**

მისი ავტორი წერს: **„აბსოლუტურად ცხადია, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე თაღლითობას ჰქონდა ადგილი. ოჰაიოს შტატის მხოლოდ ერთ ოლქში ობამამ 106 258 ხმა მიიღო, დარეგისტრირებული კი მხოლოდ 98 213 ამომრჩეველია. ადამიანს ძალა არ შესწევს, მიიღოს ხმათა 108 პროცენტი“.**

ამერიკის შტატების უფლება, გავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დაშვებულია ფედერაციის კონსტიტუციით. მაგრამ 1869 წელს უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად გადაწყვიტა, რომ ამერიკის შტატებს შორის ურთიერთობა ჩაითვლება „ურღვევად“ და „საბოლოოდ“. დიდი ხნის შემდეგ, 1940 წელს, რუზველტის შთაგონებით უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა კონსტიტუციის X შესწორებაც, რომლის მიხედვითაც შტატებს აშშ-დან თვითგამოყოფის უფლება ჰქონდათ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური ხელისუფლება კონსტიტუციას არღვევდა.

ახლა ობამას ჯერია. ორმა შტატმა ხომ უკვე მოაგროვა ხელმოწერების აუცილებელი რაოდენობა.

ბატონი პრეზიდენტი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ იგი უტვინო ბიჭი არაა და რაღაც წინასწარ მოიმოქმედა. როგორც ჩანს, ამერიკელი ალარმისტები მართალნი იყვნენ, რადგან ტოტალიტარიზმის მოსალოდნელი გამოვლინებისათვის ობამას მომზადების პუნქტებს შორის იყო:

შიდა უშიშროების დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა საბრძოლო აღჭურვილობის ვაზნების (დაახლოებით 1,6 მილიონი ცალი მათ შორის სნაიპერის შაშხანისათვის, ექსპანსიური ვაზნები და კედლების დამანგრეველი საბრძოლო მასალები), სპეცმასალების, საკონტროლო გამშვები პუნქტების ცეცხლგამძლე და ტყვიაგაუმტარი ჯიხურებისა და ხალხთან ბრძოლისათვის სასარგებლო სხვა რაღაცების მსხვილმასშტაბიანი საბითუმო შეძენა.

ეგრეთ წოდებული საკარანტინო ბანაკების რაოდენობის სწრაფი ზრდა მიმდინარეობს მთელი აშშ-ის ტერიტორიაზე, ამჟამად ამგვარი ბანაკების რაოდენობა უკვე 800-ს უტოლდება. ახალი ბანაკების ტერიტორიებზე მზადაა პლასტიკატის უამრავი კუბო, რომლებიც სათუთადაა ერთმანეთში ჩალაგებული და რომელთა რაოდენობა ნახევარ მილიონს უტოლდება.

2011-2012 წლებში ბარაკ ობამას მიერ მთელი რიგი კანონებისა და პროგრამების მიღება: 1. ნაციონალური თავდაცვის უფლებამოსილების აქტი, რომლის მიხედვითაც შიდა ტერორისტული გამოძიებების საქმეები, ასევე საქმის მონაწილეთა დაკითხვები მთლიანად სამხედროების ხელში გადადის. ეს აქტი საშუალებას იძლევა, მოიხსნას სათანადო სამართლებრივი პროცედურა და უვადოდ იქნეს დაკავებული ნებისმიერი ადამიანი. ამგვარი სამუდამო პატიმრობისათვის საკმარისია ამერიკის ხელისუფლების მტკიცება, რომ ესა თუ ის ადამიანი ტერორისტია; 2. პროგრამები „საზოგადოება ტერორიზმის წინააღმდეგ“, რომლის ფარგლებშიც გამოძიების ფედერალური ბიურო და იუსტიციის სამინისტრო 25 მიმართულების თანამშრომლებს ავალებენ კოლეგებსა და სხვა მოქალაქეებზე თვალთვალს. ამ პროგრამის თანახმად, ჯაშუშებს ყველგან ეძებენ და ყველგან პოულობენ; 3. განკარგულება სასურსათო რესურსების შესახებ. 2012 წელს მიღებულმა ამ ბრძანებამ განაახლა პრეზიდენტის ძალაუფლება და უფლებამოსილება. პრეზიდენტს უფლება აქვს, კონტროლზე აიყვანოს სახელმწიფოს მთელი ენერგიის წყარო, მათ შორის ნავთობი და ბუნებრივი გაზი.

არჩევნების წინ სან-დიეგოში (კალიფორნია) ჩატარდა სამხედრო სწავლებები. ადგილობრივი დასახლებების ანალოგ იმიტაციას ზომბები შეესივნენ და ამერიკის საზღვაო ქვეითები სხვა სამხედროებთან და პოლიციასთან ერთად გმირულად გაუმკლავდნენ მათ. სწავლებების სცენარი დიდხანს მოდელირდებოდა გამოგონილ მტერთან ბრძოლის უშიშროების კორპორაციისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ამერიკულ ცენტრებთან თანამშრომლობით. ამ უკანასკნელთა ადმინისტრაცია ჯერ კიდევ გასულ წელს ეუბნებოდა მოქალაქეებს, რომ შხამიანი საზიზღრობების შეჭრისთვის მზად უნდა იყვნენ. დაცვის კორპორაცია „HALO“-ს პრეზიდენტი, მისტერ ბარკერი, ამბობს, რომ, როდესაც ზომბი-აპოკალიფსი დაიწყება, ამას ფედერალური ინცინდენტის მასშტაბები ექნება.

სწორედ ამ ფედერალური ინცინდენტისთვის ემზადებოდა 2011-2012 წლებში ბარაკ ობამა. როგორც ჩანს, მოსამართლე ჰედი დიდად არ შემცდარა, როდესაც გაეროს ჯარებსა და ჯავშანტრანსპორტიორებზე საუბრობდა.

ლუიზიანისა და ტეხასის პეტიციების შესახებ თეთრი სახლის გადაწყვეტილებას დაახლოებით ერთ თვეში გავიგებთ, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში კიდევ ათობით შტატი გადალახავს ხელმოწერების 25-ათასიან მინიმუმს.

**1998 წელს რუსმა პოლიტოლოგმა იგორ პანარინმა გააკეთა პროგნოზი, რომლის თანახმადაც 2010 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატები ექვს სუბიექტად უნდა დაყოფილიყო: ვაშინგტონი და ნიუ იორკი ატლანტიკურ ზონას შეადგენდნენ და ევროკავშირს შეუერთდებოდნენ, ტეხასი და მისი მიმდებარე შტატები — ტეხასის რესპუბლიკას, წყნარი ოკეანის სანაპირო (კალიფორნია) ჩინეთის პროტექტორატი გახდებოდა, ალიასკა, სავარაუდოდ, რუსეთს დაუბრუნდებოდა, ჩრდილოეთი და ცენტრალური შტატები კანადური გახდებოდა, ჰავაის კუნძულებისთვის კი დავა გაჩაღდებოდა ჩინეთსა და იაპონიას შორის. პოლიტოლოგი წლების მიხედვით შეცდა, მაგრამ, როგორც ჩანს სცენარი მას არ შეშლია.**

შტატების გამოყოფას უნდა დავუმატოთ ამერიკისა და ობამასათვის ტრაგიკული ორი ფაქტი: აშშ-ის 16 ტრილიონ დოლარზე მეტი სახელმწიფო ვალი აქვს და უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა არის ნავთობდოლარი და მეორე, გერმანიამ, შვეიცარიამ და ჰოლანდიამ, შესაძლოა, ისევე მოითხოვონ საკუთარი ოქროს უკან დაბრუნება, როგორც ვენესუელამ გააკეთა.

**აშშ-მა ამ კრიზისში, შესაძლოა, ნახევარი მსოფლიო ჩაითრიოს, ის ნახევარი, რომელიც ნედლეულის ნავთობდოლარებით ყიდვა-გაყიდვით ცხოვრობს. გონივრული ქვეყნების გონივრული ხელისუფლებები კი უკვე ცდილობენ კატასტროფის თავიდან აცილებას და სხვა ვალუტაზე არჩევენ ვაჭრობას. მაგრამ მრავალ ქვეყანას ესეც ვერ უშველის. მაგალითად, ჩინეთს ამერიკის სახელმწიფო ობლიგაციებში 1,15 ტრილიონზე მეტი აქვს დაბანდებული და, აშშ-ის კრახის შემთხვევაში, ამ ფულის დაკარგვა გარდაუვალია.**

თუმცა არ ღირს მოვლენების დაჩქარება. მისტერ ობამა და ბენ ბერნანკე, რომელთაც ლინკოლნის ისტორიული გამოცდილება აქვთ, უბრძოლველად არ დანებდებიან. კუბოებიც უამრავი აქვთ...

topwar.ru

მოკლედ



## ევროპაში აქციები შეტაკებებში გადაიზარდა

**ევროპის 23 ქვეყანაში დაწყებული აქციები სამართალდამცავებთან შეტაკებებში გადაიზარდა. იტალიაში დემონსტრანტები სამართალდამცავებს დაუპირისპირდნენ, რის შედეგადაც ტურინში ერთი ოფიცერი ხელკეტებით სასტიკად ცემეს, მილანში კი დემონსტრანტებთან შეტაკებისას ხუთი პოლიციელი დაიჭრა.** მადრიდში სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის შეტაკებები დაკავებებით დასრულდა. საყოველთაო გაფიცვის შედეგად, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, სწავლა შეჩერდა სკოლებშიც. აქციის მონაწილეები ევროკავშირში უმუშევრობის გაზრდას აპროტესტებენ, ისინი უკმაყოფილოები არიან ბიუჯეტის მკაცრი ეკონომიით, რამაც ევროკავშირის ქვეყნები ხელფასებისა და პენსიების შემცირებამდე და გადასახადების გაზრდამდე მიიყვანა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ ახლა წყდება ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ბედი. სწორედ ახლო აღმოსავლეთისთვის ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა აშშ შედარებით ლიდერობას მსოფლიოში, თორემ აბსოლუტური ჰეგემონია მან უკვე სამუდამოდ დაკარგა. ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ საკვანძო რეგიონში ამერიკის პერსპექტივები მიმზიდველად არ გამოიყურება.**

# ობამას ახალი ვადის მთავარი საიდუმლო: რა უხარია პრეზიდენტს?

**აირჩიეს რა პრეზიდენტად მეორე ვადით, ბარაკ ობამა დღესაც მილოცვებს იღებს და ფოტოგანათებების თუ ამერიკის დროშების ზღვაში ნავარდობს. ამასთან, მის სახეზე იკითხება აბსოლუტურად გულწრფელი სიხარული, თითქოს ლატარეა მოიგო ან რთული გამოცდა ჩააბარა. მაინც რა უხარია მისტერ ობამას?**



როდესაც იგი პირველი ვადით აირჩიეს, გაჩნდა ძალზე ნიშანდობლივი კარიკატურა სახელწოდებით: „ობამას სიგიჟე. პირველი 100 წუთი“. ამ კარიკატურაზე ამერიკის პრეზიდენტს ხელები თავში აქვს შემორტყმული და სასოწარკვეთილი შემოგვყურებს. მისი საწერი მაგიდა სავსეა საბირჟო ინდექსების დაცემის შესახებ ანგარიშებით, ირანის ბირთვულ პროგრამაზე საიდუმლო მასალებით, ნაციონალური უსაფრთხოების რისკების შესახებ მოხსენებებითა და ათასი სხვა ამგვარი ქაღალდით. ამ კარიკატურით მოღებული პირველი შთაბეჭდილება ის იყო, რომ ხალხს მართლა შეეცოდა ეს კაცი.

**გავიდა ოთხი წელი და ზუსტად ის დროა, ახალ კარიკატურას ვხატავდეთ, მაგრამ ობამას მაგიდას უნდა მიეხატოს ანგარიშები სირიის, ეგვიპტის, მალის, სუდანის, ავღანეთის, პაკისტანის, მთელი შუა აზიის საქმეებთან დაკავშირებით, მსუქანი საქაღალდე სათაურით „ჩინეთი“, მზარდი სახელმწიფო ვალის გრაფიკი და კიდევ მრავალი პრობლემა, რომელთა გადაჭრაც მომავალი 4 წლის განმავლობაში მოუწევს. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი წლის წინანდელი საქაღალდეებიც არსად გამქრალა, დახატულ მაგიდაზე, უბრალოდ, ადგილი არ კმარა ამდენი საფრთხის ასახვისთვის.**

მაგრამ ობამა უკვე აღარ იწვევს იმ თანაგრძნობას, რომელსაც ოთხი წლის წინ იწვევდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ ესმოდა, სად მოხვდა. ობამას გულწრფელად უხარია, რომ ამ მაგიდასთან სწორედ ის იჯდება და არა ვინმე სხვა. ეს ნამდვილად საკვირველია, რადგან ობამა რომ ახლა წასულიყო, ამერიკელების ცნობიერებაში დარჩებოდა, თუმცა არა როგორც ყველაზე წარმატებული და ნიჭიერი, მაგრამ როგორც ასატანი პრეზიდენტი. ახლა იგი შეგნებულად მიდის რისკზე, რადგან პრობლემების ახალმა გროვამ, შესაძლოა, იმდენად ჩაძიროს, რომ ასატანიდან ქვეყნის ყველაზე უარეს პრეზიდენტად აქციოს. **რით კომპენსირდება ეს რისკი? ქონების მოხვეჭის წყურვილით?** სავარაუდოდ, ბატონმა ობამამ საკუთარი თავიცა და შვილებიც უკვე უზრუნველყო საკმარისი რაოდენობის კაპიტალით. **სახელის მოხვეჭის სურვილით?** გახდა რა მსოფლიოში პირველი აშშ-ის შავკანიანი პრეზიდენტი, მან მომავალი საუკუნეების მანძილზე მოიხვეჭა სახელი. **დაწყებულის ბოლომდე მიყვანის მწველი სურვილით?** ხომ გასაგებია, რომ არაფერს დაასრულებს და პრინციპულად არაფერს შეცვლის. ეს ის ადამიანი არაა, რომ საკუთარ სახლში მოაწყოს რევოლუცია. თუ სადმე რევოლუციას მოაწყობს, ეს მხოლოდ სხვა, შორეულ ქვეყანაში მოხდება და ამ საქმეს კი ობამას გარეშეც მშვენივრად მიხედავენ.

იქნებ ობამას ძალაუფლების გარეშე ყოფნა ველარ წარმოუდგენია? სავსებით გასაგები მოტივია. ამ მოტივმა დიდი სპორტსმენებიდან დაწყებული, დიდი დიქტატორებით დამთავრებული უამრავი ადამიანი შთანთქა ყოველგვარი ლოგიკური დასკვნების გარეშე. მაგრამ ობამა ხომ დიდი არ არის? მისნაირები, როგორც წესი, ძალაუფლებას არ ებღაუჭებიან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მისნაირები ადვილად მიდიან, როგორც კი მიხვდებიან, რომ მომავალ ამოცანებს თავს ვერ გაართმევენ.

რჩება ერთადერთი ვარიანტი: **ობამას არაფრის ეშინია, იმიტომ, რომ არაფერზე აგებს პასუხს. მას მოსწონს ტრიბუნებიდან კბილების გაელვება, პრეზიდენტის ლაინერით ფრენა პრესტიჟულ საერთაშორისო ვახშმებზე. მას მოსწონს, როდესაც ინტერნეტში საკუთარ თავზე კითხულობს, თითქოს ის არის ადამიანი, რომელიც მსოფლიოს ბედს განაგებს, მოსწონს, როდესაც პიარმენეჯერებთან ერთად განიხილავს მომავალ ფოტოსესიებს და ხელს აწერს მნიშვნელოვან დოკუმენტებს.**

სასიამოვნოა დიდი სახელმწიფოს არა პრეზიდენტობა, არამედ პრეზიდენტად მუშაობა, როდესაც ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას შენი მონაწილეობის გარეშე იღებენ ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან, რასაც აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, იმაზე კარგად ნამდვილად იციან, ვიდრე პრეზიდენტმა ობამამ. და, რა თქმა უნდა, **ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ეს ადამიანები დაგპირდებიან, რომ პრეზიდენტობის ახალი ვადაც სწორედ ასეთი იქნება — ფოტოგანათებები და ამერიკის დროშები...**

odnako.org

# აშშ-ის მომავალი აღმოსავლეთში წყდება

**ექსპერტების დიდი ნაწილი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ აშშ-მა მხარი დაუჭირა, მთელ რიგ შემთხვევებში კი თავად მოაწყო არაბული რევოლუციების სერია იმისათვის, რომ ახლო აღმოსავლეთში „მართვადი ქაოსი“ შეექმნა და განრისხებული ისლამური გუნდები თავისი კონკურენტების — რუსეთის, ჩინეთისა და ევროპის წინააღმდეგ მიემართა. ეს აზრი უკვე აღარ გამოიყურება სამართლიანად: აშშ-მა თუკი ვინმეს შეუქმნა პრობლემები, ეს ვინმე, უპირველეს ყოვლისა, თავადაა.**



უკანასკნელ დრომდე ახლო აღმოსავლეთი ამერიკელებისთვის დასაყრდენი რეგიონი იყო. თუ მის რუკას დავხედავთ, რთული შესამჩნევი არაა, რომ რამდენიმე სახელმწიფოს (ლიბიის, იემენის, სირიისა და ირანის) გარდა, ის აშშ-ის მოკავშირეებისგან შედგება. ამასთან, რამდენიმე მათგანი ვაშინგტონის უახლოესი მოკავშირეა, მაგალითად: მაროკო, ეგვიპტე, ტუნისი, იორდანია, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, ყატარი და სხვ. ამ ქვეყნებში მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდა დიქტატორული რეჟიმები, რომელთაც ძალზე აქტიურად უჭერდა მხარს აშშ, მაგრამ „არაბული გაზაფხულის“ დასაწყისიდან აშშ-ში გადაწყვიტეს, რომ შეძლებდნენ მოლაპარაკებას ზომიერ ისლამისტებთან რადიკალებთან მათი დაპირისპირებით და „დემოკრატიული ახლო აღმოსავლეთის“ გახედვნას.

მაგრამ „არაბული გაზაფხულის“ წამოწყებით აშშ-მა წარმოიწყო თამაში, რომლის დასასრულის პროგნოზირება ძალზე რთულია. სულ ახლახან მთელ მუსლიმანურ სამყაროს გადაუარა ანტიამერიკულმა მღელვარებამ და თავად ამერიკის უშუალო ხელდასმით „გადემოკრატიულებულ“ ლიბიაში აშშ-ის ელჩი მოკლეს. ვაშინგტონში ვარაუდობდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში დემოკრატია მათ ხელს აძლევდათ, მაგრამ რეალურად იქ დემოკრატია ვაშინგტონის წინააღმდეგ მუშაობს. და თუ ადრე პროამერიკელი დიქტატორები გასაქანს არ აძლევდნენ ანტიამერიკულ დემოკრატიას, ახლა ათასობით ადამიანი ქუჩებში ანტიამერიკული ლოზუნგებით დადის. **არაბული დემოკრატია სახალხო განწყობების ღია დემონსტრირებაა; ეს განწყობები კი, ძირითადად, ანტიამერიკულია.**

ახლო აღმოსავლეთში „ჟასმინების რევოლუციის“ მხარდაჭერით აშშ იმედოვნებდა, რომ ხელისუფლებაში ლიბერალი პოლიტიკოსები მოვიდოდნენ, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ლიბერალებს მუსლიმანურ სამყარში ძალზე თხელი ფენა უკავიათ. ესენი, ძირითადად, არიან ადამიანები, რომლებმაც განათლება დასავლეთში მიიღეს, დაკავშირებულნი არიან მასთან ბიზნესით, გარკვეული დროით აშშ-ში ცხოვრობდნენ და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ. მათი მასობრიობა ნამდვილად არაა საკმარისი ხელისუფლებაში მოსასვლელად, ამიტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ ტახრირის მოედანზე მოვლენათა ეპიცენტრში მდგარი ეგვიპტის ლიბერალური საზოგადოება შემდგომ სადღაც მოისროლეს, პარლამენტში კი ადგილების უმეტესობა ისლამისტებს ეკუთვნით. ლიბერალები არაბულ გაზაფხულში დამარცხებულებს შორის აღმოჩნდნენ.

ვერ შეძლეს რა, ხელისუფლებაში მოეყვანათ პროდასავლური ძალები, აშშ იძულებულია, მოელაპარაკოს ისლამისტებს. მაგრამ მოძებნიან თუ არა ისინი საერთო ენას, არავინ იცის. **ახლახან ეგვიპტის პრეზიდენტმა მუჰამედ მურსიმ აშშ-ში ვიზიტისას ჩამოაყალიბა რამდენიმე პირობა, რომლებიც აუცილებელია აშშ-სა და არაბული სამყაროს ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.**

**ერთ-ერთი პირობაა, რომ ამერიკამ შეწყვიტოს ისრაელის ცალმხრივი მხარდაჭერა სხვა არაბულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების საზიანოდ;**

**მეორეა ისლამური საზოგადოების კულტურული ღირებულებების აღიარება და ისლამური სამყაროს საწინააღმდეგო იდეოლოგიურ და პოლიტიკურ პროვოკაციებზე უარის თქმა;**

**მესამე პირობა პალესტინური სახელმწიფოს შექმნისთვის მაქსიმალური ძალისხმევის გამოჩენაა.**

აშშ-ის მთავარი პრობლემა ისაა, რომ მისთვის უკიდურესად რთულია ისლამისტების ამ პირობების შესრულება. მათ არ შეუძლიათ, ერთ საათში შეაჩერონ მუსლიმანური სამყაროს საწინააღმდეგო ყველა იდეოლოგიური და პოლიტიკური დივერსია, რადგან ამერიკას საუკუნეების მანძილზე ჩამოუყალიბდა დამოკიდებულება თავისუფლებასთან, რომელიც უშვებს აგრესიულ, ანტიმუსლიმანურ გამოხდომებს. სწორედ ამიტომ ვერ აკრძალა ამერიკის ხელისუფლებამ „მუსლიმანთა უცოდველობა“, მიუხედავად მისი ფინალისადმი საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულებისა. ფილმის პროდიუსერი კი დააკავეს არა რასისტული და ანტიისლამური ფილმის შექმნის, არამედ პირობითი სასჯელის წესების დარღვევის გამო.

**ამერიკა ვერ იტყვის უარს ისრაელის ცალმხრივ მხარდაჭერაზეც. ამას ამერიკა ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დღიდან აკეთებდა და აკეთებს. ძალიან საეჭვოა, აშშ-მა, რომელსაც არ აქვს საშუალება, სერიოზული გავლენა მოახდინოს ისრაელზე, რეალური წვლილი შეიტანოს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საქმეში.**

ამრიგად, აშშ-ს არ შეუძლია რაიმე გააკეთოს არაბულ სამყაროსთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ამას კი ვაშინგტონისთვის სერიოზული გეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვება. სწორედ ახლა წყდება ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ბედი. სწორედ ახლო აღმოსავლეთისთვის ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა აშშ შედარებით ლიდერობას მსოფლიოში, თორემ აბსოლუტური ჰეგემონია მან უკვე სამუდამოდ დაკარგა. ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ საკვანძო რეგიონში ამერიკის პერსპექტივები მიმზიდველად არ გამოიყურება.

**Новое Восточное Обозрение**

მიტ რომნის წაგება იყო ის ზღვარი, რომლის შემდეგაც: 1. ამერიკულ პოლიტიკაში თეთრკანიანი ადამიანების ჰეგემონია მთავრდება, 2. უმცირესობა აშშ-ში საბოლოოდ გადადის უმრავლესობაში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ობამას ხელახალი არჩევა ერთსქესიანი ქორწინებებისა და ნარკოტიკების ლეგალიზებას ნიშნავს...

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის დიდი პრობლემა

**აშშ-ში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ამ ქვეყნის პოლიტიკურ ევოლუციაში იმის მაჩვენებლად იქცა, რომ თეთრკანიანი ამერიკისთვის დემოკრატიის კრიტიკული რაოდენობა ფატალურ ფაქტორად უფრო იქცა, ვიდრე გამაჯანსაღებლად. თავის დროზე აშშ-ის მამა-დამაარსებლებმა, იყვნენ რა თეთრკანიანი პროტესტანტი-ანგლოსაქსები და ცეცხლოვანი რესპუბლიკელები, სურდათ რა ქვეყნის დაცვა დემოკრატიის ექსცესებისგან, დაადგინეს: 1. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ თეთრკანიან ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ საკუთრება, 2. სენატორები უნდა აირჩიონს ყველა შტატის კანონმდებლებმა, 3. პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი უნდა აირჩიოს ამომრჩეველთა კოლეგიამ.**



პირველი ორი შეზღუდვა დიდი ხანია მოიხსნა. რაც შეეხება მესამეს, ის რესპუბლიკელ კანდიდატს ბოროტად გაეხუმრა — მოსახლეობის ხმათა საერთო რაოდენობით შავკანიანი მოწინააღმდეგის დამარცხების მიუხედავად, მან არჩევნები მაინც წააგო. **მიტ რომნის წაგება იყო ის ზღვარი, რომლის შემდეგაც: 1. ამერიკულ პოლიტიკაში თეთრკანიანი ადამიანების ჰეგემონია მთავრდება, 2. უმცირესობა აშშ-ში საბოლოოდ გადადის უმრავლესობაში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ობამას ხელახალი არჩევა ერთსქესიანი ქორწინებებისა და ნარკოტიკების ლეგალიზებას ნიშნავს...**

ამის პირდაპირი დადასტურებაა როგორც არჩევნების შედეგები, ასევე დემოგრაფიული სტატისტიკაც. აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემების თანახმად, ამერიკაში ისტორიის მანძილზე წელს პირველად თეთრკანიან ოჯახებში უფრო ნაკლები ბავშვი დაიბადა, ვიდრე „ფერადკანიანებში“. **ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 4 მილიონი ბავშვიდან, ლათინოამერიკელების, აფროამერიკელების, აზიური და სხვა წარმომავლობის უმცირესობების შვილები 50.4 პროცენტს შეადგენდნენ.**

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, როდესაც ეთნიკური უმცირესობების ახალშობილთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 35-40 პროცენტს შეადგენდა, მისი წარმომადგენლები დიდ პოლიტიკას ბიზნესს ამჯობინებდნენ. მაგრამ „ობამას ფენომენმა“ არაერთი მათგანი აიძულა, დაფიქრებულიყო პოლიტიკური კარიერის პერსპექტივაზე. გარდა ამისა, შავკანიანი კანდიდატის ჯერ კიდევ პირველმა გამარჯვებამ ამერიკის ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენელთა სერიოზული პოლიტიზირება განაპირობა.

დღეს შავკანიანი და „ლათინოსი“ ამომრჩევლის მხარდაჭერის გარეშე აშშ-ში ფედერალური დონის არჩევნებში გამარჯვება შეუძლებელია. ამას კონსერვატორი-რესპუბლიკელებიც კი აცნობიერებენ და სწორედ ამიტომაც წარადგინეს პრეზიდენტობის მესამე კანდიდატად ლათინოამერიკელი მარკო რუბიო. საუბარიც აღარაა დემოკრატებზე, რომლებიც, უკვე დიდი ხანია, ფსონს ეროვნულ უმცირესობებზე ჩამოდიან. მათთან ახლა მექსიკელი ემიგრანტების 37 წლის წარმომადგენლის, ჯულიან კასტროს, ვარსკვლავი ამოდის. ამჟამად იგი ტეხასის შტატში ქალაქ სან-ანტონიოს მერია. მოახლოებულ საგუბერნატორო არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში და ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას ეს ლათინოსი, შესაძლოა, თეთრი სახლის ახალი პატრონის თანამდებობაზე ყველაზე პერსპექტიულ პრეტენდენტად იქცეს.

დღეს თეთრკანიანი ანგლოსაქსური ამერიკა „დაუმარცხებელ გამარჯვებებს“ მოიპოვებს „გლობალური სამხრეთის“ ფერადკანიან ლატაკებსა და განდევნილებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგრამ თავად აშშ-ისთვის, სადაც მოსახლეობის დინამიურად მზარდი ნაწილი, საკუთარი თავის ასოცირებას ასე თუ ისე ამ ლატაკებსა და განდევნილებთან ახდენს, ამ გამარჯვებებს სასტიკი დამარცხებები ელის, რაც საბოლოოდ დაუსვამს ჯვარს აშშ-ში რასობრივ თანასწორობას.

**მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, ახალშობილი და სამხრეთ ამერიკიდან უკან დაბრუნებული ემიგრანტები მოსახლეობის ნამატის 49%-ს შეადგენდა ჯერ კიდევ 2004-2005 წლებში. ლათინოამერიკელი ამერიკის მოქალაქეების საშუალო ასაკი 27,2 წელს შეადგენს, ქვეყანაში მთლიანობაში საშუალო ასაკი კი 36,2 წელია. 2001 წელს ლათინოამერიკული წარმომავლობის ამერიკელი ქალები შობადობის ასაკში საშუალოდ 2,4 ბავშვს აჩენდნენ, თეთრკანიანები კი — 1,8-ს.** ფერადკანიანმა ამერიკელებმა უკვე შეავიწროეს თეთრკანიანები აშშ-ის ოთხ შტატში და ფედერალურ ოლქ კოლუმბიაში, ასევე რამდენიმე დიდ ქალაქში, მათ შორის ნიუ იორკში, ლას ვეგასსა და მემფისში.

> **მიტ რომნის წაგება იყო ის ზღვარი, რომლის შემდეგაც ამერიკულ პოლიტიკაში თეთრკანიანი ადამიანების ჰეგემონია მთავრდება...**

ვიდრე ამერიკელი „ქორები“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეომებიან „გლობალური სამხრეთის“ წარმომადგენლებს, მათ სახლში ყოველ წუთს მწიფდება „შიდა სამხრეთის“ პრობლემა. **„შიდა სამხრეთელების“ იდეოლოგიის საფუძველში დევს განთავისუფლების ნეონაცისტური თეორია „LA RAZA“, რომლის მოწოდებაა ამერიკაში ყველა რასის ამოძირკვა და რომელიც აცტეკების ცივილიზაციას ემყარება მის ტერიტორიაზე** (აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთი) კვაზიკომუნისტური მმართველობის ფორმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.

ამ იდეოლოგიის თეორია ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან იღებს სათავეს. 1925 წელს მექსიკელმა ფილოსოფოსმა, ჟოზე ვასკონსელოსმა, გამოაცხადა, რომ გაჩნდება ახალი მეხუთე, ანუ კოსმოსური რასა, რომელიც წარმოიშობა ლათინოამერიკულის საფუძველზე და გააერთიანებს ყველა დანარჩენი რასის საუკეთესო ნიშნებს. ამის შემდეგ კი იბეროამერიკა, თავისი სულიერი და რასობრივი ფაქტორების წყალობით, კაცობრიობის განვითარების უნივერსალურ ერას მისცემს დასაწყისს.

ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი თანამედროვე მიმდევარი კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი არმანდო ნავარო ირწმუნება, რომ უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში კალიფორნიის, არიზონის, ნიუ-მეხიკოს, ნევადის, ტეხასის და იუტას შტატები ნახევრადლათინოამერიკული იქნება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდება ახალი უმრავლესობა, ყველაფერი შეიცვლება, თეთრი სახლი ხელის გაწვდენაზე იქნება და მისი სახელი **ყავისფერი სახლით** შეიცვლება.

ამგვარი ტენდენციები, უკვე დიდი ხანია, აშფოთებს აშშ-ის ხელისუფლებას. ამ ეტაპზე ის ცდილობს, მიაჩუმათოს პრობლემა და ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის ყველაზე მეტად საშიშ ლათინოამერიკელ და შავკანიან რასისტებს. მაგალითად, ლოს-ანჯელესის ქუჩებში ამერიკის ლათინოამერიკული მოძრაობის ერთ-ერთი გონებრივი ცენტრი და „შავი ცენტრისა“ და „განმათავისუფლებელი არმიის“ გაერთიანებული „შავი ავანგარდის“ მეგაბანდები ნამდვილ სამოქალაქო ომს აწარმოებენ.

აშშ-ის უკანასკნელი თეთრკანიანი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსი მრავალჯერ ითხოვდა სამხრეთ საზღვრების გაძლიერებას და იმ კომპანიებთან ბრძოლის გაძლიერებას, რომლებიც სამხრეთამერიკული ქვეყნებიდან მილიონობით უკანონო მიგრანტის შრომას იყენებენ.

აშშ-ის სენატმა ჯერ კიდევ 2006 წლის მაისში მოიწონა მექსიკის საზღვარზე სპეციალური სამზოლიანი კედლის აღმართვა მავთულხლართებითა და სათვალთვალო კამერებით. ეს უნდა ყოფილიყო 600-კილომეტრიანი წინაღობა და ასევე გათვალისწინებული იყო 800-კილომეტრიანი წინაღობა საავტომობილო გზისთვის.

ამერიკა-მექსიკის საზღვარზე მანამდეც, მრავალი წლის მანძილზე იდგა მსგავსი კედელი, მაგრამ მასშტაბების მიხედვით — გაცილებით მომცრო. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ყოველწლიურად „დემოკრატი“ ამერიკელები ამ კედელთან უფრო მეტ გადასვლის მსურველს კლავენ, ვიდრე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ტოტალური“ პოლიციელები კლავდნენ ბერლინის კედელთან. **ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ 2005 წელს მექსიკისა და აშშ-ის საზღვრის გადაკვეთისას 500-ზე მეტი ლათინოსი მოკლეს.**

და მაინც, ყველა ეს ზომა ერთად განსაკუთრებულ ეფექტს არ იძლევა. როდესაც ბუში მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებას იწყებდა და სამუშაოდ იქ ნაციონალური გვარდიის მრავალათასიანი ქვედანაყოფები გაგზავნა, გაირკვა, რომ ქვეყანაში მყოფი 12 მილიონზე მეტი არალეგალური მიგრანტი არც ერთ საზღვარზე არ გადამძვრალა — ისინი ქვეყანაში აბსოლუტურად კანონიერად შევიდნენ. ხელისუფლება იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ ეს მილიონობით ადამიანი ლეგალური ვიზით ჩავიდა აშშ-ში, მაგრამ შემდეგ სამშობლოში დაბრუნება „დაავიწყდა“. იმიგრაციული რეფორმის შესახებ მწვავე დებატებისას ამერიკაში „შეყოვნებულ“ ამ მილიონობით ადამიანზე საუბარს ყველა თავს არიდებს.

> **ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ 2005 წელს მექსიკისა და აშშ-ის საზღვრის გადაკვეთისას 500-ზე მეტი ლათინოსი მოკლეს**

fondsk.ru



## ისრაელის ტერიტორიაზე ტერორისტთა 500 რაკეტა ჩამოვარდა

**ბოლო დღეების განმავლობაში ისრაელზე პალესტინელ ტერორისტთა სარაკეტო დარტყმებმა იკლო; შესაბამისად, შემცირდა ისრაელის საპასუხო დაბომბვებიც. ვრცელდება ინფორმაცია მხარეებს შორის შესაძლო დაზავებისა და დაპირისპირების ამ რაუნდის დასრულების შესახებ.** მანამდე კი ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით გაშვებული რამდენიმე ასეული რაკეტის საპასუხოდ ისრაელელმა სამხედროებმა პალესტინის ანკლავში მდებარე 70 სამიზნე დაბომბეს. მას შემდეგ, რაც პალესტინელი ტერორისტების წინააღმდეგ ისრაელის საპასუხო ოპერაცია დაიწყო, ისრაელში დაახლოებით 500 რაკეტა ჩამოვარდა, მათ შორის პირველად დაიბომბა თელ-ავივი და იერუსალიმი. ისრაელული მედიის ცნობით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ბენიამინ ნეთანიაჰუს, სატელეფონო საუბარი ჰქონდა უცხოელ კოლეგებთან, რომლებმაც მას სთხოვეს, უარი ეთქვა ოპერაციის გაფართოებაზე. გამოცემა „ჰაარეცის“ ინფორმაციით, ნეთანიაჰუმ ისინი დაარწმუნა, რომ მზად არის ცეცხლის სრული შეწყვეტისათვის მას შემდეგ, რაც ღაზას სექტორიდან დაბომბვები შეჩერდება. უცხოური მედიის ცნობით, ღაზას სექტორში დაღუპულთა საერთო რაოდენობა 50 ადამიანს აღწევს. პალესტინელთა მხრიდან დაბომბვებს კი სამი ისრაელელის სიცოცხლე ემსხვერპლა.



## ირანმა ისრაელის ოპერაციას ტერორიზმი უწოდა

**ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ღაზას სექტორში ისრაელის მიერ წარმოებული ოპერაცია შეაფასა და თელ-ავივის ქმედებებს ტერორიზმი უწოდა.** „ირანი, ისრაელის შეიარაღებული ძალების მოქმედებას, რის შედეგადაც მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, აფასებს როგორც ტერორიზმს და გმობს მას“, — განაცხადა ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მან ასევე დაგმო იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დუმილი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ადამიანის უფლებებს იცავენ.

საქართველო და მსოფლიო
კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში არ აღმოჩნდა თეორეტიკოსი, რომელიც, ერთის მხრივ, შეიტანდა თავის წვლილს ჩინეთის კომპარტიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში, მეორე მხრივ, ექნებოდა საკმარისი ავტორიტეტი, პეკინს მისთვის ყურადღება რომ მიექცია და მიეღო მისი რჩევა. სკკპ ახალმა ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად უარი თქვა ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობაზე. მას ამის არც უნარი შესწევდა და არც შესაძლებლობა გააჩნდა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

დასასრული.
დასაწყისი იხ.
№1-43 (139-181)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**სტალინმა მოიწონა და გაიზიარა მაო ძედუნის მოსაზრება, რომ კორეის ომი იყო აშშ აგრესიის შემაკავებელი ფაქტორი. მისი გახანგრძლივება, მსხვერპლის მიუხედავად, უპასუხებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ინტერესებს: მან, ამ ომმა სრულად მიაპყრო ამერიკის ყურადღება შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს, მაშასადამე, აგვარიდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე.**

უფრო მეტიც, სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეის ომმა გამოავლინა აშშ შეიარაღებული ძალების სისუსტე. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამერიკამ ვერ შეძლო პატარა კორეის დამარცხება. ამერიკასთან ურთიერთობაში საჭიროა სიმტკიცე... ამერიკელები ვაჭრები არიან. ყოველი ამერიკელი ჯარისკაცი სპეკულანტია, რომელიც ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული. გერმანელებმა 20 დღეში დაიპყრეს საფრანგეთი. აშშ-მა, უკვე მეორე წელიწადია, ვერაფერი მოუხერხა პატარა კორეას. ეს რა ძალაა?! მათ მთელი მსოფლიოს დაპყრობა სურთ, არადა, ვერ სძლიეს პატარა კორეას. არა, „ამერიკელებმა ბრძოლა არ იციან".

ომის დამთავრების შემდეგ ამ რეგიონში ფერფლწაყრილი ღადარი დარჩა — ახალი შეიარაღებული კონფლიქტების შესაძლო კერა. ეს კი ამერიკას მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა. იყო კიდევ ერთი კერა, რომელიც კონტინენტურ ჩინეთს ემუქრებოდა — გომინდანური ტაივანი. მაოს აშინებდა ჩანკაიშელების შესაძლო გადმოსხდომა ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ამერიკელების მხარდაჭერითა და მათ საფარქვეშ. ამას შეიძლება მოჰყოლოდა ახალი სამოქალაქო ომი მაშინ, როცა ქვეყანაში დაიწყო სოციალისტური მშენებლობა. „ამერიკელების მიერ ტაივანზე დაწესებული კონტროლი საფრთხეს უქმნის შანხაისა და აღმოსავლეთ ჩინეთს", — მიაჩნდა მაო ძედუნს.

1952 წლის 20 აგვისტოს სტალინმა მიიღო მაო ძედუნის წარგზავნილი და ამ თემაზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა: „ჩინელმა ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, რომ, თუ ამერიკა არ წააგებს ამ ომს (ლაპარაკია კორეის ომზე. — ა.ს.), ჩინელები ტაივანს ვერასოდეს ვერ მიიღებენ". კომუნისტური ჩინეთის გომინდანურ ტაივანთან და მასთან ერთად აშშ-თან დაპირისპირება, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მომგებიანი იყო საბჭოთა კავშირისთვის.

სტალინი მაქსიმალურად ხელს უწყობდა ჩინეთის სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდასა და განმტკიცებას. ამით იგი ერთმანეთს უახლოებდა ორ ზემძლავრ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს. ეს კავშირი წარმოადგა, როგორც საფუძველი სოციალისტური თანამეგობრობის, რომელიც იმ პერიოდში გადაჭიმული იყო აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვიდან ელბამდე და არქტიკიდან ინდოჩინეთის ჯუნგლებამდე. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა ამ ბანაკს ჭეშმარიტად უძლეველს ხდიდა.

...სტალინის ავადმყოფობის დღეებში საბჭოთა საელჩო პეკინში ბუკვალურად წალეკა ჩინეთის ექიმების წერილებმა, რომლებშიც ისინი საბჭოთა მეგობრებს სთავაზობდნენ დახმარებას მრავალსაუკუნოვანი ჩინური მედიცინის წამლებითა და მეთოდებით. საბჭოთა ბელადის გარდაცვალების შემდეგ ჩინელები დაუსრულებელი კოლონებით მიდიოდნენ საბჭოთა საელჩოსთან, რომლის ფასადზე გამოფენილი იყო სტალინის პორტრეტი, გულწრფელად ტიროდნენ და გლოვობდნენ მას.

მაო იყო პირველი, ვინც საელჩოში სამძიმრის სათქმელად მივიდა. თვალებში ცრემლი ჰქონდა ჩამდგარი. შემდგომში მან განაცხადა, რომ შეეძლო დაეწერა ტომები სტალინთან ურთიერთობაზე.

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნავენ ანალიტიკოსები, ჩინეთში მიმდინარე მოვლენებზე მოსკოვის იდეოლოგიური ზემოქმედება თანდათან კლებულობს და, ფაქტობრივად, ქრება. შესაბამისად, იზრდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა კი, მაო ძედუნის გავლენა და პირველკაცობა.**

ამის მიზეზი მრავლად იყო. უწინარეს ყოვლისა, **სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში არ აღმოჩნდა თეორეტიკოსი, რომელიც, ერთის მხრივ, შეიტანდა თავის წვლილს ჩინეთის კომპარტიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში, მეორე მხრივ, ექნებოდა საკმარისი ავტორიტეტი, პეკინს მისთვის ყურადღება რომ მიექცია და მიეღო მისი რჩევა. სკკპ ახალმა ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად უარი თქვა ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობაზე. მას ამის არც უნარი შესწევდა და არც შესაძლებლობა გააჩნდა.** ორი უზარმაზარი სახელმწიფოს ურთიერთობა საქმიანი თანამშრომლობის ყოველდღიური საკითხებით შემოიფარგლა.

სტალინის შთამომავლები მთლიანად დაკავებულნი იყვნენ პარტიასა და ქვეყანაში ლიდერობისთვის ბრძოლით. ისინი თავგამოდებით ცდილობდნენ, მოეპოვებინათ მაო ძედუნის კეთილგანწყობა, რომელიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

ამასთან ერთად, საყურადღებოა ისიც, რომ სკკპ ხელმძღვანელობაში მომწიფება დაიწყო ტენდენციებმა, რომლებიც შემდგომ ხრუშჩოვის რევიზიონიზმის სახით გაფორმდა.

1953-55 წლებში, მაშინ, როცა ხრუშჩოვმა გაააქტიურა ბრძოლა ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად, მას მხარი მაო ძედუნმა დაუჭირა. ამ მხარდაჭერისთვის ნიკიტამ სრულად გაიღო ხარკი: პორტ არტურიდან და დალნიდან გამოიყვანა საბჭოთა ფლოტი და ჯარის ნაწილები, მაოისტებს შურის საძიებლად გადასცა სტალინის კომისარი გაო განი, გააუქმა სსრ კავშირ-ჩინეთის ერთობლივი საზოგადოებები, რომელთა შექმნაზე მაო სტალინს დიდი გაჭირვებით დათანხმდა. რამდენიმეჯერ გაიზარდა ჩინეთისთვის საბჭოთა დახმარების მოცულობა.

ასე გაგრძელდა ხრუშჩოვის ანტისტალინურ მოხსენებამდე პარტიის მეოცე ყრილობაზე. „პიროვნების კულტთან" დაკავშირებით მაომ გაორებული პოზიცია დაიკავა, რადგან თავის ქვეყანაში საკულტო პიროვნება იყო. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობასთან დამყარებული ურთიერთობა რომ არ გაეფუჭებინა, მაო გამოვიდა სტალინის დოზირებული კრიტიკით. თანაც ეს კრიტიკა გამოითქმებოდა საბჭოთა წარმომადგენლებთან დახურული შეხვედრების დროს საუბრებში.

ოფიციალურ ჩინურ პუბლიკაციაში სჭარბობდა პროპორცია „70X30", რაც ნიშნავდა: სტალინის მოღვაწეობაში დამსახურებანი შეადგენდა 70 პროცენტს, შეცდომები — 30 პროცენტს. **მაო აცხადებდა, რომ სტალინის შეფასებას დიალექტიკურად უნდა მივუდგეთ, უარვყოთ ყველაფერი უარყოფითი, რაც მას ჰქონდა და დავიცვათ ყველაფერი დადებითი და სწორი. მაო უწინდებურად მიიჩნევდა, რომ სტალინი იყო უდიდესი მარქსისტი, რომელიც უდიდეს პრობლემებთან მიმართებაში განახორციელებდა ყოველმხრივ გამართლებულ პოლიტიკურ ხაზს.**

ანალიტიკოსები თვლიან, რომ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის პოზიცია პიროვნების კულტის საკითხში, მხარი არ დაეჭირა ხრუშჩოვისთვის, ნაკარნახევი იყო არა იმით, რომ მაო ▶



სტალინის დაკრძალვა

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გასული საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კომუნისტური ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე უფრო დინამიურად და ჰარმონიულად განვითარებულ სახელმწიფოდ წარმოგვიდგა. ეს სრული სიცხადით ადასტურებს სტალინისა და მაო ძედუნის იდეების სისწორეს.

◀ თავად იყო მიდრეკილი თვითგანდიდებისკენ, არამედ სხვა, უფრო საფუძვლიანი და საყურადღებო მოტივებით. ხრუშჩოვისა და მისი მომხრეებისგან განსხვავებით, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ სწორად შეაფასა სიტუაცია და მიხვდა, რომ, **„როცა უმიზნებენ სტალინს, ესვრიან სოციალიზმს“.**

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან სოციალიზმი საბჭოთა კავშირში აგებული იყო სტალინური ნიმუშით და სტალინის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ხალხმა უდიდესი მსხვერპლის ფასად დაიცვა ეს მონაპოვარი ფაშიზმთან ომში. ზესახელმწიფოდ საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა არა მხოლოდ საბჭოთა ადამიანების გმირული ძალისხმევის შედეგად, არამედ სტალინის მოღვაწეობის შედეგადაც, რომელმაც შეძლო ტროცკისტებისა და სხვა ოპოზიციური ძალების დამარცხება. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა მისი გენერალური ხაზის სისწორე, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში.

**ანტისტალინელები განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ „კომუნისტური იდეების“ კრახის მიზეზი სტალინის საბედისწერო შეცდომები იყო. სინამდვილეში კი მიზეზთა-მიზეზი ხრუშჩოვისდროინდელი ნომენკლატურა იყო, რომელიც თავგანწირვით იცავდა საკუთარ პრივილეგიებს და ანგრევდა სტალინის ეპოქაში შექმნილ სახალხო, ჭეშმარიტად სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოს.**

ისტორიკოსებისა და ექსპერტების მიუკერძოებელი შეფასებით, ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვის, ამ „პირწავარდნილი კარიერისტის, მოსვლის შემდეგ და მის მიერ პარტიასა და სახელმწიფოში ძალაუფლების თანდათან სრულად მიტაცების შედეგად, სსრკ-ში ახალმა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა წარმოქმნეს პრივილეგირებული ფენა, რომელიც დაუპირისპირდა საბჭოთა საზოგადოებას. სწორედ ეს პრივილეგირებული ფენა იყო ხრუშჩოვის რევიზიონისტული ხროვის სოციალური ბაზა, ხრუშჩოვის რევიზიონისტული ხროვა — სწორედ ამ ფენის პოლიტიკური წარმომადგენელი“.

ხრუშჩოვის დამხობის შემდეგ მაო ძედუნმა ბრეჟნევისეული ხელმძღვანელობა ასე დაახასიათა: „ეს იგივე ხრუშჩოვისეული ანსამბლია. მისი ცენტრალური ფიგურების პოლიტიკური კარიერა განუყრელად დაკავშირებულია ხრუშჩოვთან“.

**მაო სრულად იზიარებდა სტალინის შეშფოთებას სოციალისტური საზოგადოების წვრილბურჟუაზიულად და შემდგომ კი ბურჟუაზიულად გადაგვარების შესაძლებლობის გამო.** მაომ ხალხს დაცილებული პარტოკრატია დაახასიათა, როგორც „ხელისუფლების სათავეში მდგომი, მაგრამ კაპიტალისტური გზით მიმავალი“ ადამიანების კასტა. სწორედ მათნაირთა წინააღმდეგ დაიწყო 1966 წელს „დიადი კულტურული რევოლუცია“. „დიადი მესაჭის“ მოწოდებით, ჩინეთის ქალაქების ქუჩებში გამოვიდა ახალგაზრდებისა და ყმაწვილების მრავალმილიონიანი ბრბოები.

ხანდაზმულმა მაომ, იგი იმ დროს 73 წლისა იყო, ვერ გაითვალისწინა, რომ კომუნისტების ძალისხმევით, რომელთაც იგი მეთაურობდა, ჩინეთი მნიშვნელოვნად დაწინაურდა სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული პროგრესის მიმართულებით. ჩინეთის სახელმწიფო განუზომლად უფრო რთულ ორგანიზმად ჩამოყალიბდა იმასთან შედარებით, რაც მაოს რომანტიკული პარტიზანობის პერიოდში იყო.



„კულტურულმა რევოლუციამ“ გამოიწვია ქაოსი. უკვე მილიარდიანი ჩინეთის რევოლუციური მობილიზაციის ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, ბურჟუაზიული ტენდენციები ქვეყანაში მხოლოდ ნაწილობრივ აღმოიფხვრა.

ამ მასობრივ გამოსვლას კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა, რომელიც მას მაო ძედუნმა დაუსახა: მსოფლიო რევოლუციური პროცესის განახლება. ეს ამოცანა საერთოდ არ შესრულებულა, რადგან მაო გაცილებით ცუდად იცნობდა მსოფლიოს, ვიდრე თავის ქვეყანას...

მაოს სიკვდილის შემდგომი ბედი სტალინისაზე უკეთესი აღმოჩნდა. ჩინეთში, სადაც ყველა ოჯახში ზეობდა წინაპართა კულტი, წარმოუდგენელი იყო ხრუშჩოვისებური ცილიმწამებლური მოხსენება, ასევე — ბელადის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოსვენება. **ჩინეთის ხელმძღვანელებს შესანიშნავად ჰქონდათ შეგნებული, რომ მემკვიდრეობითობა ქვეყნის განმტკიცების საწინდარია.**

პეკინის ცენტრალურ მოედანს დღემდე ამშვენებს ჩინელი ბრძენკაცისა და მეამბოხის უზარმაზარი პორტრეტი, ადამიანის, რომელიც დიადი ხალხის ბელადი გახდა. მაო ძედუნის მემკვიდრენი, უწინარეს ყოვლისა, იყვნენ პატრიოტები, ვისთვისაც სამშობლოს სიდიადე მთავარი საზრუნავი იყო. **გასული საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კომუნისტური ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე უფრო დინამიურად და ჰარმონიულად განვითარებულ სახელმწიფოდ წარმოგვიდგა. ეს სრული სიცხადით ადასტურებს სტალინისა და მაო ძედუნის იდეების სისწორეს.**

როგორც კი რუსეთმა, დასავლეთის მითითებით, ანტისაბჭოთა გზით იწყო სვლა, იგი

## პეკინის ცენტრალურ მოედანს დღემდე ამშვენებს ჩინელი ბრძენკაცისა და მეამბოხის უზარმაზარი პორტრეტი, ადამიანის, რომელიც დიადი ხალხის ბელადი გახდა

თანამედროვე ცივილიზაციიდან გარიყული აღმოჩნდა და უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დანამატად იქცა. მსგავსი არაფერი ასეთი მოკლე დროის განმავლობაში არც ერთ სხვა ქვეყანას, მით უფრო, ზესახელმწიფოს არ დამართნია.

ჩინეთი კი განაგრძობდა სვლას საკუთარი გზით, არ უარყვია წარსული და მეორე ზესახელმწიფო გახდა.

შეცდომა იქნებოდა, დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ სტალინისა და მაოს დიპლომატიური კონტაქტები მეგობრული მოლაპარაკებები იყო. ჰქონდა გარკვეული წინააღმდეგობანი, კონფლიქტებიც კი, რომლებიც არასოდეს გაუსაჯაროებიათ. ყველაზე მწვავე წინააღმდეგობამ სამამულო ომის წინ იჩინა თავი (მათ შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი). კომინტერნის დირექტივის შეუსრულებლობის (იაპონიის წინააღმდეგ ჩინელი კომუნისტების საბრძოლო მოქმედების გააქტიურების თაობაზე) გამართლებას რომ ცდილობდა, მაო ძედუნი აცხადებდა: „...უმჯობესია, დავზოგოთ ძალები, გავანადგუროთ გომინდანს, ჩინეთის ხელისუფლებას სათავეში ჩავუდგებით და მაშინ, როცა სსრკ-დან, ინგლისიდან და ამერიკიდან მივიღებთ დახმარებას, ქვეყანას იაპონელი დამპყრობლებისგან გავათავისუფლებთ...“ 1941 წლის ნოემბერში მან წამოაყენა ლოზუნგი: „ძალისხმევის ათი პროცენტი იაპონიასთან ბრძოლისთვის, ოცი პროცენტი — გომინდანთან ბრძოლისთვის, სამოცდაათი პროცენტი — ჩვენი რიგების ზრდისთვის“.

სწორედ ამიტომ 1945 წლის შემდეგ სტალინს აფიქრებდა ჩინეთის გაერთიანება მაო ძედუნის მეთაურობით, რადგან ეს უკანასკნელი იხრებოდა იზოლაციონალიზმისკენ და პრიორიტეტს ანიჭებდა თავისი პარტიის, საკუთარი ქვეყნისა და პირად ინტერესებს. საკმაო ხნის შემდეგ მაო საყვედურობდა სტალინს, რომ მან „ჩინელებს ნება არ დართო, მოეხდინათ რევოლუცია, არ ირწმუნა ჩინელი კომუნისტების ძალა და მოითხოვდა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დავზავებოდით ჩან კაიშის“.

სტალინის გაკრიტიკებით (მაგრამ მხოლოდ ჩინეთის საკითხში) მაო მხარს უჭერდა ხრუშჩოვს, რათა მაქსიმალური დახმარება მიეღო სსრკ-ისგან. მაგრამ 50-იანი წლების ბოლოს მაომ მარცხი განიცადა, როცა შეეცადა, ჩაეთრია ხრუშჩოვი ტაივანთან კონფლიქტში. და, რაც მთავარია, მოსკოვმა უარი უთხრა ატომური იარაღის გადაცემაზე. ამ საკითხებში ხრუშჩოვი სტალინის ხაზს განაგრძობდა: 1949 წელს სტალინმა არ დააკმაყოფილა მაოს თხოვნა, დახმარებოდა ჯარის შეზღუდული კონტიგენტით ჩან კაიშის წინააღმდეგ ომში.

სტალინის მოზომილი კრიტიკით მაო ცდილობდა, აემაღლებინა საკუთარი ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე, ამავე დროს განერიდებოდა ხრუშჩოვის რადიკალიზმს, რომელიც მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში თავისი ჰეგემონობის დამკვიდრებას ცდილობდა. მაოს პოლიტიკა მოზომილი და გონიერი იყო. რაც შეეხება „მესიმინდესა“ და „ტურისტს“ (ასე შეამკო ხალხმა ნიკიტა), რომელიც ტალახში თხვრიდა გარდაცვლილი ბელადის სახელს, წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ ვერ შეძლო თავისი კულტის ორგანიზება და თავისივე თანამზრახველების მიერ იქნა დამხობილი.

მაო ძედუნის შემთხვევაში პირიქით მოხდა. მისმა თანამებრძოლმა დენ სიაოპინმა, რომელიც არაერთხელ მწარედ გაუკრიტიკებია მაოს და რომელიც ბოლოს და ბოლოს მისი მემკვიდრე გახდა, განაცხადა:

„მაო ძედუნის იდეების დროშა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვისროლოთ, რადგან ეს იქნება ჩვენი სახელოვანი პარტიის ისტორიის უარყოფა. ჩვენი ყველა წარმატება განუყოფელია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისა და ამხანაგ მაო ძედუნისგან“.

ამასთან, „ჩინეთის დიადი კულტურული რევოლუცია“ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ოფიციალურ დოკუმენტებში შეფასებულია როგორც ტრაგედია. თუმცა ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ იგი იყო შეცდომა, რომელიც დაუშვა „დიდმა პროლეტარულმა რევოლუციონერმა“. მაგრამ ჩინელი მშრომელების მასებში უფრო და უფრო მტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ მაოს იდეები და ჩანაფიქრი, „კულტურულ რევოლუციაში“ გამოხატული და მისით განხორციელებული, იყო სწორი: ხელი უნდა შეშლოდა ჩინეთის გადაზრდას ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ წყობაში, კაპიტალიზმის მშენებლობაში. იგი იყო მაოს გალაშქრება ხალხს მოწყვეტილი და კორუმპირებული პარტიული ბიუროკრატების წინააღმდეგ. ასეთი მასობრივი ღონისძიების განხორციელებას არ შეიძლება თან არ მოჰყოლოდა ტრაგიკული გადახრები.

ასეთი გადახრები, ჩვენმა მკითხველებმა იციან, საბჭოთა კავშირის ისტორიაშიც საკმაოდ იყო: გაკულაკება, კოლექტივიზაცია და სხვ. შეცდომები და გადახრები დამახასიათებელი იყო წარმატებით მიმდინარე პროცესებისთვისაც. გაიხსენეთ სტალინის ნაშრომი „თავბრუდახვევა წარმატებებისგან“ და ყველაფერი ნათელი გახდება.

„კულტურული რევოლუციის“ ყველაზე მიუღებელი, ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ ამ მოძრაობის ამძრავი ღვედი და შემსრულებელი იყო უმწიფარი ახალგაზრდობა, რომლის რადიკალიზმი გამოყენებული იყო, როგორც უკომპრომისობის უზრუნველყოფის წინაპირობა.

მაგრამ ასობით მილიონერი ჩინელისთვის მაო ძედუნი იყო და რჩება ეროვნულ გმირად, დიად მესაჭედ, რომელმაც არა მარტო გააერთიანა ჩინეთი, არამედ განვითარების სწორ გზაზე გაიყვანა. ჩინელები ღმერთს უნდა უმადლოდნენ, რომ ამ უზარმაზარი ქვეყნის წარმართველ ძალაში არ აღმოჩნდა საკუთარი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, თორემ წარმოდგენაც კი ძნელია, რა დაატყდებოდა თავს არა მარტო ნაწილებად დაშლილ ამ ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს, ამ კოლოსს რომ გამოსცლოდა მისი ერთიანობის ისეთი მყარი საფუძველი, როგორიც ჩინეთის კომპარტია და მისი წინსვლისა და განვითარების ისეთი გზისმკვლევი, როგორიც სტალინისა და მაო ძედუნის იდეები იყო.

მაო ძედუნს ჩინეთში უდიდესი იმპერატორების გვერდით აყენებენ, მას პატივს მიაგებენ, როგორც ნახევრადღმერთს.

მაოს დროს იყო წესრიგი! — ამბობენ ჩინელები, გულისხმობენ ფასების სტაბილურობას და თანასწორობას ტანსაცმელშიც კი. ერთი ახალგაზრდა ჩინელის ნათქვამია: „როცა მაოზე იწყებენ ლაპარაკს, მე მახსენდება მისი ხმარებისგან გაცვეთილი ბრინჯის ჯამი, და ვხედავ ძვირფას „მერსედესებს“, რომლებითაც დაბრძანდებიან ჩვენი დღევანდელი ჩინოვნიკები“.

დენ სიაოპინმა, რომელიც ცდილობდა, შეენარჩუნებინა ხალხის ერთობა და არსებული ხელისუფლების ავტორიტეტი, წამოაყენა თეზისი: **„ჩვენ არ უნდა დავუშვათ ამხანაგ მაოს შეცდომების გადაჭარბებული კრიტიკა. ასეთი ქცევა და ამხანაგ მაოს გაშავების მცდელობა ნიშნავს ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს გაშავების მცდელობას“.**

არ იქნა და არ გამოჩნდა სკკპ-ის ხელმძღვანელობაში დენ სიაოპინის მსგავსი ავტორიტეტი, რომელიც დაიცავდა სტალინს, ეს კოლოსი მასხარაშვილის მსგავსი მასხარების საჯიჯგნი რომ არ გამხდარიყო.


თანამედროვე პეკინი

რუბრიკას უძღვებოდა **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ჯასტინმა იდეალური ტანადობა ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე მოინდომა და ეს საქმე პროფესიონალ ქირურგებს ანდო. 10 წლის განმავლობაში მან 90 პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა და ახლა მას თოჯინა ბარბის მეუღლეს, კენს, ადარებენ.**



# 35 დღე ლომების გალიაში

**კერძო ზოოპარკის მფლობელმა 40 წლის ალექსანდრე პილიშენკომ 35 დღე ლომებთან ერთად ერთ გალიაში გაატარა.**

როგორც კი იგი ფეხს შედგამს გალიაში, თავადაც მტაცებელივით იქცევა — მიწაზე იძინებს, ჭამს უმ ხორცს, მაგრამ სრულად ვერ ამბობს უარს ცივილიზაციის მიღწევებზე — იღებს შხაპს და სარგებლობს საპირფარეშოთი. მართალია, საპონის, შამპუნის და დეზოდორანტის გამოყენება არ გამოსდის ერთი მიზეზის გამო — ლომები ვერ იტანენ მძაფრ და სპეციფიურ სუნს.

ამ მტაცებლებმა უკვე მიიღეს ახალი წევრი თავიანთ გუნდში, მაგრამ ცნობილი არ არის, როგორ მოიქცევიან ლომები, როდესაც მოუხდებათ ტერიტორიის გაყოფა. გარდა ამისა, ლომები ელოდებიან შთამომავლობას და როგორც ვიცით, მდედრობითი სქესის ლომი ზედმეტად აგრესიულია, როდესაც საქმე მათ პირმშოს და ტერიტორიას ეხება.

# პრინტერი ფურცლისა და საღებავის გარეშე

**სულ ახლად შექმნილი პრინტერი არც მელანს საჭიროებს და არც ფურცელს.**

PrePeat RP-3100 II, რომელიც იაპონურმა კომპანიამ Sanwa Newtec შექმნა, სრულიად თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ მომავლის ტექნოლოგიათა რიცხვს. ზემოთ ხსენებული პრინტერი არავითარ მელანს, ტონერს და სხვა სახის კარტრიჯს არ საჭიროებს. ასევე მას საოფისე ქაღალდიც არ სჭირდება. მათ მაგივრად ნაწერი სპეციალური პლასტიკის ფირფიტებზე გადადის.






როდესაც ჩვენ ამ პლასტიკის ფირფიტებს საჭიროებისამებრ გამოვიყენებთ ხელახალი მოხმარებისათვის, ის კვლავ პრინტერში უნდა ჩავუშვათ. პრინტერი მას განაახლებს და ზედვე დაბეჭდავს ნებისმიერ სხვა ტექსტს. ყოველ ასეთ ფირფიტას ათასჯერ გამოყენების საშუალება აქვს და საკმაოდ იაფი ღირს.

როგორც უნივერსიტეტის სამედიცინო სფეროს პროფესორები აცხადებენ, ამ პრინტერს არავითარი დამატებითი გამოსხივება არ ახასიათებს და ამ კრიტერიუმით არ განსხვავდება სხვა ჭავლური თუ ლაზერული პრინტერებისგან.

ხსენებული გამოგონება საკმაოდ შეამცირებს საოფისე ფურცლებში და კარტრიჯებში გაწეულ ხარჯებს.



# 7000 თავის ქალა

**სან-ფრანცისკოში მცხოვრები პროფესიით ბიოლოგი რეი ბანდერი ცხოველების თავის ქალებს 50 წელია აგროვებს. მისი სახლი ძალიან უჩვეულოა — ყველა ოთახი ცხოველის ძვლებითაა სავსე.**

„ამ შთამბეჭდავი კოლექციის შექმნას ჩემი ცხოვრების დიდი დრო შევალიე. ოთახებში მათი ხილვა ძალიან მახარებს. თავის ქალიდან ხორცის ამოღება მომწონს. ამ ყველაფერში უცნაურს ვერაფერს ვხედავ“, — ამბობს ის.

რეი კოლექციას ბავშვობიდან აგროვებს, ადგილობრივები ზედმეტსახელად მას „ქვეწარმავალ რეის“ უწოდებენ.

# ამერიკელმა მამაკაცმა 90 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა

**32 წლის ნიუ იორკელმა ჯასტინ ჯედლიკამ დაახლოებით 100 000 დოლარი დახარჯა 90 პლასტიკურ ოპერაციაზე, რათა იდეალური გარეგნობა ჰქონოდა.**



ერთი შეხედვით ჯასტინი ფიტნესისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარულს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში მისი ნავარჯიშები კუნთები მხოლოდ პლასტმასისა და სილიკონისგან არის შექმნილი. მას მკერდში იმპლანტანები აქვს ჩადგმული, ხოლო მუცლის პრესი პოლიმირებული გისოსების დამსახურებაა. კუნთების ზედმეტი დაძაბვა და დაჭიმვა მისთვის რეკომენდირებული არ არის, ვინაიდან შეიძლება „მოდელირებული“ კუნთები გასკდეს და მათგან სქელი სითხე გადმოიღვაროს.

**ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ჯასტინმა იდეალური ტანადობა ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე მოინდომა და ეს საქმე პროფესიონალ ქირურგებს ანდო. 10 წლის განმავლობაში მან 90 პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა და ახლა მას თოჯინა ბარბის მეუღლეს, კენს, ადარებენ.**

ერთ-ერთ ინტერვიუში ჯასტინმა აღიარა, რომ პლასტიკური ქირურგიისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება აქვს.

„მიყვარს საკუთარი თავის მოდერნიზება და რაც უფრო რთულია ოპერაცია, მით უკეთესი. სიამოვნებას მანიჭებს, რომ სხვებზე უკეთ გამოვიყურები“ — განაცხადა მან.

# რბოლა მაღალ ქუსლებზე ტალინში

**ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ესტონეთის დედაქალაქში, ტალინში, გაიმართა მაღალ ქუსლებზე ტრადიციული რბოლა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ გოგონები, არამედ ბიჭებიც.შეჯიბრების მონაწილეებს 100 მეტრი უნდა გაერბინათ, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია, როდესაც რვა სანტიმეტრიან ქუსლებზე... დარბიხარ.**















## ყველაზე დიდი მოცეკვავე შადრევანი

**მსოფლიოში ყველაზე დიდი მოცეკვავე შადრევანი დუბაიშია. დუბაის შადრევანი ტბაზე, ცათამბჯენ ბურჯ ხალიფას წინ მდებარეობს.**

შადრევანი 83 000 ლიტრ წყალს იყენებს და 275 მეტრი სიგრძისაა. ის 6 600 ნათურითა და 25 ფერადი პროჟექტორით არის განათებული. შადრევანი თანამედროვე არაბულ მელოდიებსა და კლასიკურ მუსიკაზე ცეკვავს, ზოგჯერ მსოფლიო ჰიტებიც ისმის. მის მშენებლობაზე 218 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აუხსნელი აღმოჩენები

**კაცობრიობამ უკვე მოაგროვა რამდენიმე ისტორიული აღმოჩენა, რომელიც დღემდე დავის საგანია მეცნიერთა შორის.**



## კოკაინი ეგვიპტურ მუმიებში

**როდესაც კოლუმბმა აღმოაჩინა ახალი მიწები, რომელიც არ იყო ინდოეთი, როგორც თავად ეგონა, მან მთელ მსოფლიოს ადრე უხილავი მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსკენ გზა გაუხსნა.**

მაგრამ თუ კოლუმბი იყო პირველი ადამიანი სხვა კონტინენტიდან, რომელმაც ფეხი დადგა ამარეკის ტერიტორიაზე, მაშინ როგორ მოხდა, რომ 1992 წელს გამოკვლეული ეგვიპტური მუმიების სხეულშიალმოაჩინეს კანაფის, თამბაქოს და კოკაინის კვალი?

როგორც დღემდე ითვლება, თამბაქოს კოკაინს და კანაფს ამერიკის მეშვეობით ეზიარა მთელი მსოფლიო.

როდესაც გერმანელმა მეცნიერებმა კიდევ ერთხელ ჩაატარეს ექსპერტიზა მუმიებზე, ნიკოტინის კვალი კიდევ აღმოაჩინეს თავად ერთ-ერთი ფარაონის სხეულშიც კი.ამ ფაქტის შესახებ დღემდე მიმდინარეობს დავა მსოფლიოს მეცნიერთა შორის.



## ნორვეგიული მონეტები ამერიკაში

**მენი ამერიკის ერთ-ერთი შტატია,რომელიც 1957 წლამდე არაფრით გამოირჩეოდა. ერთ ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ამ ქალაქში მიდიოდა მშენებლობები, ძველებური მონეტებიაღმოაჩინეს. თავდაპირველად ეგონათ, რომ ეს იყო ბრიტანული პენი.**

ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება არავინ მიაქცია და ეს უახლოეს მუზეუმშიწაიღეს. რამდენიმე წლის შემდეგ მუზეუმს ნუმიზმატიკის ექსპერტი ესტუმრა და მიხვდა კიდევაც, თუ რა ისტორიული ღირებულება იყო მონეტა. მან გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ მონეტა ნორვეგიული იყო და ეს ამბავი მსოფლიოს გააცნო.

მეცნიერმა ვერ გაარკვია, თუ საიდან მოხვდა ეს მონეტა ამერიკაში. ეს ფაქტი დღემდე ამოუცნობი რჩება მეცნიერების და მსოფლიოსთვის.



## ებრაული წარწერა ნიუ მეხიკოში

**1933 წლს ნიუ მეხიკოში აღმოჩენილი იქნა 90 ტონიანი ქვა, რომელზეც წარწერები იყო ებრაულ ენაზე. როგორც შემდგომ მეცნიერებმა გაშიფრეს, ქვაზე ათი მცნება ეწერა.**

ამ ფაქტის შემდეგ მთელი მსოფლიოდან საუკეთესო მეცნიერები მოიწვიეს, მაგრამ ვერ გაარკვიეს, როგორ მოხვდა ეს წარწერა მეხიკოში. ყველაფერი განსაკუთრებით საინტერესო კი მაშინგახდა მეცნიერთათვის, როდესაც ქვაზე ბერძნული ასოებიცაღმოაჩინეს. მოგვიანებით გადაწყვიტეს, რომ ეს ერთ-ერთი ამერიკული ხუმრობა იყო და ამ ქვის მპოვნელიდააპატიმრეს.

როდესაც ექსპერტიზა ჩაატარეს, მეცნიერები გაოგნდნენ — ქვის ასაკი შეიძლებოდა 2000 წლამდე ყოფილიყო.

ამის შემდეგ გაანთავისუფლეს ქვის მპოვნელი, მაგრამ მეცნიერები დღემდე ვერ ხსნიან, თუ როგორ მოხვდა ეს ქვა ნიუ მეხიკოში.





## უძველესი იაპონური ტომი ნიუ მეხიკოში

ნიუ მეხიკოში ცხოვრობდა იდუმალი ტომი, რომლის სახელიც იყო ზუნი. გასაკვირი ისაა, რომ მათი ენა არ ჰგავდა რომელიმე ადგილობრივ დიალექტს. ანთროპოლოგიის სტუდენტმა ნენსი დევისმა პირველად შენიშნა ამ ენის მსგავსება იაპონურ ენასთან. და დიდი კვლევა-ძიების შემდეგ წამოაყენა თეორია რომ, მე-12 საუკუნეში დასახლებულმა ბუდისტმა ბერებმა ამ ადგილას გაავრცელეს ეს ენა ზუნის ტომში. ამ თეორიას არ იზიარებს მეცნიერთა უმეტესი ნაწილი, სხვა კი, ჯერაც არ არსებობს.

## ევროპის უკანასკნელი უცოლო პრინცი დაქორწინდა

**ლუქსემბურგის პრინცი გიიომი ბელგიელ გრაფინიაზე, სტეფანი დე ლანუაზე დაქორწინდა. ამით არისტოკრატმა საპატარძლოებმა სამეფო ოჯახში შესვლის საბოლოო შანსი დაკარგეს, რადგან გიიომი ევროპაში უკანასკნელი უცოლო გვირგვინოსანი პრინცი იყო. საზეიმო ცერემონია ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა. პირველი დღე სამოქალაქო პროცესს და სადღესასწაულო გალა-ვახშამს დაეთმო, მეორე დღეს კი ლუქსემბურგის ღვთისმშობლის ტაძარში ჯვრისწერის ცერემონია გაიმართა.**



ქორწილმა ტრადიციული ატრიბუტიკის თანხლებით ჩაიარა. დედოფალს Elie Saab-ის მიერ დამზადებული სამმეტრიანი შლეიფი ამშვენებდა, ათასობით თეთრი ვარდით გალამაზებულ წვეულებას კი უამრავი არისტოკრატი სტუმრობდა.

წყვილი ასაკით თითქმის თანატოლია — გიიომს ახლახან 30 წელი შეუსრულდა, სტეფანი კი 28 წლისაა. მათი შეუღლება სიურპრიზი არავისთვის ყოფილა. ახალდაქორწინებულები ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ. 2009 წლიდან თავიანთი ურთიერთობა საჯარო გახადეს, გასულ წელს კი მათი ნიშნობა შედგა.

## უძველესი რომაული ქანდაკებები მექსიკაში

**ყველა ადამიანს, რომელმაც იცის, რომ ლათინური ამერიკა და რომი ერთმანეთთან ძალიანდაშორებულები არიან, ეს ამბავი განსაკუთრებულად აოცებს. როდესაც ბრიტანელებმა დაიკავეს ცენტრალური ამერიკის ტერიტორია, ამ დროს ყველამ იცოდაიტალიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.**




1933 წელს ერთ-ერთი არქეოლოგიური გათხრების დროს მეცნიერებმა მექსიკის ტერიტორიაზეუძველესი საფლავები აღმოაჩინეს, ამ საფლავებთან კი აღმოაჩინეს პატარა ფიგურები.

აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი დაფარული იყობეტონით. როდესაც მეცნიერებმა შეისწავლეს ფიგურები, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისინი მეორე საუკუნის დროინდელი და, რაც მთავარია, რომაულია. ამ ფაქტებში ორი უცნაურობაა. პირველის ის, რომ როგორც ცნობილია, ითვლება, რომ კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენისას, 1519 წელს, თეთრმა ადამიანმა პირველად დადგა ფეხი ამ კონტინენტზე. სამარხში აღმოჩენილი ადამიანები კი იყვნენ თეთრკანიანები და თანაც მათ ჰქონდათ მეორე საუკუნის დროინდელი რომაული ქანდაკებები.



1982 წელს რიო დე ჟანეიროს მორტში აღმოაჩინეს ორი გემი, რომელიც იყო ნახევრად დამპალი. როდესაც გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ გემები მესამე საუკუნის დროინდელიიყო. მეცნიერები დღემდე იკვლევენ ამ ორ ფაქტს და ცდილობენ, რომ ისინი დააკავშირონ ერთმანეთთან, თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ.

## ფეხბურთელი უნიტაზი



**რობოტების იაპონელმა კონსტრუქტორებმა კიდევ ერთხელ გააოცეს მსოფლიო აბსოლუტურად უსარგებლო, მაგრამ სასაცილო გამოგონებით. ამჯერად თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალი მათ იმ უნიტაზის შექმნას მოახმარეს, რომელსაც საფეხბურთო მატჩის დროს კარში გოლკიპერის ადგილის დაკავება წარმატებით შეუძლია.**

უნიტაზ Super Great Toiler Keep-ის უნიკალური შესაძლებლობები თვით იაპონური ფეხბურთის ვარსკვლავმა ტაცუხიკო კუბომ შეამოწმა და აღტაცებული დარჩა.

უნიტაზი, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივია და ის მოძრაობაზე რეაგირების სენსორებითა და მინი-კომპიუტერითაა აღჭურვილი, რაც ბურთის ფრენის ტრაექტორიას წამის მეათედ დროში აფიქსირებს. უნიტაზი თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს, დარტყმის მოსაგერიებლად კი თავის ბურთს იყენებს, რომელსაც დარტყმული ბურთის მიმართულებით სტყორცნის და მას გზას უჭრის.

ამ უჩვეულო გამოგონებაზე ერთნაირი სახელწოდების ორი იაპონური კომპანია მუშაობდა.

# სად და როგორ ისვენებდა მიხეილ სააკაშვილი ერთი კვირის განმავლობაში



**რუსეთში მოღვაწე ქართველმა ტელეწამყვანმა თინა კანდელაკმა ბლოგ-პლატფორმა livejournal.com-ზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დასვენების ამსახველი ფოტოები გაავრცელა. ფოტოები ცოტა ხნის წინ იტალიის ქალაქ მერანოში ფეშენებელურ სანატორიუმ „ესპას ანრი შენოშია“ გადაღებული. როგორც კანდელაკი წერს, ეს სპა-კურორტი უკრაინის მმართველი ელიტისა და დიეგო მარადონას საყვარელი დასასვენებელი ადგილია.**

„ესპას ანრი შენო“ დამსვენებლებს გამაჯანსაღებელ პროგრამებსა და დამატებით სერვისებს სთავაზობს.

Ambebi.ge-ს ინფორმაციით, ორსაძინებლიანი ლუქსი, რომელშიც სააკაშვილი დაბინავდა, ერთი დღე-ღამის განმავლობაში 1350 ევრო ღირს, ხოლო გამაჯანსაღებელი ექვსდღიანი პროგრამა — 2860 ევრო. ის მოიცავს დიეტას („გახდომისა და ტოქსინების გამოყოფისთვის“), ანალიზებსა და ენერგეტიკულ მასაჟს. დამატებითი 120 ევროს გადახდის შემთხვევაში, დამსვენებელს შეუძლია მუცლის მასაჟი გაიკეთოს, 120 ევრო ღირს ლიმფოდრენაჟი (ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოყოფა). ანტიცელულიტური პროცედურები და ტერფების მასაჟიც — 120 ევრო.

პრეზიდენტმა სანატორიუმში ერთი კვირა დაჰყო.

# ტყემალაძემ და ბესელიამ პოლიტდევნილის გამო იჩხუბეს?



**პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა სიებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა — ეკა ბესელიამ და ზურაბ ტყემალაძემ იჩხუბეს.**

ამ დღეებში კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც პოლიტდევნილად 184 ადამიანი გამოცხადდა, ხოლო პოლიტპატიმრად — 22 და მათი გვარებიც დასახელდა. კომიტეტის სხდომის დამთავრებისთანავე ბიუროს სხდომა დაიწყო, რის შემდეგაც ბიუროს ოთახში ბესელიას ზურაბ ტყემალაძემ ერთ-ერთი პირის სიაში არარსებობის მიზეზი ჰკითხა. ბესელიამ კოლეგას განუცხადა, რომ სიაში იმ პირს ვერ ჩასვამდა, რომლის საქმეც მას მხოლოდ მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიუვიდა. ბესელია გაღიზიანებული ჩანდა, მისი ტონი ტყემალაძეს არ ესიამოვნა და განუცხადა, რომ საკითხის მხოლოდ დაზუსტება სცადა და მას არ ჰქონდა მისი „დატუქსვის“ უფლება. უმრავლესობის წევრებს შორის კამათი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც ბიუროს დარბაზი დეპუტატებმა დატოვეს. რაც შეეხება ბესელიასა და ტყემალაძეს შორის არსებულ კამათს, ამ დრომდე გაურკვეველია, თუ ვის შესახებ კამათობდნენ კანონმდებლები.

აღსანიშნავია, რომ გუშინ კომიტეტმა პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკითხის განხილვის შემდეგ, 10-წუთიანი შესვენება გამოაცხადა, რომელიც მედიისთვის დახურული იყო, თუმცა, from.ge-ს ინფორმაციით, სიებთან დაკავშირებით კამათი დახურულ ფორმატშიც გაგრძელდა. ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე სიაში რიგი პირების ჩასმას ითხოვდა და აცხადებდა, რომ ამ პირთა საქმეები განხილული იყო. ბესელიამ კი სიაში ეს პირები არ ჩასვა და განაცხადა, რომ მათი საქმეები კომიტეტში ხარვეზებით იყო წარდგენილი, რის გამოც მათი გვარები სიაში ვერ მოხვდებოდა. ბოლოს გადაწყდა, რომ ჯგუფს საქმიანობისთვის დამატებით ორკვირიანი ვადა მისცემოდა, რათა ის საქმეები განიხილოს, რომლებიც კომიტეტში შეტანილია, მაგრამ მათი განხილვა ხარვეზების გამო არ მოხდა.

# «ბოლშევიკური მეთოდებით წართმეული ბიზნესის» დაბრუნებას ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი ინყებს



**ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი ღია წერილს აქვეყნებს, რომელშიც აცხადებს, რომ არ აპირებს „ბოლშევიკური მეთოდებით წართმეულ ბიზნესზე საუბარს“. მისი თქმით, იმ ადამიანებზე საუბარს, რომლებსაც მისი საკუთრება გადაუფორმეს, ადვოკატები მასზე უკეთ მოახერხებენ და საქმეს პროკურატურა სამართლიანად გამოიძიებს.**

„ახალი თაობის“ ინფორმაციით, გოჩა ძასოხოვი მხარს უჭერდა „ვარდების რევოლუციას“. რამდენიმე წლის განმავლობაში ის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც აფინანსებდა. გამოცემის ინფორმაციით, თავდაპირველად ძასოხოვის ბიზნესის შევიწროება დაიწყეს, მოგვიანებით კი, აგვისტოს ომის შემდეგ მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა განაცხადა, რომ ძასოხოვი ცხინვალისა და გორის სოფლებში შემოსულ ბანდფორმირებებს წინ მიუძღოდა. მას საქართველოში ქონება წაართვეს, საცხოვრებელი სახლი კი დაუყადაღეს. გოჩა ძასოხოვი ღია წერილში ამბობს, რომ არ აპირებს „ბოლშევიკური მეთოდებით წართმეულ ბიზნესზე საუბარს, არც იმ ადამიანებზე, რომლებიც, მინდა ვიფიქრო, შეცდომაში შეიყვანეს და უსირცხვილოდ გადაუფორმეს ჩემი საკუთრება“.

„ამას, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთ ადვოკატები მოახერხებენ და არ მეპარება ეჭვი, რომ პროკურატურა სამართლიანად გამოიძიებს და სასამართლოც სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. მხოლოდ ერთს დავაკონკრეტებ, ბარბაროსულად ჩემს ბიზნესს კი არა, ჩემს ოჯახს, ჩემი ოჯახის ცხოვრების წესს მოექცნენ. ჩემს მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად იძულებული გამხადეს, ქვეყნიდან გადავხვეწილიყავი“, — აცხადებს ძასოხოვი.

მისი შეფასებით, ცინიზმია, როცა „ხელისუფალი მორჩილებას გთხოვს ბიზნესის კეთების უფლებისთვის“.

# ლაზიკაში სამშენებლო სამუშაოებზე 14 მილიონ ლარამდე დაიხარჯა



**ლაზიკაში, პირსისა და მონუმენტის, ბულვარისა და მისასვლელი გზის მოწყობისთვის 13.300 000 ლარი დაიხარჯა. ამის შესახებ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ვებ-გვერდი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.**

Livepress.ge-ს ინფორმაციით, სამინისტროდან მიღებული წერილის მიხედვით, „საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის 499 განკარგულების საფუძველზე, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (ანაკლია) უზრუნველყო რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კერძოდ კი პირსისა და მონუმენტის მოწყობა, ბულვარის მოწყობა, მისასვლელი გზის მოწყობა, რაზეც სულ დახარჯულია 13.300 000 ლარი“, — აღნიშნულია სამინისტროდან მიღებულ წერილში. ლაზიკის მშენებლობის პროექტების, გეგმებისა და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზამ სამინისტროდან მიმდინარე წლის 5 სექტემბერსაც გამოითხოვა, თუმცა მაშინ მიღებულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ სამინისტროს არ გააჩნია ინფორმაცია ლაზიკის მშენებლობის შესახებ.

# «ბუდა ბარი» ადგილმდებარეობის შეცვლას არ აპირებს



**მოუწევს თუ არა ადგილის შეცვლა თბილისურ „ბუდა ბარს“? რიყეზე „ბუდა-ბარის“ გახსნას თავიდანვე საზოგადოების ნაწილის მხრიდან ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. ახლა კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე 100 ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მშენებლობა იგეგმება.** თუმცა, როგორც რადიო „კომერსანტს“ ბარის წარმომადგენელმა განუცხადა, ადგილის შეცვლას არ აპირებენ. მისივე ინფორმაციით, „ბუდა ბარი“ ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს ფუნქციონირებას და კლიენტურის რაოდენობას არ უჩივის. ბარი რიყეზე 1400 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზეა განთავსებული და 300 ადამიანზეა გათვლილი.

# «ჩამოხრჩობა» გორის ცენტრში



**რამდენიმე დღეა, გორის ცენტრში ფილმის „ჯეკი – ქალების სამეფოში“ მიმდინარეობს. მოქმედება 2340 წელს ხდება, ქვეყანას ქალები მართავენ, ხოლო მამაკაცები დიასახლისები არიან. ერთ-ერთ მთავარ როლს შარლოტა გინსბურგი ასრულებს. ფრანგულენოვან ფილმში მთავარი როლის შემსრულებლად რეჟისორი მიშელ აზანავიჩუსი სახელდება.**

ფრანგებმა მომავალი ქვეყნის გადასაღებად საქართველო შეარჩიეს. გადაღებები, გორის გარდა, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში წარმოებს. 20 ნოემბერს გადაღებულ ეპიზოდში ქალების სამეფოში მამაკაცებს ჩამოახრჩობენ. ეს კადრები შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა გადაიღო.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894